

ელბერდ ბატიაშვილი

ციკლი - "საუბრები ილია მართალზე"

ილია ჭავჭავაძე და საქართველო:

- რანი ვიყავით,

- რანი ვართ,

- რად შეიძლება ვიქმნეთ!

თბილისი

2012

ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური მემკვიდრეობა და ანდერძი: „საერთო ნიადაგის“ თეორია – არსი და ძირითადი მიმართულებანი

მემკვიდრეობითობა ბუნების, ადამიანისა და საზოგადოების უნივერსალური კანონია და მისი უგულველყოფა დიდი ტრაგედიების ტოლფასია მუდამ. ბრძნული თქმა – ივიწყებ წარსულს, ჰკარგავ მომავალს და საქართველოს ისტორიის თითქმის 800 წლიანმა „ძნელბედობამ“, მისმა პოლიტოლოგიურმა და ფილოსოფიურმა გააზრებამ ბევრი რამ უნდა გვასწავლოს ამ მხრივ. სწორედ ასეთმა გააზრებამ შვა ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორია, მისი ორ ათეულზე მეტი სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური და ზნეობრივი პრინციპები. ისინი საქმედ ქცევას ელიან ჩვენგან ახალ ისტორიულ გარემო-პირობებში.

გარდამავალი პერიოდის საქართველო, მისი სახელმწიფოებრივი მშენებლობა გვერდს ვერ აუვლის ამ თეორიას. ამას არა ერთი და ორი ათეული წელი დასჭირდება, მაგრამ მთავარია დავიწყოთ აქეთკენ სვლა...

„ქმნა მართლისა სამართლისა, შეიქმნს ხესა ხმელსა ნედლად“ – ამ ბრძნულ შეგონებასაც განხორციელება უნდა. ილია მართალის მართალი სიტყვა და მართალი საქმე გვაძლევს ამის შანსს „საერთო ნიადაგის“ თეორიის სახით. ეს თეორია XIX-XX საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების კონცენტრი-რებული გამოხატულებაა. ამასთან დაკავშირებით, მინდა ვთქვა – ეს ბოლო ორი საუკუნე ჩვენი ისტორიისა, ხელახლა არის გასააზრებელი და დასაწერი...

აქ ესეც მინდა ხაზგასმით ვთქვა: ამ თეორიის ფორმირებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა ვარლამ ჩერქეზიშვილმა – მარქსიზმის პირველმა სერიოზულმა კრიტიკოსმა არა მარტო საქართველოში. მისი პოლემიკა სტალინთან, სხვა ქართველ, რუს და ევროპელ მარქსისტებთან, ფაქტიურად „მესამედასელებეთან“ ილიას პოლემიკის გაგრძელებაა, გაგრძელებაა იმ იდეებისა, რომელიც ილიამ სტატიათა ციკლში – **„ცხოვრება და კანონი“** განავითარა. ამიტომ შევიტანე ეს პოლემიკაც აქ.

„ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშია“ – ეს ამ ორივე დიდი მოაზროვნის და მოღვაწის საერთო დებულებაა. დღეს, როცა საქართველო და ქართველი ერი თანდათანობით თავისუფლდება საბჭოთა მემკვიდრეობისგან, ამ დებულებას და მის რეალიზაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. ამ პათოსით არის დაწერილი **„საუბრები ილია მართალზე“**...

„ზრახვასა თქვენსა ნუ მცონარობთ!“,- გვეუბნება ქრისტე-ღმერთი და ეს შეგონება ყველაზე მეტად ესადაგება სახელმწიფოებრივი მშენებლობის ჩვენს გარდამავალ პერიოდს. უპირველეს ყოვლისა, ეს გააზრებული უნდა იქნას იმის დეფიციტით, რასაც ილია „ერის სულის ღონეს“ უწოდებს. ამიტომ წერდა-**„ყველა დიდნი საქმენი და გმირობანი მართო სულის ღონეა და სხვა არაფრის“**. დღესაც, ახლო, თუ შორეულ მომავალშიც მხოლოდ „საერთო ნიადაგის“ თეორიას შეუძლია მოგვცეს ეს „სულის ღონე“ ახალი საუკუნისა და ახალი ათასწლეულის ქართველებს...

ჩვენი ისტორიის უკანასკნელი საუკუნეების „ძნელბედობებმა“, ილიას ლელთ ღუნიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „წახდინა ქართველთა სახელი და ქართული წეს-წყობა“, უცხო ბაძის მონად და სხვის ხელისშემყურედ, კოლონიური აზროვნების მატარებლად აქცია ქართველი კაცი. ამოცანაც ის არის, რომ განვთავისუფლდეთ ყოველივე ამისგან ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობისას...

„წახდენილი ქართველთა სახელისა და ქართული წეს-წყობის აღდგენა“ – ასეთია „საერთო ნიადაგის“ თეორიიდან გამომდინარე ანდერძი ჩვენთვის, იმის აღდგენა და გათანამედროვეობა, რაც **„უწყალო დროთა ბრუნვით დანთქმული“**. – ძველი ოქროვანი ხანიდან საქართველოს ახალი ოქროვანი ხანისკენ! – ასე შეიძლება გამოიხატოს ყოველივე ეს პოლიტიკური ლოზუნგის სახით...

ამიტომ უწოდა ივანე ჯავახიშვილმა ილიას **„საქართველოს მომავლის გზისგამკვალავი“**. ვფიქრობ, დადგა დრო ყოველივე ამას მწყობრი იდეოლოგიური სისტემის სახე მიეცეს. ამის ცდას წარმოადგენს **„საუბრების“** ეს ციკლი, რომლის საბოლოო შედეგად ავტორს განზრახული აქვს ვრცელი მონოგრაფიის გამოცემა – **„საერთო ნიადაგის“ თეორია და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობა**. ეს იქნება ამასთან, **„თსუ ილიალოგთა კლუბის“** მრავალწლიანი კვლევის თავისებური შეჯამებაც.

მკითხველს წინასწარ ბოდიშს ვუხდით, რამეთუ ეს ტექსტები სხვადასხვა წლებშია აკრეფილი და შეიძლება გამეორებაც შეხვდეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა პოეტურ ჩართვებს შეხვდება **„საუბრების“** სხვადასხვასხვა ნაკვეთებში.

სიამოვნებით მივიღებთ ყველა შენიშვნას და გამოხმაურებას, რამეთუ გვწამს: ილიას პოლიტიკური მემკვიდრეობის კვლევა და მისი საქმედ ქცევა ერთი და ორი კაცის საქმე არაა. იგი მთელი ერის სისხლხორცეული საქმეა.

ჩვენი კლუბის საკონტაქტო ტელეფონია: 599 92 87 12; 2 93 60 32.

ელბერდ ბატიაშვილი ისტორიკოსი, პოლიტოლოგიის პროფესორი. დაიბადა 8/X-1940 წ. სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბისხევში. 1969 წელს დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი და მისი ასპირანტურა. იმავე წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „აშშ ფორმირების ზოგიერთი თავისებურებანი“. 1973 წელს სადოქტორო – „ეროვნული და სოციალური პრობლემები XIX-XX საუკუნეების ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში“.

1977 წელს იყო „თსუ ილიალოგთა კლუბის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. იმავე წელს დისიდენტური წესით გამოსცა – „საერთო ნიადაგის“ თეორია და იმპერიის ისტორიული ბედი“. აქედან მოყოლებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი ობიექტი ხდება ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის გამოყენებითი პოლიტოლოგიური კვლევა. თეორიულთან ერთად, ეწევა პედაგოგიურ მუშაობასაც. გამოქვეყნებული აქვს 100-მდე მონოგრაფია და სტატია ილიას მემკვიდრეობაზე. ამჟამად ამზადებს სასწავლო – სალექციო კურსს და სახელმძღვანელოს ილიალოგიაში.

ავტორისაგან

წინამდებარე ბროშურა ნაწილია ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 160 წლისთავისადმი მიძღვნილი ჩემი მონოგრაფიისა-„ილია და საქართველო“. მაშინ მე და „თსუ ილიალოგთა კლუბს“ გვქონდა დიდი იმედი, რომ ბოლოსდაბოლოს ჩვენი ქვეყანა დაადგებოდა ილიას გზას, მისი „საერთო ნიადაგის“ თეორიის პრინციპთა განხორციელებას. მაგრამ დღემდე ეს იმედი იმედად დარჩა და მასთან ერთად ის კონსტიტუციური საფუძვლებიც, რომლებიც მაშინ აღნიშნული მონოგრაფიის დასკვნაშია დაფიქსირებული...

„საუბრები“ ჩაფიქრებულია ციკლის სახით. მისი სხვადასხვა ნაკვეთი დაწერილი და გამოქვეყნებულია სხვადასხვა დროს, რის გამოც მკითხველს შეიძლება გამეორებაც შეხვდეს რიგ შემთხვევებში. ამასთან, თვითეულ მათგანში შევეცადე თავისებური პოეტური ჩართვებით საკითხავად სასიამოვნო გამეხადა ისინი-პოეზია ხომ, ქართველი კაცის ბუნებისა და ცხოვრების წესის თანამგზავრია ოდითგან, ჩვენს ფოლკლორში რომ აისახა ყველაზე მეტად. ილია დიდი თავყანისმცემელი იყო ფოლკლორის და ამიტომაც „საუბრების“ ერთ-ერთი ნაკვეთი ამ თემას მივუძღვენი („ილია და ფოლკლორი“).

ესეც მინდა ავღნიშნო: ილია „ერის სულის ღონის“ შემდეგ, ქართული სახელმწიფოს მშენებლობის „ბალავარის ქვად“ ეროვნულ ეკონომიკას განიხილავდა. ეროვნული იდეოლოგია-ეროვნული ეკონომიკა-ეროვნული სახელმწიფო, ასეთია მისი გზავნილი ჩვენთვის...

ამასთან, ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი ეროვნული ეკონომიკა მისი შემადგენელი ცალკეული მხარეების რეგიონალურ ეკონომიკათა ორგანული მთლიანობაა. ამიტომაც ჩავრთე ამ ნაკვეთში „კახეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია“. იგივე უნდა გაკეთდეს საქართველოს მთისა და ბარის ყველა რეგიონის მიმართ, რათა თვითნებულ მათგანში არსებული პოტენციალი მაქსიმალურად იქნას გამოყენებული. ასეთი იყო და ასეთად რჩება „თსუ ილიალოგთა კლუბის“ პოზიცია დაფუძნებიდანვე. ჩვენი ერთ-ერთი სამეცნიერო კრებული სწორედ ამ პრობლემას მიემდგნა...

უცვლელად ვტოვებ წიგნის მაშინდელი რედაქტორის ლევან სანიკიძის ტექსტსაც, რამეთუ ამ თხუთმეტი წლის წინანდელი პრობლემები კვლავ პრობლემებად რჩება დღეს. მეტიც- ილია კიდევ უფრო დაშორდა თავის „ბედნიერ ერს“...

რედაქტორისგან

ბევრჯერ მითქვამს და აქაც მინდა ვთქვა:

ილიას გარეშე საქართველოს მომავალი არ აქვს, ისევე, როგორც სხეულს სულის გარეშე - ილია ხომ საქართველოს „თანამდევი უკვდავი სულია“. სულის გარეშე კი, სხეული ცარიელი ლეშია...

დიახ, ბატონებო, ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ჩვენი ტრაგედია ისაა, რომ ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას არა და არ ვცნობთ. დღესაც, ვითომცდა, ყველა „ილიელები“ გავხდით, მაგრამ ვაი, რომ მხოლოდ სიტყვით. საქმით ისევ მესამედასური ნოეს საქართველო ვართ. ალტერნატივა-„ილია, თუ ნოე“, როგორც ჩანს კვლავ ნოეს სასარგებლოდ წყდება: დავაკვირდეთ თუნდაც ჩვენი პარლამენტის მთავარ დარბაზს, აქ გამოფენილ ერისკაცთა გალერეას-ილიას გვერდით ილიას მკვლელები, ყველაზე დიდი ფორმატით კი, სურათი ნოე ჟორდანიაში, ილია მასთან ქონდრისკაცად მოჩანს. მეტი დაცინვა ილიასი და საქართველოსი რაღა გინდათ?!..

ისე ჩავამთავრეთ ილიას იუბილე, რომ მისის მემკვიდრეობის შემსწავლელი პოლიტოლოგიური ცენტრის შექმნაც არ ვინებეთ, ცენტრს ვინ ჩივის, თუნდაც მისი ერთადერთი ტომის გამოქვეყნებაც კი, გამოუცემელ-გამოუქვეყნებელი მისი ოცტომეულიდან და კიდევ მრავალი რამ ჩვენთვის უცნობი ილიას ნააზრევადან, ხელუხლებელ განძად გვრჩება დღემდე.

მათ განხორციელებაზე ხომ აღარაა ლაპარაკი: ილიას ნაწერები-გამოუქვეყნებელი, ილიას იდეები-გამოუყენებელი, მეტი რაღა გინდათ!

რა ჰქვია ყოველივე ამას მკითხველო, შენ თვითონ დაარქვი სახელი, მე კი გაგახსენებ ილიას ვედრებას და მოწოდებას „მოაზროვნე საქართველოსა და მოაზროვნე

ქართველებისადმი“: ქვეყნის ხსნა და მომავალი კეთილდღეობა მხოლოდ ჩვენს წარსულთან „ჩატეხილი ხიდის“ გამთლიანებას და ამით „ოქროვანის ხანის წარბდენილ ქართველთა სახელისა და ქართული წეს-წყობის აღდგენაშია“ საძიებელი. ნუთუ: „მოაზროვნე ქართველობას“ ახლა მაინც არ უნდა გვეყოს უნარი და მასთან ერთად, პოლიტიკური ნებაც, დავდგეთ ერთად ილიასებურ „საერთო ნიადაგზე“ ამ დიდი ისტორიული მისიის და ეროვნული მიზნის ხორცშესახმელად?!

ამიტომ მე ვუერთდები და ამასთან, მოვუწოდებ ყველას, შეუერთდეს მონოგრაფიის ავტორისეულ იდეას ილიას მემკვიდრეობის საფუძველზე ყველა ეროვნული ძალების ერთ პოლიტიკურ ბლოკად გაერთიანების შესახებ. მხოლოდ ილიას იდეების ხორცშესახმას ძალუმს ქვეყნის ხსნაც და სამომავლო განვითარებაც. სხვა გზა უბრალოდ არ გვაქვს...

საქართველოს ისტორიას რომ ვუკვირდები, ფეხბედნიერად გვაქვს დაბედებული ყოველი ახალი ათასწლეულის შემობრძანება:

3 ათასი წლის წინ ქართულ სახელმწიფოებრიობას ჩაეყარა მკვიდრი საფუძველი. 2 ათასი წლის წინ ღვთისმშობლის მფარველი კალთა გადაეფარა ჩვენს ქვეყანას. ათასი წლის წინ ბაგრატ მესამემ და დავით აღმაშენებელმა „ოქროვანი ხანა აჩუქეს“ ჩვენს ისტორიას. და მე მწამს, რომ თითქმის 800-წლიანი „ძნელბედობის“ შემდეგ, ახალი ათასწლეული ახალ „ოქროვან ხანას“ მოუვლენს ჩვენს ქვეყანას.

ამ რწმენით და ამ პათოსით არის დაწერილი ეს მონოგრაფიაც. თუ არ ვცდები, ავტორი პირველია, ვინც საქართველოს სამომავლო განვითარების თვალთახედვით იკვლია ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორია და რაც მთავარი და ყველაზე უმთავრესია ამ მონოგრაფიისა-მისი პოლიტიკური და კონსტიტუციური განზოგადებაც მოგვცა. ამიტომ ვუწოდებ მას „პირველი ილიალოგს“ XX საუკუნის საქართველოში...

ახალი საქართველოს და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის ეს გააზრება დაფუძნებულია „ოქროვანი ხანის საქართველოს“ ეროვნული ფესვების ძიება-გათავისებასა და აღორძინებაზე, რისთვისაც ავტორს მეტად ეფექტურად გამოუყენებია ილიას ფორმულა-„რანი ვიყავით, რანი ვართ, რაც შეიძლება ვიქმნეთ“. მთელი მონოგრაფია ამ ფორმულის გახსნა და გათავისება, მისი ერისა და ქვეყნის სამომავლო სამსახურში ჩაყენებაა.

და მე მწამს: ამ ფორმულამ ისეთივე გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს ჩვენთვის, როგორც აინშტაინის ფორმულამ ითამაშა საკაცობრიო განვითარებისთვის.

მთავარია, რომ მივყვეთ და ვუერთგულოთ ილიას გზას- ილია მართალის მართალ სიტყვას და მართალ საქმეს.

8.10.1997 წ.

ლევან სანიკიძე

საუბრები ილია მართალზე

– იქნებ მომავალში მსოფლიოს არცერთ
ერს არ დასჭირდეს თავისი გენიოსი
წინაპარი ისე, როგორც ილია ჭავჭავაძე
ქართველ ერს

იაკობ გოგებაშვილი

სრულდება მორიგი საიუბილეო წელი ილიას დაბადებიდან. 175 წლის წინ ყვარელში განგებამ საქართველოს გადასარჩენად მოაველინა მისი „თანამდევნი უკვდავი სული“. განუწყვეტელი ომებისა და აჯანყებებისაგან სისხლისგან დაცლილ ერს მისი „ოქროვანი ხანის“ შემდეგ, მორიგი „მწელობა“ დაატყდა თავს, საფრთხეს რომ უქმნიდა ეროვნულ თვითმყოფადობას და თვით მის მომავალ არსებობას...

აკი, წერდა ილიაც XIX საუკუნის ქართველზე – მისთვის რომ გეკითხათ, რას ისურვებდი და ინატრებდიო, გიპასუხებდათ, – სიცოცხლესო. კიდეც რას ინატრებდიო – კიდეც სიცოცხლესო, კიდეცო, – კიდეც სიცოცხლესო... ეს ის დრო იყო, როცა კახეთში ჯერ კიდევ ცოცხლად ახსოვდათ შაჰ-აბასის გენოციდური ლაშქრობების სუსხი, როცა ბარში მარტო მგლები და ტურები ყმუოდნენ და მთელი მოსახლეობა ხევსურეთსა და მთა-თუშეთში იყო გახიზნული...

მერე სამხრეთელი დამპყრობლები ჩრდილოეთელმა შეცვალა, რომელიც მათგან განსხვავებით მკვიდრად და სამუდამოდ დამკვიდრდა აქ, ერთიანად მოსპო სახელმწიფოებრიობის ყოველგვარი ნიშან-წყალი ამერ-იმერით... ალექსანდრე ბატონიშვილის და სოლომონ II, ისე როგორც მერე 1830 – 32 წლები – „შეთქმულთა“ ყოველი ცდა განედევნათ ეს ძალა საქართველოდან, ამაო გამოდგა. ირანისა და თურეთისაგან წაქეზებულმა 1802, 1804, 1806, 1809–10, 1812–13, 1819–20, 1829, 1840–41, 1856–1857 წლების განუწყვეტელმა აჯანყებებმა ილია დაარწმუნა:

ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა – იგი ბოლოს ერს სრულ ფიზიკურ განადგურება-გადაშენებას უქადდა. უნდა შეცვლილიყო საქართველოს „სავალი გზა“, მისი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია და ტაქტიკა. პოლიტიკა შესაძლებელის მიღწევის ხელოვნებაა და როცა ეს „შესაძლებელი“ ავანტიურისტ-პოლიტიკანთა მიერ „შეუძლებელით“ იცვლება, დიდ და მწელად გამოსასწორებელ ტრაგედიებს უმზადებს ხოლმე ხალხს და ქვეყანას. „ნაკლები ბოროტების“ თეორიის არსიც ეს იყო მაშინ...

ყველას სათავესოდ უნდოდა და უნდათ დღესაც ჩვენი ქვეყანა – სამხრეთიდან თუ ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან, თუ, დასავლეთიდან მოსულთ და მოძალეებულთ. საქმე „ჩვენი თავის ჩვენადვე ყუდნება“, „წარხდენილი ქართველთა სახელისა და ქართული წეს-წყობის აღდგინება“. ჭაბუკობიდანვე ილიას ეს დიდი და საშვილიშვილო იდეა აეკვიატა: ძველი, დიდებული „ოქროვანი ხანიდან“ ახალი საქართველოს ახალი ოქროვანი ხანისკენ სვლა. „საერთო ნიადაგის“ თეორიასაც ბალავრის ქვად ეს დაედო საფუძვლად. ლელთლუნის „ერთა საბჭოს“ იდეაც იმიტომ გააჟღერა პეტერბურგიდან მობრუნებულმა, შემდეგში პოეტურადაც რომ გამოხატა პოემაში – „მეფე დიმიტრი თავდადებული“:

**„რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ.
რაც ვართ, ის ნულარ ვიქნებით!
ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთ მაინც,
გზად და ხიდად გავედებით!“**

ეს ჩემი „საუბრები ილია მართალზე“ მისი ამ თეორიის სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპების გააზრება-გათავისება-გათანამედროვეობას და რაც მთავარია მათ რეალიზაციას ეხება. მხოლოდ ამით შევძლებთ „გზად და ხიდად გავედოთ“ XXI და შემდგომი საუკუნეების საქართველოს ახალ-ახალ თაობებს ილიას სანუკვარი ნატვრისა და ოცნების აღსასრულებლად – „ძველი საქართველოდან ახალი საქართველოს აღმოშობას“, თავის პირველივე საპროგრამი წერილით – „საქართველოს მოამბეზედ“, რომ გვიანდერძა...

მკითხველმა მომიტევოს, თუ ჩემი ეს „საუბრები“ თავისებური ეკლექტიკური მეთოდით არის შესრულებული – სანახევროდ ისტორიულ-პოლიტოლოგიური, სანახევროდ ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური და პოეტური სტილით გადმოცემული. პოეზიას ილია ბავშვობიდანვე ეტრფოდა და ესეც ჩავთვალოთ მისდამი დიდი სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატულებად. ესეც არ იყოს, ცდება, ვინც ფიქრობს, რომ პოეზია და მეცნიერება რაღაც ჩინური კედელით არიან ერთმანეთისაგან გაყოფილნი. აქ მახსენდება აინშტაინის გამოთქმაც – „თუ მათემატიკაში პოეზიაც არაა, ის არც მათემატიკაა“. ვფიქრობ, რომ ასეთი „საუბრებით“ კიდევ უფრო სასიამოვნო გავხადო მკითხველისთვის ეს წიგნი და ამასთან, სასარგებლოც...

„საუბრები“ ჩაფიქრებული მავს მცირე ბროშურების სახით და გარკვეული თემატური ციკლით გამოვეცე, ილიას ცნობილი პოლიტოლოგიური ფორმულით გამოხატული: „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“. ამასთან, სიმძიმის ცენტრი მინდა გადავიტანო სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე, კერძოდ კი, ეროვნული ეკონომიკის და ეროვნული სახელმწიფოს ფორმირებაზე.

ერთიც მინდა ვთქვა: თვითონ ეროვნული ეკონომიკის ფორმირება და მისი შემდგომი სტაბილური განვითარება შეუძლებელია საქართველოს მთისა და ბარის რეგიონალურ ეკონომიკათა ფორმირების გარეშე. ამ გააზრებით ეროვნული ეკონომიკა ეს სხვა არაფერი არაა, თუ არა რეგიონალურ ეკონომიკათა თავისებური მათემატიკური ჯამი. ამოცანა ის არის, რომ ერის ინტელექტუალურმა ძალებმა სწორი მიმართულება მისცენ ქვეყნის თვითეული რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას და ამ მიზნით შეიმუშაონ თვითეული მათგანის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფცია.

„საუბრების“ პირველ ნაკვეთში მინდა გადმოვცე კახეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ჩემული ხედვა და კონცეფცია. თვითონ ილია უდიდეს ყურადღებას აქცევდა კაპიტალიზმის პირობებში კახეთის ეკონომიკურ პრობლემებს და ჩვენი ვალაია გავაგრძელოთ ეს საქმე ახალ ისტორიულ პირობების შესატყვისად და შესაბამისად.

ასეთი პირველი ცდა ამ რამოდენიმე წლის წინ გაკეთდა კიდეც „ილიალოგთა კლუბის“ მიერ. გამოიცა კრებულიც, ცალკე ზემოდმოხსენიებული კონცეფციაც, რომელიც კახეთის მაშინდელ გუბერნატორს პეტრე ცისკარიშვილს შევთავაზე განსახორციელებლად, მაგრამ მასაც და დანარჩენ „ნაციონალებსაც“ ილია ხომ, ფასადად სჭირდებოდათ და სჭირდებათ დღესაც...

ფსევდო-ნაციონალებმა და ვიხმართ მათზე ზედგამოჭრილი ეს ტერმინიც – პათოლოგებმა, რეფორმებისა და დემოკრატიის ბუტაფორია დადგეს ჩვენს ქვეყანაში შიგნით საკუთარი ხალხის და გარეთ დასავლეთის მოსატყუებლად. ილიას ამ დიდი იუბილეს წინ ეს ბუტაფორია უნდა მოიშალოს და აშენდეს ნამდვილი დემოკრატია, განხორციელდეს ქვეყნისა და ხალხისათვის სასარგებლო ნამდვილი რეფორმები.

ნებისმიერ დემაგოგიას ეს ბოლო ელის. ამიტომ უკიჟინებდა ილია მაშინდელ მესამედასელ დემაგოგებს აბრაამ ლინკოლნის სიტყვებით – **თქვენ შეგიძლიათ მოატყუოთ მთელი ხალხი დროებით, ანდა ატყუოთ ხალხის ნაწილი მარად, მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ მარადიულად ატყუოთ მთელი ხალხი.** დადგა ჟამი ამ ქოსა-ტყუილობის დასასრულისა. ეს მე 2003 წელსვე დავაფიქსირე. ამას კვებნისთვის არ ვამბობ, ჩემთვის რეგალიებს ფასი არა აქვს. ყველაზე დიდი ჯილდო ჩემთვის ლევან სანიკიძის შეფასებაა, პირველ ილიალოგად რომ მომნათლა მაშინ...

რაც შეეხება „ილიალოგთა კლუბს“, ჩვენ გავაგრძელებთ „საერთო ნიადაგის“ თეორიის კვლევა იმ იმედით და რწმენით, რომ ერთხელაც იქნება დადგება დრო, როცა ილიას მემკვიდრეობა გახდება „საქართველოს მომავლის გზისგამკვალავი“. ეს იმედი და რწმენა ივანე ჯავახიშვილმა ჯერ კიდეც 1938 წელს გამოთქვა მონოგრაფიაში – „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“. ეს იყო მესამედასური იდეოლოგიის ზეობის დროს დაწერილი პირველი ილიალოგიური მეცნიერული გამოკვლევა. ბატონ ივანეს

განზრახული ჰქონდა ილიალოგიის მთელი ციკლის და სალექციო კურსის შექმნა, მაგრამ მას ეს აღარ დასცალდა. „საუბრები ილია მართალზე“ ამ იდეის თავისებური გამოძახილია და ამასთან 80–იან წლებში თსუ ისტორიის ფაკულტეტზე დაფუძნებული „ილიალოგთა კლუბის“ 30–წლიანი სამეცნიერო მუშაობის შეჯამებაც. სამწუხაროდ, სწორედ იგივე „ნაციონალების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მათ მიერ დანიშნულმა სამივე რექტორმა ობსტრუქცია გამოუცხადეს ილიას მემკვიდრეობის კვლევას, „ილიალოგთა კლუბი“ კი უნივერსიტეტიდან გამოაძევეს.

„კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა და ილია ჭავჭავაძეს კარგი გამგონე არ გამოსჩენია დღემდე“ – ივანე ჯავახიშვილმა ეს სიტყვები ილიას დაბადებიდან 100 წლისთავზე დაწერა და დღესაც ილიას დაბადებიდან 175 წლისთავზე ეს სიტყვები კვლავ ძალაშია: ილია კი არის „მარად და ყველგან საქართველოსთან“, მაგრამ ჩვენ არ ვართ მასთან...

პარადოქსების ქვეყანაში პარადოქსებს რა გამოლევს და ესეც ამგვარი პარადოქსი, პათოლოგიზმის და ფსევდო–ნაციონალიზმის ჩვენში დამკვიდრებული სენის გამოვლენაა. ეს სენი გასული საუკუნის 90–იან წლებშივე დაიწყო, როცა ე.წ. „დეიდეოლოგიზაციამ“ მოიცვა მთელი საზოგადოება. ეს იყო თავისებური ჯვაროსნული ლაშქრობა ყოველგვარი თეორიების და იდეების წინააღმდეგ.

–რძისგან შეშინებული, დოს უბერავდაო, ტოტალისტურმა კომუნისტურმა იდეოლოგიამ ასაზრდოვა მთელი ეს „ანტიდეოლოგიური იდეოლოგია“ და ქართული სახელმწიფოს მშენებლობა დარჩა ყოველგვარი იდეოლოგიური საფუძვლების გარეშე, დასავლური „უცხო ბაძის“ ანაბრად. ისევ ილიას ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, „საკმაო ჩვენში გამოჩნდეს ვინმე უცხოელი, მაშინვე ავტეხავთ ერთ ვაი–უშველებელს – აი, ჩვენი მხსნელი და გადამრჩენიო. ეს „უცხო ბაძის მონობა და მაიმუნური მიმბაძველობა“, რომ თავგზას უბნევს ხალხს და ქვეყანას...

გვჭირდება თუ არა იდეოლოგია?...

ჰომოსაპრენსის მთელი ისტორია დედამიწაზე იმის დასტურია, რომ ცხოველისაგან განსხვავებით, ადამიანი თავის საქმიანობას იდეებით წარმართავს. სანამ იგი ბრუნავთვალს, ურემს თუ ეტლს გააკეთებდა პრაქტიკულად, მანამდე მას იგი ჯერ „თავის თავში“ მოიაზრებდა იდეურად. ეს ადრეც და მითუმეტეს ახლაც იდეის გარეშე ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგავთ იქითკენ, რასაც პროგრესი ჰქვია. ამიტომ მონათლეს უკვე დღეს XXI საუკუნე „იდეების საუკუნედ“...

რა არის იდეოლოგია? იდეოლოგია უპირველეს ყოვლისა, მომავლის ხედვაა, ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ პოლიტიკური სტრატეგიისა და მისი შესატყვისი ტაქტიკის შემუშავებისა და ცხოვრებაში გატარების ხელოვნებაა. ჩვენ

კი ეს ოცი წელი ბრმად და ხელისცეცებით მივდივართ ღმერთმა იცოდეს საით. გლეხი, უბრალო ქოხის აშენებას რომ გადაწყვეტს ვენახში, ჰაი-ჰარად კი, არ ააშენებს – წინასწარ გათვლის როგორ ააშენოს რომ მზე-წვიმა – ქარისგან თავი დაიცვას. ჩვენ კი, სახელმწიფოს სწორედ ჰაი-ჰარად ვაშენებთ ყოველგვარი წინასწარი გათვლების და სტრატეგიული ხედვის გარეშე. ამიტომაც ამდენი გარდაქმნები და „რეფორმოზიანობას“ თამაშიც ე.წ. „გარდამავალი“ პერიოდის მთელი 20 წლის მანძილზე, „გაუგებარი“ რომ შეარქვა ხალხმა სამართლიანად. ფსევდო-ნაციონალიზმთან ერთად, ეს „გაუგებრობაც“ უნდა დასრულდეს რაც შეიძლება მალე...

ეს პრობლემა „ილიალოგთა კლუბმა“ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდანვე დააყენა. უნდა ითქვას, რომ პირველი ხელისუფლება აქტიურად მიესალმა ამ ჩვენს წინადადებას, გადაწყდა შექმნილიყო „სტრატეგიული კვლევის ილიას პოლიტოლოგიური ცენტრი“, გამოიყო შესაბამისი ფინანსური სახსრები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაგრამ „საერთო ნიადაგის“ ნაცვლად ქვეყანა სამოქალაქო ომისა და სისხლისღვრის ჭაობში ჩაეფლო კარგა ხანს. ილიას „საერთო ნიადაგი“ ვიღას ახსოვდა მაშინ...

ასეთ პირობებში ჩვენ უფრო მეტი ინტენსივობით დავიწყეთ ილიას მემკვიდრეობაზე მუშაობა: ჩვენი არ იწყება და არ მთავრდება საქართველო და ჩვენც შევეცადეთ გარკვეული იდეოლოგიური ბაზა შეგვექმნა შემდგომი თაობებისთვის. გამოვიდა ლევან სანიკიძის ვრცელი მონოგრაფია ორ ნაკვეთად – „მესამე დასის“ საქართველო“, მისივე „309 ქართული სირცხვილი“, ჩემი „ილია და საქართველო“, „რა არის ტრადიციონალიზმი, ანუ, ვისი და რისი მემკვიდრენი ვართ“, იბეჭდებოდა წერილები და სტატიები იდეოლოგიურ პრობლემებზე, ჩატარდა დისკუსია და გამოიცა „ილიალოგთა კლუბის“ პირველი სამეცნიერო კრებულიც – „ქართული სახელმწიფო“ თავისი პრაქტიკული წინადადებით და რეკომენდაციებით, მაგრამ ეს ყველაფერი დღემდე რჩება „ხმად მღალაღებლისა უდაბნოსა შინა“...

ილიას სურათები კი არ შორდება ჩვენი დღევანდელი გლობალისტი-კოსმოპოლიტიკების კაბინეტების კედლებს – ესეც ილიას დაცინვა და შეურაცხყოფაა: ილიას სახელით სპეკულაცია და ქვეყნის ნგრევა – აი, რა არის ილიას დროინდელი მესამე დასელების დღევანდელი თაობების ყველაზე არსებითი ნიშანი და პოლიტიკური მიზანიც. თუ მათ არ არჩვენებშიც შეძლეს ხალხის მოტყუება, კიდევ მრავალ წელს გაგრძელდება ეს ნგრევა და განუკითხაობა.

ამიტომ გიმეორებთ, ფსევდო-ნაციონალისტთა ეს პარპაში უნდა დამთავრდეს და აღსრულდეს რუსთაველის ძველი, მაგრამ მარად ახალი სიბრძნე – შეგონება: „ქმნა მართლისა სამართლისა, შეიქმნს ხესა ხმელსა ნედლად“...

თვით ყველაზე დიდ „ძნელბედობათა ჟამს“, ქართველი თავისი ნებით თავისი ქვეყნიდან თავქუდმოგლეჯილი რომ გარბოდეს... სააკაშვილი მათ

დაბრუნებას და დასაქმებას პირდებოდა – მისი მორიგი ტყუილი და ფარსი, მაგრამ ახლა მათ, ასეულობით ათას ქალსა თუ კაცს, სამშობლოს გარდა, ხმის უფლებაც წაართვა. დღეს ისინი უკვე „ჩამოწერა“, ისევე როგორც აფხაზეთი და სამაჩაბლოც. – საქართველო ქართველების გარეშე! – თუ ვაცალებთ, აქეთკენ მიჰყავთ მათ საქმე...

ეს ახალი მყვირალა ლოზუნგიც – „მეტი სარგებელი ხალხს!“, ტყუპისცალივით როგორ ჰგავს მათ წინამორბედ ბოლშევიკთა პოლიტიკურ დემაგოგიას: ამით თვითონვე ეუბნებიან ხალხს – აქამდე მთელი „სარგებელი“ ჩვენი იყო, ახლა საარჩევნოდ მოგატყუებთ და თქვენი მოვალეობაა, დაგვიჯეროთ... ერთმა გონებაგახსნილმა კახელმა გლეხმა მათ ამ დემაგოგიას თავისებურად უპასუხა: – რი „სარგებელი“, რა „სარგებელი“?!... მონასა „სარგებელი“ საიდანა?!... სარგებელიც მაგათია და ქვეყანაცა თავიანთი ბანკებიან – კრედიტებიან და ბიუჯეტიან – გრანტებიანადა...

„მეტი სარგებელი“ ყოველთვის ჰქონდა, აქვს და ექნება სააკაშვილს და მის კლანს და არა ხალხს! ძველი, კარგად ნაცნობი გაბრიყვებისა და ქოსა–ტყუილობანას პოლიტიკა გრძელდება, ჯერ კიდევ მესამედასეულ – კოსმოპოლიტთა პირველი თაობიდან რომ იღებს სათავეს...

მათ ილია ჭავჭავაძე 1907 წელს ფიზიკურად მოკლეს. დღეს კი მათი ნაშთიერნი მას იდეურადაც კლავენ. მისი „სამი საუნჯე – მამული, ენა სარწმუნოება“, თვალსა და ხელსშუა ქრება: ათასობით ჰექტარი ამერ–იმერის მიწები უკვე სხვისი საკუთრებაა. ქართულის ნაცვლად ხდება უცხოურის ჩანაცვლება და „ენა მდიდარი“ მათ ხელში თანდათანობით კვდება. საქმე ისეთ გაუგონარ მკრეხელობამდე მივიდა, რომ ე.წ. „თავისუფლების ინსტიტუტი“ და „ილიას უნივერსიტეტი“ ქართული ეკლესიის მიერ ილიას წმინდანად შერაცხვას „კომედიად და კომიკობად“ ნათლავს. და ამის დამწერი კაცი სააკაშვილმა საარჩევნო სიაში ჩასმით დააჯილდოვა, თანაც გამყვანი XIII ნომრით.

პათოლოგიზმი და ფსევდონაციონალიზმი მეტი რაღა გინდათ: ილიას უარყოფელი და მაგინებელი კაცი პარლამენტში?!... ამით აშკარად და არაორაზროვნად გვეუბნებიან – ეშმაკსაც წაუღიხართ ილიაც, თქვენც და თქვენი ქვეყანაც...

ადარც მამული, ადარც ენა, ადარც სარწმუნოება – ძირს ქართული ეკლესია და ქართული სახელმწიფოც!, ასეთია დღევანდელი „უცხო ზადის მონების“ ნამდვილი ზრახვანი... ეროვნული იდეოლოგია, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული სახელმწიფო, – ასეთია ილია მართალის, მისი „საერთო ნიადაგის“ თეორიის არსი და გზავნილი ჩვენთვის.

დღეს ეს თეორია მისი სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ–ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპები ფეხქვეშაა გათელილი. ერს და ქვეყანას თავს ახვევენ ყურით მოთრეულ ათასგვარ უცხოურ „მოდელებს“, ნაცვლად ილიას მიერ მიღებული „ქართული მოდელისა“, რა ჯურის „ექსპერტები“ არ ჩამოჰყავთ, ვითომ არ გვყავდეს ილია მართალი – საქართველოს მომავლის გზისგამკვალავი...

პირველ ოქტომბერს ფსევდო-ნაციონალიზმი უნდა დასრულდეს. აქ გამოჩნდება „ვის უფრო მეტად გვიყვარს მამული“, რამეთუ კრწანისის ბრძოლის მსგავსად, „ქართლის ბედი“ ამ დღეს წყდება. არ უნდა მივცეთ უფლება ჯერ კიდევ საბედნიეროდ, სამშობლოში დარჩენილმა ქართველებმა თუ არაქართველებმა, ჩვენც უსამშობლოდ დაგვტოვონ ფსევდო-ნაციონალისტებმა, ამ უსამშობლო და უღმერთო პათოლოგიებმა...

პირველ ოქტომბერს უნდა დასრულდეს ძალადობა და განუკითხაობა, სულს რომ უზუთავს ერსა და ბერს, ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს. ამავე დღეს საწყისი უნდა მივცეთ „ქართული ოცნების“ გამარჯვებას – ხვალინდელი საქართველოს იმედს... დღეს რომელიმე პიროვნების ბედი არ წყდება. ამ დღეს ყველამ ერთად „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!“.

მაგრამ ესეც უნდა დავიმახსოვროთ ყველამ – ხელისუფლების შეცვლა თვითმიზანი არაა, იგი უნდა გახდეს საშუალება იმისათვის, რომ ბოლოსდაბოლოს, „ჩვენი თავი ვიყუდნოთ ჩვენად“. დღეს ჩვენს სახელმწიფოს და მის ეკონომიკას ყველაფერი შეიძლება ეწოდოს, გარდა ეროვნულისა. წარმოება ნულზეა დასული, ფაბრიკა-ქარხნებს რომ თავი ვანებოთ, მიწა არ იხვნება და არ ითესება. შირაქის, – „საქართველოს პურის ბელის“ მქონე ქვეყანას, მარცვლეულის 90% შემოაქვს – მეტი უთავობა რაღა შეიძლება?!...

ჩვენი „საუბრების“ პირველ ნაკვეთს ეკონომიკით იმიტომაც ვიწყებთ, რომ მის გარეშე კრიზისიდან ქვეყნისა და ხალხის გამოსვლის ყოველი ცდა, მარცხით დამთავრდება. სტატიაში – „ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ“, ილია წერს:

„საქართველო დღედაღამ იარაღით ხელში იდგა, ... იბრძოდა, ომობდა, სისხლსა ღვრიდა და ბოლოს XVIII საუკუნის დასასრულს თვითმყოფადი სული ისე დალია, რომ არავისი ვალი და ვახში არ დასდებია.

ვთქვათ მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის – რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰვებავდა ხალხს? რით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლისღვრასა?...

... ამისი პასუხი ჩვენს ეკონომიურ აგებულებასა და წყობილებაში უნდა მოინახებოდეს... აი, საგანი ღირსშესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად... ამ საგანზედ პასუხი ნათელს მოჰფენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა“.

ივანე ჯავახიშვილი ილიას მიერ დასმულ ამ პრობლემას ქვეყნის მომავლისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს და თვითონაც „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“, თავისი წვლილი შეიტანა მის შემდგომ კვლევაში, იგი სიამაყით წერს, რომ

მაშინდელი საქართველო თავისი ფინანსური შემოსავლებით და ეკონომიკური სიმდიდრით მთელი თავით აღემატებოდა ყველა მეზობელ ქვეყანას და ვინ დაიჯერებს დღეს ამას, თვით ევროპის ქვეყნებსაც კი. მაგალითად, სხვადასხვა წყაროების მონაცემებით საფრანგეთის ეროვნული შემოსავალი 1300 წლის მონაცემებით 2 მილიონი ოქროს ფრანკის ექვივალენტი იყო, საქართველოს კი – 3 მილიონ 700 ათასი...

ილია და მასთან ერთად ივანე ჯავახიშვილიც ამას მიწათმფლობელობის უაღრესად მოქნილი ეროვნული სისტემით ხსნიდა, დღეს რომ სრული აზრად-უბრუნებით და განუკითხაობით არის შეცვლილი. სტატიათა ციკლში – **„კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“** მიწის საკუთრებისა და მფლობელობის 5 ფორმას ჩამოთვლის – კერძო, სასოფლო-სათემო, სახაზინო, საეკლესიო-სამონასტრო და ხიზნური მფლობელობა, რომელთაგან პრიორიტეტულ მნიშვნელობას მიწის, ტყის და სათიბ-სამოვრების სასოფლო-სათემო მფლობელობას ანიჭებს. იგი **„კომლისა“** და **„ხოდაბუნური“** სასოფლო-სამეურნეო კორპორაციების საშუალებით ფუტკრის სკასავით ერთიან სოციალურ-ეკონომიკურ ორგანიზმად კრავდა სოფელსაც და თემსაც.

ძველი ქართული კომლი და ხოდაბუნი ეს თანამედროვე ებრაული **„კიბუცების“** მსგავსი კორპორაციებია. აღსანიშნავია, რომ ევროპაში მოღვაწე ცნობილი ქართველი მოაზროვნე ვარლამ ჩერქეზიშვილი, **„საქართველოს სოციალისტ-ფედერაციული პარტიის“** ფუძემდებელი მიხაკო წერეთელთან და არჩილ ჯორჯაძესთან ერთად, სრულად იზიარებდა **„ხოდაბუნური“ სასოფლო-სამეურნეო კორპორაციების** ერთიანი ეროვნული სისტემის შექმნის ილიას იდეას. განსხვავება მათ შორის იყო ის, რომ ამ სისტემაზე აგებულ ეროვნულ ეკონომიკას ილია **„სახალხო კაპიტალიზმს“** უწოდებდა, ჩერქეზიშვილი კი **„ხოდაბუნურ სოციალიზმს“**. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილი თავის ფრანგ, მეუღლე ფრიდასთან ერთად საფრანგეთის სოციალისტური პარტიის სათავეებთან დგას, იმ პარტიისა, რომელმაც ახლახან შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა საფრანგეთის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში...

ისე, რომ საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების კვალობაზე XIX–XX საუკუნეების ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში ბევრი ალტერნატიული იდეა გაჩნდა, რომელთა ანალიზიც უთუოდ წაადგება დღევანდელი და ხვალინდელი საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების სწორი სტრატეგიის შემუშავებას. ეს განსაკუთრებით სამეურნეო-ორგანიზაციულ ფორმებს ეხებათ, რომელთაც ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამას ილია არაერთგზის უსვავს ხაზს სტატიების ციკლში – **„ცხოვრება და კანონი“**:

„ბუნებამ რაც უნდა სიმდიდრით მორთოს რომელიმე მხარე, ან ქვეყანა, რაც უნდა მრთელი ჰავა მისცეს ადამიანს საცხოვრებლად და ნაყოფიერი მიწა საზრდოობისათვის, მაინც ხალხთა კეთილდღეობას სხვა მხრივაც ხელის შეწყობა სდომება. კაცს მაგოდენად ვერა შველის ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე

მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა“.

ილია იმიტომაც აყენებდა მაღლა „კომლობრივ ცხოვრებას და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს“ მაღლა კერძო საკუთრებასა და ინდივიდუალურ შრომაზე, რომ იქ ძველი „კომლის თავის“ მიერ „კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული უფლება და მოვალეობა“ წარმართავდა კომლობრივ თუ სასოფლო-სათემო ცხოვრებასა და სამეურნეო საქმიანობას. სწორედ ამ სამეურნეო-ორგანიზაციული ფორმების აღორძინებასა და გათანამედროვეობას თხოულობდა კაპიტალისტური განვითარების ახალ ისტორიულ პირობებში. ყოველივე ამას დღეს ბუნებრივია, თავისი სამართლებრივი ბაზის შექმნა სჭირდება. ჩვენს მიერ შემუშავებული კახეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციაც ილიას ამ საპროგრამო მითითებაზეა აგებული.

რაც შეეხება „საერთო ნიადაგის“ თეორიას, როგორც ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიას, დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს მას მონოგრაფიაში – თავისი „ილია და საქართველო“ (თბილისი, 1998 წელი, გვ. 79–131). ჩვენ ვაპირებთ ამ მონოგრაფიის ხელახალ და შეფასებულ გამოცემას, სადაც შევეცდები კიდევ უფრო კონკრეტული და გამოყენებითი-პოლიტოლოგიური სახე მივცე ამ თეორიის ორ ათეულზე მეტ სამართლებრივ, პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ზნეობრივ პრინციპებს. ვფიქრობ, ილიას მემკვიდრეობისადმი ასეთი მიდგომა სრულიად გარდაქმნის ქვეყანასაც და მის ცალკეულ რეგიონებსაც, თუკი შევძლებთ იდეიდან და სიტყვიდან მის საქმედ ქცევას.

ილია და კახეთი


ჩვენ ხომ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ და ილიაც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე არ ივიწყებდა თავის მშობლიურ მხარეს, მის ბუნებას და ხალხს. ძალუმაღ იფეთქა ამ სიყვარულმა მის პოეტურ შედეგში – „ყვარლის მთებს“:

**„სამშობლო მთებო, თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენს ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა,
თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად ვით ჩემი გული,
თქვენთან ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული!“**

ეს ნაზი გრძნობა, მის რეალიზმთან ერთად განსაზღვრავდა ილიას დამოკიდებულებას კაპიტალიზმის გზაზე შემდგარი კახეთის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისადმი. მისი უშუალო ინიციატივით შეიქმნა „კახეთის რკინიგზის ამხანაგობა“ და უკვე მის სიცოცხლეშივე ალაზნის ველის ბარაქას მეტი ავალა მიეცა. იგი

ოცნებობდა ამ რკინიგზის გაგრძელებაზე ალაზანგამაც და ამით ამ უმშვენიერესი ველის პოტენციური შესაძლებლობების სრული ძალით ამოქმედებას შირაქთან და ივრისპირეთთან ერთად. სხვა არაერთი „ამხანაგობა“ შექმნა რეგიონში, რომელთაგან კახეთშიც და მთელ საქართველოშიც ყველაზე წარმატებული გამოდგა „მაჩხანის ამხანაგობა“ მისი თანამოაზრის და თანამებრძოლის დიმიტრი მაჩხანელის თავკაცობით. ამით მას სურდა კიდევ უფრო გაემდიდრებინა და გაემდიერებინა ქართული სოფელი...

ამ მიზნით შესანიშნავად იყენებდა ბანკის კრედიტებს, რომელსაც შეღავათიანი პირობებით უხვად გასცემდა „ამხანაგობებზე“. მას იმდენად არ უსარგებლია მის მიერვე დაარსებული ბანკით, რომლის კრედიტით ააშენეს მან და ოლღამ 1895 წელს ახალი სახლი საგურამოში, სიმამრის ძველი ამორტიზირებული სახლის ნაცვლად და რომლის ვალი სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვათ, რამდენიც დიმიტრი მაჩხანელს. ბევრი საყვედურობდა ამ „ხელგაშლილობას“ ილიას, მაგრამ ის მაინც აგრძელებდა ამ გრძელვადიანი და შეღავათიანი კრედიტების გაცემას მაშინდელი საქართველოს და მთელი კავკასიის მასშტაბითაც, რათა ამ „ამხანაგობებს“ თავიანთი სარეალიზაციო ბაზები გაეხსნათ მეზობელ ქვეყნებშიც. ასე გახსნა დიმიტრი მაჩხანელმა მაღაზიები ბაქოში, ერევანში, ყარსში, კისლავოდსკში და თვით მოსკოვსა და ხარკოვშიც კი ილიას ამ წლიური 5%-იანი კრედიტებით. ნიმუშად გთავაზობთ ერთ-ერთ საკრედიტო ბარათის ასლს ილიას ხელმოწერით:



ეს ყველაფერი კეთდებოდა დღეს ასე აკვიატებული „რუსული ფულით“. ამ რუსული ფულით და უკიდევანო რუსეთის ბაზრით აშენდა მთელი მაშინდელი კახეთი და მასთან ერთად, მთელი ამერ–იმერის საქართველო. ე.წ. „მჟავანადის დროსაც“ ამ რუსულმა ფულმა და რუსულმა ბაზარმა მართლაც რომ სასწაულებრივად გარდაქმნა ქართული სოფელი და ქართველმა გლეხმაც სული მოითქვა ომის შემდგომ 50 – 60–იან წლებში...

ილიას განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა რუსეთ–საქართველოს ურთიერთობის პრობლემისადმი. „ილია და რუსეთი“, ეს ცალკე დიდი თემაა, აქ კი ვიტყვით ერთ ჩვენთვის ჭკუისსასწავლებელ თეზას: რაც არ უნდა მოხდეს მომავალში, საქართველო არ უნდა დაუპირისპირდეს და მითუმეტეს ეომოს რუსეთს. პოლიტიკა ჭადრაკის თამაშს ჰგავს და ორივეგან იმარჯვებს ის, ვინც თავის სვლებს უფრო შორს, ღრმად და სწორად თვლის, ვიდრე მისი მოწინააღმდეგე...

ახლა კი კვლავ დაუბრუნდეთ კახეთს, ყვარლის მთებს და ალაზნის ველს. არტურ ლაისტი, ილიას მეგობარი და გულისმესაიდუმლე, წერს:

„ვისაც უნდა სასწაული იხილოს, მან სავსე მთვარიან ღამეს ალაზნის ველს უნდა უყუროს... კახეთო, ოქროსფერი ღვინის, სიხარულისა და სიამის ქვეყანავ,... შენს წიაღში იშვა ილია ჭავჭავაძე, ქართველი, რომელიც მთელი საქართველოსთვის ფიქრობდა, აღტაცებული იყო კახეთის ბუნების სამოთხისებური სილამაზით“.

კახეთისა და ალაზნის ველის ამ „სამოთხისებურ სილამაზეს“ უძღვნა ილიამ ელეგია, რომელსაც იგივე ლაისტი ამ ჟანრში მსოფლიო პოეზიის შედევრად თვლის. ეს გადაჭარბებულ შეფასებად არავის მოეჩვენოს – აქ ბუნებისა და ადამიანის ორგანული მთლიანობის „მწუხრის ზეწრად გაშლილი სამშობლოს ცის“ და მისი „შავი ბედის“ ისეთი ხატოვანი სურათია პოეტურად გადმოცემული, იშვიათად რომ ნახავთ მსოფლიო პოეზიაში:

„სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი,
მწუხრის ზეწარი გადაეფარა,
და მთვარის შუქზედ მთებისა ჩრდილი
ალაზნის ველზე წამოიხარა.

... შორნი მნათობნი მოკამკამენი,
იმ მწუხარ ღამეს მხიარულობდნენ,
მდუმარ ქვეყანას, ვით საყვარელნი,
სხივებს ესროდნენ, ზედ დაჰხაროდნენ.

და იმ მნათობთა სხივის ალერსით
ველს მშვენიერსა ჩასძინებოდა...
და ალაზნის შეუპოვარი,
სჩიოდა, თითქოს კაცს ემდუროდა,
მის ბუტბუტს მარტო მთაი მდუმარი,
დაფიქრებული ყურს მიუპყრობდა...

ყველას ეძინა, დღით ჰფეთქავს რაცა,
თითქოს დაღლილა მიწაც და ცაცა!...
მხოლოდ კი, ერთგან ურემი მძიმე,
მოჭრიალებდა, გზას აღვიძებდა,
და ნაღვლიანად მასზედ მეურმე
მწუხარს სიმღერას დაჰლულუნებდა.

ღულუნი იგი ჩამრჩენია გულს,
მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი,
მაგრამ თუ ნაღველს მოჰბერს დაჩაგრულს,
უკუ-ჰქრის კიდეც, ვით ღრუბელს ქარი..."

– შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, კაცისა და ბუნების მთლიანობა –
ერთიანობის ასეთ პოეტურ აღქმას, ვიმეორებ ლაისტის სიტყვებს, მსოფლიო პოეზიაში
ვერსად ნახავთ.

ილიას ამ შედეგზე თავის დროზე მეც გამეხსნა მუზა და აქ მინდა შემოგთავაზოთ
ამ მუზის ნაყოფი ჩემი კრებულიდან – „ამონაკრები ძველი პოეტური
დღიურებიდან“.

ალაზნის ველო,
აფრენილი ხოხობივით
პირმშვენიერო,
შენც ყვარლის მთებო,
ჩემო ღვთაებავ და სამლოცველოვ,
აწ და მარადის,
მშვიდობით გველოთ,
– ალაზნის ველო,
– ყვარლის მთებო,
– მთლად საქართველოვ!

აქ მინდა ვთქვა ესეც, რაც ადრეც არაერთხელ მითქვამს: „საერთო ნიადაგის“
თეორია, რა თქმა უნდა, საქართველოზე, მის მომავალ საზოგადოებრივ-
ეკონომიკურ განვითარებაზე ილიას ფიქრის ნაყოფია, მაგრამ ამასთან, ეს თეორია

და მისი პრინციპები, პირველ რიგში კი, „საერთო ნიადაგზე დგომა“ კავკასიასაც ეხება და თუ გნებავთ მსოფლიო განვითარებასაც „ივერიის“ სარედაქციო წერილების ციკლი – „საპოლიტიკო მიმოხილვა“, ამის დასტურია. დაპირისპირებიდან და კონფრონტაციიდან კომპრომისებისა და დიალოგისკენ – ასეთია მისი გზავნილი მსოფლიოსთვის, გამოხატული „საერთო ნიადაგის“ თეორიის პირველივე ზოგად-სოციოლოგიური პრინციპით – „დაპირისპირებულ ძალთა ბედნიერი მორიგება ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“. ილია მართლაც რომ „მსოფლიოს პრეზიდენტად“ გამოდგებოდა, მაგრამ მასშტაბები შეხვდა მცირე...

ჩვენ ამ თემებსაც შევხებით „საუბრების“ შემდეგ ნაკვეთებში, აქ კი ვიტყვით, რომ ეს თეორია რაღაც ერთ ადგილზე მდგომი და უცვლელი რამ არაა. იგი იცვლება დრო-ჟამის ცვლილებასთან ერთად და ჩვენი ვალია არ ჩამოვრჩეთ ამ განუწყვეტელ ჟამთა სვლას. აკი, ამბობდა „ქართლის ცხოვრების“ გიორგი ბრწყინვალის ჟამთაღმწერელიც – „ისტორია ჭეშმარიტის მეტყველება არს“ და დღევანდელი თაობებიც ვალდებული ვართ მივყვეთ ჭეშმარიტების ძიების ამ გზას...

დიახ, ცხოვრება იცვლება, სხვანაირი გახდა მსოფლიოც და კავკასიაც, ალაზნის ველიც და ილიას მეურმეც... გლობალიზმი დღეს ყველაფერს ცვლის, ხვალ და ზეგ კიდევ უფრო შეცვლის კაცის ცხოვრების გარეგნულ მხარეს. ილიას დროს კახელ გლეხს ურმით ბარე ორი დღე სჭირდებოდა თავისი ჭირ-ნახულის თბილისამდე ჩამოსატანად, დღეს კი ამას ორიოდე საათი ჰყოფნის, რა თქმა უნდა, თუ ჭირ-ნახული გაქვს...

ღმერთმა დაგვიფაროს გლობალიზმის, მეცნიერების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების წინააღმდეგი ვიყოთ. გლობალიზმი ობიექტური პროცესია და მასთან, ბრძოლა დონ-კიხოტობაა, მაგრამ ესეცაა: მას არ უნდა გადავაცოლოთ ჩვენი ეროვნული მეობა და თვითმყოფადობა, წინაპართაგან გადმოცემული ცხოვრების ქართული წესი. ამის ნიშნები კი, დღეს აშკარად იკვეთება და თუ არ მოვგონდით, მალე აღსრულდება პოეტის მიერ თითქმის 200 წლის წინ ნათქვამი სიტყვებიც – რის ქართველობა, რა ქართველობა, ვითომ რას გვავენებს უცხო ტომობა“...

გლობალიზმი, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესიც სწორედ იმისთვის უნდა გამოვიყენოთ, რომ ჩვენი ტრადიციული ეროვნული ღირებულებების შენარჩუნებით უფრო ეფექტურად ჩავაყენოთ მხარისა და მთელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური წინსვლა-განვითარების საქმეში. ამ მიზნით გადაწყვიტა „ილიალოგთა კლუბმა“ დაემუშავებინა საქართველოს მთისა და ბარის თვითეული მხარის ტრადიციული სამეურნეო დარგების აღორძინებისა და განვითარების კონცეფციები, რამეთუ ამის გარეშე ვერც ეროვნულ ეკონომიკას შევქმნით. ღმერთმა ისე ინება, რომ თვითეულ

მათგანს ისტორიულად თავისი განუმეორებელი იერ-სახე აქვს და ეს მრავალფეროვნება ბუნებისა და ხალხის ხასიათისა და ტრადიციებისა მომავალ თაობებს არ უნდა დაეუკარგოთ...

ილიას ერთ-ერთი დიდი იდეაც – „ერთა საბჭო“, იმ გააზრებით არის ჩაფიქრებული: ქართული სახელმწიფოს ფორმირების პროცესში უნდა შეიქმნას ორ-პალატიანი პარლამენტი, რომლის ზედა პალატა – „ერთა საბჭო“, თვითეული რეგიონის თანაბარი რაოდენობით იქნება დაკომპლექტებული. ამ შემთხვევაში ილიას მხედველობაში ჰქონდა აშშ კონგრესის ზედა პალატის – სენატის ადგილი და როლი ქვეყნის სახელისუფლო სტრუქტურებში. ფართო ადგილობრივი და სამხარეო თვითმართველობა უნდა დაედოს საფუძვლად ქართულ სახელმწიფოსაც. ამ მხრივ ილიას პოზიცია ემთხვევა ვარლამ ჩერქეზიშვილისა და ფედერალისტების პოზიციას. ეს გზას გაუხსნის ქვეყნის თვითოეულ სოფელში და მის ცალკეულ მხარეებში დაგროვილ დიდ პოტენციურ ენერგიას – **„ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმართველობაში!“** – ასე გამოხატავდა ამ იდეას ილია.

კახეთის ეკონომიკას დიდი როლი უთამაშია წარსულში ქვეყნის მთელ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებაში და ჩვენი ვალია მან ასეთივე როლი ითამაშოს მომავალშიც. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდის მოვლენებმა კახეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას უდიდესი ზიანი მიაყენა. მხარე დაიცალა მწარმოებელი ძალებისა და ტექნიკისაგან. დაიწყო არა მარტო მთის, არამედ ბარის სოფლების დეპოპულიზაცია. ასობით და ათასობით ადამიანი გადაიხვეწა რომ იტყვიან, ცხრა მთას იქით. ხელისუფლებათა უკონტროლობის გამო ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, საწარმოები და შენობა-ნაგებობანი განიავდა.

არასწორად და დიდი დარღვევებით ჩატარდა მიწის რეფორმაც. არ იქნა გათვალისწინებული კახეთის მთისა და ბარის რიგი ბუნებრივი და ისტორიული თავისებურებანი. მაგალითად, ქიზიყში, განსაკუთრებით კი შირაქში, სადაც მიწაზე, ტყესა და საძოვრებზე კერძო საკუთრებას ყოველთვის სჭარბობდა სათემო-სასოფლო საკუთრება. აქაური სოფლები და გლეხობის უდიდესი ნაწილი უმიწოდ დარჩა, რაც პროტესტის მუდმივი წყარო იქნება აქ, თუ დროზე არ გამოსწორდა წარსულის შეცდომები.

ამრიგად, დეფორმაცია განიცადა წარმოებისა და ეკონომიკური ზრდა-განვითარების სამივე მთავარმა კომპონენტმა – მწარმოებელმა ძალებმა, წარმოების საშუალებებმა და შრომის ობიექტმა. სწორედ ამან განაპირობა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი. ამოცანაც ის არის, რომ კრიზისიდან გამოვიყვანოთ ეკონომიკის სამივე ეს მამოძრავებელი ძალა და განვითარების ახალი სტიმულები მივცეთ მათ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად. ამ მიზანს ისახავს ჩვენს მიერ შემუშავებული კონცეფცია. იგი ატარებს სამუშაო პროგრამისა და სქემატური გეგმა-მონახაზის ხასიათს, რამეთუ მიგვაჩნია, რომ მხარის თვითოეულ თემში ადგილობრივი

თავისებურების გათვალისწინებით უნდა მოხდეს მისი შემდგომი დეტალიზაცია და კონკრეტული ხასიათის მიცემა.

სამეურნეო პოლიტიკისადმი ასეთი მიდგომა ჩვენ პრინციპულად მიგვაჩნია, რადგან ეკონომიკა ყველაზე ნაკლებად ითმენს სტანდარტულ და დოგმატურ მიდგომას. ზოგად-სოციოლოგიური გააზრებით, მსოფლიოს თვითოეულ ქვეყანას, მოცემული ქვეყნის თვითოეულ რეგიონს თავისი სპეციფიკა გააჩნია, რომლის გათვალისწინების გარეშე რეფორმებს წარმატება არ ექნებათ. ამიტომ ჩვენ იმასაც ვფიქრობთ, რომ ქვემოთ გადმოცემული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციის შემდგომი დახვეწისა და პრაქტიკაში განხორციელებისათვის უნდა შეიქმნას სპეციალური ჯგუფი, რომელიც გააერთიანებს როგორც მეცნიერ-თეოროტიკოსებს, ისე პრაქტიკოსებს. ნებისმიერ თეორიას და კონცეფციას ყოველთვის სჭირდება გარკვეული კორექტირება პრაქტიკაში დანერგვისას და ამ მიმართებით კახეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ჩვენეული კონცეფციაც საბოლოო განხორციელებისათვის ხანგრძლივ დროს, მიზანმიმართულ და სისტემურ მოქმედებას მოითხოვს ჩვენგან.

მოკლედ ჩამოვთვლით მის ძირითად მიმართულებებს:

1. მხარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური მოწყობა და ადგილობრივი თვითმმართველობა

ეკონომიკური პოლიტიკის წარმატება ყოველთვის მჭიდროდ არის დაკავშირებული სწორ და ეფექტურ ორგანიზაციასთან. ეს მითუმეტეს ეხება მხარეს, რომლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური წყობა დეფორმირებული და დამახინჯებულია მეტროპოლიურ-კოლონიური მმართველობის ძველი ბიუროკრატიული სისტემისაგან, რაც ძირშივე კლავს ადგილობრივ ინიციატივას და ხალხის თვითმმართველობას. არადა, კახეთის და მისი შემადგენელი მთისა და ბარის ცალკეული თემების სიძლიერე იმაში მდგომარეობდა ისტორიულად, რომ აქ ხალხის თვითმოქმედებას და თვითმმართველობას ყოველთვის დიდი გაქანება და ღრმა ფესვები ჰქონდა გადგმული.

კახეთს ამდენ რაიონულ ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფა არაფრით არ სჭირდება. იგი მხარეს თუ არაფერს ავნებს, არაფერს არგებს. თვითონ სიტყვაც კი – „რაიონი“ ქართული არაა, იგი თავსმოხვეულია გარედან საბჭოთა წყობილების უკიდურესი ცენტრალიზმით. ჩვენი ეროვნული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული – „თემია“. ბუნებრივ-ისტორიული განვითარებით კახეთში 4 ძირითადი თემი არსებობდა: ქიზიყი, მთა-თუშეთი, შიდა და გარე-კახეთი.

მხარის სამომავლო ტერიტორიალურ-ადმინისტრაციული მოწყობაც საუკუნეებიდან მომდინარე ამ ბუნებრივ-ისტორიულ დარეგიონებას უნდა

დაეფუძვნოს. დღევანდელი რაიონები რაც შეიძლება მალე უნდა გამსხვილდნენ. ეს ხელს შეუწყობს როგორც ადგილობრივ თვითმმართველობის, ისე მხარის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებასაც, რამეთუ ჩამოთვლილ თვითოეულ სათემო ტერიტორიალურ ერთეულს თავისი ბუნებრივ-კლიმატური, სამეურნეო სპეციფიკა და ტრადიციები გააჩნია, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სამეურნეო პოლიტიკის გატარებისას.

სიმძიმის ცენტრი უნდა გადატანილი იქნას სოფლის თვითმმართველობაზე, ამ საფუძველზე კი, სოფლად კორპორაციული სამეურნეო სისტემის ფორმირებას და მის შემდგომ სრულყოფა-განვითარებაზე. სახელმწიფომ ამ პროცესს ყველანაირად უნდა შეუწყოს ხელი. სახელმწიფოს მშენებლობა სამირკველიდან, მთაში და ბარში გაფანტული და დღეს ღვთის ანაბარად მიტოვებული ჩვენი სოფლებიდან უნდა დავიწყოთ. სოფელი და სოფლის თვითმმართველობა. აი, რეფორმების მთავარი სტრატეგია და არსი. სოფლის ცხოვრების ნებისმიერი საკითხი – სკოლიდან დაწყებული და წესრიგისა და მართლმსაჯულების განმტკიცებით დამთავრებული, ადგილზევე უნდა წყდებოდეს.

ყველაფერს ამას შესაბამისი სამართლებრივი და ფინანსური ბაზა უნდა შევუქმნათ. ცხადია ეს ერთ და ორ წელიწადში არ მიიღწევა. მასში მხარესთან ერთად, ცენტრალური ხელისუფლების ყველა შტო უნდა ჩაებას. მაგრამ მთავარია, რომ ხალხის თვითმოქმედებისა და თვითმმართველობის ამოქმედების ეს დიდმნიშვნელოვანი პროცესი დაიწყოს, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს ხალხში დამალული დიდი პოტენციური ენერგიის ამოქმედებას და ამ გზით სახელმწიფოებრივ მშენებლობაში მის აქტიურ ჩართვას. ეს უნდა გახდეს სახელმწიფოებრივი მშენებლობის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული მიმართულება გარდამავალ პერიოდში, რაც თავის მხრივ სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი წინაპირობაა. ყოველთვის უნდა გვახსენდებოდეს ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორია და მისი შეგონება – „**ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებას და თვითმმართველობაშია**“ და მისი განხორციელება ჩვენი პოლიტიკის ეპიცენტრში დავაყენოთ. მხოლოდ ამ გზით გამოვიყვანთ სოფელსაც და ქვეყანასაც კრიზისიდან.

2. რეგიონალური ეკონომიკა

ნებისმიერი საქმის წარმატების საფუძველთა საფუძველი ეკონომიკაა. ეროვნულ ეკონომიკასაც მხოლოდ მაშინ შევქმნით, როცა სრული ძალით ავამოქმედებთ ქვეყნის ცალკეული რეგიონების ეკონომიკურ პოტენციალს, რამეთუ ეროვნული ეკონომიკა სხვა არაფერია, თუ არა რეგიონალურ ეკონომიკათა ურთიერთგამაპირობებელი თავისებური მათემატიკური ჯამი, მათი ორგანული მთლიანობა. კახეთის ეკონომიკა ბოლო წლებში ვერა და ვერ გასცდა ნატურალური მეურნეობის ფარგლებს. აქ ფულად/სასაქონლო ურთიერთობა ფაქტიურად ჩამკვდარია, მხარის დიდი ეკონომიკური პოტენციალი კი

გამოუყენებელი. ეს დიდ ზიანს აძლევს მხარესაც და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასაც.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ავამოქმედოთ მხარის სტრატეგიული დარგები. მათგან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მემარცვლეობას, რომელიც მხარის უპირველესი დარგი იყო ისტორიულად. ივ. ჯავახიშვილი ხაზს უსვავს, რომ საქართველო წარსულ ათასწლეულებში არათუ იკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებებს მარცვლეულზე, არამედ ექსპორტზეც გაჰქონდა. „**მთელი კავკასია ქართულ პურს ჭამდა**“ – სიამაყით წერდა იგი. დღეს კი მემარცვლეობის სტრატეგიული დარგი სულს ღაფავს და იგი ფაქტიურად სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გარეშე დგას.

ამიტომაც, რომ შირაქის, ალაზნის ველის და ივრისპირეთის ათასობით ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა უფუნქციოდაა დარჩენილი. ქართლთან ერთად მათ შეუძლიათ საქართველოს გამოკვება და ექსპორტზეც გასვლაც. კაპიტალიზმი და კერძო საკუთრება არ ნიშნავს სახელმწიფოს ეკონომიკური როლის სრულ უარყოფასა და იგნორირებას. დღევანდელი ამერიკის, ისე როგორც ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის ძლიერი ეკონომიკა უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს რეგულატორული როლის საშუალებით იქმნებოდა და იქმნება დღესაც, როგორი უნდა იყოს სახელმწიფო ეს რეგულატორული როლი ჩვენს შემთხვევაში? აი, პრობლემა, რომლის სწორ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული კახეთის სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი.

მიგვაჩნია, რომ მემარცვლეობის სტრატეგიული დარგის აღორძინებასა და შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელია ერთიანი კორპორაციული სისტემის შექმნა. სახელმწიფომ ამ პროცესს ხელი უნდა შეუწყოს და წაახალისოს იმით, რომ თავის მხრივ შემნას აგროსერვისის სისტემა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თავმოყრით მხარის შორეული მიწის დიდ მასივებზე, სადაც ოდითგანვე მემარცვლეობისთვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია.

ამ ორი სისტემის შექმნით და მათი კოორდინირებული ფუნქციონირებით უახლოეს წლებში შესაძლებელი გახდება ქვეყნის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება როგორც სასურსათო, ისე საფურაჟე მარცვლეულზე. ამასთან, სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული ზემოთაღნიშნული აგრო-სერვისის სამსახურები მემარცვლეობის გარდა ხელს შეუწყობენ მხარის სხვა სამეურნეო დარგების, პირველ რიგში კი, მევენახეობის განვითარებასაც.

ერთი სიტყვით, მემარცვლეობის მიმართულების კორპორაციული სისტემის შექმნით სახელმწიფო ერთი მხრივ, რეგულაციას გაუწევს და სტიმულს მისცემს ქვეყნისთვის სტრატეგიული დანიშნულების ამ სამეურნეო დარგის აღორძინებასა და შემდგომ განვითარებას და მეორე მხრივ, ხელში აიღებს მკვიდრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ორგანიზების საქმეს მხარის მთელი რეგიონალური ეკონომიკის მასშტაბით. ვფიქრობთ დასაწყისისთვის უნდა შეიქმნას 3 ასეთი მანქანა-ტრაქტორთა ბაზა ქიზიყში, შიდა-კახეთსა და გარე-კახეთში თავიანთი განშტოებული ფილიალებით.

აგრო-სერვისის ასეთი სისტემა დიდრ შეღავათს მისცემს დღეს უნუგეშოდ დარჩენილ წვრილ გლეხურ მეურნეობასაც, რამეთუ მათი მთავარი პრობლემა აგრო-ტენიკური მომსახურებაა, რომლის მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური საშუალებანი მათ არ გააჩნიათ.

ჩვენ მზად გვაქვს მემარცვლეობის მიმართულების სახელმწიფო კორპორაციის პირობით სახელწოდებით – „შირაქი“ წესდებისა და პროგრამის პროექტი. ხელისუფლების მხრიდან შესაბამისი განხილვისა და დამტკიცების შემდეგ, მას შეუძლია ფუნქციონირება დაიწყოს უკვე მომავალი წლიდან, აღსანიშნავია, რომ კომუნისტურ წყობამდე სწორედ კორპორაციებსა და სასოფლო-სათემო საკუთრებაზე იყო დაფუძნებული მემარცვლეობის განვითარება მის ტრადიციულ რეგიონებში. მაგალითად, შირაქის მიწებზე კერძო საკუთრება არასოდეს არ არსებობდა: როგორც სახნავ-სათესი, ისე საძოვარ მიწებს აქაური სოფლები კოლექტიურ, სასოფლო-სათემო საკუთრებად ფლობდნენ. ასე მოვიდა შირაქი XX საუკუნემდე, სანამ კომუნისტებმა თავიანთი უკიდურესი ცენტრალიზმით და ბიუროკრეტიზმით არ გააუკუღმართეს ხალხში ბუნებრივად შობილი ეს თვითმოქმედი და თვითმმართველური სამეურნეო სისტემა, რაც კახეთის სიმდიდრის საფუძველი იყო ოდითგანვე.

დღესაც იცის თვითოეულმა სოფელმა „თავისი მიწების“ საზღვრები. მათი გამოყენება უზნებად, ანდა, კომლოზბრივად ხდებოდა. მის ორგანიზებას „ქიზიყის მოურავი“, „ხოდაბუნური“ კორპორაციული გაერთიანებებით სოფლის ამორჩეული „მამასახლისები“ და „კომლის თავები“ ახორციელებდნენ. ამან გახადა შირაქი „საქართველოს პურის ბელად“. საუკუნეებში გამოცდილ და განმტკიცებულ ამ მეტად მოქნილ ეკონომიკურ-ორგანიზაციულ სისტემას აღორძინება სჭირდება ჩვენი ეპოქის შესატყვისის ფორმირებით. ამით შირაქს კვლავ დავუბრუნებთ მის ძველ სამეურნეო ფუნქციას, სხვანაირად ამას ვერასოდეს ვერ შევძლებთ.

მაგრამ მხარის ეკონომიკური პოტენციალი მარტო მემარცვლეობით არ განისაზღვრება. აქ დიდი პოტენციალი აქვთ კახეთის ისეთ ტრადიციულ სამეურნეო დარგებსაც, როგორებიცაა – მეაბრეშუმეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, მესაქონლეობა, მებოსტნეობა-მეფუტკრეობა, მეხილეობა, ეთერ-ზეთოვანი კულტურები, მეთამბაქოება. მათი უმრავლესობა უკვე კერძო ინიციატივისა და კერძო საკუთრების პრინციპზე ვითარდებოდა, თუმცა გარკვეული კორპორაციები და „ამხანაგობები“ მათშიც იქმნებოდა (მეაბრეშუმეობა, მეცხვარეობა). კაპიტალიზმის შემოჭრისას ილია ჭავჭავაძე თავისი ბანკით დიდად უწყობდა ხელს ასეთი ამხანაგობა-კორპორაციების შექმნას კახეთში (მაჩხაანი, გულგულა, თიანეთი, საგარეჯო, ქედი) და იგი კახეთის ეკონომიკის და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ეფექტურ ორგანიზაციულ ფორმად მიაჩნდა. მიგვაჩნია, რომ ასეთი სამეურნეო პოლიტიკა დღეს კიდევ უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს.

გარდა ტრადიციული სამეურნეო დარგებისა, კახეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში დიდი როლი შეუძლიათ შეასრულონ ახალმა თანამედროვე საწარმოო დარგებმაც. ეს პირველ რიგში უნდა ითქვას კარბიტის წარმოებაზე, რომელზე მოთხოვნილება და ფასები მსოფლიო ბაზარზე საკმაოდ მაღალია და რომლის წარმოებისთვის მაღალხარისხოვანი კირის ნედლეული უხვად მოიპოვება გომბორის ქედის სამხრეთის ფერდობებზე. ამ 10–12 წლის წინ მისი ნიმუშების ქიმიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ აქ საკმაოდ დიდი თანამედროვე წარმოების ორგანიზება შეიძლება წლიური 120–130 მილიონი დოლარის კაპიტალბრუნვით.

დიდი ეკონომიკური ეფექტი შეიძლება მივიღოთ ალაზნის ველზე შაქრის წარმოებისათვის აუცილებელი ტექნიკური კულტურების (შაქრის ლერწამი, ჯუგარა, ტოპომზესუმზირა, ჭარხალი, სორგო და სხვა შაქრის შემცველი ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურები), დანერგვით და მათ ბაზაზე შაქრის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებით, ალაზნის ველზე წლიურად საშუალოდ 5000 გრადუსის სითბო აკუმულირდება და ამ ფაქტორის ამ მიმართულებით გამოიყენება 160 კმ სიგრძის ამ უზარმაზარ ფართობზე უდავოდ დიდ სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს. იგივე შეიძლება ითქვას ეთერ-ზეთოვანი კულტურების, თამბაქოს, ტყავის, ფარმაცევტული წარმოების განვითარებაზე. ეჭვი არაა, რომ ყველა ამ რეზერვის ამოქმედებით მხარე თვისობრივად გარდაიქმნება უახლოეს 3–4 წელიწადში.

სამეურნეო პოლიტიკის წარმატებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწორი საფინანსო-საკრედიტო და საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებას. ამ მხრივ ჩვენ არასწორად და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის დიდ შემავსებელ ფაქტორად მიგვაჩნია წლების მანძილზე დამკვიდრებული პრაქტიკა, როცა სოფელი და აგრარული წარმოება ფაქტიურად ამ პოლიტიკის მიღმა დარჩა. პირიქით, სიმძიმის ცენტრი უნდა გადატანილი იქნას სახალხო მეურნეობის სწორედ ამ სფეროებზე. ეს გაცილებით დიდ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგს მოგვცემს, რამეთუ ჩვენი ერის ძირითადი მწარმოებელი ძალა ყოველთვის გლეხობა იყო. შემთხვევითი არაა, რომ ქართველ გლეხობას დიდი ილია „ჩვენი ეროვნული იმედების სულსა და გულს“ უწოდებდა.

კახეთის რეგიონალური ეკონომიკის განვითარებისათვის ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია შემოსული კრედიტების და ინვესტიციების სულ მინიმუმი 15%-ის გამოყოფა. გარდა იმისა, ჩვენ ვაყენებთ ლიზინგური ინვესტიციების ფართოდ დანერგვას ჩამოთვლილი და სხვა შესაძლო დარგებისთვის მკვიდრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად. ასეთ მიზნობრივ ლიზინგურ ინვესტიციებს დიდი, შეიძლება ითქვას გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლიათ მხარის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. მარტო ზემოთაღნიშნული შაქრის წარმოების საკითხი რომ ავიღოთ, გერმანიაში, პოლონეთსა და უკრაინაში საშუალო და მცირე წარმოების ბევრი შაქრის ქარხნის შემოტანა შეიძლება ლიზინგური ინვესტიციების წესით. მთავარი აქაც ჩვენი

პოლიტიკური ნება და პასუხისმგებლობაა, რათა სრულად გამოვიყენოთ კახეთის ბარაქიანი მიწის და მისი მშრომელი ხალხის დიდი პოტენციური შესაძლებლობანი. ვფიქრობთ, რომ ლიზინგური ინვესტიციების მოსაზიდად მხარის ადმინისტრაციასთან შევექმნათ სპეციალური სამსახური, რომელსაც შეეძლება მიზანმიმართული სახე მისცეს ლიზინგურ ინვესტიციებს კახეთში.

3. ენერგეტიკა და ტრანსპორტი

დღეს ენერგეტიკის გარე რაიმე პროგრესზე ლაპარაკი ზედმეტია, რაც დრო გავა ეს ფაქტორი სულ უფრო გადამწყვეტ მნიშვნელობას შეიძენს. ზოგს მიაჩნია, რომ კახეთი ღარიბია ენერგეტიკული რესურსებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ზერელე და არასწორი შეფასებაა. თუნდაც ჰიდრორესურსები რომ ავიღოთ, ალაზანი თავისი შენაკადებით, იორი და მისი წყალსაცავები, უპირველეს ყოვლისა მინგეჩაური და მისი ერთობლივი გამოყენება ჩვენ სტრატეგიულ პარტნიორ აზერბაიჯანთან ერთად, გადაჭრის იმ პრობლემას. კურსი უნდა აღებული იქნას ლოკალურ ჰესებზე და ენერგეტიკული მოთხოვნილების დაკმაყოფილება თავისთავად ენერგეტიკული რესურსებით. ლოკალური ჰესები უფრო იაფი ჯდება, ამასთან მარტივი და საიმედოა ესპლოატაციაშიც.

გარდა ამისა, გაზისა და ნავთობის მნიშვნელოვანი მარაგია გარე კახეთსა და შირაქში. რამდენი წელია მუქთად იკარგება გაზი სართიჭალასთან და პატარძელ-ნინოწმინდას შემოგარენში. აქაც მცირე, ლოკალური თბოელექტროსადგურების ორგანიზება მნიშვნელოვნად შეასუსტებს მწვავე ენერგეტიკულ კრიზისს ადგილზე. XXI საუკუნის ტექნოლოგიურ პირობებში დიდ პოტენციურ შესაძლებლობებს ქმნის ქარისა და მზის ენერგიის ათვისება-გამოყენება. დღეს იაპონიაში სახლის სახურავსა და კედლებში მზის ბატარიების ჩამონტაჟებით ეფექტურად გადაწყვიტეს გათბობისა და ელექტროენერგიის პრობლემა. ქართველმა ფიზიკოსებმაც შექმნეს არანაკლებ ეფექტური ტექნოლოგიები მზისა და ქარის ენერგიის ათვისებისთვის. მთავარი აქაც საქმისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა და პასუხისმგებლობაა.

ცალკე გვინდა შევჩერდეთ კახეთის რკინიგზის პრობლემაზე, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა დღეს ნოლზეა დასული. იგი გაყვანილი იქნა ილიას ინიციატივით ბაქო-თბილისის რკინიგზის ალტერნატივად, რომელიც მიუხედავად ილიას დიდი მცდელობისა, რომ კახეთის გავლით გაეყვანათ, იგი კახეთს ააცილეს და სამხრეთით, სომხეთის საზღვრების მიმართულებით გაიყვანეს. მას შემდეგ 100 წელზე მეტი გავიდა, დღეისათვის აზერბაიჯანიდან რკინიგზა ალაზნამდეა მოსული, კახეთის რკინიგზაც ფაქტიურად 2 – 3 ათეული კმ-ით არის დაცილებული მას. შეიქმნა ხელსაყრელი პირობები შეუერთდეს ეს რკინიგზები ან წნორო-ბელექანის, ანდა, დედოფლისწყარო-მინგეჩაურის სარკინიგზო ხაზის გაყვანით, რაც ეჭვი არაა შედის როგორც საქართველოს, ისე აზერბაიჯანის სტრატეგიულ ინტერესებში. ეს კახეთისა და

მთელი ქვეყნის ენერგეტიკულ, სავაჭრო-ეკონომიკურ, კულტურულ და საერთოდ, სტრატეგიულ ურთიერთობას კიდევ უფრო აქტუალურს გახდის არა მარტო აზერბაიჯანთან, არამედ ურალი-შუაზია-ციმბირის რეგიონებთანაც.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად რაც შეიძლება დროზე უნდა დავიწყოთ ილია ჭავჭავაძის ამ ძველი იდეის განხორციელება. იგი დიდ თანხებთან არ არის დაკავშირებული და ამიტომ მიგვაჩნია, რომ მის განხორციელებას აზერბაიჯანთან ერთად ადვილად შევძლებთ. კარგი იქნება თუ კახეთის რკინიგზის აზერბაიჯანის რკინიგზასთან დაკავშირება მოხდება ზემოდაღნიშნული ორი ვარიანტით – ალაზნის ველზე გავლით (რაც ალაზანზე კიდევ ერთი ხიდისა და ჰიდროელექტროსადგურის აშენების საშუალებას მოგვცემს) და შირაქის ზეგანზე. უახლოეს ხანს უნდა შეიქმნას საქართველო-აზერბაიჯანის ერთობლივი კომისია ამ საკითხის გადასაწყვეტად. ჩვენ მზად გვაქვს ჯერ კიდევ ილიას დროს შექმნილი „კახეთის რკინიგზის ამხანაგობის“ განახლებული წესდება და პროგრამა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მიეცეს სათანადო მსვლელობა.

4. წესრიგი და სამართალდაცვა

სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მიღწევა შეუძლებელია წესრიგისა და სამართლის დამკვიდრების გარეშე, სოფლის, თემის და მხარის თვითმმართველობის საკითხი თავისთავად ახლებურად აყენებს ამ საკითხსაც. ვფიქრობთ, რომ აქაც საჭიროა მემკვიდრეობით გადმოცემული მართვის მკაცრად ცენტრალიზებული ძველი სისტემის დეცენტრალიზაცია ადგილობრივი ხელისუფლების როლისა და პასუხისმგებლობის გაზრდით. არანორმალურია, როცა ნებისმიერი სასამართლო საქმე, თვით წვრილმანი სამოქალაქო დავის საქმეებიც კი, მხარის კომპეტენცია არაა საბოლოო ინსტანციის სახით. ეს იწვევს საქმეების წლობით გაჭიანურებას, კიდევ უფრო მეტ გაუგებრობას და განუკითხაობას.

აუცილებელია ასეთი სისტემის დემონტაჟი და წესრიგისა და სამართალდაცვის სიმძიმის ცენტრის გადატანა უშუალოდ ადგილებზე. ეს მნიშვნელოვნად გაამარტივებს და გააიაფებს, უფრო დემოკრატიულ და სანდოს გახდის მას ხალხისათვის. ჩვენი ეს მოსაზრება ორგანულად უკავშირდება ნაფიც მსაჯულთა და მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტის შემოღებას და კარგი იქნება, თუ სასამართლო სისტემის მიმდინარე რეფორმების ჩარჩოებში გავითვალისწინებთ ყოველივე ამას. ეს სარგებელს მისცემს ცენტრსაც და რეგიონებსაც. მთლიანობაში კი, ხალხს და მთელ ქვეყანას.

5. განათლება, კულტურა, ჯანმრთელობის დაცვა, სპორტი და ტურიზმი

ქვეყნის თვითოეულ მხარეს თავისი თავისებურებანი გააჩნია არა მარტო ბუნებრივ-კლიმატური, თუ სამეურნეო განვითარების, არამედ ისტორიულად მომდინარე კულტურული და საყოფაცხოვრებო ტრადიციის თვალსაზრისითაც. ამან თავისი ასახვა ჰპოვა ფოლკლორში, ფიზიკურ, თუ გონებრივი აღზრდის ნებისმიერ გამოვლინებაში. მაგალითად, კახეთში ტრადიციულად კულტივირებულია ჭიდაობა და ეს ტრადიცია თაობიდან თაობაში გადადის.

მხარის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ეს თავისებურებანიც უნდა იქნას გათვალისწინებული. აქაც გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სპორტის განვითარების პრობლემები მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრების პროცესს, სკოლას, საბავშვო ბაგა-ბაღს, ჯანმრთელობის დაცვის, თუ კულტურის დაწესებულებებს, სპორტულ დარბაზებს და მოედნებს უნდა განაგებდეს და ინახავდეს ადგილობრივი ხელისუფლება და ადგილობრივი ბიუჯეტი. ეს კიდევ უფრო ეფექტურს გახდის მათ ფუნქციონირებას, ვიდრე ცენტრალური მართვა და დაფინანსება.

მხარის პირობებში დიდ პერსპექტივებს შეიცავს ტურიზმი. კახეთში დღემდე შემორჩენილია 2500 წლის წინანდელი „აბრეშუმის დიდი გზის“ არქეოლოგიური ნაკვალევი ჩინეთის „დიდი კედლებიდან“ ატლანტიკის ოკეანის სანაპირომდე, რაც ჩვენი მხარის სტრატეგიულ მდებარეობაზე ლაპარაკობს მთელ ევრაზიურ სივრცეში. ჩვენი ეპოქის ყოვლისმომცველი ინტეგრაციულ პროცესებში მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მხარის ეს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, კავკასიისა და გომბორის შორის აფრენილი ხოხობივით პირმშვენიერი ალაზნის ველის მართლაც რომ უნიკალური სილამაზე, თავისი მაღლიანი ფუნჯით რომ უკვდავყო ფიროსმანმა. ტურიზმი მომავლის დიდი რესურსია კახეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის და აქედანვე უნდა ვიზრუნოთ მისი მაქსიმალური გამოყენებისთვის. მხარის ისეთი ძველი საქალაქო და სამონასტრო-კულტურული ცენტრები, როგორებიცაა თელავი, გრემი, ალავერდი, კვეტერა, შუამთა, ნეკრესი, გარეჯი, სიღნაღი, ნინოწმინდა და სხვა ჩვენგან მეტ ყურადღებას და გამოყენებას ელიან. ისინი მომავალში უეჭველია მსოფლიო ტურიზმის შემადგენელი დიდმნიშვნელოვანი ობიექტები გახდებიან. ამის მაგალითი დღევანდელი სიღნაღია.

საყოველთაოდ ცნობილია ტურიზმის დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა ნებისმიერი ქვეყნის განვითარებაში. ბევრგან იგი ეროვნული შემოსავლის თვალსაზრისით პირველხარისხოვან როლს ასრულებს. ეს განსაკუთრებით ითქმის სამონადირეო ტურიზმზე, რომლის განვითარებისთვის კახეთს ასევე ხელსაყრელი პირობები გააჩნია. მთავარი ამ შემთხვევაშიც ის არის, რომ მთელი სერიოზულობით და

პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ მხარის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების ამ დიდმნიშვნელოვან რეზერვსაც. იქნებ ვიფიქრობთ იმაზე, რომ იგივე ლიზინგური წესით მოვიზიდოთ თანამედროვე ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებანიც, ვთქვათ, ტურისტული ვერტმფრენები; რომლებიც კახეთის პირობებში აუცილებლად დიდ ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემენ საერთაშორისო ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. ამ მიმართულებითაც შეიძლება გარკვეული კოოპერირება ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანთან, კერძოდ კი, კახეთის მეზობელ კახის, ზაქათალისა და ბელეჩნის რაიონებთან. ამ მხრივაც აღორძინებული სიღნაღი შეიძლება გადავაქციოთ ტურისტულ ცენტრად.

6. დასაქმება და სოციალური პოლიტიკა

ჩამოთვლილი და სხვა შესაძლო საკითხების გადაჭრის საბოლოო შედეგი ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება უნდა გახდეს. ამ მიზნის მიღწევა კი შეუძლებელია, თუ თვისებრივად არ შეიცვალა დღევანდელი ვითარება, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი დაუსაქმებელია. ჩვენი გაანგარიშებით, თუ მხარის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების კონცეფციაში გადმოცემული სამუშაო პროგრამა განხორციელდება, მაშინ შესაძლებელი გახდება დაახლოებით 60 – 70 ათასი სამუშაო ადგილის შექმნა.

გარდა იმისა, ეკონომიკის განვითარებასთან და შესაბამისად, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდასთან ერთად, მხარის მთავრობას სოფლის და თემის ადგილობრივ ხელისუფლებასთან კოორდინაციით შესაძლებლობა მიეცემა შექმნას დამატებითი სამუშაო ადგილები ე.წ. „საზოგადოებრივი სამუშაოების“ ორგანიზებით მხარის სხვადასხვა რეგიონებში. როგორც ცნობილია მოსახლეობის დასაქმების ასეთი პრაქტიკა ბევრგან არის მიღებული და იგი ხელისუფლების სოციალური პოლიტიკის ერთ–ერთ მნიშვნელოვან და ეფექტურსაშუალებად ითვლება. კახეთის პირობებში ეს „საზოგადოებრივი სამუშაოები“ უპირველეს ყოვლისა, ეკოლოგიური დანიშნულებისა შეიძლება იყოს. ამ მხრივ მხარეს და მის შემადგენელ ნაწილებს უამრავი პრობლემები აქვს დღეისათვის გადასაჭრელი.

მაგალითებისთვის აქ შეიძლება დავასახელოთ ამ ბოლო წლებში გაჩეხილი ტყისა და მწვანესაფარის აღდგენა, მხარეში არსებული უამრავი ხეობების, მეწყერებისა და ღვარცოფებისაგან დაცვის მიზნით ჯებირების, ხელოვნური კალაპოტების და სხვა დამცავი და გასამაგრებელი სამუშაოების ორგანიზება როგორც კავკასიონის, ისე გომბორის ქედის ხეობათა მიდამოებში, დანგრევის პირას მისული კახეთის ძველი ციხე–ქალაქებისა და ეკლესია–მონასტრების აღდგენითი სამუშაოების ჩატარება, გზების, განსაკუთრებით დღეს სრულიად უპატრონოდ მიგდებული სასოფლო გზების კეთილმოწყობა, სხვადასხვა საირიგაციო ობიექტების მშენებლობა და ა.შ.

მხარის მძიმე დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღებისთვის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება მოსახლეობის დეპოპულაციის სულ უფრო საშიშრად მზარდი პროცესის შეჩერებაა. მრავალშვილიანი ოჯახების სტიმულირებისათვის აუცილებელია შემუშავდეს შეღავათების ისეთი სისტემა, შობადობის ზრდის ისეთი მასტიმულირებელი პრივილეგიები, რომლებიც სოციალურად დაცულს გახდის ყველა მრავალშვილიან ოჯახს. ასევე, მთის მიტოვებული სოფლების აღორძინებისთვის იქ დაბრუნებული ცალკეული ოჯახები და მთელი კომლექსი გარკვეული წლების მანძილზე უნდა განთავსდებოდნენ ყოველგვარი გადასახადებისაგან, პირველ რიგში მათ უნდა მიეცეთ შეღავათიანი და გრძელვადიანი კრედიტები მეურნეობის მოსაწყობად. აღდგენილი სოფლები უზრუნველყოფილი უნდა იქნან საიმედო გზებით, ენერგეტიკით და სხვა თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით და საყოფაცხოვრებო პირობებით.

7. ზეგითაც ითვა ილიასა და ვარლამ ჩერქეზიშვილის (1846–1925) იდეურ თანამშრომლობასა და ურთიერთსიმპატიებზე. ვინც „ივერიაში“ ჩერქეზიშვილის სტატიებს („წერილები ინგლისიდან“) იცნობს, 300 ნაბეჭდ გვერდს რომ აღწევს და ახლახან ცალკე კრებულადაც გამოიცა, ის დამეთანხმება: „არასახელმწიფოებრივი სოციალიზმის“ ევროპული დონის ეს დიდი იდეოლოგი საქართველოში, კერძოდ კი, კახეთში „ხოდაბუნური სასოფლო-სამეურნეო კორპორაციების“ საფუძველზე ე.წ. „ახალ დასახლებათა“ შექმნით იგი 1918–20 წლებში პრაქტიკულადაც შეეცადა ამ იდეის რეალიზაციას. მისი ეს გეგმა–იდეა გარკვეულად ეხმიანებოდა ჰერცლის, ბენ-გურიენის, გირშის და სხვა სიონისტი ლიდერების ებრაული „კიბუცების“ შექმნის იდეის პალესტინაში, რაზეც ამოიზარდა კიდევ ისრაელის სახელმწიფო II მსოფლიო ომის შემდგომ. სისხლის ნათესაობაზე დაფუძნებული ძველი ქართული „კომლი“, ხოტბა–დიდებას რომ ასხავდა ილია მუდამ, სწორედ ასეთი კიბუცური წარმონაქმნი იყო, როგორც საუკუნეებში მომდინარე ქვეყნის ბუნებრივ–ისტორიული განვითარების შედეგი...

გასაგები მიზეზების გამო, მაშინ ჩერქეზიშვილის ეს გეგმა–იდეა ვერ განხორციელდა და კახეთიც და საქართველოც ცენტრალიზირებული გზით ხელოვნურად დანერგილი და ძალით თავსმოხვეული ბოლშევიკური კოლექტივიზაციის და „სახელმწიფო სოციალიზმის“ ტყვეობაში აღმოჩნდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ბუნებრივისაგან განსხვავებით, ხელოვნურმა თავი ვერ დაიჭირა დიდხანს და ილიას და ჩერქეზიშვილის „ხოდაბუნური კორპორაციების“ იდეაც კვლავ გამოცოცხლდა:

ამ ოცი წლის წინ „ილიალოგთა კლუბის“ ინიციატივით დავით გარეჯსა და დალის წყალსაცავს შორის საფუძველი ჩაეყარა კახეთის ტრადიციულ სამეურნეო დარგებზე გათვლილ მსხვილ აგრარულ კომპლექსს და ათი ათას მცხოვრებზე გათვლილ სასოფლო–სადაბო დასახლებას – „ილიაწმინდათ“. ჩერქეზიშვილის მიერ შემუშავებულ ამ „ახალ დასახლებათა“ გეგმა კახეთის ამ დაუსახლებელ საზღვრისპირა რეგიონში თითქოს 80 წლის შემდეგ ხორცს ისხავდა. აშენდა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი და სამეურნეო ნაგებობა, ხიდი იორზე, საამშენებლო მასალების კარიერები, ჩასახლებული იქნა ეკ–მიგრანტთა რამოდენიმე ოჯახი აჭარიდან, მაგრამ 90–იანი წლების ცნობილი

მოვლენების შემდეგ „ილიაწმინდას“ მშენებლობა შეწყდა და აშენებულიც მთლიანად გავერანდა...

რუკას თუ დავხედავთ კახეთის უდიდესი ნაწილი ორ მდინარეს – იორსა და ალაზნის შორის არის მოქცეული. ილია მას „კახეთის შუამდინარეთს“ უწოდებდა და ოცნებობდა, რომ ეს უდიდესი პოტენციის მქონე სივრცე მაქსიმალურად ყოფილიყო გამოყენებული:

ალაზნის ველს და ივრისპირეთის საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთის სასაზღვრო რეგიონში სახელმწიფოს აქტიური სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პოლიტიკა უნდა განხილული იქნას როგორც დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური სტრატეგია. ისტორიულადაც ასე უყურებდნენ მას ქვეყნის მართველი წრეები. ჯერ კიდევ ბაგრატ III დროს კახეთის ამ „შუამდინარეთს“ მეფის მიერ დანიშნული „საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი მართავდნენ, გვიან საუკუნეებში კი აქ წარმოიშვა „ქიზიყის სამოურავო“ და ქიზიყის მოურავებიც ყოველთვის ერთგულ ციხე-ბურჯად ედგნენ ქვეყანას...

„ილიაწმინდას“ მშენებლობის განახლებას ვფიქრობ სიმბოლური დატვირთვა ექნება დღეს: იგი ერთი მხრივ, გააცოცხლებს და საქმედ აქცევს ამ ძველ იდეას და მეორე მხრივ, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს არა მარტო რეგიონალური ეკონომიკის, არამედ მთლიანად ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში ქვეყნისათვის ამ უმნიშვნელოვანეს საზღვრისპირა სტრატეგიულ რეგიონში.

ჩვენ კარგად გვესმის წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების მთელი სირთულე, მაგრამ მთავარი ისაა, რომ დროულად დავიწყოთ მისი განხორციელება. გვინდა აქაც დავესესხოთ ილიას – ქართული აზრის და ქართული საქმის ამოუწურავ სიბრძნისწყაროს: „რაც უფრო ძნელია ეს, მით უფრო სასახელო, სავაჟკაცო და საგმირო საქმე იქნება იგი ჩვენთვის“.

და ბოლოს, ერთი სიმბოლიკაც, რომლის მომსწრე და მნახველი ბავშვობაში მე თვითონ გავხდი: ალაზნის ველზე, სოფლის ბოლოს ვენახებს შორის ერთ ჭექა-ქუხილიან დღეს ვეება ტოტებ-გაშლილ მუხას მეხი დაეცა, ერთიანად მოისპო და ნაცარ-ტუტად აქცია ხანძარმა. მთელი სოფელი გლოვობდა დამაშვრალთა ამ ერთგულ თავშესაფარს...

მაგრამ მარტო გლოვა რა ბედენაა და გამოჩნდა ერთი ჭკვიანი შორსმჭვრეტელი კაცი – მიხა პაპა და ამშვიდებდა ხალხს.

ხალხო რას გლოვობთ, მუხა არ მომკვდარა, ფესვები ხომ გადაურჩა... ნამუხარს თვითონვე შემოუბარა, დააწყლულა, ძეძვით შემოღობა – გაამაგრა საქონლისა და ბრიყვთაგან დასაცავად და იფეთქა მუხის ახალმა სიცოცხლემ ხალხის გასახარად.

საქართველოც ამ მეხდაცემულ მუხას ჰგავს...

მასაც ფესვების მოძიება – გათავისება, მოვლა-პატრონობა – გამოცოცხლება სჭირდება დღეს.

საუბრები ილია მართალზე

საქართველოს ისტორიის

ფილოსოფია

- რანი ვიყავით...
- რანი ვართ...
- რად შეიძლება ვიქმნეთ...

მკითხველს

ვაგრძელებ საუბარს ილია მართალზე. ამჯერად მინდა თქვენი ყურადღება ილია ჭავჭავაძის ზოგად-ფილოსოფიურ ნააზრევზე შევაჩერო. ეს შეიძლება განვიხილოთ როგორც მისი „საერთო ნიადაგის“ თეორიის მეთოდოლოგიაც, რომლის დამთავრებული ფორმულირება მან მოგვცა სტატიათა ციკლში – „ცხოვრება და კანონი“, აგრეთვე, გაბრიელ ეპისკოპოსის ხსოვნისადმი მიძღვნილ სიტყვაში.

„დაპირისპირებულ ძალთა ბედნიერი მორიგება ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“ – ასე შეიძლება გამოითქვას ილიასგან მიღებული და ჩვენთვის სამემკვიდრეოდ გადმოცემული ეს მეთოდი, რომელიც მეთოდოლოგიასთან ერთად, „საერთო ნიადაგის“ თეორიის ერთ-ერთი ზოგად-სოციოლოგიური პოლიტიკური პრინციპიცაა. ისე, რომ ისტორიის ფილოსოფიური და პოლიტოლოგიური გააზრება ილიას მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ასპექტია. პოლიტოლოგიაც სხვა არაფერი არაა, თუ არა ისტორიის ფილოსოფია, ანუ, იმის გააზრება – გათავისება, თუ – „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“. ილიას ეს ფორმულა ქართული პოლიტოლოგიის გზამკვლევი და სახელმძღვანელო დებულება უნდა გახდეს...

შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ ილიას პოლიტიკური ფილოსოფია სამსახოვანია – მაშინდელი ევროპის სამ პოლიტიკურ ღირებულებას ეფუძნება: სახელმწიფოს მოწყობაში და მის ფუნქციონირებაში იგი კონსერვატიული იდეოლოგიის მატარებელი, მომავალი ქართული სახელმწიფოს კონსტიტუციური მონარქიის პრინციპებზე მოწყობის მომხრე და მქადაგებელია. რაც შეეხება ადამიანის უფლებებს, აქ იგი ლიბერალიზმის იდეოლოგიურ პოზიციებზე დგას, ხოლო სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებში სოციალ-დემოკრატია, ოღონდ ევროპული სოციალ-დემოკრატიისა. ვინც „საერთო ნიადაგის“ თეორიას იცნობს, ილიას ზემოდაღნიშნულ „დაპირისპირებულთა ბედნიერი მორიგების“ პრინციპს, ის დამეთანხმება – ეს ყველაფერი ილიას პოლიტიკური ფილოსოფიის ამოსავალი პრინციპია...

ამ თეორიის ეს მეთოდოლოგიური პრინციპი თავისებურად ეხმიანება ჰეგელის დიალექტიკის ცნობილ ტრიადას, კერძოდ კი, „დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონს“. მაგრამ ჰეგელისაგან განსხვავებით ილიას ეს მეთოდი და კანონი აქცენტს აკეთებს არა „ბრძოლაზე“, რასაც შემდეგში მარქსიზმმა და განსაკუთრებით ბოლშევიზმმა „კლასობრივი ბრძოლის, სოციალური და პოლიტიკური რევოლუციების და ამ გზით დიქტატურის დამყარების აუცილებლობის“ რანგამდე აიყვანა, არამედ ერთიანობაზე – „წოდებათა შერიგებასა“ და კლასობრივ თანამშრომლობაზე. მას სიტყვაც კი ეჯავრებოდა – „რევოლუცია“, „დიქტატურა“ და მისი პოლიტიკური

მსოფლმხედველობა ევოლუციასა და წარმომადგენლობით მართველობაზე იყო გათვლილი და დაფუძნებული.

„რევოლუცია ვერაფერი იარაღია ცხოვრების განკარგებისათვის. ამისათვის კაცობრიობამ მოიგონა წარმომადგენლობითი მართველობა“ – წერდა იგი. ყველაფერი ეს მას „ღვთის განგებიდან და შემომქმედის განწყობიდან“ გამოჰყავდა – ყველაზე ძლიერი არგუმენტიდან მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში, წითელ ხაზად რომ გასდევს მთელ მის მემკვიდრეობას. **„საღვთო გზა“** – შეიძლება ასე ეწოდოს ყოველივე ამას **„უპირველეს ყოვლისა კი, მის მიერ მიღებულ „საერთო ნიადაგის“** თეორიას...

თუ ყურადღებით გავაანალიზებთ ილიას ადრინდელ მხატვრულ თუ პუბლიცისტურ მემკვიდრეობას, დავრწმუნდებით: იგი ცხოვრების დასაწყისშივე ყველგან და ყველაფერში თავისი დიდი ისტორიული მისიის მთავარ მამომძრავებელ ძალად ღვთის ნებას და განგების ძალას განიხილავს. **„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მიტომ ვლაპარაკობ, რომ წარუძღვა წინა ერსა“.** ამ დიდი რწმენით შემოღვა ფეხი ქართულ ცხოვრებაში...

ილია მოსეს მსგავსად, ღვთისგან განწყობულ თავის მისიას ერის წინამძღოლობასა და **„აღთქმულ ქვეყნამდე“** მიყვანაში ხედავს. ეს მან შემდგომში **„საერთო ნიადაგის“** თეორიაში ასახა, თეორიაში, რომლის იდეები და პრინციპები ჩვენგან საქმედ ქცევას ელიან. ეს XXI საუკუნის ქართველობის უმთავრესი ამოცანაა.

ყველაფერს ამას მოკლედ და ლაკონურად ვუწოდებ **„ილიას გზას“**. ამ გზის ერთგულება მიგვიყვანს მომავალი საქართველოს ახალ **„ოქროვან ხანამდე“**. მთავარია, რომ ვუერთგულოთ მას.

ესეც მინდა ვთქვა: არ ვიცი ვის როგორ მოგეწონებათ თხრობის ეს ჩემი სტილი – ნახევრად ფილოსოფიური, ნახევრად ლიტერატურულ-ისტორიული, მაგრამ როგორც იტყვიან, კაცია და გუნება – ასე გადაწყვეტიტე თქვენთან გასაუბრება. აქ ნაამბობიც შორიდან მოდის, ლამის ბავშვობიდან, როცა კი ჩემს ცნობიერებაში ამის მოთხოვნილება გაჩნდა და ეს ყველაფერი ჩემს მეხსიერებასა და ძველ პოეტურ რვეულებში აისახა. ილიას სერიოზული გააზრებაც ამ რვეულებშია გაბნეული, როგორც მხატვრული, ისე პუბლიცისტური...

ვფიქრობდი კიდევ, რომ ჩემი საუბრების ამ ნაკვეთისთვის სახელდებად მიმეცა ეს სათაური – **„ამონაკრები ძველი პოეტური რვეულებიდან“**, მაგრამ მერე უფრო ზოგად – ფილოსოფიური დასათაურება ვარჩიე. ისიც ვიფიქრე და მე მგონი სამართლიანადაც, რომ ასეთი ფორმა ჩემეული ნაფიქრ-ნახულ-განცდილისა, მკითხველთა უმრავლესობისთვის უფრო სასიამოვნოს და შეიძლება სასარგებლოსაც გახდის მას...

ფიქრს რა გამოუღწევს კაცს და თუ ღმერთმა ინება, ვეცდები ბოლომდე გავყვე ჩემს ამ ფიქრთა მდინარებას პერიოდულად ასეთი მცირე ნაკვეთების გამოცემით. მათგან

ნაწილი გამოცემულიც მაქვს და ახლა მიწევს გარკვეული კორექტირება მივცე იმ ჩემს ძველ ნაფიქრალს...

ფიქრი კი ისეთი რამაა, ძალიანაც რომ გინდოდეს ვერ აიცილებთ ვერასოდეს თავიდან. ეს მითუმეტეს დღევანდელ გლობალისტურ მსოფლიოზე და გზაჯვარედინზე მდგარ ჩვენს ქვეყანაზე ითქმის. ჩვენც ვიფიქროთ, რაკი „ჰომოსაპიენსი“ დავარქვით ჩვენს თავს და რაკი ადამიანს უფიქროდ ცხოვრება არ შეუძლია...

ვინ იცის, იქნებდა ჭეშმარიტებას გვაზიაროს ამ ფიქრმა უზნეობა მოძალებულ ამ ჩვენს გლობალიზმის ეპოქაში, სოდომის ცოდვა რომ თანდათანობით საერთო – საკაცობრიო ცოდვად იქცა. ერთიანად გაშიშვლდა ადამიანი ფიზიკურადაც, სულიერდ და ზნეობრივადაც... გაშიშვლებისაკენ მიდის დედამიწაც ფლორიანად და ფაუნიანად, სკნელიან-ქვესკნელიან-ზესკნელიანად... ადამის მოდგმას აქედანვე მართებს ამ ფიქრზე ფიქრი. ხვალ და ზეგ ეს შეიძლება აღარც დაგვჭირდეს სულიერ-ხორციელად განმარცვულებს ...

ადამიანი – დედამიწის ეს მეტამორფოზა პოეტურად ასე გავიაზრე:

ცოდვებით დამძიმდა,
ცოდვათგან გაბრწყინდა
ეს ჩვენი დედამიწა...
სკნელი-ქვესკნელი – ზესკნელი
დედინაცვლად იქცა...
ცოდვათა მორევით,
განდგომით ღვთისაგან,
დედამიწა ჩვენი
დედინაცვლად იქცა...

ადამიანი გადაეჩვია ღმერთზე ფიქრს. სულ პირველი ადამიანი კი, – მნიშვნელობა არა აქვს ზღვიდან, ან, ტყიდან გამოსული დარვინის ევოლუციის ნაშიერი იყო იგი, თუ რომელიღაც X პლანეტიდან ციდან მოსული, ღმერთზე ფიქრში ატარებდა თავის წუთისოფელს. მერე, რაკი ეტლზე წამოსკუპდა, ცხენით, ჯორით თუ აქლემით გაიჯირითა, თანდათანობით გადაეჩვია ღმერთზე ფიქრს...

რენესანსმა ხომ ადამიანი მთლად გადარია, ლამის ღმერთად წარმოიდგინა თავი, სამყაროს შემომქმედად, რაკილა ამ სამყაროს რაღაც „კანონებს“ ჩასწვდა, გაამპარტავანდა, ყოვლისშემძლედ იგრძნო თავი დედა-ბუნების ამ უძლებმა შვილმა... ახალი საუკუნეების მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებმა ხომ, მთლად მედიდური და ამპარტავანი გახადა. „ქუდი გვერდზე მოგიგდია, ამპარტავანსა ჰგავხარო“, ალბათ ამაზეც ითქმის...

ერთი სიტყვით, ჩვენი ეპოქის საყოველთაო კანონი და დევიზი გახდა: ტექნიკა და ყოფიერება წინ, ზნეობა და სულიერება უკან. გლობალიზმი მათ შორის დისტანციას

კიდევ უფრო ზრდის. ამ მხრივ XXI საუკუნე ალბათ, ყველა წინა რეკორდებს მოხსნის. როგორც ჩანს, კაცისა და კაცობრიობის „პროგრესიც“ ესაა...

სტატიაში – „მეცხრამეტე საუკუნე“, ილიამ ამ ფენომენსაც გაუსვა ხაზი. 1899 წლის 31 დეკემბერს დაწერილ ამ სტატიაში იგი ჩამოთვლის „საუკუნის სასწაულებს“, მაგრამ ბოლოს კი, ასეთ რიტორიკულ კითხვას სვამს – „მაგრამ დღეს უფრო ბედნიერი კაცი თუ არა?“ და იქვე პასუხიც – „არა გვგონია!“...

ეს ის დროა, როცა ალბერტ აინშტაინს ჯერ კიდევ ახალი სასწაულები არ ჰქონდა აღმოჩენილი თავისი „ფარდობითობის თეორიით“, მთლიანად რომ გარდაქმნა კაცობრიობის ცხოვრება XX საუკუნეში. ამ თემაზე მეც მიფიქრია და ეს ნაფიქრ-ნაწერიც მინდა შემოგთავაზოთ აქ:

„ჩვენ წარმავალნი ვართ,
და გეთანხმებით, –
დრო ჩვენთვის ფარდობითია,
მიუწვდომელიც...“

მაგრამ ესეცაა, ბატონო ალბერტ,
– რატომ ვფიქრობთ და რატომ ვზომავთ
ყოველივეს ჩვენი საზომით?
რა პასუხი გაქვთ, რად ხდება ასე:

სადაც ჩვენ არ ვართ ჩვენი საზომით,
და აბსოლუტი ყოველივეს მბრძანებელია,
იქ ჩვენ გათვლებს ფასი არა აქვთ...
– რად ხდება ასე?
– რაშია საქმე?
– ბატონო ალბერტ!"

დღეს მითუმეტეს – სად სცალია XXI საუკუნის ადამიანს ღმერთზე ფიქრისთვის. ცათამბჟენებში გამომწყვდელი ისე გაივლის თავის წილხვედრ წუთისოფელს, შეიძლება ერთხელაც არ ახედოს მაღლა ცას... მეტი საქმე არა აქვს, თავის პრობლემებზეც ეყოფა ფიქრი, როგორ მოიპოვოს თავისი ადგილი ცის ქვეშ, ძალაუფლება, გავლენა, სიმდიდრე სხვებზე მეტი...

და გაუჩნდა ამბიცია, დიდი ამბიცია, ჯერ არნახული და არგაგონილი ამბიცია მესამე ათასწლეულის გარიჟრაჟის ადამიანს – დაეუფლოს ყველას და ყველაფერს არათუ თუ აქ, დედამიწაზე, მის სკნელზე, ქვესკნელზე და ზესკნელზე, არამედ ახლო-მახლო ცის კაბადონზე, სადაც კი ხელი მიუწვდება, მთვარეზე, მარსზე, იუპიტერზე... ეს ახლა და ვინ იცის რა მოუვა თავში ხვალ და ზეგ, რა დროს შემომქმედზე ფიქრია ახლა. რისი ღმერთი, რისი შემომქმედი – მე ვარ თვითონ ღმერთიც და შემომქმედიც...

ქართული აზრიც რა გამონაკლისია და ჩვენც აღარ გვახსოვს და აღარც ვფიქრობთ შემომქმედზე, ისე როგორც ამას თუნდაც ამ 1000 წლის წინ ვაკეთებდით ნაადრევი ქართული რენესანსის ჟამს. დავაკვირდეთ თუნდაც ქართულ მწერლობას – აგიოგრაფიული მწერლობისა და რუსთაველის შემდეგ, აქ **„ვარდ-ბულბულიანისა“** და **„სადღეგრძელოს“** თემა გაბატონდა...

ილია ჭავჭავაძე უნდა ჩაითვალოს ღმერთისაკენ ქართული აზრის შემობრუნების ნიშანსვეტად. ცნობიერების გაღვიძებისთანავე მან თვალი და გული ალაზნის ველის ცის კაბადონს მიაპყრო. მას შემდეგ **„ცათა შინა მონაბერნი ციურნი ხმები“** გახდნენ მისი გზამკვლევი. დავაკვირდეთ თუნდაც, მისი პირველი ლექსების სათაურებს – **„ლოცვა“**, **„სანთელი“**, **„გიყვარდეს“**, **„ხმა გულისა“**, **„ციურნი ხმები“**, **„პოეტი“**, **„წუხილი“**, **„დაბნელდა სული“**, **„ელეგია“**, **„სიმღერა“**, **„სიზმარი“**... აქ ყველგან ღვთის სადიდებელი დიდი ჰიმნი...

ესეც ხომ ყველგან და ყოველჟამს ღვთის რჩეულთა ხვედრია. ოდითგან ამით მოვდივართ ქართველობა მრავალჟამიერ. მრავალჟამიერ გვევლოს კვლავაც:

„ყველა დიდი გმირობა მარტო სულის ღონეა და მეტი არაფრის“ – წერდა ილია და ჩვენც გვეყოს ეს **„სულის ღონე“** ჩვენი ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. მხოლოდ ეს წაგვიყვანს ჩვენ და ჩვენ შემდგომ თაობებს საქართველოს **„ახალი ოქროვანი ხანისკენ“** – ილიას პოლიტიკური იდეალისა და მისი ყველაზე დიდი ნატურისა და ოცნების აღსრულებისაკენ.

და მაინც, ილიას პოლიტიკური ფილოსოფიის არსი და უმთავრესი პრინციპი „ცხოვრების თვითრღუდობა“, ანუ, თანამედროვე პოლიტოლოგიურ ენაზე სახელმწიფოს, ერისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ბუნებრივ- ისტორიული პროცესის პრიმატული როლის აღიარება. ჩვენი ტრაგედია ისაა, რომ ძნელბედობის 800-წლიანმა ხანამ ეს პროცესი მოშალა და გააუკუღმართა. ამ იდეაზეა აგებული მისი პოემა – **„მეფე დიმიტრი თავდადებული“**, **„წარხდენილი ქართველთა სახელისა და ქართული წეს-წყობის აღდგენას“** უკავშირებს თავის ერთ-ერთ დიდ პოლიტიკურ იდეასაც – **„სამეფო გვირგვინზე და ხმალსა და გუთანზე დაფუძნებული“** ახალი საქართველოს და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის ფორმირებას. კონსტიტუციური მონარქიის და მასზე დაფუძნებული საპარლამენტო მმართველობა სწორედ საქართველოს ბუნებრივ-ისტორიული განვითარების ფილოსოფიური პრინციპიდან გამოჰყავს...

1877 – 1881 წლებში დაწერილი მისი **„ცხოვრება და კანონი“**, ისე როგორც 1887 წელს დაწერილი – **„პოლემიკური წერილები „ცხოვრება და კანონის“ გამო“**, სახელმწიფოს თეორიის ბრწყინვალე გააზრება და გადმოცემა. აქ ილიას და ევროპაში მოღვაწე ვარლამ ჩერქეზიშვილის იდეები თანხვედრნი არიან, ისე როგორც საერთოდ, ამ უკანასკნელის **„ანარქო-სინდიკალიზმისა“** და ილიას **„საერთო ნიადაგის“** თეორიები. თვითონ ფრანგული სიტყვაც კი – **„სინდიკატი“** სწორედ ერთობას, **„საერთოს“** ნიშნავს.

ინგლისსა და საფრანგეთში მოღვაწე ჩერქეზიშვილმა სხვა ევროპულ მოღვაწეებთან ერთად, დიდი როლი ითამაშა ევროპულ სახელმწიფოთა „სინდიკატურ“ თვითმართველობათა განვითარებასა და საბოლოო ჯამში, რეგიონალიზმის საწყისეზზე ევროკავშირის ფორმირებაში...

„სახელმწიფოს კვდომა“ – ასე შეიძლება ეწოდოს იმ პოლიტიკურ იდეას, რომელსაც ილია და ჩერქეზიშვილი ანვითარებდნენ მაშინ. გრიგოლ რობაქიძე მართებულად შენიშნავს, რომ ეს შეფარვით ნიშნავდა რუსეთის იმპერიის ცენტრალიზებული და რეპრესიული სახელმწიფო მართველობის შესუსტებასა და რღვევასაც...

„სახელმწიფოს კვდომა“ – ფანტაზია და უტოპიაა, თუ რეალობა? – დიახ, ეს მომავლის რეალობაა. რა თქმა უნდა, პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ ეს „კვდომა“. ილია **„ცხოვრება და კანონის“** შვიდივე სტატიაში, ისე როგორც მის პოლემიკურ დამატებებსა და აგრეთვე, შემდგომშიც მესამედასელებთან მთელ პოლემიკაშიც, იგი იმ აზრს ანვითარებს, რომ სახელმწიფოს ბუნებრივ-ისტორიულ განვითარებას ის ტენდენცია აქვს, რომელმაც საბოლოოდ ცენტრალიზმი თვითმართველური ასოციაციებით უნდა შეცვალოს. ცენტრალიზირებული სახელმწიფოს დაშლა რეგიონალურ და ადგილობრივ თვითმართველობებად – ასეთია ილიას პოლიტიკური ფილოსოფიის არსი სახელმწიფოს თეორიაში.

ისტორიასაც თუ გადავხედავთ, სახელმწიფომ ამ ხუთიათასი წლის მანძილზე სწორედ ასეთ მიმართულებით განიცადა სახეცვლილება: პირველი სახელმწიფოები ტომებისა და გვარების თვითმართველური ასოციაცია – გაერთიანებებიდან აღმოცენდა... მერე და მერე ეს თვითმართველური სული ჩაკლეს და აბსოლუტიზმისა და დესპოტიზმის მატარებელ პოლიტიკურ ორგანიზაციებად აქციეს... უკვე აქეთ – ახალ ათასწლეულებში, განსაკუთრებით ამ ბოლო ათასწლეულში, დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტების წყალობით დაიწყო დეცენტრალიზაციის შეუქცევადი პროცესი, პროცესი, რომელიც ამ ჩვენს ახალ მესამე ათასწლეულში იმ ლოგიკურ შედეგამდე მიგვიყვანს, რასაც „სახელმწიფოს კვდომის“ ცნებით მოვიხსენიებთ...

„რომელმან შექმნა სამყარო“

ილიას ბავშვობამ და ყრმობა კავკასიის მთებთან და ალაზნის ველის გარემოცვაში გაიარა. აქ გაზრდილ კაცს, თუ შემოქმედმაც გონების ძალაც და სიღრმეც ზედ დაანათლა, არ შეიძლება მის აზროვნებას თავიდანვე, თავისი გარემომცველი სინამდვილის ფილოსოფიური აღქმა არ მისცეს. **„ყვარლის მთებიდან“** მოყოლებული, ეს აშკარად და გამოკვეთილად ჩანს. პირველად ამას კაცი, როგორც წესი, პოეზიაში ავლენს. აი, რას გვეუბნება 1859 წელს დაწერილ ლექსში – **„ციურნი ხმები“**.

„ციურნი ხმები,
ეგ საკვირველნი...
საიდან ჰრბიან,
ციურნო ხმებო,
ოჰ, საკვირველნო!“

უფრო ადრე, 1858 წელს დაწერილ ლექსში – „ლოცვა“, წინასწარმეტყველურად წერს:

„მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა,
მუხლმოდრეკილი, ღმობიერი ვდგავარ შენ წინა:
... მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენტოს გული,
რომ მტერთათვისაც, თუნდ გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე – შეუნდე, არ იციან ღმერთო რას იქმან“.

და ასე დაუსრულებლივ შესტრფის და შეჰდალადებს ალაზნის ველის უძირო ცას და მადლს სწირავს შემომქმედს, რომ მოუვლინა თავის ქვეყანას „ნუგეშის საცემლად ამ უბედურს ჟამს“. მისთვის ღმერთის რუსთაველური აღქმა და გაგება – „რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა“, იმის გააზრებაცაა, რომ რაკი მან, ამ სამყაროს შემომქმედმა „უთვალავი ფერით მოგვცა ცხოვრება“, ჩვენც ვალდებული ვართ ეს ცხოვრება მის სიყვარულსა და ერთდროულად, ერის სამსახურში განვლოთ...

ფიქრი ღმერთსა და ადამიანზე ბოლო ამოსუნთქვამდე თან სდევდა მას ყვარლის მთებიდან წიწამურამდე... 1896 წელს გაბრიელ ეპისკოპოსის ხსოვნისადმი სიტყვაში იგი ამბობს:

„ქვეყანა ბატონებო სავსეა ხილულითა და არახილულთა ადამიანის სულიერი და ხორციელი თვალისათვის. ბუნება ადამიანისა იმისთანაა, რომ სულთასწრაფვა ადამიანისა ერთსაც ეტანება და მეორესაც... მით უფრო, რაც ადამიანი გონება-გაღვიძებული და თვალ-ხილულია ნება-უნებლიედ ამ ორ სამფლობელოში დადის მოუსვენრად, რომ იპოვოს ბინა და იქ დაღალული სული შეასვენოს ხოლმე გულთაძვრისა და მსოფლიო ღელვისაგან.“

ამ ორ სამფლობელოთა შორის შემაერთებელ ხიდსა სწნავს მარტო სიბრძნე, რომელიც ასე იშვიათია ამ წუთისოფელში...”

„მეცნიერების გასარწმუნოება და სარწმუნოების გამეცნიერება“ – ასეთია ილიას მთავარი დასკვნა და მოწოდება ჩვენთვის. ილიამ იცის, რომ „ბევრსა ჰგონია, მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიან“. ეს განსაკუთრებით ჩვენს ეპოქაზე ითქმის, ათეიზმის მკვეზავ წყაროს რომ წარმოადგენდა და წარმოადგენს დღესაც. მართლაც რომ, – შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს, ილია

მარტო ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური კი არა, მსოფლიო აზროვნების დონის მოაზროვნეა, ეგაა რომ მასშტაბები შეხვდა ლოკალური...

ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორიამ, მისგან გამომდინარე იდეებმა მიბიძგა მეც მეცადა და მეკვლია ჭეშმარიტება და ამ ძიებით მოვდივარ ამ წუთისოფლად. მახსოვს, როცა დარვინიზმს გვასწავლიდნენ სკოლაში, ჩემს ახლადგადვიძებულ ცნობიერებას ჯერ კიდევ მაშინ გაუჩნდა ეჭვი სიცოცხლის წარმოშობის მატერიალისტურ თეორიაზე. მე მაშინაც და დღესაც მტკიცედ მწამს, რომ სამყაროც და სიცოცხლეს ისე ჭკვიანურად და ბრძნულად არის კონსტრუირებული, რომ არ შეიძლება შემთხვევით და მექანიკურად იყოს შექმნილი ერთიც და მეორეც. წარსულის თუ ახლანდელი არაერთი ფაქტი მარწმუნებს ამაში. აი, თუნდაც ჩვენი მეზობელი პლანეტის კვლევის ბოლო ფაქტი, რამდენ ფიქრს აღძრავს იგი ჩვენში...

მაშ ასე – მარსზე დამშრალი მდინარე აღმოჩნდა ქრისტეშობიდან მესამე ათასწლეულზე და ადამიანის გონებას ახალი საზრდო და საფიქრალი გაუჩნდა, ახალი ვერსიები და თავსატეხები: საიდან, როგორ, როდის და რანაირად გაჩნდა მასზე ეს მდინარე და რატომ დაშრა, ვინ და რამ აქცია იგი ჯერ მდინარედ და მერე კი ნამდინარევად?...

მაინც, რა არის ეს ქართული? მართალი იყო იოანე ზოსიმე, როცა თქვა ღვთით ჩაგონებული – „ქებაია და დიდებაი ქართულისა ენისაი“. აბა, დავაკვირდეთ ჩვენს ენას, თუ ასე არაა. აი, თუნდაც ამ სიტყვაში – „მდინარე“ და მერე მისგან „აღმოშობილი“ მეორე არსებითი სახელიც – „ნამდინარევი“, რომ აღმოჩნდა „წითელ პლანეტაზე“ და ჩვენს „მწვანე პლანეტაზეც“ არაერთგან ვხვდებით უკვე დღეს და მომავალშიც კიდევ უფრო ბევრს შევხვდებით, სანამ ჩვენი „დედამიწაც“ (ესეც რა ქართულია – „დედა“ – „მიწა“!), წითელ პლანეტას არ დაემსგავსება რომელიღაც X ათასწლეულში...

„მრავალი საიდუმლო არის დაფლული ქართულსა ენასა შინა“, გვეუბნება ბერი ზოსიმე და ერთ-ერთი მათგანია ეს „მდინარე“ და „ნამდინარევი“!... ჩვენც „მდინარე“ ვართ ამ წუთისოფლად მოსულნი ადამის-ძენი, ადამიანნი (ესეც ხომ დიდი სიტყვებია ქართულის – „წუთისოფელი“ და „ადამიანი“) და მერე „ნამდინარევს“ ვტოვებთ ყველა ამ სოფლიდან თავ-თავის დროზე გასულნი...

მაგრამ ესეც ხომ საკითხავია – სად მივდივართ? რა ჰქვია „იმ სოფელს“? რა ჰქვია ამ გადასვლას „ამ“ სოფლიდან „იმ“ სოფლად? – ყველა მეტყვით, რა კითხვაა ეს, ეს ხომ „გარდაცვალება!“ და მერე ალბათ დაფიქრდებით ვაჟა ფშაველას „დიდი ფიქრით“ – „გარდაცვალება?!“ დიახ, „გარდაცვალება“, მაგრამ – რად „ცვალება“? – ესეც საფიქრალია, მთებიც ხომ ფიქრობენ (რა თქმაა ვაჟასი ესეც – „ნისლი ფიქრია მთებისა“!) და ჩვენც ვიფიქროთ ამაზე – სად მივდივართ გარდაცვალებისას ფიქრის სიჩქარით? იქნებ ისევ მარსზე – ჩვენს წინა სამშობლოსა და ძველ „დედამიწაზე“, დღეს რომ მასზე „ნამდინარევეები“ აღმოვაჩინეთ...

იქნებ ენამ გვითხრას ესეც ხვალ, ზეგ თუ მაზეგ სკნელი, ქვესკნელი, ზესკნელის სტუმრებს? ვინ იცის ეს? თქვენთან ერთად, მეც მიფიქრია მასზე ზავშვობიდანვე, როცა მეოცნებე თვალებით შევცქეროდი ალაზნის ველის ცის კაზადონზე გაშლილ-გაფანტულ ურიცხვ ვარსკვლავებს. გაიგე ახლა რომელია იმათთაგანი ჩვენი „ბედის ვარსკვლავი“? ამასაც ალბათ, ჩვენი ენა გვეტყვის თავის დროზე. ესეც ვიფიქრე ამ ფიქრებისგან თავმოებურებულმა, როცა ჩემს ძველ პოეტურ რვეულებში ეს ჩავიწერე მიძღვნილი იოანე ზოსიმესადმი და მისი „ქებაი ქართულისა ენისადმი“:

იმდენს უქიხარ,
მე ვით არ გაქო:
ნეტავი მაჩვენა,
ის პირველი,
ვინც იყო ქართველი,
სიტყვა რომ წარმოთქვა
პირველად ქართული...

მაგრამ ვინ იცის,
– ეგებ, პირველ იყო „სიტყვა“
და მერე ქართული?
და ივლი ასე,
მანამდე, სანამ,
შენს წიაღში
„ჩაფლულ საიდუმლოს“
არ ახდი ფარდას...
დგახარ ამაყად,
ოლიმპოს თავსა
და დინჯად ელი
მარადისობის შენს
კუთვნილ წამსა...

ეს თავსატეხიც – „მარადისობა“! აბა, მითხრას ვინმემ ადამის ძემა, როგორია იგი? სად იწყება და სად თავდება? აქვს კი მას ან დასაწყისი, ან დასასრული? ამაზე ფიქრის ნაყოფიც მინდა გაგიზიაროთ იმათ, ვისაც ერთხელ მაინც გიფიქრიათ სასრულობა – უსასრულობის ამ თავსატეხზე:

გალაქტიკების „შავი ხვრელები“
ლურჯი ფერებით გვიხმობენ ყველას,
სამოთხის დიდი ოცნებაც ღელავს,
სული კი მხოლოდ ლურჯ ფერებს ხედავს,
და ვეღარ ბედავს,
ლურჯ ფერებზე შეყვარებული

სხვა ფერთა ჭერეტას...
რამხელა ფიქრი შემომეპარა,
როგორ გავუძლო მის უწყვეტ დენას,
სად გაჩერდება,
ან გაჩერდება?
ვინ იცის ნეტავ,
ეს ფიქრთა დენა?
ან, ფიქრთა ცვენა?
და ან კიდევ
ლურჯ ფერებზე შეყვარებული
გულების ცემა?
ვინ იცის ნეტავ?!...

ვინ იცის მართლაც, რამდენი გონი დაბინდულა ამაოების ფიქრს გადამკიდე... დედამიწა კი, ეს პაწაწკინტელა წერტილი სამყაროს უკიდევანო სივრცეში, მიჰქრის და მიჰქრის ჭენებ-ჭენებით. ვინ იცის საით და რისთვის? ამის გამგები რომ არავინაა ადამიანთაგან, ეს 800 წლის წინ რუსთაველმა თქვა შესანიშნავად – „ვაჰ, სოფელო რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა...“, მაგრამ ადამიანიც იმიტომაა „მოაზროვნე ცხოველი – ჰომოსაპიენსი“, რომ თავის დღე და მოსწრება მაინც თავისას ცდილობს, არა და არ ნებდება ამ თავსამტვრევ კითხვებს. სხვანაირად ხომ ისიც „საპიენსი“ იქნება მხოლოდ და რომ გაამართლოს თავისი „ჰომოსაპიენსობა“ რას არ აკეთებს აქ, ჩვენთან დედამიწაზე და აქ მოსვლამდეც, ვინ იცის სად ჰქონდა მას ამ უსასრულო დროსა და სივრცეში სხვა „დედამიწა“! იქაც ალბათ, იქაურ „წუთისოფლადაც“ დღედაღამ არ ასვენებდა ფიქრი და განსჯა თავის თავზეც და შემოქმედზეც, – იმაზე, „რომელმან შექმნა სამყარო...“ და მოდის ასე ეს „მოაზროვნე ცხოველი“ ვინ იცის რამდენი მილიონი, მილიარდი თუ ტრილიონი წელი ადგილმონაცვლე გალაქტიკიდან გალაქტიკამდე, „დედამიწიდან“ „დედამიწამდე“...

ეტყობა ყველა ადამიანს ბავშვობიდანვე რაღაც ფიქრი აეკვიატება და მერე თავიც რომ მოიკლას, ამ ფიქრს ვერ მოიშორებს თავიდან, როცა დარვინიზმი მასწავლეს სკოლაში, რატომღაც მაშინ ამეკვიატა ეს ფიქრიც – არა მგონია ადამიანი ევოლუციის გზით გაჩენილიყო დედამიწაზე – მაშინ რატომ გაჩერდა ეს „ევოლუცია“ მაინცდამაინც ადამიანზე ამ უსასრულო დროსა და სივრცეში? და მივდივარ ამ ფიქრით დღემდე და პასუხს ვეძებ – მაშ, საიდან, როგორ, რანაირად გავჩნდით კაცთა მოდგმა დედამიწაზე? და პასუხის ძიებაში ესეც ჩვევად დამჩემდა – სკნელიდან ზესკნელისაკენ თვალთა მიჰყრობა. მე კი არა, ამასწინათ ჩემს პატარა შვილიშვილმაც გამოცა – ამ პატარა და თოთო საპიენსმა, მე რომ რაღაცას ვეჭურჩულებოდი – ვეფერებოდი, მისი თვალები კი იქ, მაღლა ცის კაბადონს შესტრფოდნენ და შესციცინებდნენ. „სასწაული“ დავარქვი მაშინ ამას და ამ განცდილ – ნანახმა მერე ჩემს „პოეტურ რვეულშიც“ მოიკალათა:

ბავშვობიდანვე დამჩემდა

ამ ფიქრზე ფიქრი:

– სასწაულია აბა, რა არის, –

ერთ წამში მინდა მთვარეზე ავალ,

მთვარე რა არის,

ვარსკვლავთა იქით

დასალიერის დასალიერს

მივალწევ თუნდაც

ფიქრის სიჩქარით...

და ჰოი, საკვირველებავ,

ბავშვის სახელი უნდა

გერქვას შენ!

– ამაწინათ ფიქრში წასული

დავინახე თვალნი ბავშვისაც...

დიდის კი არა,

აკვნის ბავშვისა...

არ იკითხავთ, რას ფიქრობდა

პატრონი თვალთა?

ყოველ შემთხვევაში, კუჭზე არა,

ახალი დანაყრებული გახლდათ

პატრონი თვალთა...

– ლურჯ ცას შეჰფიფინებდნენ

თვალნი ბავშვისაც...

დიახ, ჩვენი დღე და მოსწრება, შევეყურებთ უძირო ცას მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე და მზის ჩასვლიდან მზის ამოსვლამდე და ვეძებთ კვალს იმისას, თუ როგორ, როდის და საიდან მოვედით აქ... დარვინისაგან განსხვავებით, მის პასუხს სკნელში არ ვეძებ, არც ქვესკნელში – მიწისა თუ ზღვის ერთუჯრედოვანთა სამეფოში, მაღლა, ზესკნელში ვეძებ გზას, საიდანაც ვიწყებ კაცთა ჟამთა სვლას... „სიცოცხლის მონაცვლეობის თეორია“ – ასე დავარქვი ჩემს ამ ნაფიქრალს ჩემს დღიურებში და როგორ გამიხარდა, როცა ერთხელ სადღაც ამოვიკითხე თუ მოვისმინე მსგავსი რამ.

კარგით და ვთქვათ, ასეც იყოს – მოვედით საიდანღაც და ოდესღაც, რომელიღაც n მილიონ წელს X გალაქტიკიდან, X ვარსკვლავიდან და X პლანეტიდან, მაგრამ რა უქნათ ყოველივე ამას – სასრულობა – უსასრულობის მათემატიკურ რიცხვთა იმ უთავ-ბოლო საგიჟეთს, რომელსაც ჩვენი გონი ბოლოს გადაბრუნებული რვიანით – ∞ აღნიშნავს? აქ კი, ნურას უკაცრავად და ჩვენი ადამიანური გონი „ჩაჭრილია“ სამარადჟამოდ. ეს იცის მხოლოდ იმან, „რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა, ჩვენ კაცთა მოგვცა ცხოვრება, გვაქვს უთვალავი ფერითა“...

„უთვალავი ფერით“ ნასაზრდოები და „ზეცით მონაზერი“ ეს უსასრულო სამყაროა რომ გონებას არ ასვენებს, ვისაც კი, ერთხელ მაინც უცდია ამ სატანური კითხვის გააზრება – გაცნობიერება – გათავისება. ამიტომ მიმართავს კიდევ ერთხელ ამ ფიქრისაგან დაღლილ-დაქანცული და თავმოებუზრებული რუსთაველიც – „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა, შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა“. მაგრამ ეს „სატანა“ რომ არ გვეშვება მაინც „ყოფნა-არყოფნის“ ფიქრით შეპყრობილებს?!...

„მსოფლიო რელიგიის“ ძიებაში რუსთაველის და შექსპირის გარდა, კიდევ ძალიან ბევრს მოეცარა ხელი წარსულშიც და ახლაც, მაგრამ ადამიანი რის ადამიანია, რომ მასაც და უსასრულო – სასრულობის და დროსა და სივრცის პრობლემებს შეეშვას ერთხელ და სამუდამოდ. ეს ისეთი მარადიული პრობლემებია ადამიანური გონისთვის, რომ გვინდა არ გვინდა ვერც ვერასოდეს მოვეშვებით, „ცუდი უსასრულობა“ რომ უწოდა თავის დროზე ჰეგელმა მას მისგან ილაჯგაწყვეტილმა...

ამ მხრივაც მინდა ერთი ჩემი ძველი პოეტური გააზრება შემოგთავაზოთ:

ყველა პრობლემა გადავწყვიტე ამქვეყნიური,
ჩავწვდი ყოველგვარ საიდუმლოს ამა ქვეყნისას,
– სიკეთისას და ბოროტებისას,
სიყვარულისას, სიძულვილისას,
მხოლოდ ვერ ჩავწვდი დროსა და სივრცეს,
ვერც მათ დასაწყისს, ვერც სასრულს მათსა, –

– საიდან მოვდივართ, სადამდე ვივლით...
თუ საზღვარს დავთქვამთ დროსა და სივრცის,
მაშინ რაღაა ამ საზღვრის იქით?
საზღვარდაუდებლობაც ხომ,
არანაკლებია სიგიჟეა ჩვენი გონისთვის...
სასრულობა – უსასრულობს ფიქრს გადამკიდე,
რამდენი გონი დაბინდულა თუ დათვლის ვინმე,
ამ უსასრულოდ გაწელილ რიგებს?
ან, პასუხს მისცემს,
სასრულობა – უსასრულობის
ამ წყეულ კითხვებს?

– მიჩვენეთ კაცი, ღმერთად შევიცნობ,
გამითავისებს ვინც დროსა და სივრცეს...
მაგრამ რას ვეძებ,
ანდა, ვის ვეძებ,
ღმერთია თვითონ
დროცა და სივრცეც!

ასტროფიზიკოსები დაჟინებით გვიმტკიცებენ ათასნაირი ფორმულებით და არგუმენტებით – სამყარო განუწყვეტლივ ფართოვდებაო. კი ბატონო, ჩვენც გვჯერა თქვენი, მაგრამ იქნებ ესეც გვითხრათ – როგორ, რანაირად და რის ხარჯზე? ყველაფერს ამქვეყნად ხომ ძალა განაგებს – საღვთოც და ჩვენი, ადამიანურიც. ჩხირს ვერ გადააბრუნებს კაცი, რაღაც ძალა თუ არ დახარჯა და ეს განუწყვეტელი „გაფართოება“ ისე, უბრალოდ და თავისთავად?!...

ჰოდა, მე ასტროფიზიკოსებსაც და თქვენც ყველას, ვინც მოკვდავნი ხართ სკნელი – ქვესკნელი – ზესკნელის შვილები და ამდენად დღეს, ხვალ ან, ზეგ გარდასვლა – გარდაცვალებას ვექვემდებარებით, ამ მორიგი თავსატეხის ჩემულ ახსნასა და ფორმულას გთავაზობთ: **სამყარო ფართოვდება სულთა ამ გარდასვლა – გარდაცვალებით ფიქრის სიჩქარით... ვიცი, ეს ასტროფიზიკოსები უცნაური ხალხია და შემედავებიან – ესე ადვილი არ არის სამყაროს გაფართოების ეს შენეული ახსნა, ამას ექსპერიმენტებით დამტკიცება უნდა, თეორია ხომ არ არსებობს ემპირიის გარეშე...**

მე კი მაინც ჯიუტად გავიმეორებ – სამყარო ფართოვდება ჩვენი სულების გარდასვლა – გარდაცვალებით ფიქრის სიჩქარით და ემპირიულადაც მაშინ დავამტკიცებ, როცა გარდასვლა – გარდაცვალების ჩემი ჟამი დადგება...

ფიქრი? – სადამდე და როდემდე შეიძლება ფიქრი ამ მართლაც რომ ადამიანის ყველაზე დიდ თავსატეხებზე? აქვს მასაც ბოლოსდაბოლოს დასასრული თუ არა?

მადლობა უფალს, აქვს! ყველაზე დიდი ინსტიქტი ყველა ცოცხალი არსების თვითშენახვისა და თვითგადარჩენის ინსტიქტია და ადამიანიც ამ მხრივ გამონაკლისი არაა: კაციც და კაცობრიობაც, ერიც და ბერიც ამ ინსტიქტს ემორჩილება ყველა ღონით და ყველა შეძლებით და თქვენ წარმოიდგინეთ, ახერხებს კიდევ. იკითხავთ, რით? რით და ძალიან მარტივად: თავს ანებებს სასრულობა – უსასრულობის ამ თავსატეხს და გადაუჭრელ კითხვებს, ციდან მიწაზე ეშვება და მისთვის ხელმისაწვდომ კითხვებს ეძებს, ისეთებს, რომელთა გადაჭრა მას ხელემწიფება. ეს მისთვის ყველაზე უკეთესი გამოსავალია იმ ჩიხიდან, რომლიდან გამოსვლა მის გონებას არ ძალუძს, დონ-კიხოტივით რომ ეჭიდება სასრულობა – უსასრულობის ზევით ნათქვამ ღვთიურ კითხვებს. დარწმუნდა და მისი გონებისთვის ამ მიღმურ კითხვებს თავი ანება. პრაგმატიზმიც უთუოდ ამან წარმოშვა...

ჰოდა, ციდან მიწაზე დაშვებულ ჩვენს გონს აქაც იმდენი საფიქრალი აქვს, ღმერთმა ქნას, რომ მოერიოს მათ. ამიტომაც, რომ სიზარმაცისკენ მიდრეკილ ადამიანს და მის გონს არც მაინცდამაინც მათზე ფიქრი ეხალისება. აკი, წერდა ილიაც – **„ამდენ ხალხში კაცი ვერ ვნახე, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო“** და მერე ეს ყველაფერი „საყვარელ მამულზე“ ფიქრს რომ დაუკავშირა. ამ ფიქრზე მეც მაქვს ჩემებული გააზრება:

**ღმერთო, სად არის აქ სამართალი:
ერთმა არ იცის რაზე ფიქროს,**

რა გააკეთოს,
სხვას კი რამდენი აქვს საფიქრალი...
„აყვავებული მთებიც და მდელოც“,
რამდენი დარჩა კვლავ საფიქრალი...

მაგრამ ფიქრიცაა და ფიქრიც. დააკვირდით – ფიქრი ნელ–ნელა კონკრეტდება, ციდან მიწაზე ეშვება მიწიერი სახე რომ მიიღოს. მადლობა ღმერთს, ქვეყნად ბევრია ადამიანი, რომელთა გონებასაც ეს ფიქრი ეხალისება და ხელეწიფება კიდეც. და პრაგმატიზმით შეიარაღებულმა გონებამაც შვებით ამოისუნთქა, შეეშა ცის კაბადონზე ვარსკვლავებთან შეთამაშებას და მიწიერ პრობლემებს მიეძალა ერთიანად: **„ჭეშმარიტება ის არის, რაც სასარგებლო და მისაღებია ჩემთვის“**, ამბობს პრაგმატიზმი და ყველა ჩვენთაგანი თავ–თავის სარგო და მისაღებ ჭეშმარიტებას ეძებს დღენიადაგ, იმისდამიხედვით, რა მასშტაბები და გაქანება აქვს თვითეულ მათგანს...

„შენი ჭირიმე სიკვდილო, სიცოცხლე შენით ჰყვავისო“, ამბობს ვაჟა და მისი ეს ფრთიანი ფრაზა უნდა გვარწმუნებდეს ყველას სიკვდილ–სიცოცხლის უმთავრეს არსსა და აზრს: უკდავება კაცისაც და კაცობრიობისაც მათი მუდმივი მონაცვლეობაა ამ უსასრულო დროსა და სივრცეში...

ეს სიტყვაც **„კაცი“** და მისგან ნაწარმოები – **„კაცობრიობა“**. ილიას განსაკუთრებით უყვარდა – **„კაცი“**, წერდა კიდეც – **„ქართველების საქმე მაშინ წახდა, როცა ჩვენს ენაში სიტყვა „კაცმა“ „კაცურის“ დამატებაც მოითხოვა“**. მართლაცდა „კაცს“ რაღა დამატება უნდა?!... **„კაცი“** ქართულ ენასა და ქართულ ცხოვრებაში **„პიროვნებას“** ნიშნავდა და უნდა ნიშნავდეს დღესაც. ამქვეყნად ყველა ადამიანია, მაგრამ მათგან კაცი ყველა არაა. ამიტომ დაუსვა კითხვა – ძახილის ნიშანი თავის ნოველას – **„კაცია–ადამიანი?!“** – ლუარსაბი და დარეჯანი ადამიანები არიან, მაგრამ კაცი არცერთი მათგანი არაა (მველ ქართულში ხომ, **„კაცი“** ქალსაც ნიშნავდა...).

„დიდბუნებოვანი კაცი“ – ასე უწოდებდა ილია დავით აღმაშენებელს ილია, ისე როგორც მანამდელ ბევრ ქართველს (გიორგი ათონელი – მთაწმინდელი), თუ მის შემდგომებს (თამარ მეფე, ლუარსაბ წამებული). **„უსამშობლო კაცი“** – ესეც სიმბოლური დეფინიციაა იმ ქართველთა მახასიათებლად, რომელთაც დღევანდელ გლობალიზტთა მსგავსად სამშობლოს გრძნობა და განცდა არ გააჩნდათ. მესამედასელებთან, განსაკუთრებით კი, ჟორდანიასთან პოლემიკაში, ეს წითელ ხაზად გასდევს მის წერილებს. არ უნდა ავურიოთ ეს ორი ცნება ერთმანეთში – **„დიდბუნებოვანი კაცი“** უსამშობლო ვერასოდეს გახდება და პირიქით. მესამედასელები ამიტომ არ იყვნენ **„დიდბუნებოვანები“**. კაცის ასპარეზის მასშტაბები კი სრულიად სხვაა:

სტატიაში – **„აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი“**, ილია კაცის, ადამიანის 5 ტიპს გამოყოფს და გამოაცალკევებს ამ მხრივ:

1. **„ზოგად–კაცი“** – ერის მასშტაბებს გაცილებული და ზოგად–კაცობრიულ მასშტაბებში მოქმედი და მოაზროვნე კაცი.

2. „ერის–კაცი“ ...
3. „თემის – კაცი“ ...
4. „გვარის–კაცი“ ...
5. „ოჯახის – კაცი“ ...

აბა, დავაკვირდეთ კაცის – პიროვნების ამ ჩამონათვალს, აქ ყველას თავისი ადგილი, თავისი მასშტაბები და როლი აქვთ: „ზოგად–კაცი“; – ფარნავაზის და ფარსმან–ქველის, გორგასალის და გუბაზ მეფის, პეტრე იბერის და გიორგი ათონელი – მთაწმინდელის, ბაგრატ III და იოანე მარუსიძის, დავით აღმაშენებლის და რუსთაველის, გიორგი ბრწყინვალის და სულხან–საბა ორბელიანის, გიორგი სააკაძის და ვახტანგ VI, ქეთევან წამებულის და იოანე ბატონიშვილის, სოლომონ დოდაშვილის და ალექსანდრე ბატონიშვილის, თვითონ ილიას და ვარლამ ჩერქეზიშვილის, მიხაკო წერეთელის და გრ. რობაქიძის მსგავსი ის მოღვაწენი არიან, რომელთა ასპარეზი გასცდა ეროვნულ საზღვრებს და მათი სამოქმედო არეალი რეგიონალური თუ გლობალური მასშტაბები გახდა. „ერის–კაცის“ არეალი ეროვნული მასშტაბებით შემოიფარგლება და მაღლობა ღმერთს, მათი სახელები ასობით და ათასობით შეიძლება ჩამოთვალოს კაცმა, ხოლო „თემის–კაცი“ და „გვარის–კაცი“ მილიონებია საქართველოს ისტორიის მთელ მანძილზე. რაც შეეხება „ოჯახის კაცს“, ილია მათ არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს, რამეთუ სწორედ ისინი ქმნიდნენ და ქმნიან დღესაც სოციალურ და დემოგრაფიულ წინაპირობებს ერის სამომავლო არსებობა–განვითარებისთვის.

ესეც დიდი ფილოსოფიური გააზრებაა საქართველოს ისტორიისა, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ იმისა, თუ – „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“. ეს დიდი იდეა მან მხატვრულადაც გამოხატა – „ოთარაანთ ქვრივში“, ქართული ნოველის ამ შედეგში. დავაკვირდეთ როგორ იწყებს იგი მას:

„იმ ვეებერთელა სოფელში, რომელსაც თუნდა „წაბლიანს“ დავარქმევ, ყველამ იცოდა ვინ არის ოთარაანთ ქვრივი“.

ეს ალეგორიულად შერქმეული „ვეებერთელა სოფელი“ ავტორის გააზრებით და ჩანაფიქრით საქართველოა, ხოლო მის ყველა დანარჩენ 22 თავში გადმოცემული მონათხრობი საქართველოს ისტორიის ფილოსოფიაა.

„სიკვდილის ლოდინი ღზენაა...“

და არა მარტო საქართველოსი. იგი ამასთან, კაცის, პიროვნების არსისა და არსებობის ფილოსოფიური აღქმა და გააზრებაა. ამ მხრივ ავიღოთ XVIII თავი – „უკანასკნელი განდობა“. ამ ლაკონურ და ფრთიან ფრაზას – „სიკვდილის ლოდინი

ლხენაა“, ილია ოთარაანთ ქვრივს მეწიქვილე სოსიასთან მოკლე დიალოგში ათქმევინებს...

ვინაა ეს „მეწიქვილე სოსია“, რომელიც ნოველის სიუჟეტში სულ ორიოჯერ ჩნდება, თუმცა ყოველთვის კვანძის გახსნის ჟამს, როცა მკითხველისთვის ავტორს განსაკუთრებული სათქმელი აქვს – აქ და კიდევ ბოლო, XXII თავში („წყევლა–კრულვიანი საკითხავი“). მეწიქვილე სოსია შვილის ცხედართან მარტოდმარტო დარჩენილი ოთარაანთ ქვრივის „ზარის“ მოზიარე თვითმხილველია, ნოველის ის პერსონაჟია, რომელიც არ დაემორჩილა ოთარაანთ ქვრივის თხოვნა–ბრძანებას და არ დატოვა მარტოდ ჯერ კიდევ გაუცეხელ შვილის ცხედართან. ილიას გააზრებით, მეწიქვილე სოსია საქართველოს ისტორიის ის ჟამთაღმწერია, რომელიც თვითონაც იზიარებდა მის ავსა და კარგს, მის „ოქროვან ხანაშიც“ და მის შემდგომ დამდგარ „ძნელბედობის ჟამს“. ამის არაერთი მინიშნებაა ამ თავშიც და შემდგომშიც. ამიტომაც ტკივილი გიორგიც და მისი დედაც: აი, ნოველის ეს სცენა – სიმბოლიკა:

და როცა ეგონა გიორგის ცხედართან მარტო დარჩა და „ქვითინ–ქვითინით პირქვე დაემხო შვილის გაციებულს გულს“, ჩაბნელებული ოთახის კუთხიდან „ვიღაცის ბლავილსავით ტირილის ხმა ესმა“. ვის ტიროდა სოსია? გიორგი – საქართველოსაც და ოთარაანთ ქვრივისადმი თავის უიღბლო სიყვარულსაც, გულში რომ ატარებდა საიდუმლოდ ჭაბუკობიდან. როცა ოთარაანთ ქვრივმა მჭახე ხმით შესძახა – „ვინ სოსია“–ო, პასუხად მიიღო:

„ – თუ გაგონდები, კარგი, თუ არადა, მაინც ღმერთმა გილხინოს, თუ შვილის მერმედ კიდევ სალხენი რამ დაგრჩენია ამ წუთისოფლად.

– რატომ არ დამრჩენია? სიკვდილის მოლოდინი ლხენა თუ არა გგონია!...“

ხომ ყველას ტრაგიზმად გვეჩვენება ნოველის ეს თავი, პესიმიზმისა და ამაოების გამოვლენად ამქვეყნად მოსული კაცისა, თანაც შვილმკვდარი დედისა. ეს ალბათ ასეც არის და არც არის უცნაური უკვე ცხოვრებით დაბრძენებული და შეიძლება უკვე მისგან მოყირჳებული ავტორისა. ილია ხომ ამ დროს უკვე 50 წელს გადაცილებული კაცია, ბევრი კარგიც აქვს ნანახი და ავიც...

მაგრამ ჩემი ფიქრით, ეს პრობლემა უკავშირდება იმ სულიერ და ფსიქო–გენეტიკურ ფენომენს, რასაც როგორც ჩვენთან, ისე მსოფლიო ლიტერატურაში „მსოფლიო სევდა“ ჰქვია. პეტრე იბერიდან მოყოლებული, ქართული აზრი, ქართული ფილოსოფიური სკოლა არ მორიდებია ამ თემას და ილიაც თავის წილ ხარკს უხდის მას. აი, როგორ ხსნის იგი ამ „ილაჯგაწყვეტილობას“ სტატიაში – „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“:

„მეთვრამეტე საუკუნის ვაი–ვაგლახმა და მეცხრამეტეს წეწვა–გლეჯამ ერი მოჰღალა, ქანცი გაუწყვიტა, თავის–თავის იმედი დააკარგვინა... ილაჯ–გაწყვეტილი სვენებას მიეცა... წარსულის მომხრენი დამარცხდნენ (იგულისხმება 1832 წლის

„შეთქმულნი“ – ე.ბ.) და სრულიად გაეცალნენ ცხოვრების სარბიელს, თუმცა კი გულისტკივილი მათი დარჩა თესლად ცხოვრების ხნულში...

ამიტომაც ამ ხანაში ვხედავთ სრულ უკაცურობასა..., წარსულ ანდერძებთან ერთად, ყველაფერი დაგვარგეთ, ისიც–კი დავივიწყეთ – ვინა ვართ და რისთვის ვართ, საგანი ცხოვრებისა დაგვარგეთ. ამისთანა ყოფა დიდხანს თავს ვერ შეინახავდა... და ბარათაშვილმა კაცობრიულს წყურვილს ქართველიც დააწაფა. საზღვარდაუდებელი სიგრძე–სიგანე ადამიანის აზრისა ჩვენის პოეტის სულისკვეთებას ვერ იტევს. მას სწყურს ეს საზღვარი გაარღვიოს, ... რომ დაუსრულებელი სივრცე და სამყარო მოიაროს. ბაირონის კაინმა ამისთვის ლუციფერი აირჩია, გოეთეს ფაუსტმა – მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა – თავისი „მერანი“, ესე იგი, თავისის სულის ქროლვა“.

მაგრამ ილია განსხვავებას იმაში ხედავს, რომ ბარათაშვილს მიზნად დაუსახავს კაცისა და კაცობრიობის უსასრულო გზისსავალის შემდგომი სვლაც, რათა „ჩემს შემდგომაც მოძმესა ჩემსა, სიძნელე გზისა გაუადვილდეს“. მისი „ოთარაანთ ქვრივის“ ეს საკრალური თემა – „სიკვდილის ლოდინი ლხენა“, ამის წვდომა და გააზრებაა, ოღონდ ეგაა, საქართველოს და ქართველი კაცის ლოკალურ დროსა და ლოკალურ სივრცეში. „სიკვდილის ლოდინი“ ამის დასტურია...

ეს დიდი ფილოსოფიური და ერთდროულად, ფსიქოლოგიურ – ისტორიული წვდომა მესამედის კარიბჭესთან მდგარი კოლონიური საქართველოსი ილიას პესიმიზმის და ამასთან, ოპტიმიზმის გამოვლენაა. შეიძლება უცნაურად ჟღერს ეს გაგება ნოველისა, მაგრამ ამის ახსნა მომდევნო ორი თავია („ჩატეხილი ხიდი“ და „დასაწყისი განთიადისა“): ძველსა და ახალ საქართველოს შორის „ჩატეხილი ხიდი“ უნდა გამთელდეს – ასეთია არჩილსა და კესოს დიალოგის არსი. „სიკვდილის ლოდინიც“ მაშინ გახდება „ლხენა“.

ილიას მთელი შემდგომი ცხოვრება და მოღვაწეობა ამ დიალოგის გაგრძელებაა, იმის ცდაა, რომ საქართველოს ისტორიის „ცრემლიანი ცოდნით, თუ ცოდნიანი ცრემლით“ გააგებინოს ირგვლივ ყველას, რომ ერის ხსნა და გადარჩენა „დაპირისპირებულთა ბედნიერი მორიგება და ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენებაა“. მისი ტრაგედია იყო, რომ ამის გაგება და გაგონება არავის უნდოდა „ასო–ასოდ დაჭრილს და განთვითოებულს საქართველოში“. ამიტომ იყო სიცოცხლის ბოლოს სრულ მელანქოლიას მიცემული. ძლივს დააწერინეს ფილიპე მახარაძის პასკვილზე პასუხი („ნუთუ“?). გული მისი აღარაფერს იკარებდა აღარც ავს, აღარც კარგს. ამქვეყნიური ცხოვრების განურჩევლობა და ამაოება დაეუფლა მთელ მის არსებას, აკი, როცა მისი სხეული გაკვეთეს, ექიმებმა ასე დაასკვნეს – რამოდენიმე თვის სიცოცხლედა თუ დარჩენოდა მას, ალბათ ამიტომ უთხრა აკაკიმაც გამომშვიდობებისას – სიკვდილითაც გაჯობეო...

მაგრამ მაშ, რაღა არის „სიკვდილის ლოდინის ლხენის“ მისეული ფილოსოფიის ოპტიმიზმი? აკი, ყველა ადასტურებს, ვინც კი ბოლო დღეები მასთან გაატარა წიწამურის

გასროლამდე მის ყველაზე ხშირად თქმულ სიტყვას ამ წუთისოფლად – „უმადურობა“. მაშ, რისი ოპტიმიზმი და „ლხენა“ გაჰყვა ილია – ოთარაანთ ქვრივს გიორგი – საქართველოს დამკარგავს? რა გაიფიქრა მან უკანასკნელ წამს, როცა დაამთავრა თავის სავალი გზა ყვარლის მთებიდან წიწამურამდე? ამაზე ერთი პოეტური გააზრებაც მინდა შემოგთავაზოთ ჩემი „ძველი პოეტური რვეულებიდან“:

„ – რას სჩადიხართ, ილია ვარ?!“,
შემოგვძახა უკანასკნელად,
როცა ბერდენკის ლულას
შეასწრო თვალი...

– „ რას სჩადიხართ, ილია ვარ!“,
მოგვძახის დღესაც,
როცა შეჰყურებს
ჩვენს ნაცოდვილარს
ამერ–იმერის
მთასა თუ ბარად...

კაცის ბოლო წამი, რას გაიგებს კაცი მას, სანამ არ დაამთავრდება ეს ილიასეული „სიკვდილის მოლოდინის ლხენა“. მეც მიფიქრია მის ამ წამზე... მაინც, რა მანძილია ყვარლის მთებიდან წიწამურამდე, ანდა, პირიქით – წიწამურიდან ყვარლის მთებამდე? ალბათ, არაფერი – წამის ერთი გაელვებაა ფიქრის სიჩქარით და ეს გაელვება მე მაგონებს მისი ოთარაანთ ქვრივის „სიკვდილის ლოდინს“, ასე გენიოსურად რომ გამოხატა ნოველის XXI თავში და ასეთი სიმბოლიკით რომ ამთავრებს მას:

„მართალი უთქვამთ: წუთისოფელი ზოგისთვის მამაა, ზოგისთვის – მამინაცვალი“.

თვითონაც ხომ, თავის თავზე გამოსცადა ეს ყველაფერი, ძმის ცხედართან განმარტოებული რომ წერდა პეტერბურგიდან მამიდამისს – რაც თავი მახსოვს, სიკვდილი დამდეგს თან...

მაგრამ „ლხენა“ რაღა იყო მისთვის, „სიკვდილის მოლოდინის ლხენა“?

ალბათ, ისე ლექსად რომ უთხრა თავის ქვეყანას – „აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია...“

და აქაც ფიქრი გვმართებს, დიდი ფიქრი ქართველთა დღევანდელ თაობებს: როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს "აწმყო", რომელიც არ გწყალობს და როდის უნდა შეიცვალოს იგი ჩვენი "კარგი ქვეყნისთვის" ასე საოცნებო და სანატრელი მომავლით?...

"აკაკი ჭავჭავაძე და ილია წერეთელი",

ანუ

ვიცნობთ კი ილიას?

„ოთარაანთ ქვრივს“ ილიამ თარიღად დაუსვა „6 ქრისტეშობისთვე, 1887 წელი“. მას შემდეგ გავიდა თითქმის 20 წელი მის მკვლელობამდე და მას არცერთი მხატვრული ნაწარმოები აღარ დაუწერია. ეს ფაქტიც კიდევ ერთხელ ადასტურებს: ილია მწერალი კი არა, ან თუნდაც პუბლიცისტი, თუ საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი, არამედ უპირველეს ყოვლისა, ეროვნული იდეოლოგია გახლავთ.

დიახ, 1907 წლის 30 აგვისტოს ქართველმა ინტერნაციონალისტ-კოსმოპოლიტებმა მოკლეს არა „მწერალი“, როგორც ეს აწერია წიწამურის ობელისკს დღეს, არამედ ჩვენი დიდი ეროვნული იდეოლოგი, „საერთო ნიადაგის“ თეორიის ფუძემდებელი და ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „საქართველოს მომავლის გზისგამკვალავი“. ილიას ეს ისტორიული მისია დღეს ყველას დაგვავიწყდა. ამ გლობალიზმის ჟამს რაღა დროს ილია ჭავჭავაძე და მისი ეროვნული იდეოლოგიაა, მაგრამ უბედურება ისაა, რომ იდეოლოგიასა და მის „საერთო ნიადაგის“ თეორიას ვინ ჩივის, მისი სახელიც დაგვავიწყდა. ეს ისაა, რომ ამერიკელს ვაშინგტონის, ან, ლინკოლნის სახელი დაავიწყდეს, ანდა, გერმანელს ბისმარკისა და გოეთესი. რა, მათთვის არაა გლობალიზმი?!...

გადაჭარბებულიაო, ბევრი მეტყვით, მაგრამ რაც ამასწინათ მერაბ ბერძენიშვილის „მუზაში“ მოხდა, ეს უკვე მრავლისმეტყველი ტენდენციაა, რომელიც თუ ასე გაგრძელდა, მალე ეროვნულობის კვალიც აღარ დარჩება იმ ქვეყანაში, რომელსაც „საქართველო“ ჰქვია: სკოლის დამთავრების შემდეგ მასწავლებლებმა ბატონ მერაბთან გამოსაშვები კლასის მოსწავლეები მოიყვანეს ზეიმის გასამართად და აქ ერთმანეთში ლაპარაკისას „სიმწიფის ატესტატის“ მქონე მოსწავლეებმა თავიანთი „სიმწიფისა და სიბრძნის“ დასტურად მოიშველიეს „ილია წერეთელისა და აკაკი ჭავჭავაძის“ სახელები! დიახ, სწორედ ასე ახსოვთ ჩვენს ახალ თაობებს ჩვენი სალოცავი და სადიდებელი წინაპრების სახელები! ესეც თქვენი განათლების რეფორმა?!...

„უწიგნურთა თაობა“ – აი, შედეგი ლომია-შაშკინების რეფორმებისა. თუმცადა, რას ვერჩით მათ, როცა ქვეყანას ისეთი პრეზიდენტი ჰყავს, რომელსაც ერთი სტროფის სწორად თქმაც კი არ შეუძლია ქართული პოეზიიდან, ილიას დიდი სურათის ქვეშ

მჯდომს, წარმოდგენა არა აქვს მასზე და მასთან ერთად ჩვენს ეროვნულ მემკვიდრეობაზე. ფსევდონაციონალიზმი და პათოლოგიზმი მეტი რაღა გნებავთ...

ცუდი მაგალითი გადამდებია და უწიგნურობა და ეროვნულობიდან განდგომა საყოველთაო სენად იქცა. რისი ილია, რა ილია, რაღა დროს ილიაა ამ გლობალიზმის ჟამს...და დატრიალდა პარადოქსების კორიანტელი. „ილიას უნივერსიტეტში“ ილია მოსისხლე მტერივით სძულთ – მეტი პარადოქსი, ფსევდონაციონალიზმი და პათოლოგიზმი რაღა გინდათ?!... თუ უვიცობაა უვიცობა იყოსო და ეს ჩვენი ახალი თაობებიც დღედაღამ კომპიუტერებზე მიბმულები ილიას კი არა, მალე ქართულ ენასა და წერა-კითხვასაც დაივიწყებენ... პირველი კლასიდანვე ხომ, ამის შესატყვისი სასწავლო პროგრამებს ვთავაზობთ, თანაც უცხოეთიდან მოწვეული „პედაგოგებით“... ბავშვის ფსიქიკის, მისი მომავალი სულიერი თუ ფიზიკური აღზრდის დამახინჯება და გაუკუღმართება მეტი რაღა გინდათ. „უცხო ბაბის მონობა“ – ასე უწოდებდა ამ მესამედასურ სინდრომს ილია...

დიახ, ბატონებო, უნდა ვაღიაროთ, რომ ილია არ ვიცით არათუ მისი იდეოლოგიით, იმიტომ, რომ იგი „მომავალი საქართველოს გზამკვლევა“, ანდა, თუნდაც ზედაპირულად, როგორც მწერალი, არამედ უკვე გვარ-სახელითაც. აი, თუ გნებავთ, გავაჩეროთ ქუჩაში 10 კაცი და შევეკითხოთ – რა არსი, მიზანი და დანიშნულებაა მისი ერთ-ერთი პოლემიკური შედეგის „ქვათა ღაღადის“ – ვისაც წაკითხული აქვს, ალბათ ათივე გეტყვით – იგი ანტისომხური ნაწარმოებია! არადა, „ქვათა ღაღადი“ ქართველთა და სომეხთა, საქართველოსა და სომხეთის კეთილმეზობლური ურთიერთობისკენ მოწოდებაა და მიმართულია „რუს და სომეხ ცრუმეცნიერთა ერთგვარი გუნდის“ წინააღმდეგ, რომელსაც მტრობისა და შუღლის ჩამოგდება განუზრახავს ამ ორ ხალხს შორის. ყურადღებით წავიკითხოთ თუნდაც მისი დასაწყისი და დასკვნა და ამაში ადვილად დავრწმუნდებით. დღესაც სწორედ ამას გვეტყოდა ილია...

ამ „საუბრების“ ერთ-ერთი დანიშნულებაც ისაა, რომ ვინძლო ჩვენმა მომავალმა თაობებმა არ დაივიწყონ ვისი და რისი მემკვიდრენი ვართ. მემკვიდრეობითობა ხომ უნივერსალური ზოგად-სოციოლოგიური კანონია და როგორც კი დავივიწყებთ და მოვწყდებით მას, აკაკის „ღამურას“ როლში აღმოვჩნდებით უმაღლეს. გლობალიზმი განსაკუთრებით მწვავედ აყენებს ამ პრობლემას. საუკუნეებიდან და ათასწლეულებიდან გადმოცემულ ჩვენს ეროვნულ კულტურას, ცხოვრების ქართულ წესს და ტრადიციებს გაფრთხილება უნდა. ილია, მისი მხატვრული თუ პუბლიცისტური მემკვიდრეობის შესწავლა და დაუფლება არის ამის ყველაზე კარგი საშუალება. მთავარია სწორად აღვიქვათ ყველაფერი ეს. ავიღოთ კვლავ „ოთარაანთ ქვრივი“...

„ოთარაანთ ქვრივი“ უკეთეს შემთხვევაში გვესმის როგორც გიორგისა და კესოს უიღბლო სიყვარული, „ხიდჩატეხილობა“ წოდებებს შორის, არადა, იგი საქართველოს ისტორიის მთელი ფილოსოფიურ-მხატვრული განზოგადოებაა, ადამიანის და მასთან ერთად, მთელი კაცობრიობის ზნეობრივი დანიშნულების გადმოცემა. ეს ყველაფერი

წითელ ზოლად გასდევს მის ოცდაორივე თავს, ის, რასაც თვითონ იგი „წყველა–კრულვიან საკითხავს“ უწოდებს ბოლო შემაჯამებელ თავში.

„წყველა–კრულვიან საკითხავს“ რა გამოლევდა მაშინ, როცა უკვე აშკარა გახდა მესამედასური მტრობისა და სიძულვილის მოძალემა. ილია ინტუიციით გრძნობდა მის დამღუპველ ძალას და ამიტომაც იყო, რომ თავისი „ივერია“ მთლიანად სიძულვილის ამ ფილოსოფიის წინააღმდეგ წარმართა. თუ ყურადღებით გავეცნობით „ივერიის“ მასალებს ამ მიმართებით, მის ყველა ნომერში მოწოდებაა ქართული საზოგადოების მიმართ წინ აღდგომოდნენ დაპირისპირებისა და მტრობის ამ დამღუპველ გზას. მხატვრული ფორმით ეს მოწოდება ყველაზე მკვეთრად პირველად „ოთარაანთ ქვრივში“ გაისმა...

მაინც რისი თქმა უნდა ილიას ამით? სად იყო მისი ფიქრთა მდინარემა მაშინ? „ოთარაანთ ქვრივი“ ხომ 5 დღეში სულის ერთი მოთქმით დაწერა და რა ამოდრავებდა, რა გვითხრა ჩვენც და თავის თავსაც მან?

ცნობილი ფაქტია – ილია შემთხვევით არაფერს წერდა არც მხატვრულ ლიტერატურაში და არც პუბლიცისტიკაში. არც ერთი და იგივე თემასა და პრობლემაზე უყვარდა განმეორებით წერა. ეს ნოველაც, ისე როგორც პოემები – „აჩრდილი“, „განდეგილი“ და „მეფე დიმიტრი თავდადებული“ და „ქართველის დედა“ შემდგომში 90–იანი წლების და XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებული „საერთო ნიადაგის“ თეორიის მხატვრული გადმოცემაა.

ნოველის პირველი თავები მისი მთავარი მოქმედი პირების – ოთარაანთ ქვრივის, გიორგის, არჩილის და კესოს პერსონოლოგიური დახასიათებაა, ქართველი კაცის ფსიქოლოგიური ტიპაჟის გადმოცემა, ხოლო ბოლო თავები ყოველივე ამის ფილოსოფიური განზოგადოებაა. ეს განსაკუთრებით XVIII–XXII თავებზე ითქმის. ჩვენ რატომღაც ყოველთვის ყურადღებას ოთარაანთ ქვრივის ტიპაჟზე ვამახვილებთ, მაგრამ ნოველის მთავარი გმირი მაინც გიორგი – საქართველოა. მასში ილიამ საქართველოს და ქართველი კაცის მთელი ტრაგიზმი გადმოსცა მხატვრული და ამათან, ისტორიული გააზრებით...

ავიღოთ V თავი – „დედა–შვილობა“. „ამათ დედა–შვილობას ბევრი შენატროდა. დედაც შეჰხაროდა თავმოწონებით შვილსა. დედამიწის ზურგზედ ამის მეტი სხვა სიხარული და ლხენა არა ჰქონდა–რა“ ანდა, VI თავი – „გიჟია თუ რა?“, სადაც გიორგის – ქართველი კაცის მთელი ზნეობრივი ძალა და მადლია გადმოცემული. ეს ყველაფერი სრული ძალით იშლება არჩილთან და კესოსთან ურთიერთობაში, ისევე როგორც მისი დიდი სამეურნეო და საქმიანი გერგილიანობა, ასე რომ იშვიათი თვისება გახდა კაპიტალიზმის ეპოქის ქართველი კაცისთვის. თავიდანვე – ილიას მტრებიც და მეგობრებიც ერთხმად წერდნენ – ოთარაანთ ქვრივის პერსონა ეს ილიას პიროვნებაა და აქაც, ისე როგორც ლექსში – „ლოცვა“, ილიამ იწინასწარმეტყველა თავისი ამქვეყნიური

ცხოვრების ტრაგიკული დასასრული თავის პირმშო გიორგი – საქართველოს ტრაგიზმს რომ გადაენასკვა სისხლ–ხორცეულად...

ასეთი სიმბოლიკებით სავსეა ქართული ნოველის ეს შედეგრი „ვეებერთელა სოფელ წაბლიანიდან“ და „ხუთი ქისის“ თეორიით დაწყებული და „ზარით“ და „წყევლა–კრულვიანი საკითხავით“ დამთავრებული. მთავარია რომ მკითხველი ჩასწვდეს მათ დიდ ზოგად–სოციოლოგიურ და ფილოსოფიურ არსს. ამისათვის საჭიროა, როგორც თვითონ ილია უკიჟინებდა ხშირად თავის მესამედასეულ ოპონენტებს – „კარგად წაკითხვა წასაკითხისა“ ... ავიღოთ თუნდაც XX თავი – „დასაწყისი განთიადისა“ ... – „ახალი ქართველების“ ტიპაჟების, – არჩილისა და კესოს დიალოგი, საქართველოს ისტორიის ფილოსოფიის, ანუ, დღევანდელი ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, ქართული პოლიტოლოგიის მრავლისმეტყველი გააზრებით რომ არის გაჟღენთილი:

„ – გიორგი მთელი წიგნი იყო, მთელი წიგნი ცხოვრებისა... წინ გადაგვეშალა ეს წიგნი და ვერ წავიკითხეთ...

– შენი ტირილი მიხარია. მეც ვიტყვებდი, რომ მარტო უკან ვიხედებოდე... იქ, უკან, ბნელა, ღამეა...

– არჩილ, წინ რაღაა, წინ?...

– ეგ ცრემლიანი ცოდნა..., თუ ცოდნიანი ცრემლი უკან სწვავს და ჰბუგავს, წინ ნამავს და ამწვანებს... იგი შუქია წინასი და შუქი კი დასაწყისია განთიადისა...“.

ანდა, ავიღოთ, ბოლო ორი თავი. აქაც საოცარი მხატვრული აღქმა და ფსიქოლოგიური გააზრება კაცისაც, ღმერთისაც და საქართველოსიც. აღელვებისა და ემოციების გარეშე ვერ წაიკითხავს კაცი მათ. „ემახის“– მაგრამ ვინ ვის, ანდა, რას ემახის? აქ იმდენი სიმბოლიკებია, „კარგად წაკითხვის გარეშე“ თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს კაცი. სასიკვდილოდ გამზადებული ოთარაანთ ქვრივი აქ აშკარად გაორებულია. ილია ნათლად მიუთითებს, რომ ოთარაანთ ქვრივი კი მიდის თავის გიორგისთან სასაფლაოზე, მაგრამ მის სახლში „ვიღაც“ რჩება. ეს სწორედ რომ დიდი სიმბოლიკაა სიცოცხლის გაგრძელებისა და უკვდავებისა. ილიას ძალაც და სიდიადეც ამაშია. მან იცის, რომ ჩვენი არ იწყება და არ მთავრდება საქართველო. მაგრამ „ვინ“ რჩება?...

დავაკვირდეთ კარგად, ილიაც ოთარაანთ ქვრივის, ანუ, თავის თავის სიცოცხლეს გიორგის საფლავზე არ ამთავრებს! აქ, საამქვეყნოში „ვიღაც“ რჩება, ვიღაც აგრძელებს სიცოცხლეს „წაბლიანში“, რომ ბოლოსდაბოლოს განთიადი დადგეს. აი, მთავარი სიმბოლიკა ამ XXI თავისა... ეს სიმბოლიკა ორგანულად ერწყმის ბოლო – XXII თავს – „წყევლა–კრულვიანი საკითხავი“.

რას ფიქრობდა ილია, როცა ამ თავს წერდა? ის მაშინ 50 წლის კაცი იყო, დაღვინებულ–დაბრძენებული ცხოვრების მდიდარი და ყოველმხრივი გამოცდილებით და ამიტომ აქ ფაქტიურად შეჯამებულია ყველაფერი მანამდელი ნაფიქრ–ნაღვაწი

მხატვრული ფორმით. თანაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმავე ხანებში დაიწერა მისი განთქმული „ცხოვრება და კანონი“, ამჯერად პუბლიცისტური და პოლემიკური ფორმით, ასევე „წოდებათა თანასწორობა“, რომელიც „ივერიაში“ 1888 წლის 2 ნოემბერს არის დაბეჭდილი და სადაც შეჯამებულია ეს 50-წლიანი ნაფიქრ-ნაღვაწი. იქ ვკითხულობთ:

„ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, გონებრივი თუ ქონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად, დიდ-პატარობის გაურჩევლად ერთიანის მეცადინეობით და გარჯით ჰსცდილობს ცხოვრების გზა გაიკვალოს ... ცალკ-ცალკე წევა ცხოვრების უღელისა, ცალკ-ცალკე ხვნა და თესვა, ცალკ-ცალკე თლა ლხინისა თავისკენ და ჭირისა სხვისკენ, მარტო თავის თავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთობო ცხოვრებისა და საცა ეგ ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვია.

ტყუილად ჰფიქრობენ, ვითომც კაცთა ურთიერთობაში შესაძლებელი იყოს რომელიმე წოდებამ ცალკე ბინა გაიკეთოს, ცალკე ინტერესები შემოიღობოს, შემოიფარგლოს და ამით რაიმე ხეირი და სიკეთე ნახოს. საბოლოოდ ამისთანა წყობა და აგებულება საზოგადოებისა თუ ერისა, დიდხანს თავს ვერ გაიტანს...“.

„წყევლა-კრულვიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში“ სწორედ ის არის, რომ ყველა „ცალკ-ცალკე იკეთებს თავის ბინას“, ცალკე-ცალკე „ითლიან ლხინს თავისკენ და ჭირს სხვისკენ“. ეს ეხება არა მარტო სოციალურ სფეროს და არა მარტო ქართულ ცხოვრებას, არამედ „კაცთ ურთიერთობის“ უფრო ფართო მასშტაბებს. ილია ხომ, ვიწრო – ეროვნულ ჩარჩოებში არასოდეს იკეტებოდა, მისი გონება და აზრის სიღრმე უფრო შორს და ღრმად იხედებოდა...

დიახ, მისი ფიქრი საქართველოს გარდა, კავკასიასაც და მთელ მსოფლიოსაც წვდებოდა, მსოფლიოს, რომელიც იმ დროს დიდი სისხლისღვრებისთვის ემზადებოდა... არტურ ლაისტი იხსენებს – საათობით შეეძლო ამ პრობლემებზე კამათი, ხოლო როცა განმარტოვდებოდა, ეს იყო მისი ფიქრი, ფიქრი და ფიქრი... ილიას ცხოვრების ამ ლაისტისეულმა შტრიხმა მიბიძგა პოეტურად გამოვხმაურებოდი მას:

ადრეც შევთანხმდით:

ადამიანს შეუძლია ყველაფერზე

უარი თქვას, ფიქრის გარდა...

ერთი სიტყვით, გინდა არ გინდა

უნდა იფიქრო...

ჰოდა, მეც ვფიქრობ,

და მინდა რომ თქვენც დაგაფიქროთ...

ზოგ-ზოგს ჰგონია,

რევოლუცია ქუჩით იწყება,

ქვეყნის ბედი ქუჩაში წყდება...
ნურას უკაცრავად,
რევოლუციაც, ახალი ცხოვრებაც
ფიქრით იწყება, ფიქრით მწიფდება,
ოღონდ ფიქრით, როგორც მთის წყარო,
სუფთა, ანკარა,
შეურყვნელით და წაუბილწავით...

ილიას ფიქრიც ასეთი იყო, მაგრამ ისე როგორც ჭაბუკობისას, ახლაც „კაცი ვერ ნახა“, რომ ეს ფიქრი გაენდო და რაც მთავარია, საქმედ ექცია „ახალს ნერგზედ ახლად შობილი ქვეყნის“ სამომავლოდ და საკეთილდღეოდ. ანდა, რას ნახავდა, ან, ვის ნახავდა, როცა მესამედასური საქართველო სატანას გზას ადგა ერთიანად...

ამ სატანის გზამ და „უცხო ბაძის“ მონობამ ასაზრდოვა „ძნელბედობა“ ლაშა გიორგის „რინდთა პარტიიდან“ დღემდე – ე.წ. „ნაციონალიზმამდე“. ამიტომ ვიზიარებ ქ-ნ ნონა გაფრინდაშვილის აზრს, რომ მათ ეს სახელი უნდა ჩამოერთვათ, რამეთუ მათ ნაციონალიზმის არაფერი სცხიათ...

ილია და კავკასია:

სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს...

უკვე ვთქვით – ილიას ფიქრი და განსჯა მარტო ეროვნულით არ იყო შეზღუდული და შემოფარგლული. მან კარგად იცოდა, რომ მსოფლიოში დაწყებული ყოვლისმომცველი ინტეგრაციული პროცესები მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა მისი ქვეყნის სამომავლო ბედს. მსოფლიო ისტორიისა და მისი განვითარების უზადლო მცოდნემ იცოდა, რომ ძველი და ახალი იმპერიების ქართველებში გამოვლილ საქართველოს ფეხი უნდა აეწყო ამ პროცესებისთვის...

იგი, როგორც რეალისტი პოლიტიკოსი, დასავლური ორიენტაციის მომხრეა, მაგრამ ამასთან, არ ივიწყებდა, რომ დასავლეთთან ერთად, არსებობდა ჩრდილოეთი, სამხრეთი და აღმოსავლეთიც. „ივერიის“ მისი განთქმული რუბრიკა – „საპოლიტიკო მიმოხილვა“, სავსეა ამის შესატყვისი მასალებით. მას არასოდეს ავიწყებოდა, რომ ჩვენ ოთხი რეგიონის ქვეყანა ვართ და კავკასია, შავი ზღვისპირეთი, ახლო აღმოსავლეთი და კასპიისპირეთი ქართული პოლიტიკის მთავარი საფიქრალი იყო ოდითგან...

მას შემდეგ, რაც რუსეთმა საბოლოოდ დაიპყრო კავკასია, ილიას გაუჩნდა დიდი იდეა, რომ საქართველოს, როგორც ისტორიულად კავკასიურ ქვეყანას, მაქსიმალურად ესარგებლა ამით. იგი ამას ორი მთავარი სტრატეგიული მიმართულებით მოიაზრებდა: ერთი მხრივ, კავკასიაში თავისი ძველი დომინანტური როლის აღდგენით და

განვითარებით ახალ ისტორიულ პირობებში, კავკასიელ ხალხებთან თავისი კეთილმეზობლური „კონაღური ურთიერთობის“ განმტკიცებით და მეორე მხრივ, ეკონომიკური ურთიერთობების და ინტეგრაციული პროცესების საფუძველზე თავისებური „კავკასიის საერთო ბაზრის“ ფორმირებით, სადაც საქართველოს, როგორც შავი ზღვისპირა ქვეყანას შეეძლო თავისებური შუამავალი გამხდარიყო ევროპასთან და დანარჩენ მსოფლიოსთან კავკასიის სამომავლო ინტეგრაციაში.

აქ ილია და მაშინდელი ეპოქის ერთ-ერთი დიდი ქართველი მოაზროვნისა და მოღვაწის – ვარლამ ჩერქეზიშვილის პოზიციები სრულ თანხვედრაშია. ამიტომ იყო, რომ „ივერიის“ ფურცლებზე ილია გამუდმებით ბეჭდავდა ევროპაში მოღვაწე ჩერქეზიშვილის წერილებს და სტატიებს ამ მიმართებით. („ივერიის“ სტატიების ციკლი – „წერილები ინგლისიდან“, 1893 – 1902 წლები). აქ ბევრი საინტერესო იდეაა საქართველოსა და კავკასიის მომავალი პოლიტიკური და საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების პრობლემათა ირგვლივ. ამ თემაზე მე ცალკე მონოგრაფიაც გამოვეცი, აქ კი ვიტყვი, რომ კავკასიის პრობლემების კვლევა დღეს უფრო საშური საქმეა და ჩვენი ინტელექტუალური ძალების ვალია მათი შემდგომი კვლევა სწორი სამომავლო სტრატეგიის შესამუშავებლად გლობალიზმის მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით.

„კავკასიის საერთო სახლის“ ძველი ლეონტი მროველისეული იდეა ამ ათასი წლის წინ დავით აღმაშენებელმა და მისმა მემკვიდრეებმა საქმედ აქციეს „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდგან არეგაწამდე“. ეს იყო ფაქტიურად კავკასიის ფედერაცია, ზოგიერთმა ქართველობის მოძულე ვაი-თეორეტიკოსებმა „მცირე იმპერიად“ რომ მონათლეს სრულიად უსამართლოდ: ჩვენ წინაპრებს ეყოთ პოლიტიკური სიბრძნე, რომ ეს ყველაფერი იმპერიული ძალმომრეობით კი არ შეექმნათ, არამედ ხალხთა თანასწორობისა და ტოლერანტიზმის საფუძველზე. ევროპაშიც კი, ეს დღეს ბევრს დაუჯერებლად მიაჩნია, მაგრამ ფაქტს საით გავექცევით. ამიტომ წერს ილიაც კანონიერი სიამაყით:

„... დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ დიდბუნებოვან კაცობითაც. იგი, თავდადებული მოყვარე თავისი ეროვნებისა და მართლმადიდებელი სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა... ამისთანა სხვა ერის ღირსების პატივისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჰმელადაც არა ჰზოგავდა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან!“

მართლაც რომ საკვირველი მაგალითია და ჩვენი ეროვნული ხასიათის და ცხოვრების ქართული წესის ამ მდიდარ მემკვიდრეობას კვლავაც შეუძლია თავისი სიტყვა თქვას ახალ ათასწლეულში. ივიწყებ წარსულს, ჰკარგავ მომავალს და ასე რომ არ მოხდეს, ამ მხრივაც საჭიროა ისტორიის იმ კლასიკური ფორმულის ერთგულება, რაც

ილიამ ასე ლაკონურად და ამასთან, ღრმააზროვნად გამოხატა – „**რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ**“.

საქართველოს ისტორიის და ამასთან, ქართული პოლიტოლოგიის ეს კომპლექსური ფორმულა გვავალდებულებს საქართველოს და კავკასიის როლის ახლებურ გააზრებას თანამედროვე პირობებში. ზბიგნევ ბჟეზინსკი მონოგრაფიაში – „**დიდი საჭადრაკო დაფა**“, კავკასიას „**ევრაზიური ბალკანეთის**“ ტრაგიკულ როლს უწინასწარმეტყველებს. აქ მას საილუსტრაციოდ გარკვეული სქემებიც კი მოჰყავს. ეს მონოგრაფია XX საუკუნის ბოლოს დაიწერა და თითქმის მას შემდეგ გასული წლები ადასტურებენ ამ არცთუ ჩვენთვის სახარბიელო პოლიტოლოგიურ პროგნოზს. მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს გადაჭარბებული პესიმისტური დასკვნაა. ამის შესახებ ვრცელი და არგუმენტირებული ანალიზი მოცემული მაქვს 1998 წლის მონოგრაფიაში – „**ილია და საქართველო**“. აქ მოკლედ გადმოვცემ მას:

ისე როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე კავკასიაშიც ყველაფერი დამოკიდებულია პირველ რიგში, ჩვენს სწორ პოლიტიკურ სტრატეგიაზე როგორც მთლიანად ჩვენი რეგიონის მიმართ, ისე განსაკუთრებით ამ რეგიონის მთავარი მოთამაშის – რუსეთის მიმართ, რომელსაც ბჟეზინსკი ამ მონოგრაფიაში მთელ თავს უძღვნის მეტად სიმბოლური სათაურით – „**შავი ხვრელი**“. მაგრამ ის, რაც ამერიკელი პოლიტოლოგისთვის „**შავი ხვრელია**“, ჩვენთვის დიდი და ძლიერი მეზობელია. ილია ყველაზე ღრმად ჩასწვდა ამ რეალობას და მის ისტორიულ როლს საქართველოს და კავკასიის სამომავლო განვითარებისთვის აი, რას სწერს იგი ამ პრობლემაზე 1881 წელს:

„**რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, სადაც სხვადასხვა ტომის და ერის ერნი სცხოვრობენ და მერე ისე, რომ თავიანთ მამა-პაპეულ მიწა-წყალზედ შეჯგუფულნი არიან და არა შიგა და შიგ გაფანტულნი. ამიტომაც ერთს უდიდეს საპოლოტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვადასხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოაწყონ შინაობაში სათითაოდ, და მეორე – როგორ უნდა მოთავსდნენ სახელმწიფოსთან. დიდი ხანია მოსალოდნელი იყო ყველა თვალხილული კაცისათვის, რომ დღესა თუ ხვალე ეს ფრიად რთული და მძიმე საგანი მთელი თავისის სიგრძით და სიგანით წინ აღუდგებოდა რუსეთს**“.

ილიას ესმის, რომ ამერიკისგან განსხვავებით, სადაც „**სხვადასხვა ტომისა და ერის ერნი**“ საერთო – სახელმწიფოებრივმა ინტერესებმა ერთმანეთს კი არ დააპირისპირა, არამედ პირიქით – ერთიანი და ძლიერი სახელმწიფო ორგანიზმი შექმნა „**ახალ სამყაროში**“, რუსეთის იმპერიაში ეს არ მოხდა. ამერიკის შეერთებული შტატების ფორმირება ეს უპრეცედენტო მოვლენა იყო მსოფლიო ისტორიაში – სახელმწიფოს მიერ ახალი ერის შექმნა და არა როგორც ხდება ხოლმე – ერის მიერ სახელმწიფოს შექმნა. ილია შეფარვით იმ აზრს ანვითარებს, რომ „**უმეცარი რუსი მოხელეების ხელში**“, რომლებსაც თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნიათ სხვა ერთა დევნა – შევიწროება,

ეს გამორიცხულია. ამიტომ მომავალში ასეთი პოლიტიკა „კიდევ უფრო მძიმეს გახდის“ ამ საკითხს...

ეს განსაკუთრებით კავკასიის ეთნიკურად და რელიგიურად მეტად რთულ რეგიონს ეხება, სადაც რუსეთის ასიმილაციური პოლიტიკა განსაკუთრებულ წინააღმდეგობას ხვდება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ილია „კავკასიური ომების“ მეტად ხანგრძლივი ეპოქის შვილია, რომელიც მთელი XIX საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა. მისი პოემაც – „ქართველის დედა“, სწორედ შამილას აჯანყების ფონზეა გაშლილი. აქ „კავკასიის ერთობისა და თავისუფლების“ მრავალ მხატვრულ გააზრებას ვხვდებით. აი, თუნდაც ეს:

„ჩემი მამული, საქართველო, დღეს მიცოცხლდება!
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,
კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს,
და ეგ ფიქრია მთელი კავკასიის თავისუფლება!
დიდია ხალხი, როს ეგ გრძნობა წინ წარუძღვება!“

პიესის ფორმით დაწერილ პოემის ქვესათაურშიც – „სცენები მომავალი ცხოვრებიდან“, დიდი სიმბოლიკაა, ისევე როგორც ეპიგრამად აღებულ ცნობილ ფოლკლორულ შედევერში:

„გაგვიძეხ ბერო მინდიაგ,
მუხლი მაიბი მგლისაო,
გაიყოლიე უმცროსნი,
ვისაც თავი აქვს ცდისაო“.

ეს 1860 წელს პეტერბურგში დაწერილი პოემა და კავკასიელ მთიელთა აჯანყებით აღფრთოვანებული ილიას მთელი სიმპატიებიც მათ მხარესაა, მაგრამ რეალისტი მოაზროვნე და პოლიტიკოსი მალე მიხვდა: „ჰკა მაგას“ პოლიტიკა რუსეთის დესპოტიზმის, სისხლიანი და დაუნდობელი იმპერიული პოლიტიკის პირობებში ქართველებსაც და სხვა კავკასიელ ხალხებსაც გადაშენებას უქადდა. ცეცხლით და მახვილით მოსული თავიდანვე გენოციდის გზას დაადგა. მის დაბადებამდე და მის შემდეგაც მომხდარმა განუწყვეტელმა და უშედეგო აჯანყებებმა საქართველოშიც და დანარჩენ კავკასიაშიც „სავალი გზების“ შეცვლის აუცილებლობაში დაარწმუნა. სხვანაირად ასრულდებოდა გენერალ ერმოლოვის შოვინისტური ლოზუნგი – „კავკასია კავკასიელების გარეშე!“...

„კავკასია კავკასიელებისთვის!“ – ასეთია ილიას პასუხი, მაგრამ სულ სხვანაირი პოლიტიკური სტრატეგიით და ტაქტიკით, ვიდრე ეს ალექსანდრე ბატონიშვილს და შამილს, ანდა, 1832 წლის შეთქმულების ორგანიზატორებს და იდეოლოგებს ჰქონდათ. ტოლერანტიზმი და მშვიდობიანი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო აღმშენებლობა წაიყვანდა საქართველოსაც და კავკასიასაც ერთიანობისა და საერთო-საკაცობრიო იდეალებისაკენ.

ილიას სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა ჩასწვდა იმ ჭეშმარიტებას, რომ რუსეთს მაშინ მოუგებ ომს, როცა მას არ ეომები. პოლიტიკაც ჭადრაკის თამაშს ჰგავს და საბოლოო ჯამში იგებს ის, ვინც მოწინააღმდეგეზე უფრო შორს, ღრმად და სწორად თვლის. ამ საფუძველზეა აგებული მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია, ამ თეორიის ორ ათეულზე მეტი სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპები. ამიტომ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია დღესაც ამ ორმოცი წლის წინ დაფუძნებულ „ილიალოგთა კლუბს“ ამ თეორიის გამოყენებითი პოლიტოლოგიური კვლევა ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის აუცილებელ წინაპირობად...

კავკასიური პრობლემატიკის თვალსაზრისით ეს „საერთო ნიადაგი“ გარკვეულ ობიექტურ წინამძღვრებს ეფუძნება. ეს პირველ რიგში, ერთიანი იბერიულ-კავკასიური ეთნო-გენეტიკური საფუძველია, ათასწლეულებიდან რომ იღებს თავის ისტორიულ ფესვებს. ივანე ჯავახიშვილმა და არნოლდ ჩიქობავამ მეცნიერულად დაამტკიცეს კავკასიელთა ეს ისტორიულ-ლინგვისტური და კულტურული ერთიანობა. ამ ტრადიციასაც გაგრძელება და განვითარება უნდა.

გაგრძელება და განვითარება უნდა ილიას კავკასიელთა სოციალურ-ეკონომიკური ერთობის იდეასაც. ადრეც ვთქვით, ვარლამ ჩერქეზიშვილის, ისევე, როგორც სხვა ქართველი ფედერალისტების – არჩილ ჯორჯაძის, მიხაკო წერეთელის, გიორგი გოგელიას და სხვების, აგრეთვე, ნიკო ნიკოლაძის ერთიანი კავკასიური ორგანიზმის შექმნის იდეებს ახალი გააზრება სჭირდება XXI საუკუნის ახალ რეალობებში. ყველა რეალურად მოაზროვნე ადამიანი დამეთანხმება, რომ ეს ყველაფერი რუსეთის გარეშე არ მოხერხდება. ამას სხვათაშორის მაშინაც ხაზს უსვავდა ნიკო ნიკოლაძე, როცა კავკასიის რუსეთთან ეკონომიკური ინტეგრაციის, „**რუსეთის უკიდუგანო ბაზრის**“ დიდ მნიშვნელობაზე ლაპარაკობდა. სხვანაირად ერის მწარმოებელი ძალები და მაშასადამე, ეროვნული ეკონომიკაც ვერ განვითარდება...

გლობალიზმის პირობებში ეს პრობლემები სულ უფრო აქტუალური გახდება. თანამედროვე მსოფლიოც სულ უფრო გახსნილი ხდება და ალბათ, სულ მალე თავისებური „**უსაზღვრებო მსოფლიო**“ შეიქმნება. მხოლოდ ეკონომიკა და კულტურა განსაზღვრავს ჩვენი ერისა და ქვეყნის მომავალი განვითარების ბედს. ამ ათასწლეულში მხოლოდ ის ერი გადარჩება და იცოცხლებს, რომელსაც ამის პოტენციალი აქვს და მას გამოიყენებს... აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ტოლერანტიზმს – რელიგიური და ეროვნული შემწყნარებლობის იმ ტრადიციებს, რომლებზეც ჩვენ ადრეც შევჩერდით. ჩვენმა ისტორიულმა განვითარებამ ისე ინება, რომ იმპერიებთან ჭიდილში ეს ეროვნული ხასიათი ცხოვრების წესად გვექცა. მიდიიდან მოყოლებული ცხრა იმპერია გამოვიცვალეთ და ეს ყველაფერი თვითმენახვის თავისებურ სულიერ და ფსიქიკურ რეფლექსად გვექცა...

ბოლო იმპერიებმაც შაგრენის ტყავით ისე დაგვამცრო, რომ სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ქვეყნის ისტორიულ ტერიტორიას საკმაოდ დიდი ნაწილი ჩამოათაღეს. რელიგიურადაც ქართველობა დანაწილდა და საერთო – მართლმადიდებულ საწყისებს მნიშვნელოვანი ნაწილი გამოაკლდა. კავკასიაც უპირატესად მაჰმადიანური სამყარო გახდა და ყველაფერი ეს ჩვენს ტოლერანტულ ბუნებას დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. სტატიაში – „ოსმალის საქართველო“ ილია წერს:

„ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს... თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულობას, თვის ვინაობას...

„ივერიის“ წარსულ ნომერში მოხსენიებულს ნაწილებს ოსმალის საქართველოსას დიდი პატივსაცემი და სახელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ერის ისტორიაში... პირველად ქრისტიანობამ აქ მოიკიდა ფეხი, მაშინ როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ კერპთაყვანისმცემლობა სუფევდა ქრისტეს აქეთ პირველ საუკუნეში...

„ეგრეთ, – მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით მოსილმა საქართველოს შავმა ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები – ერთად სისხლისმღვრელნი, ერთად ღვაწლის დამადებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოღბინენი... სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს..., ოღონდ მოვიდეს ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კვლავ შევუერთდეთ“.

მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა ერთობის ილიას იდეამ პირველად აქ გაიჟღერა, ისე როგორც კავკასიელ ხალხთა ერთობისაც. ცნობილია თუ რა დიდი როლი ითამაშა ამ იდეამ აჭარის დედა – სამშობლოსთან შემოერთების ჟამს. 80-იანი წლების „ივერიის“ ნომრები სავსეა აჭარელი მაჰმადიანი ქართველებისადმი სოლიდარობისა და თანაგრძნობის წერილებით. ილიას აღმფოთებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა აქა-იქ გაიჟღერებდა „აჭარელი თათრების“ ზეწოდების პრეცედენტები, მაგალითად, როცა აჭარის დამშეული მოსახლეობისათვის დახმარებისას ზოგიერთმა ვაი-ქართველმა მის მიერ წამოწყებულ კამპანიას თავისებური ობსტრუქცია გამოუცხადა და აჭარლებმაც ოსმალეთში გაქცევა დაიწყეს, ილიას აღმფოთებას საზღვარი არ ჰქონდა:

„ეს რა ამბავია, რა ამბავია! ადამიანი კიდევ ადამიანია ქვეყანაზედ, თუ განადირდა, გამხეცდა, რომ გვერდით ადამიანს ვეღარ იშვნიკვს, ვეღარ ითვისებს?!... რაო, რა ამბავია – მოჩვენებაა შეშინებულის გონებისა, თუ მართლა მართალი ამბავია? სად მირბის ხალხი, მერე როგორ მირბის?... ვიმეორებთ, სულ ყველაფერს სტოვებს, თავის მამა-პაპეულ ბინას, სახლს, კარს, წინაპართა საფლავს, სალოცავს, ათასწლობით დამკვიდრებულს მამულს, დედულს... ნუ იქმ მაგ სამარცხვინო საქმეს ქართველო...“

ვიმეორებთ, გლობალიზმს ამ ახალ საუკუნესა და ახალ ათასწლეულში საქმე იქითკენ მიჰყავს, რომ ალბათ, სულ მალე საზღვრები პირობითი გახდება. ის, რაც ევროპაში მოხდა, ხვალ და ზეგ ევრაზიასა და მთელ მსოფლიოშიც იგივე მოხდება.

კაცობრიობის მომავალი გზა აქეთკენაა და ექვი არა ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორიის ეს მეთოდი და პრინციპიც – **„დაპირისპირებულთა ბედნიერი მორიგება ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“**, განხორციელდება. ჩვენმა ერმა, მისმა ინტელექტუალურმა და მწარმოებელმა ძალებმა უნდა შესძლონ ფეხი აუწყონ მსოფლიოს ამ ახალ ფერისცვალებას. გლობალიზმი ობიექტური და შეუქცევადი პროცესია თავისი დადებითი თუ უარყოფითი შედეგებით და ჩვენი ვალია თავიდან ავიცილოთ ეს უარყოფითი და მაქსიმალურად გამოვიყენოთ დადებითი.

საქართველოც და კავკასიაც ბჟეზინსკისეულ „ევრაზიურ ბალკანეთად“ კი არ უნდა გადავაქციოთ, არამედ თავისებურ **„ევრაზიურ შვეიცარიად“**, რათა პოზიტიური როლი ვითამაშოთ ფორმირების პროცესში მყოფ **„ახალ მსოფლიო წესრიგში“**. აქ ყველას, განსაკუთრებით დიდ სახელმწიფოებს, თავისი ინტერესები აქვს და ჩვენი ვალია მათმა ამ გეოპოლიტიკურმა ინტერესებმა მართლა **„ევრაზიურ ბალკანეთად“** არ გადაგვაციოს...

– ივიწყებ წარსულს, ჰკარგავ მომავალს, ყველაზე მეტად ეს ბრძნული თქმა ჩვენ – კავკასიელებს გვეხება. ეს ათასი წელია ბევრი რამ დავივიწყეთ, პირველ რიგში კი ის, რომ კავკასია ჩვენი **„საერთო სახლია“**. ჩვენი ახლო და შორეული წინაპრების მემკვიდრეობა, ილიას და მისი თანამოაზრეების **„საერთო ნიადაგის“** თეორია არის გზა და საშუალება ახალი იმპულსები მივცეთ კავკასიის ერთობისა და თავისუფლების ძველ იდეებს. ეს არის ერთადერთი გზა ევრაზიის მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებში კავკასიის მშვიდობიანი, სტაბილური და დემოკრატიული განვითარების უზრუნველსაყოფად. ეს უნდა აწყობდეს ყველა დიდ სახელმწიფოს, მათ შორის კი, ყველაზე მეტად რუსეთის ფედერაციას...

დღევანდელ პოლიტოლოგიაში ერთ–ერთი წამყვანი მიმართულება გახდა პოლიტოლოგიური პროგნოზირება. ვერცერთი სახელმწიფო ვერ განვითარდება სწორი გრძელვადიანი და მოკლევადიანი პროგნოზირების გარეშე. შემთხვევითი არ არის, რომ ყველა ნორმალურ სახელმწიფოში ამ მიმართებით სპეციალური სამეცნიერო – კვლევითი ცენტრებია შექმნილი...

საქართველოსა და კავკასიის მომავალი განვითარების პრობლემები ისე ორგანულად არის ერთმანეთზე გადანასკვული, რომ აუცილებელია მათი ერთობლივად კვლევა და პროგნოზირება. სხვათა შორის ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20–იან წლებში ასე აყენებდნენ საკითხს ჩვენი მაშინდელი ინტელექტუალები – ვარლამ ჩერქეზიშვილი, ნიკო ნიკოლაძე და ივანე ჯავახიშვილი. ამ უკანასკნელმა ამ მიზნით სპეციალური სამეცნიერო ცენტრიც შექმნა ახლადგახსნილ თბილისის უნივერსიტეტში. ევროპაში მოღვაწე ვარლამ ჩერქეზიშვილმა, ებრძოდა რა ბოლშევიზმის **„სახელმწიფო სოციალიზმის“** თეორიას და პრაქტიკას, წამოაყენა **„არასახელმწიფოებრივი სოციალიზმის“** მეტად საინტერესო თეორია, რომელმაც ევროპაში (და არა მარტო ევროპაში) დიდი პოპულარობა და მხარდაჭერა მოიპოვა. **„თქვენ სოციალისტები არა ხართ. თქვენ სოციალიზმის მტრები ხართ!“** – მიმართავდა იგი ბოლშევიკებს და

ისტორიაში არ აღსრულებულა ზუსტად რაიმე პოლიტიკური პროგნოზირება ისე, როგორც ეს. ნიკო ნიკოლაძემ თავის მხრივ „კავკასიის კონფედერაციის“ და „კავკასიის შეერთებული შტატების“ პოლიტიკური იდეები წამოაყენა.

ერთი სიტყვით, XIX–XX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება საქართველოსა და კავკასიის პრობლემატიკას ერთიან კომპლექსში განიხილავდა და დღესაც ეს ტრადიცია გაგრძელებას თხოულობს ჩვენგან. ჩვენი და კავკასიის ერთობლივი „ოქროვანი ხანის“ შემდეგ სხვადასხვა იმპერიული ძალების „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკამ ისეთი დიდი რელიგიური, ეთნო-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური დეფორმაციები ასაზრდოვა რეგიონში, რომ მათგან გამოწვეულ პრობლემებს დღეს და მომავალშიც ჩვენგან დიდი, კარგად მოფიქრებული და სწორი პროგნოზირების გარეშე ვერ გადავწყვეტთ.

ამ მხრივაც ბევრი რამ არის გასააზრებელი და გასათანამედროვებელი „საერთო ნიადაგის“ თეორიიდან. „ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა ერთობის“ ილიას დიდი იდეა კავკასიასა და კავკასიელ ხალხებსაც ეხება. ეს მითუმეტეს, როცა დღეს 1944 წელს მესხეთიდან გასახლებული მაჰმადიანი ქართველების (ე.წ. „თურქი-მესხების“) დიდი ნაწილი კავკასიაში ცხოვრობს. მათი დიასპორების გეოგრაფიული არეალი კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდეა განფენილი და ჩვენი ვალია მათი ინტეგრაცია თავის ისტორიულ სამშობლოსთან, რომელთანაც გენეტიკური ფესვებითაც არიან დაკავშირებულნი...

ღმერთმა დაგვიფაროს რაიმე ტერიტორიალური პრეტენზიები გაგვაჩნდეს ან სამხრეთით, ან, ჩრდილოეთით თუ აღმოსავლეთით. მომავალ მსოფლიოში საზღვრები სიმბოლური გახდება. ერის ძალა და სიმდიდრე, სულიერი და მატერიალური კეთილდღეობა და სიმდიდრე მხოლოდ მისი ზნეობით, კულტურითა და ეკონომიკით განისაზღვრება, ჩვენ სწორედ ამაზე უნდა ავიღოთ ორიენტირი ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის ფორმირების მიმდინარე პროცესში.

თავის პირველსავე სარედაქციო წერილში – „საქართველოს მოამბეზედ“ 1862 წელს ილია წერდა: „ცხოვრება განუწყვეტელს ცვლილებებშია... რაც გუშინ დაურღვევლ ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული, ის დღეს შეცდომად მიგვაჩნია... დიდი გენიოსი და იმის ჭკუის თამამი გამჭვრეტელობა სჭირდება დროებაზედ ამაღლებას ... და მომავლის უფლობას...

რა აახლებს, რა სცვლის და, – თუ ცხოვრება ჯანმრთელია, რას მიჰყავს იგი წინ? ცოდნასა, მეცნიერებასა...“. მაგრამ ილიამ ისიც იცის, რომ ცოდნა და მეცნიერება თუ ეროვნული ცხოვრების სამსახურში არ ჩადგება, „უქმის ჭკვის უქმი ვარჯიშია“. ამოცანაც ის არის, რომ ერის ინტელექტუალურმა ძალებმა სწორი გზა-კვალი მისცენ, სწორი და პირუთვნელი ანალიზით უჩვენონ ერს, მის მწარმოებელ ძალებს მომავლის გზა და ამასთან ის ნაკლიც და წინაღობანიც, რომლებიც ხელს უშლიან მას „ცხოვრების

განკარგებას“. ამ „პირუთენელობის“ საილუსტრაციოდ ამავე პროგრამულ სტატიაში მას თავისი ცნობილი პოეტური გააზრებაც მოჰყავს:

„ჩემზედ ამბობენ: ის ქართველისას სიცუდეს ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მაღავს – „ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე ჰგრძნობს,
ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია“.

თითქმის 800-წლიანმა „ძნელბედობამ“, განსაკუთრებით უკანასკნელმა ორმა საუკუნემ, გააუკუღმართა საქართველოს და ქართველი ერის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ბუნებრივ-ისტორიული გზა. დაირღვა ბაგრატ მესამედან დაწყებული ქართული სახელმწიფო განვითარების ზეადმავალი პროცესიც. ლაშა-გიორგიმ და მისმა „რინდთა პარტიამ“ რუის-ურბნისის კრების „ძეგლისდებით“ და დავით აღმაშენებელის ძალისხმევით დაკანონებული პოლიტიკური პრინციპები „უცხო ზადის“ მაიმუნური წამბაძველობით არარაობად აქციეს. ამ მხრივ მარტო მწიგნობართუხუცესობის შეცვლა „ათაბაგობით“ რად ღირს... პირუთენელად წერს ამაზე გიორგი ბრწყინვალის ჟამთაღმწერელი ჯერ კიდევ XIV საუკუნეში...

ამოცანაც ის არის, რომ საქართველო დაუბრუნდეს „ოქროვანი ხანის“ ბუნებრივ-ისტორიული განვითარების თავის სავალ გზას ეპოქის შესატყვისი ფორმებით და პრინციპებით. ეს თუ შეძლეს ებრაელებმა 2000 წყვეტილობის შემდეგ, ჩვენც უნდა შევძლოთ ეს ახლო თუ არა თუ შორეულ მომავალში მაინც. დავარქვათ ამას თუ გნებავთ, სვლა ძველი „ოქროვანი ხანიდან“ საქართველოს ახალი ოქროვანი ხანისკენ. ამ თამამი იდეით არის გაჟღენთილი ილიას მთელი მემკვიდრეობა, მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მისეული ხედვა.

ეს არის ილიას ყველაზე თამამი და თუ გნებავთ, ყველაზე დიდი ოცნება და არაორდინალური ხედვა – ახალი საართველოს „ძველიდან აღმოშობა“. ეს მისეული დეფინიცია – „აღმოშობა“ ზოგად ფილოსოფიური გააზრებით ნიშნავს ამ 800-წლიანი „ძნელბედობით“ დარღვეული ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარების აღდგენას. მაგრამ ესეცაა – მაშინდელ და დღევანდელ ეპოქებს შორის ისეთი სხვაობაა, რომ ეს თავისთავად თხოულობს ახალ სამართლებრივ და პოლიტიკურ მიდგომებს. ერთ-ერთი მათგანია სახელმწიფოებრივი წყობის პრობლემა. ახალი საქართველოს ილიასეული ხედვა ყოველთვის ითვალისწინებდა ამ ობიექტურ ფაქტორსაც.

„სამეფო გვირგვინზე და ხმალსა და გუთანზე
დაფუძნებული საქართველო“

ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის ეს ხედვა კონსტიტუციური მონარქიას და მასზე დაფუძნებულ წარმომადგენლობით საპარლამენტო მმართველობას ემყარება. მესამედასელები ილიას ამ იდეას განსაკუთრებული კრიტიკით და სარკაზმით შეხვდნენ. ნოე ჟორდანია, ფილიპე მახარაძე, პეტრე გელეიშვილი ათასნაირი დემაგოგიით და სიბრყველით პასუხობდნენ ილიას ამ დიდ სამომავლო იდეას, „საერთო ნიადაგის“ თეორიის ერთ-ერთ სტრატეგიულ პოლიტიკურ პრინციპს. „მეფობისა და თავად-აზნაურთა პრივილეგიების აღდგენა“, „ტყვეთა სყიდვის განახლება“, „საქართველოს დაშლა-დაქუცმაცება“ და ა.შ., – ასეთი იყო მათი პრიმიტივიზმის არსენალი, მაშინ, როცა ილია ამ იდეით მაშინდელი და დღევანდელი ეპოქის მოთხოვნებს პასუხობდა. ინგლისის მსგავსი ქართული სახელმწიფოს სახელისუფლო სტრუქტურების შექმნა – ასეთი იყო მისი იდეალი, საქართველოს ისტორიის მისეული ფილოსოფია.

ამ თემაზე დაწვრილებით არის ლაპარაკი 1998 წელს გამოცემულ ჩემს მონოგრაფიაში – „ილია და საქართველო“, აგრეთვე, „ილიალოგთა კლუბის“ 2002 წლის სამეცნიერო კრებულში – „ქართული სახელმწიფო“, აქ კი მოკლედ მინდა გადმოგცეთ მისი მნიშვნელობა არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მთლიანად ჩვენი რეგიონის სამომავლო განვითარებისთვის. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია დეტალურად გაეცნოს კონსტიტუციური მონარქიის ვრცელ არგუმენტაციას დასახელებულ ნაშრომებში, აგრეთვე 1995 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში – „რა არის ტრადიციონალიზმი, ანუ, ვისი და რისი მემკვიდრენი ვართ“. არგუმენტაციასთან ერთად, ამ ნაშრომების საფუძველზე გადმოცემულია კონსტიტუციური მონარქიის კონსტიტუციური საფუძვლებიც საქართველოში.

ამჯერად, ჩვენი მიზანია ამ პრობლემის გააზრება სულ უფრო მზარდი გლობალიზმის პირობებში საქართველოს და კავკასიის, ქართველი ერის და კავკასიის სხვა ხალხების თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განმტკიცების თვალსაზრისით. დღეს მოვლენები მსოფლიოშიც და ჩვენს რეგიონშიც ელვისებურად იცვლება და თუ ცოტა წინ არ გავიხედეთ, ეს თვითმყოფადობა შეიძლება წამიერად შემოგვადნეს ხელში. ის, რაც ძველმა თუ ახალმა იმპერიებმა ვერ შეძლეს ომით და სისხლით, – ასე თუ ისე დღემდე შევინარჩუნეთ მამული, ენა, სარწმუნოება, ამას გლობალიზმი ადვილად შესძლებს უსისხლოდ და მშვიდობიანად. საქმე რომ აქეთკენ მიდის, ვფიქრობ, ყველა გონებაგახსნილი ადამიანი უნდა გრძნობდეს. კონსტიტუციური მონარქია ამის საპირწონე საშუალებაა...

ამ მიმართებით და გააზრებით კონსტიტუციური მონარქიის პრინციპებზე და საპარლამენტო მართველობის სტრუქტურებზე ქვეყნის მართვა-გამგეობის გადასვლა ნიშნავს საქართველოს თავის თავთან, თავის ბუნებრივ-ისტორიულ განვითარებასთან, ეროვნულ ტრადიციებთან და ცხოვრების წესთან დაბრუნებას. იაპონიას იმპერატორი იმიტომ კი არ ჰყავს, რომ სახელმწიფოს მეთაურის პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება-დაკანონება ვერ მოუფიქრებიათ – თავის ისტორიას, ტრადიციებს და

ეროვნულ თვითმყოფადობას უფრო ხილდებიან. იმპერატორი – სახელმწიფოს ნომინალური მეთაურის ინსტიტუტის მათთვის საუკუნეების სიღრმეებიდან მომდინარე ყოველივე ამის სიმბოლიკაა და მეტი არაფერი...

საქართველოს ისტორიასაც თუ გადავხედავთ, აქაც იაპონიის, ინგლისის და დასავლეთ ევროპის უმრავლესი ქვეყნების მსგავსად, მეფის აბსოლუტური ხელისუფლების შეზღუდვის პროცესი ადვილად შეიმჩნევა სახელმწიფოს ბუნებრივ-ისტორიული განვითარებით. ნათლად არის ნაჩვენები ეს ივ. ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორიაში“. ინგლისზე ადრე ხომ ამ პროცესს ჩვენთან მიეცა საწყისი 1195 წლის „ისნის კარავის“ ფენომენით. ამ მხრივ ბაგრატიონთა უძველესი სამეფო დინასტია ნებისმიერ ევროპულ დინასტიაზე მაღლა დგას, ისე როგორც სოციალური პასუხისმგებლობით, საერთო – სამართლებრივი ნორმებით და ჰუმანიზმით. ამ მხრივ, მარტო თამარ მეფის მიერ სიკვდილით დასჯის აკრძალვა რად ღირს, მაშინდელი თუ შემდგომი ეპოქების იმ ევროპაში, სადაც თავის მოკვლელს და კოცონზე დაწვა ჩვეულებრივი სამართლებრივი ნორმა გახლდათ...

მაგრამ ჩემი აზრით, მთავარი ამ შემთხვევაში კონსტიტუციური მონარქიის ეროვნული და გლობალური მნიშვნელობის გააზრება კი არა, საქართველოს რეგიონალური თვითდამკვიდრების პრობლემაა, იმ როლის დაბრუნებაა, რასაც იგი ასრულებდა ისტორიულად კავკასიაში, კასპიისპირეთსა და ახლო აღმოსავლეთში. როცა ილია წერდა, რომ – „წარბა ქართველთა სახელი და ქართული წეს-წყობა“, ამას გულისხმობდა უპირველესად, ისევე როგორც ცნობილი ხალხური ლექსიც ერეკლე მეფეზე:

„ვერ გაგიგიათ ქართველნო,
შაგვეხსნა რკინის კარია,
აღარ გვყავს მეფე ერეკლე,
ბაგრატიონთა გვარია“.

გავიხსენოთ ბაგრატ III, დავით აღმაშენებლის და მათი მემკვიდრეების სამეფო რეგალიებიც, ისევე როგორც „ქართლის ცხოვრების“ მიერ მაშინდელი საქართველოს გეოგრაფიული არეალის განსაზღვრა „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოფსეთიდან არეგაწამდე – ეს არეალი ხომ, მთელი კავკასიაა“. აქ მე მინდა შევახსენო ე.წ. „მცირე იმპერიის“ იდეოლოგიებს, რომ არც ადრინდელ ბაგრატიონებს და არც ამ დინასტიის ბოლო მესვეურებს სხვა იმპერიების მსგავსად, ცეცხლით და მახვილით არ დაუპყრიათ ეს ყოველივე. დოკუმენტური წყაროები ღაღადებენ, რომ თვით ერეკლე II დროს აღმოსავლეთის „ყმადნაფიცი“ მაჰმადიანური სახანოები მის „მზეს ფიცულობდნენ“ და მასთან ეძებდნენ ხსნას და თავშესაფარს სამხრეთის იმპერიული ძალებისაგან თავდასაცავად. ესეც თქვენი „მცირე იმპერია“...

ერთი სიტყვით, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ვალია მთელი სერიოზულობით და პასუხისმგებლობით იფიქროს და იკვლიოს ისტორიის

სიღრმეებიდან მომდინარე და ილიას მიერ ნაანდერძავ „ქართული წეს-წყობის“ ამ მემკვიდრეობაზე. ჩვენ გვესმის, რომ 200 წლოვანი წყვეტილობის პირობებში სახელმწიფოებრიობის ამ ფორმაზე გადასვლა მეტად რთული და ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ მისი დღის წესრიგში დაყენება აუცილებელია. სხვათა შორის, ეს პრობლემა ჯერ კიდევ 1812 – 13 წლების აჯანყების და 1832 წლის შეთქმულების იდეოლოგიებმა დააყენეს ინგლისის მსგავსი „ერთგვარი რესპუბლიკის“ შექმნის პროგრამული მოთხოვნით (სოლომონ დოდაშვილი, ოქროპირ ბატონიშვილი და ალექსანდრე ორბელიანი), მაგრამ მაშინ ამ პროგრამას განხორციელება არ ეწერა. იგივე იდეებმა გაიჟღერა 1918 – 20 წლების საქართველოშიც, მაგრამ მისი, ისე როგორც ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორიის სხვა პროგრამული იდეები ძალიან შორს იდგა ქართული სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური მსოფლმხედველობიდან. ილია ხომ „დამყაყებული ქართული ნაციონალიზმის და თავად-აზნაურული რეაქციის ბურჯი“ იყო მათთვის. რა დაგვიჯდა მათი ეს სიბრყვე, ისტორია გვიჩვენებს...

„უ მ ა დ უ რ ო ბ ა“

კვლავ გვინდა გავიხსენოთ წიწამურის ტრაგედიამდე ილიას მიერ ყველაზე ხშირად ნათქვამი ეს გულსაკლავი სიტყვა – „უმაღურობა“. ამ შემთხვევაში მართალია ნოე ჟორდანიას, როცა თავისებური ნიშნისმოგებით წერს, რომ „ქართველმა ხალხმა უარყო ილია ჭავჭავაძის საერთო ნიადაგი და სოციალ-დემოკრატიის ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ დადგა“. (ნოე ჟორდანია – „ჩემი წარსული“) ეს გულსაკლავი სიტყვა – „უმაღურობა“ სწორედ, რომ ამან ათქმევინა ილიას. დიახ, ფაქტს საით წაუვალთ – ილიას და ქართველი ერის გზები კარგა ხნით გაიყარა მაშინ...

მაშ, ასე: „საქართველოს თანამდევნი უკვდავი სული“ ზედმეტი ბარგი და უცხო სხეული აღმოჩნდა საქართველოსთვის. ასე დარჩა სხეული სულის გარეშე მთელი XX საუკუნე და მასზე მეტიც. ამასთან დაკავშირებით მინდა შემოგთავაზოთ ფრაგმენტები 2009 წელს გამოცემული ჩემი პოეტური კრებულიდან. ვფიქრობ, რომ აქ ყველაფერია ნათქვამი საქართველოს უახლესი ისტორიის ამ უდიდეს ეროვნულ ტრაგედიაზე:

„ილია მოკლეს!“,
იქუხა ვაჟამ,
როს ეს ამბავი
აუტანა მეზობელმა
ბარიდან ჩარგალს...
ვაჟასთან ერთად
იქუხა მთამაც:
მათ რომ შეეძლოთ

საქართველოსაც
მოკლავდნენ ალბათ...
მადლობა უფალს,
ეს საუკუნე ისე გავლიეთ,
„მათ“ ეს ვერ შეძლეს...

– მამისმკვლელნი ვართ!
რად უნდა ამას
ეს უთავ–ბოლო კამათი
და არქივში ქექვა...
უცხო კაცმა თუ არა,
ჩვენ ხომ ვიცით შესანიშნავად:
იმ დღეს თბილისის დუქნებში
საზეიმო სუფრები გაიშალა,
და თბილისელი მოქალაქენი –
კინტოები და ყარაჩოღელები,
ამერ–იმერის თავადები
და სახელგანთქმულნი თამადები,
ჩინიანნი და უჩინონი,
ღიპიანი მედუქნენი
თუ უქონელი პროლეტარები,
ყველა ცალკ–ცალკე
და ყველა ერთად,
მარჯვენას უქებდნენ
ილიას მკვლელებს
„ბედნიერი ერის“
მაშინდელი ნაშიერები...

გვიყვარს ქართველებს მიჩუმათება,
სირაქლემას პოზაში დგომა,
ლუარსაბივით ყურთბალიშზე
თავის მიდება,
ჭრიაშვილივით
ათასნაირ ზღაპრებს ვიგონებთ,
საკუთარი უმეცრების
გადასარჩენად...

– მამისმკვლელნი ვართ!, –
ვინ ვარ მე,
თვითონ აკაკიმ,
თვითონაც მაშინ
მოხუცმა კაცმა,
მოურიდეზლად
ტყვიასავით პირში გვახალა:
„ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოვ!“...

და დღესაც,
როცა ვიჭერ ხოლმე
ილიას ბრძნულ და
გამჭოლავ მზერას,
კვლავ მახსენდება:
– მამისმკვლელნი ვართ
უთუოდ დღესაც,
რამეთუ
არ გვესმის ისევ
რას ქადაგებს,
რას გვეუბნება,
რას ღაღადებს
არ გვესმის დღესაც...

ბევრს გამოგიცდიათ: უმადურობა ყველაზე დიდი დარტყმაა კაცისთვის, ყველაზე დიდი პიროვნული ტრაგედია, განსაკუთრებით როცა იგი შენთვის ძვირფასი და ახლობელი კაცისგან მოდის. დიდი დარტყმა, რომელიც ხშირად გამოუსწორებელ ფსიქიკურ დამლას აჩნევს, ერთიანად ანგრევს და აუკუღმართებს კაცის ფსიქიკას... ეს ამასთან დიდი ცოდვაცაა იმათგან, ვისაც სიკეთის დანახვის მაღლი არ სცხია. ამან კიდევ ერთი პოეტური გააზრება ასაზრდოვა ჩემში, წიწამურთან ილიას უკანასკნელი შემახილით ნასაზრდოვები:

– „რას სჩადიხართ, ილია ვარ!“
შემოგვმახა უკანასკნელად,
როცა ბერდენკის ლულას
შეასწრო თვალი
წიწამურის შემოგარენში...

– „რას სჩადიხართ, ილია ვარ!“,
მოგვმახის კვლავაც,
როცა შეჰყურებს

ჩვენს ნაცოდვილარს
ამერ–იმერის
მთასა თუ ბარად...

თუ მკრეხელობად არ ჩამომერთმევა, ყველაფერმა ამან ქრისტესთან ილიას ერთ
პოეტურ შედარებად გამომათქმევინა:

„სანამ მამალი
სამჯერ იყივლებს,
სამჯერ უარყოფთ იცოდეთ, –
– დაუბარა მოსწავლეებს
ანდერძად ქრისტემ.

და ჩვენც ასევე –
სამჯერ უარყავით,
სამჯერ ვულალატეთ
ჩვენს ერის მამას:
პირველად – წიწამურთან,
შემდეგ – საბჭოეთის ჟამს
და არ ვცნობთ ახლაც
მას ერის მამად,
ჩვენი მომავლის
გზის გამკვალავად...

დიახ, ბატონებო, თუ სიმართლე გვინდა, თუ გვინდა, რომ ილია მართალივით
მართალნი ვიყოთ ერისა და ღმერთის წინაშე, ეს სწორედ ასეა. ისტორიას, როგორც
ღვთის ნების გამოვლენას, თავისი სიმართლე აქვს, დიდი სიმართლე და ვალდებულნი
ვართ ამ დიდ სიმართლეს თვალი ვუსწოროთ, ეს უთუოდ სამომავლოდ გამოგვადგება,
თუკი გვინდა აწმყოსაგან გატანჯულ და გაუბედურებულ ჩვენს „კარგ ქვეყანას“,
მომავალში მაინც ყველა სიკეთე, ნატვრა და ოცნება აუხდეს...

ჯერხნობით კი საქართველო კვლავ მისი „თანამდევი უკვდავი სულის“, გარეშე
აგრძელებს სვლას... საკითხავია, სადამდე? ნუთუ მანამდე, სანამ ახალ–ახალი
იმპერიების თუ გლობალიზმის ლუკმა არ გავხდებით ხვალ და ზეგ...

„მიწას გაუფრთხილდით!“ – ეს ილიასეზური ღრმააზროვანი და ლაკონური
სიტყვა – გაფრთხილება სიმბოლურად სოხუმში ითქვა და მას შემდეგ დაიკარგა ჯერ
იმის იქით ჩვენი ისტორიული სოჭი და ჯიქეთი, მერე აფხაზეთი და სამურზაყანო,
სამაჩაბლო – ახალგორი... უფრო ადრე, სტატიაში – „იმიგრაცია საქართველოდან“ (1895 წ.
4/X), ესეც იწინასწარმეტყველა: „ჩვენს ცხოვრებაში ამ ბოლო ხანებში თავი იჩინა ერთმა

მოვლენამ, რომელსაც ჯერ ფართო გზა არ გახსნია..., მაგრამ მიზეზი ამ მოვლენისა ისეთია, რომ... დღითი-დღე გაძლიერდება“.

და აჰა, დღეს იმიგრაცია საქართველოდან ისე „გაძლიერდა“, რომ ლამის ნახევარი საქართველო დაიცალა ქართველობიდან. და როგორც ორი წლის შემდეგ წერდა („რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“), ბოლოს „... ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან“...

ესეც კიდევ ერთი „წყევლა-კრულვია“ საკითხავია“ დღეს ჩვენთვის. იგი ჩვენგან სამომავლოდ პასუხს ელის. მაგრამ გვაქვს კი ეს პასუხი? ამ ოცმა წელმა გვაჩვენა, რომ არა...

ყოველდღიურობის ორომტრიალში ჩაფლულებს და ერთმანეთთან ანგარიშსწორებით გართულებს გვავიწყდება წინ გახედვა, ის რაც პოლიტოლოგიაში „სტრატეგიულ ხედვად“ იწოდება და რომლის მიზნად ილიამ თავიდანვე „წარხდენილი ქართველთა სახელისა და ქართული წეს-წყობის აღდგენა“ განსაზღვრა. სწორედ რომ პირიქით – კიდევ უფრო „წარვახდინეთ“ ერთიც და მეორეც...

„არ არის არცერთი მხარე ჩვენი ცხოვრებისა, რომ წარსულის რაიმე ნაშთი ზედ არ შერჩენოდეს, ხოლო ამ ნაშთისა დღეს ჩვენ აღარა გაგვეგება – რა იმიტომ, რომ დავიწყებული გვაქვს მისი ამხსნელი და განმარტებელი ისტორია... ამიტომაც ჩვენ ბევრში უთავბოლოება გვეტყობა, არაფერი საქმე არ გვიხერხდება, აქეთ და იქით ვასკდებით თავ-ბრუ დახვეულ კაცივით...“

ჩვენ რომ „თავ-ბრუ დახვეული კაცივით“ ვართ ამიტომაცაა, რომ პასუხს სხვაგან ვეძებთ და არა ჩვენს თავსა და ჩვენს ისტორიაში. „ამის გამო ჩვენ ვეღარ ვიკვლიეთ – რა, ვეღარა გამოვიძიეთ – რა... ან, რაღას ვიკვლევდით, როცა ჩვენი აღარა გვჯერა – რა. ეს ყველა ჩვენი ძველი ნაცადი, ჩვენი წარსულის გამოცდილება გაგვიბათილა სახელმა და აბრუმ უცხო ქვეყნისამ, რომელმაც ყველაფერში ღრმად ჩაგვითრია“.

ეს „ღრმად ჩათრევა“, რომ ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ნებისმიერი პრობლემის პასუხს სხვაგან ვეძებთ. ვეძებთ გამწარებით დედამიწის ოთხივე კუთხით და თითქოსდა ვპოულობთ კიდევ, მაგრამ სულ მალე აღმოჩნდება სიზიფეს შრომა რომ გაგვიწევია მხოლოდ...

„ვერ გაგიგია ამირან...“

ამიტომაც ვტკეპნით ერთ ადგილზე და წინ წასვლას არ ადგება საშველი ტერტერასაგან მოტყუებული ამირანივით. ასეთმა ანალოგიამ ამოატივტივა მეხსიერებაში ხალხური ეპოსის ეს გენიალური სტროფი, ასე რომ ეხმიანება ჩვენს დღევანდელ ყოფას:

„ვერ გაგიგია ამირან,
არგამარჯვების ნიშანი,
ისევ იმ ადგილს მოვედით

სადაც დავკარი ისარი“.

უსუფის ეს გაფრთხილება გვჭირდება ჩვენც, რათა „გარდამავალი – გაუგებარი“ ამ 20-წლიანი პერიოდის მოჯადოებული წრიდან გამოვიდეთ. მოდით აქაც გულწრფელნი და მართალნი ვიყვნეთ ჩვენი ისტორიის წინაშე: ჩვენ ყველა ერთად მოუმზადებელნი აღმოვჩნდით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე. ეს პირველ რიგში, იმიტომ, რომ დაკარგული გვქონდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი აზროვნება და შესაბამისი ფუნქციები. ამიტომ იყო, რომ სხვა ვერაფერი მოვიფიქრეთ და მექანიკურად აღვადგინეთ 1921 წლის მენშევიკების მკვდრად დაბადებული კონსტიტუცია.

მან რომ სიკეთე არაფერი მოგვიტანა, მომდევნო წლები ნათელი დადასტურებაა ამისა, შემდგომ „ახალი“ კონსტიტუცია შევაკოწიწეთ, მაგრამ ესეც არაა ჩვენი, ქართული ცხოვრებიდან „აღმოშობილი“, როგორც ამას თხოულობს ილია და მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია, არამედ „სხვათა და სხვათა ბაძით“ და ამიტომაც არც მან იმუშავა ხალხისა და ქვეყნის სასიკეთოდ დღემდე...

იქნებ დადგა დრო, რომ ამ „კონსტიტუციობანობის“ და მასთან ერთად, „პრეზიდენტობანობის“ თამაშსაც თავი ვანებოთ, მის განუწყვეტელ გადაკეთება-გადმოკეთებას ვისაც როგორ აწყობს და ეპრიანება და ხალხს და ქვეყანას მივცეთ ეროვნული ცხოვრების ისეთი ძირითადი კანონი, რომელიც საუკუნეებს გაუძლებს... თუ მიძაბვას, აქ მივბადოთ ამერიკელებს, ანდა, იაპონელებს, ასეთი კონსტიტუციით და სახელმწიფო წყობით რომ შექმნეს მსოფლიო ისტორიაში მართლაც რომ უნიკალური სახელმწიფო...

ხშირად მითქვამს და დამიწერია – პოლიტიკა ჭადრაკის თამაშს ჰგავს და პოლიტიკაშიც იმარჯვებს ის, ვინც თავის და მოწინააღმდეგის სვლებს უფრო სწორად, შორს და ღრმად თვლის. ილიასაც არაერთხელ გამოუთქვამს მსგავსი მოსაზრება და შედარება. განსაკუთრებით ეს იმპერიასთან ურთიერთობას ეხება. დავაკვირდეთ – „ჩვენი თავის ჩვენად ყუდნების“ ავტორს ერთხელაც არ წამოსცდენია რუსეთთან დაპირისპირების, მის წინააღმდეგ აჯანყებისა და ომისაკენ მოწოდება, ასე სავსე რომაა ეს ოც-წლიანი პერიოდი და ჩვენი ქვეყანა გაპარტახებამდე და ათასწაირ უბედურებამდე რომ მიიყვანა. ბისმარკი სად იყო, არც გერმანია იყო გაერთიანებული, როცა ილიამ თქვა – რუსეთს ომი მხოლოდ უომრად შეიძლება მოუგოთო...

დიახ, პოლიტიკა რთული ხელოვნებაა, ცივი და გამჭრიახი გონებით, შორსმჭვრეტელური და განსაკუთრებული ლოგიკით უნდა თვითოეული სვლის გაკეთება. სხვანაირად დაღუპავ თავსაც და ქვეყანასაც. გლობალიზმი და ყოვლისმომცველი ინტეგრაციული პროცესები კიდევ უფრო ართულებენ ყოველივე ამას. ეს მარტო საგარეო პოლიტიკას არ ეხება. საშინაო და საგარეო პოლიტიკა ერთი ხის ორი ნაყოფია და აქაც ამ ოცმა წელმა პრობლემები კი არ მოხსნა, კიდევ უფრო გაგვიძრავლა...

ესეც უცილობელი ფაქტია და თუ მიზეზს ვიკითხავთ ყოველივე ამის, მისი პასუხიც უცილობელია: იმიტომ, რომ სწორი გზით არ მივდივართ. თუ როგორია ეს სწორი გზა, გზა, რომელიც „ტამრამდე“ მიგვიყვანს, ამის ერთადერთ სწორ პასუხს იღია მართალი გვაძლევს, თუ კი რასაკვირველია, ამ პასუხს ყურად ვიღებთ და გონებასაც შესატყვის საზრდოს მივცემთ...

– ვერ გაგიგიათ ქართველნო ...

ხალხი ბრძენია და ყველა ეპოქაში და ყველა თაობაში ისეთ სიბრძნეს სწნავს თავისი დიდი ისტორიული გამოცდილებით, ათასი ბრძენი ვერ შეძლებს ამას. ამაზე ითქვა უთუოდ ესეც – „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“...

თუმცა, რასაც ჩვენ „ხალხურს“ ვეძახით, ისიც მაინც ცალკე კაცისაა, ინდივიდიდან კოლექტიურში გადასული და გადახარშული. ჩვენი ფოლკლორული შედეგები – ლექსი „ვეფხვისა და მოყმისა“ ცხადია ჯერ ერთმა კაცმა შექმნა, მერე კი, იგი მთელმა ხალხმა აიტაცა. იგივე ითქმის ჩვენს „მრავალყამიერზეც“, მისი სხვადასხვა ვარიაციები ასე რომ მოდებულია ამერ–იმერის მთასა და ბარად. აი, კიდევ ერთი ბოლო მაგალითი – „ბინდისფერია სოფელი“, ცხადია, რომ თუ არ შემოგვრჩენოდა მიხა ხელაშვილის ჩანაწერი, ისიც ფოლკლორისტიკის კუთვნილება გახდებოდა ბოლოს...

ასეთად უნდა განვიხილოთ XIX საუკუნეში წარმოშობილი ქართული ფოლკლორის ეს შედეგებიც, რომელიც უთუოდ, მაშინდელი ქართველი კაცის ამოძახილია, მერე კი ხალხმა აიტაცა თაობიდან თაობაში გადასაცემად:

„ვერ გაგიგიათ ქართველნო,
შაგვეხსნა რკინის კარია,
ადარ გვყავს მეფე ერეკლე,
ბაგრატიონთა გვარია“.

რას მოსთქვამს, რა შეგონებას გვაძლევს ავტორი? პირველი ის, რომ ბაგრატიონთა სხვა ბევრ მეფეთა მსგავსად, ერეკლე II გამორჩეული მეფე–მართველი იყო, ნამდვილი სახალხო მეფე, ხალხის ჭირ–ვარამით რომ ცხოვრობდა – ის ხომ იმ ოთახში გარდაიცვალა, სადაც დაიბადა და თავის ავლა–დიდებაზე ჭაბუკობიდან მოყოლებული სიბერემდე ერთი წუთითაც არ უფიქრია, ერზე და მის მომავალ ბედზე ფიქრობდა დღენიდაგ. ამიტომაც მასზე ამდენი ფოლკლორიც...

მეორეც ის, რომ ავტორი ქვეცნობიერად ხვდება ერეკლე მეფის გარდაცვალებასთან ერთად, ქართველი ერის მომავლის, მისი მეობისა და

თვითმყოფადობის დაკარგვის საფრთხესაც, რაც მერე გრიგოლ ორბელიანმა პოეტურად ასე გააჟღერა:

„მამული ვეღარ იხილავს
ირაკლის ხმალსა მღელვარეს,
დიდება ივერიისა
მასთან მარხია სამარეს“

დღეს ბევრს ლაპარაკობენ გეორგიევსკის ტრაქტატზე და ერეკლე II გადაწყვეტილებაზე შეეცვალა საქართველოს სავალი გზები. ბევრი კრიტიკაც გვესმის ერეკლე მეფეზე. აქ მინდა ყველას გავახსენო ილიას მეთოდოლოგიური მითითება – „**ჯერ იმ დროების ქურქში უნდა ჩავჯდეთ და მერე განვიკითხოთ დროების შვილნიცა**“. ეს დროება კი, ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, – „**ყველაზე ავბედითი იყო ძნელბედობის მთელ ისტორიაში**“. მეორე მხრივ, ეს იყო რუსეთის აღზევების დიდი ეპოქაც პეტრე პირველიდან მოყოლებული. ერეკლე ხომ თავის თვალთ უყურებდა, როგორ ამარცხებდა ზედიზედ ახლადმოვლენილი იმპერია ძალაგამოღებულ ძველ იმპერიებს შავი ზღვისა და კასპიისპირეთის რეგიონებში, განა აქედან დასკვნის გამოტანა ძნელია?!....

პოეტისა არ იყოს, „**დღეს იქნებოდა თუ ხვალ**“ რუსეთის მზარდი იმპერია კავკასიის ქედის სამხრეთსაც მოადგებოდა და, როგორც რეალისტმა პოლიტიკოსმა, პატარა კახმაც ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა...

ერთიც ეგაა, ძალიან მზაკვარი და ვერაგი აღმოჩნდა „**ერთმორწმუნეთა მფარველი**“ ახალი სტრატეგიული პარტნიორი: 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი ფარატინა ქალაქად აქცია და გააგებულ აღა-მაჰმად-ხანს საჯიჯგნად მისცა ქართლ-კახეთი, რომ მერე კიდევ უფრო ადვილად გადაესანსლა. რა ექნა ერეკლე მეფეს – ასეთი შეხვდა ძველი „**ოქროს ურდოსგან**“ ამოზრდილი და მოდერნიზირებული „**მესამე რომის**“ ეს ახალი ბიზანტიაზე უარესი ცბიერი და ვერაგი. ამიტომ წერს ივ. ჯავახიშვილიც:

„**ერეკლე მეფის სიბერის დღენი ეგების იმ მწარე გრძნობით იყო მოწამლული, რომ ამისი ბრალი მის პირად პოლიტიკურ გულუბრყვილობასა და რუსეთის მთავრობისადმი განუსაზღვრელ ნდობასაც ედებოდა**“. 1919 წელს გამოცემულ ამ მომცრო მონოგრაფიაში („**დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში**“), მის წინასიტყვაობასა და პირველივე გვერდებზე სათანადო დოკუმენტებზე, მათ შორის იმ ეპოქის რუსეთის დიპლომატიურ წყაროებზე დაყრდნობით, ააშკარავებს რუსეთის მთავარ პოლიტიკურ მიზანს – მოესპო ქართული სახელმწიფოებრიობა და იგი გამოეყენებინა როგორც სტრატეგიული გეოგრაფიული არეალი და სამხედრო – პოლიტიკური პლაცდარმი მთელი კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის დასაპყრობად. ავტორის მიერ მონოგრაფიის ბოლო გვერდებზე გამოთქმული დასკვნაც ამის შესაბამისია:

„გეორგევსკის ტრაქტატი მხოლოდ ნიღაზჩამოფარებული და ტლანქი ეროვნული ეგოიზმის განხორციელება იყო... და 1801 წლის აქტივ შემადრწუნებელი უპირობა, ფიცისა და აღთქმის დარღვევა და ძალმომრეობაა და მეტი არაფერი“.

ძნელი იყო ერეკლე II წინასწარ განესაზღვრა ყველაფერი ეს 1783 წელს და გინდაც განესაზღვრა, მას ხომ სხვა არჩევანი არა ჰქონდა ამ ორი უცილობელი ალტერნატივიდან: ან ქართლ-კახეთი ძველი ისტორიული მესხეთის მსგავსად, მთლიანად უნდა გამაჰმადიანებულიყო (დღევანდელი „თურქი-მესხების“ მსგავსად ახლა ალბათ, ჩვენ ყველა ერთად „თურქი – გურჯი“ ანდა, „ფერეიდანელები“ გავხდებოდით ბოლოს), ანდა, რუსეთის ამ სტრატეგიულ ინტერესებს დამორჩილებოდა...

აქ მე აღარ გავაგრძელებ ლაპარაკს ერეკლე მეფესა და მის პოლიტიკაზე. ვიტყვი მხოლოდ კვლავ – პოლიტიკა შესაძლებელის მიღწევის ხელოვნებაა და პატარა კახმა ამ **„შესაძლებელის“** ფარგლებში შესძლო ერის ხსნისა და მისი არსებობის პერსპექტივა გადაერჩინა. ვაპირებ მომავლისთვის ცალკე მონოგრაფიის გამოცემასაც თუ არ გაგიკვირდებათ, ასეთი უცნაური სათაურით – **„კახელი ბაგრატიონები და რუსეთის იმპერია“**:

ისტორიამ ისე ინება, რომ XVI საუკუნიდან კახელმა ბაგრატიონებმა დაიწყეს ჩრდილოეთისკენ გზის გაკვალვა და მათვე დაამთავრეს იგი 200 წლის შემდეგ. პირველი დიდი ქართული კოლონიაც მათ დააფუძნეს ასტრახანსა და მოსკოვში.

ეს არც არის გასაკვირი – ყველაზე დიდ დაწოლას ხომ, კახეთი განიცდიდა სამხრეთის მაჰმადიანური სამყაროდან... მას შემდეგ, რაც რუსეთმა ასტრახანისა და ყაზანის სახანოები დაიპყრო და ვოლგაც **„მატუშკა ვოლგა“** გახადა, კახელმა ბაგრატიონებმა და ფეოდალებმა ელიტამ იმედის თვალთ დაიწყეს ყურება ჩრდილოეთისკენ. სომეხი სოვდაგრების წყალობით, ვაჭრობაც ამ გზით სულ უფრო ინტენსიური გახდა.

ისტორიამ ისიც ინება, რომ სწორედ კახელი ბაგრატიონები გახდნენ ახალი იმპერიის ფუძემდებლებიც. ამ მხრივ, მთელი ისტორიულ-ფსიქოლოგიური რომანი შეიძლება დაიწეროს ერეკლე I – **„ნიკოლოზ დავიდოვიჩ – ნაზარალი ხანზე“**, ამ სამ-სახელიან და სამ-სახოვან კახელ ბაგრატიონზე, თელავში რომ აიდგა ფეხი, მოსკოვის სამეფო კარზე დავაჟკაცდა, თეირანში შაჰის კარზე ისარდლა და ბოლოს თურქეთის სულთანის კარზე მოუღეს ბოლო შეთქმულებმა... სწორედ მისი და ნატალია ნარიშკინას სიყვარულის ნაყოფის – რუსეთის დიდი რეფორმატორის და პირველი იმპერატორის პეტრე დიდის მიერ **„ევროპაში გაჭრილი ფანჯრიდან“** შემოსულმა სხივმა სულ სხვა გზა მდინარება მისცა შემდგომი საუკუნეების ივერიას, მის მომავალ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებას. **„განიხსნა გზა და ეშვათ ივერიელთ სასოება“** ამიტომ ითქვა...

„წახდენილი – ქართველთა სახელი და ქართული წეს-წყობა“

ილიას „მგზავრის წერილები“ დაკვირვებული მკითხველის გონებაში უამრავ სიმბოლიკას და საფიქრალს აღძრავს წარსულის, აწმყოს და მომავალი საქართველოს გასააზრებლად. მარტო „ერთა საბჭოს“ გახსენება რად ღირს... ამ მხრივ არანაკლებ ფიქრთა აღმძვრელია მისი ეს პასაჟიც – „წახდა ქართველთა სახელი და ქართული წეს-წყობა“ საქართველოს ისტორიის ფილოსოფიური გააზრებისთვის. მოვიყვანოთ ავტორისა და მისი გმირის გასაუბრების ეს ადგილი:

„– მაშ უწინდელი გაწყობა და დრო უკეთესი იყო?

– რად არა?

– რით იყო უკეთესი,

– ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვნის უკეთ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟი ვაჟადდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა? ქვრივ–ობოლს ვიფარვიდით, შინ მაწრიელს (ეშმაკს – ე.ბ.), გარეთ მავნეს დავულაგმავდით, ერთ–ურთს ლალ მტერთან ჩავეფარვიდნით, დაცემულს ვიურვებდით, ატირებულს ვიხოიშნიდნით და ეგრედ იყვის ბრალეა კაცისა და ერთ–ურთობა...

აწინა ერობა დაიშალის, მეძავ–მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერივნის, ერთ–სულობაი დავარდნის მტრობა–ბძარვაი გახშირდნის, აწინა ქვრივ–ობოლ ვინ განიკითხის? აწინა არა არნ კაცნი და თუ არნ – პირად და ჯულურ არნ. ერი დავარდნილ, გალახულ არნ, ვრდომილ – კრთომილ. წახდა ქართველთა სახელი და ქართული წეს–წყობაი. ადრიდა ჩვენობა იყვის, წახდა, მოისრა ქვეყანაი. რაია აწინა ჩვენი დარჩენა?“

„ადრიდა – აწინას“ ეს დაპირისპირება, მათი ფილოსოფიური გააზრება და აღქმა გაყვა „მგზავრის წერილების“ ავტორს მთელი ცხოვრება, მასთან ერთად კი, – „წარხდენილი ქართველთა სახელისა და ქართული წეს–წყობის“ ახალ ისტორიულ ეპოქაში აღდგენის დიდი ოცნებაც და ნატვრაც. მაგრამ ეგაცაა ამით არ შემოიფარგლა ილია და თავისი მოხვევისაგან განსხვავებით, შემდეგ უკვე მომავლის დიდი ხედვაც ზედ დაანათლა ამ „ადრიდა – აწინას“. ეს ხედვა და მასთან ერთად, მისი „კონსტიტუციური გაკანონება“ დღემდე რჩება „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“...

რატომ? – ალბათ ღირს ასეთი კითხვის დასმაც. ნუთუ ქართველობას არ გვინდა, ანდა, გვინდა და არ შეგვიძლია ამ ლელთლუნისაეული „წარხდენილი ქართველთა სახელისა და წეს–წყობის“ აღდგენა? – პასუხის გაცემა ძნელია, მაგრამ ფაქტი ხომ ფაქტად რჩება:

რომ არ მოვინდომეთ ეს მაშინ და ჟორდანისეულ „ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ დავდექით“ მის სიცოცხლეშივე ერთიანად და ამასთან, ტყვიაც რომ ვახალეთ „დამყაყებულ ქართული ნაციონალიზმის ბურჯს“, – ფაქტია: მერეც, 1918 – 20 წლებშიც რომ ილია და მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია არავის გახსენებია – ესეც ხომ ფაქტია. ახლაც, ამ ჩვენს გაუგებარ „გარდამავალ პერიოდში“ რომ ისევ არავის გვახსენდება ეს თეორია, ესეც ხომ, ფაქტია...

– სანამ მამალი
სამჯერ იყივლებს,
სამჯერ უარყოფთ იცოდეთ! –
დაუბარა მოსწავლეებს
ანდერძად ქრისტემ...

ზუსტად ასევე, –
სამჯერ უარყავით,
სამჯერ ვუღალატეთ
ჩვენც ერის-მამას:

პირველად წიწამურთან,
შემდეგ – საბჭოეთის ჟამს,
და არ ვცნობთ ახლაც
მას ერის – მამად,
ჩვენი მომავლის
გზისგამკვალავად...

ეს გზისგამკვალავა მან –24 წლის ჭაბუკმა დარიალის ხეობიდან დაიწყო, მშფოთვარე თერგის ნაპირებთან ჩაფიქრებულმა. ეს ფიქრი დასტრიალებდა მას მთელი ცხოვრება, ფიქრი იმაზე, თუ როგორ აღვადგინოთ „წახდენილი ქართველთა სახელი და ქართული წეს-წყობა“, როგორ, რანაირად შევძლოთ იმპერიის მარწუხებში გამომწყვდეულებმა მონური სულიდან და მონური ყოფიდან კვლავ „ჩვენი თავის ჩვენად ყუდნება“...

ამ ყველაზე დიდი კითხვა – დილემის გადაჭრას შესწირა სიცოცხლე, მის ძიებას და პოვნას. „ემიე და ჰპოვეო“ და ღმერთმა ამისი ნიჭიც და უნარიც დაანათლა. საქართველოს ისტორიის ფილოსოფიის მისეულმა დიდმა ფორმულამ – „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“, აპოვნინა ეს მხსნელი გზა...

იქნებ დადგა დრო „წახდენილი“ ქართველობა ახლა მაინც დავადგეთ ამ გზას – „საერთო ნიადაგის“ თეორიის სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპების განხორციელებას?...

ერთობა - ერთინობა და "საერთო ნიადაგზე" დგომა რომ ყველაზე მისაღები და სანატრელი მდგომარეობაა ერისა და ქვეყნის, კაცისა და კაცობრიობის ცხოვრებაში, ეს ვინ არ იცის. ეს მართლაც, "ისტორიის ფილოსოფიის ანბანია." მაგრამ საქმეც ისაა ამ სტრატეგიული მიზნის მიღწევის გზები და ტაქტიკური საშუალებანი მოვიძიოთ და

ავამოქმედოთ. ილიას სიბრძნე და სიდიადე ისაა, რომ მან მოიძია ეს ყველაფერი და მომავალ თაობებს გადმოგვცა ასამოქმედებლად და საქმედ ქცევისათვის...

მაინც სხვა არის ქართული ჯიში...

შემომქმედმა ყველა ერს თავისი ფსიქიკა, ზნე და ხასიათი დაანათლა... გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე გრიგოლ რობაქიძე ჟენევაში საგასტროლოდ ჩასულ ქართული ცეკვის ანსამბლის კონცერტს დაესწრო. კაცს ამ წუთისოფლად ჭირ-ვარამიც ბევრი აქვს და ლხინი და ნეტარებაც. რა ნეტარება განიცადა მან ქართული ცეკვების ხილვით იმ ხანს, ეს მართო მან იცის და მან გამოსცადა – ჩვენ ამაზე ხელი არ მიგვიწვდება, მაგრამ ხელი მიგვიწვდება ამ ნეტარებით აღტკინებული ქართული აზრის და ქართული სიტყვის ამ დიდი ოსტატის ესეზე – „**როგვით განფენილი ქართული გენი**“. ვისაც ერთხელ მაინც წაუკითხია იგი, ის დამეთანხმება – ასე ღრმად და ოსტატურად ქართულ ჯიშ-ჯილაგზე, ქართულ ნოსტალგიურ სენზე იშვიათად თუ ვისმე უწერია...

ახლა მის წერილებს თუ ვნახავთ ქართველ ფედერალისტების თავკაცებზე – მიხაკო წერეთელსა და ვარლამ ჩერქეზიშვილზე – თავის დიდ თანამოაზრეებზე, აქაც მისი ფიქრი ამ ფენომენს დასტრიალებს – ქართული გენის, ქართული ჯიშის უნიკუმს. ნოსტალგია ვის არა აქვს, მაგრამ ასე მომეტებული და ავადმყოფური, იშვიათად. ასე რომ არ იყოს, დღეს ლამის ნახევარი ამერიკელებისა ცოცხალი არ უნდა იყოს. ეს ბოლო ორი საუკუნე, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულები, ქართველებმაც აიდგეს ფეხი და სადღა არ ამოყვეს თავი. მაგრამ ძველი ეგვიპტელი მამლუქებით, რაც უნდა სიმდიდრეს და ძალაუფლებას არ უნდა მიაღწიონ, პიროვნული ბედნიერება მაინც შორს არის მათგან, საქართველოდან მოწყვეტილი ქართველისთვის ბედნიერება არ არსებობს – ესეც ქართული ჯიშის და ქართული ისტორიის ფილოსოფიაა...

გრიგოლ რობაქიძეც სწორედ ამ მიმართებით წერს ჯერ კიდევ კანტი-კუნტად გახიზნულ მაშინდელ ქართველებზე. მის მიერ ილიას პიროვნების გააზრებაც ამ კუთხით არის ნიშანდობლივი. ამ მიმართებით ბევრი დაუწერია მასაც და სხვასაც, ილიას საოცარ ნოსტალგიურ ბუნებაზე, ასე რომ ახასიათებს ჩვენს ეროვნულ სულს. ამ მხრივ არტურ ლაისტი გადმოგვცემს ერთ ფაქტს „**მტირალა**“ ილიაზე:

ილია და ტირილი – გაიკვირვებს მკითხველი. დიახ, ილია ტიროდა, ცრემლი გადმოსდიოდა თვალთაგან, როცა 1902 წელს სამკურნალოდ გერმანიაში წასული, საქართველოში ბრუნდებოდა დარიალით. მეგობრები დახვდნენ აქ და ლაისტი გაკვირვებული წერს – როგორც კი ეტლიდან ჩამოვიდა და ჩვენ დაგვინახა ამ ბუმბერაზი მთების ფონზე თვითონაც ამ გაუტეხავმა და ბუმბერაზმა კაცმა ცრემლები ვეღარ შეიკავა, მერე კი გვითხრა – ადრეც მომძალეობია სამშობლოს სევდა, მაგრამ ასე ძალუმად არასოდეს, ეტყობა ასაკის ბრალიცაა...

ამასწინათ, „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის რადიოჟურნალს ვუსმენდი, სადაც ამერიკაში სამუშაოდ წასული ერთი ქართველი ემიგრანტი ქალის ინტერვიუს გადმოსცემდნენ. ამ ქალმაც პირდაპირ რადიოგადაცემაში იტირა – ორიდე წელია, რაც წამოსული ვარ რომ ჩემმა შვილიშვილმა მაინც ცხოვრების გზა გაიკვალოს – სტუდენტია და სწავლის ქირით ვეხმარები აქედანო, თორემ ნოსტალგია მკლავს... ამ დროულ ქალსო... ცრემლები მომადგა თვალებზე – ნუთუ ჩვენი მიწა-წყლის პატრონ კაცს აქ, თავის სამშობლოში არ უნდა შეეძლოს ნორმალური ცხოვრება და სარჩო-საბადებელის მოპოვება?!...

ბევრი იფიქრებს მკითხველთაგან – რამ გადარია ეს კაცი, გლობალიზმის ეპოქაში რაღა დროს ნოსტალგიაა?! შეიძლება მართალიც იყოს, მაგრამ ესეც ხომ ფაქტია და მართალია – ნოსტალგია ბევრ ერს არა აქვს, იგი ჩვენი სენი და დაავადებაა. შეიძლება ბევრს ახსოვდეს მწერალი ჭეიშვილი – რობაქიძესავით ისიც გერმანიაში გაქცეული, ოღონდ გასული საუკუნის 60-იან წლებში, სამედიცინო ექსპერტიზით ნოსტალგიით გარდაიცვალა – ჯიშია ასეთი და რას იზამთ. ასე დაგვყვა გენეტიკურად შემომქმედიდან... „მამლუქობა“ – ძველიც და ახალიც, მეტად მძიმე ტვირთი და სულიერი ტრავმა იყო და რჩება ქართველი კაცისთვის ოდითგან...

ჩვენს ბუნებაში ესეც ზის – ერთი მხრივ, სიცოცხლის დიდი ხალისი, რობაქიძისეული „ლხენა-ლხინის“ კულტი, ყოველივე ამქვეყნიურის რაღაც გიჟური სიყვარული და მეორე მხრივ კი, მათგან მოყირჩება და მოძულება. ფოლკლორშიც არაერთგან არის ასახული ეს თითქოსდა, ურთიერთგამომრიცხავი ფსიქიკური ფენომენი. ილიას არაერთხელ აქვს აღნიშნული „ათასნაირი გვირისტით ნაქსოვი“ ქართული ხასიათის ეს და სხვა მსგავსი პარადოქსები. „მათ გადმოცემას ძალიან ჭკვიანი და ბრძენი მწერლის კალამი სჭირდება... ეს ხასიათი ხან აბოზოქრებულ ზღვას გვაგონებს და ხან კი უძრავ და ხავსმოკიდებულ ჭაობსა...“. თვითონაც ხომ, ბოლო 2 – 3 წელი სრულიად განმარტოვდა, დაკარგა ცხოვრების ინტერესი და ხალისი, აზარტული თამაშების მოყვარულს, აღარც ამისკენ მიუწევდა გული, ოთარაანთ ქვრივის „სიკვდილის მოლოდინის ლხენით“ ცხოვრობდა მხოლოდ ყველასაგან განმარტოვებით. ყველა მისი თანამედროვე ერთხმად აღნიშნავს ილიას ამ ფერისცვალებას – ბანკიც დატოვა, თავისი საყვარელი „ივერიაც“ და სამუდამოდ გაეზუტა ამ წუთისოფელს. ილიას და საერთოდ, ქართული ხასიათის ეს განწყობა პოეტურადაც ვცადე გამომეხატა:

გულს ძველებურად
აღარ ერჩის
მიწის და ცისა,
მომბეზრდა თითქოს
ეს ხმაური წუთისოფლისაც...
აზრი დაკარგე
ნალოლიებ ოცნებებისაც...
ნუთუ დრო დადგა

ანგარიშის გასწორებისა
ნაცოდვილართა ამა სოფლისა...

თითქოს სული ჩქარობს გამორდეს თავის ამქვეყნიურ საჭურჭლეს – სადღაც მიიჩქარის, ღმერთმა იცოდეს საით... ეს ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი, ესეც ხომ, პარადოქსული ქართული ხასიათის თვისებაა – დაგვიანება გვიყვარს ქართველებს, ხშირად დიდი საამქვეყნო ტრაგედიები რომ მოაქვს ამ დაგვიანებას... აკი, გენიოსურად თქვა ბარათაშვილმაც – „ ... და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს, იგი ამისთვის არა დაღონდეს“... ერთი ფოლკლორული გააზრებისა არ იყოს, თვით ღმერთთანაც დააგვიანდა ქართველს დედამიწაზე მიწების განაწილებისას და როცა შეეკითხა – რატომ დააგვიანა, – ყველაფერი უკვე გავანაწილეო, მოსწრებულად უპასუხა – შენს სადღეგრძელოს ვსვამდი და ამიტომ დამაგვიანდაო... ამ პასუხით ნასიამოვნებს, ღმერთს უთქვია: აი, ჩემთვის შემონახული მქონდა ეს საუკეთესო მიწა და შენთვის დამითმიაო...

ღმერთმა ქნას, რომ ასე კეთილად დამთავრდეს ჩვენი ამ საუკუნის თუ წინა საუკუნეების „მნელბედობათა“ ეს დაგვიანებებიც...

ეხლა ცოტა იუმორიც ქართული ჯიშის ამ თემაზე – იუმორის გარეშე ხომ არაფერსა აქვს ამქვეყნად ფასი. ჯერ პოეტურად გადახარშული პრაგმატიზმის ქართული გააზრებისორი ვარიანტი:

„დრო ფულია!“, –

გვესმის ყოველი მხრიდან...

– დრო ყველაზე მუქთია ჩვენთან!,

ასეთია პასუხი ჩვენგან...

– მობრძანდით, დაბრძანდით, მიირთვიტ!,

დრო ყველაზე მუქთია ჩვენთან...

ახლა „მოულოდნელობაზე“:

დღის პრაგმატიზმმა ჩვენ ყველას

ასეთი იდეა შემოგვთავაზა:

– „იყავი პრაქტიკული

და ელოდე მოულოდნელს!“,

და სადღა არა...

უცნაური ხალხია

ეს ევროპელნი–ამერიკელნი,

თითქოსდა ახალს გვეუბნებიან:

– მოულოდნელის მეტი

რა ვიციტ,

რა გვინახავს,

ქართველებს მეტი
რა გადაგვხდენია?!...

ახლა რუსული გააზრება ქართული ჯიშის:

– ვინ არის ყველაზე
ძლიერი ნებისყოფის ერი? –
ჩატარდა ასეთი გამოკითხვა
მსოფლიო ერებს შორის...
შეივსო ანკეტები,
დასახელდა სხვადასხვა ერიც –
ფრანგი, ინგლისელი
თუ გერმანელი,
შვედი, ამერიკელი
თუ ესპანელი...
რუსზე რომ მიდგა
პასუხის ჯერი,
ამ ჩვენმა ივანამ
პირში ახალათ:
– რას მიედ–მოედებით –
რისი ეკონომიკა,
რა ეროვნული შემოსავლები,
ყველაზე ძლიერი ნებისყოფის ერი
არის ქართველი:
– მარანი სავსე აქვს ღვინით და არყით
თვითონ კი არხეინად
აქეთ–იქით დადის...

ასეა– ღმერთმა ყველა ერს თავისი ზნე–ხასიათი და ცხოვრების წესი მისცა...

„ეს ხომ ისტორიის ფილოსოფიის ანბანია...“

ილია საქართველოს თუ მსოფლიო ისტორიის ყველა ფაქტსა თუ მოვლენაში
ყველგან ფილოსოფიურ განზოგადოებას, მასზე დაფუძნებულ ანალიზსა და დასკვნას
ემეზდა. ამ მხრივ კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს მისი „აი, ისტორია“. აქ ილია
აგრძელებს იმ იდეის ემპერიულ დასაბუთებას, რომელზეც ჩვენ ადრეც გვისაუბრია –
„რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“...

„აი, ისტორია“ ვრცელი პოლემიკური წერილების ციკლია, მიმართული ივანე ჯავახიშვილისა და დრეპერის ე.წ. „ერის დაბერების“ თეორიის წინააღმდეგ. ეს თეორია განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ამერიკისა და ავსტრალიის კონტინენტებზე ევროპელთა ემიგრაციის შედეგად წარმოიშვნენ სრულიად ახალი ერები – ამერიკელები, კანადელები, მექსიკელები, არგენტინელები, ბრაზილიელები, ავსტრალიელები, ახალი ზელანდიელები... ასე ვთქვათ, კაცობრიობის ისტორიაში მოხდა „ახალი სისხლის გადასხმა“ და ამიტომ ამ თეორიის მომხრეთა აზრით, „ძველ ერებში“ დაიწყო „დაბერება“ და „სიკვდილის პროცესი“. ამ ძველ ერებში იგულისხმებოდა ქართველი ერიც...

ილიას რეაქციამაც არ დააგვიანა და მისთვის ჩვეული სარკაზმით ამხელს ამ „ცრუ-მეცნიერულ თეორიას“ და მისგან გამომდინარე დასკვნებს. მონოგრაფიაში – „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, ივანე ჯავახიშვილი აღფრთოვანებას და აღტაცებას ვერ მალავს ილიას ამ უაღრესად ღრმა ანალიზისა და დასკვნების მიმართ. „ჯერ აქამდე არცერთ ქართველ მოღვაწეს და მოაზროვნეს არ მოსვლია თავში მსგავსი პრობლემები დაეყენებინა საქართველოს ისტორიის ფილოსოფიური განზოგადოებით“ – წერს იგი. ილია განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა ისტორიის ფილოსოფიურ განზოგადებას და საერთოდ, ნებისმიერი მეცნიერების ფილოსოფიას. ისტორიაც მეცნიერებად მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, როცა მას ასეთ განმაზოგადოებელ ფილოსოფიურ სახეს მივცემთ. სხვა შემთხვევაში, როგორც მას უყვარდა თქმა, „უქმის ჭკვის უქმი ვარჯიშია“. სარედაქციო წერილში – „საქართველოს მოამბეზედ“, მან მართლაც რომ მთელი ჰიმნი უძღვნა „ცხოვრების განახლებისა და მის წინმსვლელობის უღელში შებმულ მეცნიერებას“.

ამასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ მთლიანად გადასასინჯია საქართველოს ისტორიის კვლევა. მას გამოყენებითი პოლიტოლოგიური ხასიათი უნდა მიეცეს, სხვანაირად იგი ფაქტების გროვა იქნება და მეტი არაფერი. ალბათ უნდა შემოღებული იქნას სასწავლო კურსიც – „საქართველოს ისტორია და პოლიტოლოგია“. ყველა განვითარებულ ქვეყანაში თავიანთ ისტორიას ასე იკვლევენ და წერენ. ფაქტის და მოვლენის ცოდნა კარგია, ისტორიული თარიღებისაც, მაგრამ ეს საკმარისი არაა იმ პროცესის გასაგებად, რასაც თავის დროზე ივანე ჯავახიშვილი „ისტორიული პერსპექტივის გააზრებას“ უწოდებდა, ხოლო მანამდე ილია – „ისტორიის ფილოსოფიის ანბანს“.

რაში მდგომარეობს ისტორიის ამ ფილოსოფიური განზოგადოების არსი საქართველოს მომავალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით? ჩვენ აქ სამ ძირითად მომენტს გამოვყოფთ:

1. ივ. ჯავახიშვილი „ბრმა და მონური მიმზამველობით“ იმეორებს რა დრეპერის ე.წ. „ერის დაბერების თეორიას“, ამით ერის არსებობა პრიმიტულად ჩამოჰყავს ცალკე ინდივიდის არსებობასთან: ისე, როგორც ცალკეული ინდივიდი იბადება, იზრდება და

მერე კვდება, ასევეა ერიც – ასეთია ამ თეორიის არსი. მაშასადამე, რაც უფრო დიდი და ხანგრძლივი ისტორიის მქონეა ერი, მით უფრო „მალე ბერდება და კვდება“ – აი, მთელი ფილოსოფია ამ თეორიისა...

ილია, პირიქით ფიქრობს და ანზოგადებს ნებისმიერი ერის, მათ შორის ქართველი ერის ისტორიული განვითარების ფილოსოფიას ამ მიმართებით: რაც უფრო ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილება აქვს ერს, ის მით უფრო სიცოცხლისუნარიანია ყველა იმ ისტორიულ განსაცდელებთან და ძნელბედობებთან ბრძოლაში, რაც მას ათასწლეულების მანძილზე შეხვედრია და შეხვდება კიდევ შემდეგშიც ათასწლეულების მანძილზე. ამიტომ ვერ მალავს თავის აღტაცებას ივ. ჯავახიშვილი და იქვე წერს – „საისტორიო მეცნიერებაში მას ისტორიული პერსპექტივის აუცილებლობა ეწოდება“ (ხაზგასმა ივანე ჯავახიშვილისა). მაშინ, როცა ივანე ჯავახიშვილი ამ მონოგრაფიას წერდა (1938 წელს) ჯერ კიდევ არ იყო ფართოდ დამკვიდრებული ტერმინი – „პოლიტოლოგია“ და „პოლიტოლოგიური პროგნოზირება“ და ამიტომაც ხმარობს იგი ამ ცნებას – „ისტორიული პერსპექტივის აუცილებლობა“.

დღევანდელი ტერმინოლოგიით ეს არის ის, რაც ასე ჰაერივით სჭირდება ჩვენს ქვეყანას, მის მომავალ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებას. ამოცანაც ის არის, რომ შევძლოთ ასეთი მეცნიერების შექმნა და რაც მთავარია, მისგან გამომდინარე დასკვნების პრაქტიკაში განხორციელება ჩვენი ერის „ისტორიული პერსპექტივის“ შესანარჩუნებლად.

2. მეორე დასკვნა, რასაც ივ. ჯავახიშვილი აკეთებს ზემოდმოხსენიებულ მონოგრაფიაში და რომლითაც იგი ილიასადმი კიდევ უფრო დიდ აღტაცებასა და აღფრთოვანებას გამოთქვამს, ეროვნულ ეკონომიკას და მისი ფორმირების პრობლემას ეხება:

„1880 წელს დაბეჭდილ წერილში (აქ. ივ. ჯავახიშვილი გულისხმობს „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“ – ე.ბ.), ილია ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიას მანამდე სრულიად უცნობი თვალსაზრისით მიუდგა... მან პირველმა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი წარსულის ეკონომიური საფუძვლის გამორკვევის აუცილებლობა აღიარა“ (ხაზგასმა ივ. ჯავახიშვილისა – ე.ბ.).

ეს „საფუძველი“ კი არის ის, რასაც ილია და მისი თანამოაზრეები ძველ ქართულ კომლსა და „ხოდაბუნურ კორპორაციებზე“ დაფუძნებულ „ქართულ სახალხო კაპიტალიზმს“ უწოდებდნენ და რომლის განხორციელება მესამედასელთა იდეოლოგიამ ძირშივე აღკვეთა. ჩვენ მასზე დაწვრილებით ვწერთ მონოგრაფიაში – „ილია და საქართველო“, აქ კი მოკლედ ავღნიშნავთ, რომ სანამ ილიას ამ დიდ იდეას კონცეფტუალურ და პროგრამულ სახეს არ მივცემთ თანამედროვე ეპოქის შესატყვისი ფორმებით, მანამდე ვერც ეროვნულ სახელმწიფოს შექმნით და ვერც ეროვნულ ეკონომიკას. სწორედ ამ გააზრებით უწოდებს ივანე ჯავახიშვილი ილიას „ქართული

კულტურისა და მეცნიერების სწორუპოვარ ბელადს და საქართველოს მომავლის გზისგამკვალავს“.

3. „საქართველოს ისტორიის ფილოსოფიიდან“ გამოჰყავს ილიას კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი სამომავლო პოლიტიკური დასკვნა ჩვენთვის – კონსტიტუციურ მონარქიაზე დაფუძნებული საპარლამენტო მმართველობა. ბოლოსდაბოლოს უნდა მოვეშვათ პირველკაცობა – პრეზიდენტობანას თამაშს და ქვეყანა, მისი სახელმწიფოებრივი მართვა–გამგეობა გადავიყვანოთ საპარლამენტო მართველობის რელსებზე მეფის – სახელმწიფოს ფორმალური (ნომინალური) მეთაურის მკაცრად განსაზღვრული კონსტიტუციური ნორმების დაწესებით. ამასაც ეპოქის შესატყვისი კონცეფტუალური გააზრება სჭირდება სათანადო სამართლებრივი და საზოგადოებრივი ფონის მომზადება. რაც მალე დავიწყებთ ამას, მით უფრო მივუახლოვდებით იმ იდეალებს, რომლებზეც მთელი ცხოვრება ფიქრობდა იგი საქართველოს ისტორიის ფილოსოფიის იმ „ანზანს“, რომლის გაგება და გათავისება მან გვიანდერძა და რომლის გარეშე ვერასოდეს გავიგებთ თუ, – „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“.

„ნ უ თ უ“

უკანასკნელი შედეგრი ილია ჭავჭავაძის პოლემიკური მემკვიდრეობისა – „ნუთუ?“ არ დაგვავიწყდეს – ესეც ძალის–ძალობით დაწერილი, – დაემუქრნენ ჯერ კიდევ აქა–იქ შემორჩენილი მისი თანამოაზრენი და პატივისცემელნი: თუ არ უპასუხებ მესამედასელთა ბრალდებებს, მაშინ ჩვენც გამოვალთ ერთობლივი წერილით – ყველაფერი, რასაც გაბრალებენ, მართალია და ბოდიშს მოვიხდით, რომ აქამდე შენს გვერდით ვიყავით და ვერ მივხვდით შენს „მტარვალობას“ და „შავბნელ რეაქციონერობას“...

და კიდევ ერთხელ გაიბრძოლა, კიდევ ერთხელ თავი შეახსენა მესამედასურ გზაზე შემდგარ ქვეყანას და ერთმანეთზე ჩასაფრებულ „ასო–ასოდ დაჭრილ და განთვითოებულ“ ქართველობას თავისი არსებობა...

მაგრამ ვაი ამ თავის შეხსენებას: ამას პასუხი არ შეიძლება ეწოდოს მთელ იმ პასკვილზე, რაც მას თავს დაატეხეს მახარამეებმა, ჟორდანიებმა, გელეიშვილებმა და მათგან წაქეზებულმა სტამბის მუშებმა, უარი რომ თქვეს ილიას საპასუხო წერილის აწყობასა და დაბეჭდვაზე...

ეს არის საბრალდებულო დასკვნა მთელ მესამედასურ საქართველოზე, მტრისადმი მიმართული და ხმალზე ამოკვეთილი ერეკლე მეფის სიტყვების მსგავსი – „მე ვარ ავი მუსაიფი“, – ავი მუსაიფი საკუთარ ხალხსა და მის მომავალზე მიმართული...

დიახ, მთელ XX საუკუნის მესამედასურ საქართველოზე მიმართული, მანამდე რომ „ავი მუსაფი“ გაუმართეს არა მარტო მას, ილიას – „საქართველოს თანამდეგ უკვდავ სულს“, არამედ საქართველოს ძველ, იმჟამინდელ და მთელ მომავალ ისტორიას...

ამით „საერთო ნიადაგი“ მიუღებელი გახადეს თავისთვისაც და მათგან მოტყუებულ – გაბითურებული ხალხისთვისაც. და აღასრულეს კვლავ მერამდენედ შაჰ-აბასის წყევლაც – „ღმერთო ქართველებს ერთ პირს ნუ მისცემ!“

ნუთუ ასე უნდა გაგრძელდეს დღესაც „საერთო ნიადაგის“ გარეშე ჩვენი სამომავლო სვლა და მის ნაცვლად, შაჰ-აბასის წყევლას დავემონოთ კვლავ...

დიახ არავის გაგვიკვირდეს, არც გვეწყინოს – „ნუთუ“ ბრალდებაა მიმართული არა მარტო, მესამედასეულ კოსმოპოლიტ-ინტერნაციონალისტთა წინააღმდეგ, არამედ გლობალიზმის ეპოქის დღევანდელი თაობების მიმართაც. მაშინაც და დღესაც ჩვენ ყველა დიდი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი ისტორიული გამოცდის წინაშე ვდგავართ: მართლა „დავბერდით“ და ამოვწურეთ ჩვენი შემდგომი სიცოცხლისა და განვითარების „პოტენციალი“, თუ ქართველ ერს კვლავ დაგვრჩა ივ. ჯავახიშვილისეული „ისტორიული პერსპექტივა“ ამ ახალ საუკუნესა და ახალ ათასწლეულში...

ამ კითხვას პასუხის გაცემა უნდა, პასუხად კი – დაფიქრება და იმის გააზრება – გათავისება, თუ „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“. თვითეული ჩვენთაგანი ვალდებულნი ვართ ვიფიქროთ ამაზე და იმაზეც, თუ როგორ ჩავაბარებთ XXI საუკუნის ქართველობა ამ დიდ გამოცდას ჩვენი მომავალი თაობებისა და ისტორიის წინაშე...

ამ დილემამ კი ეს პოეტური გააზრება ასაზრდოვა ჩემში:

რაცკი ამქვეყნად მოვდივართ,
სულ მუდამ ვაბარებთ
ათასგვარ გამოცდას, –
– ჯერ ხომ ფეხს ვიდგავთ,
ვსწავლობთ სიარულს გამართულს,
გამართულ ლაპარაკს,
მერე და მერე
მართლად თქმის
მართლად სვლის
ვაბარებთ გამოცდას
გამოცდას...
გამოცდას...
მაგრამ ყველაზე ძნელი გამოცდა
ეს არის ჩვენი ბოლო გამოცდა, –
როცა იმქვეყნად წასვლის დრო დადგება,

ჩვენი ყველაზე ძნელი გამოცდაც
მაშინ დადგება:
– აქ რომ იყავი, აბა, მითხარი,
რა აკეთე, რისთვის იყავი,
რა არგე კაცსა ან ქვეყანასა, –
აქ რომ იყავი, აბა, მითხარი?...

„ქმნა მართლისა სამართლისა...“

ამქვეყნად ყველაფერს თავისი სამართალი აქვს და მათ შორის, რა თქმა უნდა, ისტორიასაც. კაცისა და კაცობრიობის ყველაზე დიდი სამართალი სწორედ რომ ისტორიას აქვს და ისტორიის ფილოსოფიის არსიც მის დადგენა–გაცნობიერება–გათავისებაშია საძიებელი. ილიაც მთელი ცხოვრება მას ეძიებდა, მასზე გვითითებდა. აკი წერს მისებური პირდაპირობით სტატიაში – „დავით აღმაშენებელი“:

„... ერის გაცემა და გათახსირება მაშინ იწყება „როცა ერი თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისე ერად სახსენებელი არ არის იგი „რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს...“ ამიტომაც, რომ ჩვენ დღეს „მეხსიერებადაკარგული კაცივით ვართ“, – დავიწყებული გვაქვს ვინა ვართ, საიდან მოვდივართ და საით მივდივართ და ამიტომ თქვა პოემაში – „აჩრდილი“, ეს გულსაკლავი სიტყვები:

და შენსა ძესა დღეს არცკი სწამს შენი აღდგენა,
და დაუგდიხარ, ვით ტამარი გაუქმებული...“

ამ „ისტორიული მეხსიერებით“ და მასზე დაფუძნებული რწმენის დაბრუნებაა მთავარი. იმავე სტატიაში („დავით აღმაშენებელი“) კიდევ უფრო აღრმავებს ისტორიის ფილოსოფიის თავის გაგებას ერთი მხრივ, ისტორიის პოლიტოლოგიურ–ფუნქციონალური დატვირთვით („ისტორია მთხრობელია იმისა, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიქმნეთ“), და მეორე მხრივ, იმით, თუ რით და როგორ „აბრუნებს ერი თავის ბედის ჩარხს“, რა აძლევს ხალხს „ძალას და სულის საგზაოს“, როგორ და რანაირად გავიგოთ რა არის ჭეშმარიტი სამომავლო გზა ქვეყნისა და ხალხისა...

ისტორიის სამართალიც მაშინ აღსრულდება მთელი თავისი ძალმოსულობით, როცა ამ კითხვებს სწორი პასუხი გაეცემა და ერიც, როგორც „ისტორიით შედუღებული ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა კრებული“, ამ სამართლის გზას გაჰყვება. შემოქმედის ნებაც და „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“ მაშინ აღსრულდება...

პოლიტიკისა და პოლიტიკოსის არსი და ხელოვნებაც ისაა, რომ ამ გზაზე დააყენოს ერი, აღთქმული ქვეყნისაკენ მიმავალ ერთადერთ ჭეშმარიტ გზაზე და არა „არსაით მიმავალ გზაზე“. ამ უკანასკნელით ვიარეთ დღემდე და ამიტომაც დააწერა 1897 წლის 31 დეკემბრის თავისი საახალწლო მისალოც წერილს კითხვის ნიშნებიანი ასეთი სათაური – „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“:

„არ ვიცი – რანი ვყოფილვართ. არ ვხედავთ – რანი ვართ. ვერ გამოგვისახია – რანი ვიქნებით... უზარმაზარი უფსკრულია ჩვენ, ქართველების წინ... საკმარისია ხელი გვკრან და შიგ გადავიჩეხებით დედა-ბუდიანად... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“

გლობალიზმი კიდევ უფრო ზრდის ამ საფრთხეს და თუ ლუარსაბივით ყურთ-ბალიშზე კვლავ არხეინად წავუძინებთ, „ხმლისა და თოფის ნაცვლად, საქმით და ფულით მოსულნი“ ერთ მშვენიერ დღეს „სახსენებელს გაგვიწყვეტს ქართველებს“...

„უმაღურობის“ ზღვას შეჭიდულმა ილიამ ყველასი და ყველაფრის იმედი დაკარგა, გარდა ღვთისა და ისტორიის სამართლისა. ისტორიაც ხომ სხვა არაფერია, თუ არა ღვთის ნების გამოვლენა სამყაროს იმ პაწაწკინტელა წერტილზე, რასაც „დედა-მიწა“ დავარქვით და ამ მხრივაც დავაკვირდეთ ამ სამართალს:

შორეული თუ ახლო წარსულის ყველა იმპერიული ძალა დაეცა მიდიიდან და ბაბილონიდან მოყოლებული, XX საუკუნის „დიდ-დიდი მტაცებლებით“ დამთავრებული (დიდი სიმბოლიკებით სავსეა ამ მხრივაც ილიას „საპოლიტიკო მიმოხილვა“), ჩვენ კი, მადლობა უფალს, გადავრჩით. თუ „რამ გვიხსნა და რამ გადაგვარჩინა“, ამაზეც პასუხს ილია იძლევა. ეს განსაკუთრებით ზემოდნახსენებ „ივერიის“ სარედაქციო წერილს („რა გითხრათ? რით გაგახაროთ?!“), აგრეთვე, ვრცელ საპროგრამო წერილს – „ზოგიერთი რამ“, ეხება. ორივე საქართველოს ისტორიისა და პოლიტოლოგიის ნიმუშად დარჩება ჩვენს მომავალ ისტორიაში, საქართველოს ისტორიის ფილოსოფიის ანბანის შესასწავლად გამოადგება ყველას, ვისაც ამ ანბანის დაუფლება უნდა...

ცნობილია, რომ ილიას უყვარდა თავის მხატვრულ თუ პუბლიცისტურ ნაშრომებზე რუსთაველის აფორიზმების წამძღვარება. ამ მხრივ მარტო „ქვათა ღაღადის“ ეპიგრამის გახსენება რად ღირს: „ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მაწყინარობს, მოყვარესა მტერსა ვუფრთხი, მემოყვრება – მაცინარობს“. უკეთესს ვერ მოიფიქრებს კაცი – ზუსტად გამოხატავს „რუს და სომეხ ცრუ-მეცნიერთა ერთგვარი გუნდის“ ანტიქართული პოლიტიკის არსს...

ჩვენს დღევანდელ ყოფას ასევე ზუსტად გამოხატავს ეს რუსთაველური სიბრძნეც – „ქმნა მართლისა სამართლისა, შეიქმნს ხესა ხმელსა ნედლად“. ეს სამართალი ნაპოვნია ილიას მიერ, იგი თვალწინა გვაქვს. მას აღსრულება უნდა. ძნელია ეს, დიდგორივით ძნელი, მაგრამ აღსასრულებელი, თუ გვინდა, რომ საქართველოს და ქართველი ერის ისტორია კვლავაც გაგრძელდეს.

დიახ, ბატონებო ისტორიას თავისი დიდი სამართალი აქვს და ამასთან, დიდი და უძლეველი კანონებიც. მათ ცოდნასა და გაგებაზე აქვს ლაპარაკი ილიას ყველგან, სადაც ამ „უძლეველ კანონებს“ ეხება და ჩვენი ვალია, ათასწლეულებს გამოვლილი ქართველობა არ ვემსხვერპლოთ მათ ამ ახალ საუკუნესა და ამ ახალ ათასწლეულში. ამ ილიასეულ გააზრებაზეც მინდა ერთი მინიატურა შემოგთავაზოთ „ძველი პოეტური რვეულებიდან“:

„გადავაგორეთ ეს წელი ერთიც,
ათასწლეულებს მიემატა ეს ერთი წელიც,
ჰა, დასრულდება ეს მოსახვევიც
და გამოჩნდება ისტორია
მახვილით ხელში,
ჯერ უცოდველი,
როგორც ბალახი
ამოსული უდაბურ ტყეში...
გადავაბარეთ ისტორიას ეს ერთი წელიც,
სამართლის სასწორს იმარჯვებს ღმერთიც...
ჩასაფრებულა ისტორია მახვილით ხელში
სადღაც მახლობელ ჩვენს მოსახვევში...“

ღმერთმა ინებოს, რომ მშვიდობით განვვლოთ ისტორიის ეს „მოსახვევიც“... ამისათვის უპრიანია, გავითავისოთ ისტორიის სამართალი, მისი ფილოსოფია და კანონები, ისე როგორც ეს გაითავისა და სამემკვიდრეოდ გადმოგვცა ილია მართალმა... „მართლის სამართლის“ აღსასრულებლად...

ესკი სამი სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული, ასე ვთქვათ, სამი ურთიერთგაპირობებული ტრიადის გააზრება – გათავისებასა და საქმედ ქცევაზე: ეროვნული იდეოლოგია, ეროვნული ეკონომიკა და ეროვნული სახელმწიფო. ყველაფერს ამას კი, უნდა მიეცეს პოლიტიკური პროგრამის სახე.

მათზე „საუბრების“ შემდეგ ნაკვეთში გვექნება საუბარი.

საბჭოთა კავშირიდან ევროკავშირისაკენ

შესავალი ციკლისთვის – „საუბრები ილია მართალზე“

- რანი ვიყავით,
- რანი ვართ,
- რაც შეიძლება ვიქმნეთ!

ასი წლის წინ და ასი წლის შემდეგ...

„ხმლითა და თოფით მოსეულებს გაუძელით,
გადავურჩით, მამული, ენა, სარწმუნოება
შევინახეთ, შევინარჩუნეთ, ... ფულითა და საქმით
მოსეულთ კი, ვედარ გადავურჩებით, თუ ფული
და საქმე არ დავახვედრეთ წინ“

ილია მართალი

ღმერთმა ისე ინება, რომ ჩვენი ერი ათასეული წლები ცხოვრობს და ვითარდება დიდ იმპერიულ გაერთიანებებთან ჭიდილში. კავკასიაც ოდითგან ისეთი რეგიონი იყო ევრაზიურ სივრცეში, რომ როგორც იტყვიან, ანდამატივით იზიდავდა ყველა ამ იმპერიულ ძალას სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან თუ დასავლეთიდან. ყველა მათგანმა კარგად იცოდა: ქართველების და საქართველოს დამორჩილებით გზა ეხსნებოდათ კავკასიასა და მცირე აზიაში დასამკვიდრებლად.

ამიტომაც მოდიოდნენ და მოდიოდნენ საუკუნიდან საუკუნემდე მშვილდ-ისრებით, ხმლითა თუ თოფ-ზარბაზნით ჩვენი მიწა-წყლის დასაპყრობად. ციფრი – „ცხრა“ ჩვენს ენაში საკრალური ციფრია და დღემდე ცხრა იმპერია გამოვიცვალეთ მიდიიდან მოყოლებული „მესამე რომის“ ჩათვლით. ეს უკანასკნელი, პირველი „ორი რომისაგან“ განსხვავებით, გაცილებით ცბიერი და ვერაგი აღმოჩნდა:

თუ პირველი, ნამდვილი რომი ჩვენ სხვა ხალხებისაგან განსხვავებით, „ბარბაროსებს“ კი არა, „მეგობრებს“ გვიწოდებდა და თვით ჩვენი მეფის – ფარსმან

ქველის ძეგლიც კი დადგეს „მარადიულ ქალაქში“, ბიზანტიელებს – „მეორე რომის“ მესვეურებსაც, მიუხედავად იმპერიული ძალადობისა, მაინც ხელი არ უხლიათ ბაგრატიონთა დინასტიისა და ქართული სახელმწიფოსთვის, „მესამე რომმა“ ერთიანად მოსპო ერთიც და მეორეც ამერ–იმერით...

სტატიაში – „ერი და ისტორია“, ილია წერს:

„ჩვენს ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებითა, ბევრი მაგარი და ბევრიც უვარგისი ქვა ჩაუდგია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად...

რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის, ... რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს წალკოტსა..., თუ ჩვენს წარსულს ჩვენი ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა...

ეს ერთის მხრით. მეორის მხრით – რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად, უვარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებია ჩვენს ისტორიას...

რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელია სიფუყე და სისუსტე, ამას ხსნის და გვითარგმნის ხოლმე, მარტო ისტორია, და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ დავივიწყნია ჩვენის ცხოვრების სათავეც, ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი. და თუ ასეა – რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი?“.

ილიას აზროვნების ძალა და სიმართლევ, იმაშია საძიებელი, რომ იგი კაპიტალიზმის ფაზაში შესული საქართველოს საზოგადოებრივ–ეკონომიკური განვითარების ნებისმიერ პრობლემას პირველ რიგში, ეროვნული პრიზმით იხილავს. ამასთან, იგი თავისი ანალიზის საფუძვლად და სუბსტანტად მუდამ ჯერ სულიერ საწყისს იღებს და მერე მასზე დაშენებულ მატერიალურს. რად ღირს ამ მხრივ თუნდაც ერის ცნების მისეული დეფინიცია, რომელიც თავისი ლაკონიზმით გამორჩეულია ერის ცნების ათასგვარ განსაზღვრებათა შორის: „ერი ეს არის... ისტორიით შედუღებული ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა კრებული“.

იგივე სტატიაში ილია წერს: „... ბევრჯერ გვითქვამს და ეხლაც განვიმეორებთ, რომ ისტორია იგი დიდებული ტაძარია, სადაც უწირავს ერთიანს სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებული და დიდ–ბუნებოვან კაცთა უწმინდესნი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვით საშვილიშვილო ანდერძი“.

იმავე 1888 წელს დაწერილ სტატიაში – „დავით აღმაშენებელი“, ვკითხულობთ: „არ ვიცით სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს... რა არის ისტორია? იგი მთხრობელია მისი, თუ – რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვალავაც. ისტორია თავის გულისფიცარზედ იჭდევს მართო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭდევითა, როგორც სარკე, გვიჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისა და გაძლიერებისათვის“.

ერის ეს „ღონე და საგზალი“ ილიამ მოგვცა თავისი ნახევარსაუკუნოვანი პუბლიცისტური და მხატვრული სიტყვის მემკვიდრეობით. „საერთო ნიადაგის“ თეორია არის ყოველივე ამის კონცენტრირებული გამოხატულება და არსი მისი ორ ათეულზე მეტი სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპებით. ეს პრინციპები ჩვენი ეროვნული „ხე ცნობადის“ ის ფესვები და მათზე ამოზრდილი ყლორტებია, რომლებიც ჩვენგან დაწყლულებას და პატრონობა – განახლება – გაცოცხლებას თხოულობენ დღეს. ეხლა ჩვენზეა დამოკიდებული რამდენად შევძლებთ ამას...

ერის წინაშე პერიოდულად დგება ხოლმე ჟამი გზის არჩევისა თავისი რაობისა და ჯიმ-ჯილაგის გადასარჩენად. ასე იყო ვთქვათ, ერეკლე II ჟამს, ქართველობის გამაჰმადიანობას ისევ სულ უფრო მზარდ ჩრდილოეთის ახალ იმპერიასთან – ქრისტიანულ რუსეთთან დაკავშირება რომ ამჯობინა. როგორც იტყვიან, „ჩათრევას ჩაყოლა“ არჩია და ერი სულიერ გადაგვარებასა და ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა. ე.წ. „ნაკლები ბოროტების“ თეორიის არსიც ხომ ეს არის...

დღესაც დიდი სამომავლო გზის არჩევანის ჟამი გვიდგა პოსტსაბჭოთა ეპოქის ქართველებს. დავარქვამ ამ ჟამს თუნდაც, სვლა „საბჭოთა კავშირიდან ევროკავშირისაკენ“. აქაც იგივე დილემა დგას – როგორ, რა გზით და საშუალებებით შევინარჩუნოთ ჩვენი ეროვნული მეობა და თვითმყოფადობა.

თავისებური ისტორიული ბედისწერით ორივეს სათავეებთან ქართველი კაცი დგას – აბა, ქართველი რომ სადმე არ გამოერიოს, ისე როგორ იქნება: საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მთავარი შემომქმედი და არქიტექტორი იოსებ სტალინი – ჯულაშვილია და ევროკავშირის ერთ-ერთი იდეოლოგიც ვარლამ ჩერკეზოვ-ჩერქეზიშვილია. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ ამ ჩემეული ციკლის პირველი მონოგრაფია მიუძღვნა 1906 – 1907 წლებში მათ შორის წარმოებულ დისკუსიას. სათაურიც ასეთი სიმბოლური შევურჩიე მას – „იოსებ სტალინი და ვარლამ ჩერქეზიშვილი: იდეური ბრძოლა დღესაც გრძელდება“. ამ იდეურ ბრძოლაში კი, საბოლოოდ, ჩერქეზიშვილმა გაიმარჯვა. სწორედ ამიტომ არის ფასეული ჩვენთვის მისი მემკვიდრეობის ანალიზი...

აქ ისიც მინდა ვთქვა, რომ ილიასთან ერთად, ვარლამ ჩერქეზიშვილმა (1846 – 1925), ამ ჩვენგან უმართებულოდ დავიწყებულმა ევროპული რანგის დიდმა ქართველმა მოღვაწემ და მოაზროვნემ, არჩილ ჯორჯაძესთან და მიხაკო წერეთელთან ერთად **„საქართველოს სოციალ–ფედერალისტური პარტიის“** ფუძემდებელმა და იდეოლოგმა, მდიდარი მემკვიდრეობა დაგვიტოვა საქართველოს მომავალი საზოგადოებრივ–ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ მიმართულებათა გასააზრებლად. ვიმეორებთ, ჩერქეზიშვილის მემკვიდრეობა უაღრესად აქტუალურია სწორედ დღეს, როცა ჩვენი ქვეყანა გზის არჩევანის წინაშე დგას. მან ხომ თვით ევროპის განვითარებაზეც მოახდინა გარკვეული გავლენა თავისი **„ანარქო–სინდიკალიზმის“** თეორიით, ხოლო მისი **„არასახელმწიფოებრივი სოციალიზმის“** იდეა ევროპის ბევრი, განსაკუთრებით კი, სკანდინავიის ქვეყნების თავისებური პოლიტიკური პროგრამა გახდა...

ვინც მის მემკვიდრეობას იცნობს, ის დამეთანხმება: ამ მემკვიდრეობას ძალიან ბევრი რამ აკავშირებს **„საერთო ნიადაგის“** თეორიასთან. ვარლამ ჩერქეზიშვილს და ილიას ურთიერთსიმპატიასთან ერთად, იდეოლოგიური თვალსაზრისითაც ბევრი საერთო რამ აქვთ. სწორედ ამაზე იქნება ლაპარაკი განზრახულ მონოგრაფიაში. აქაც ალბათ, უნდა ვიხელმძღვანელოთ ძველი რუსთაველური სიბრძნით – **„არდავიწყება მოყვრისა, აროდეს მოგვცემს ზიანსა“...**

შინაურ მღვდელს შენობა არა აქვსო, სწორედ ასე მოგვდის ქართველებს. ჩერქეზიშვილი რომელიმე სხვა ერს რომ ჰყავდეს, ალბათ თავს წაგვაჭამდნენ – ნახეთ, რა დიდი ინტელექტი გვყავსო... ჩავიხედოთ თუნდაც რუსულ ენციკლოპედიურ გამოცემებში – **„დიდი რუსი მოაზროვნე“**, ასეა დაფიქსირებული იქ (ოღონდ გვარად „ჩერკეზოვია“ მითითებული, არადა, ბედის ირონია თუ გინდათ ესაა – ბავშვობიდანვე რუსეთში გადახვეწილმა ამ თოხლიაურელმა კაცმა მთელი ცხოვრება რუსულ ველიკოდერჟავულ შოვინიზმთან ბრძოლას შესწირა...

ისტორია, უპირველეს ყოვლისა, ღვთის ნების გამოვლენაა დედამიწაზე და ჩვენც აქ მყოფნი, ამ ნების აღმსრულებლები ვართ მეტ–ნაკლები წარმატებით. **„რაცა ღმერთსა არა სწადის, იგი საქმე არ იქნების“**, თქვა რუსთაველმა ჯერ კიდევ **„ნაადრევი ქართული რენესანსის“** ჟამს და მანამდეც და მას შემდეგაც ათასნაირად ვწვალობთ ჩავწვდეთ და გავითავისოთ სამყაროს შემომქმედის **„სოფლის განგებას“**, მაგრამ როგორც წესი, ბევრწილად ამაოდ. ამ ამაოებამ ამოათქმევინა უთუოდ რუსთაველს ესეც – **„ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა...“**

ვინ წარმოიდგენდა ილიასა და ჩერქეზიშვილის ეპოქაში, რომ ერთ მშვენიერ დღეს რუსეთის იმპერია **„სოციალიზმის შუქურად“** გარდაიქმნებოდა და ვარლამ ჩერქეზიშვილიც, **„სახელმწიფოს კვდომის“** და მისი **„თვითმართველურ ასოციაციებად გარდაქმნის“** ეს დაუღლეელი მქადაგებელი, თავის თავზე გამოსცდიდა **„ახალი საბჭოთა იმპერიალიზმის“** ყველა საშინელებას ჯერ აქ, 1918 – 21 წლების საქართველოში და მერე

ევროპაშიც... კრაპოტკინი, ბაკუნინი და ძალიან ბევრი რუსი თუ ევროპელი ანარქისტები მას თავის მასწავლებლად აღიარებდნენ და მათ მიერ დაარსებულმა „წითელმა ჯვარმა“ ბოლოს უპატრონოდ მიატოვა ლონდონში სასიკვდილო სარეცელზე მიჯაჭვული ჩერკეზოვ-ჩერქეზიშვილი – „ანარქო-სინდიკალიზმის“ და „ევროპის შეერთებული შტატების“ ერთ-ერთი იდეოლოგი. ვინ წარმოიდგენდა იმასაც, რომ ეს „შტატები“ რაღაც ასიოდე წლის შემდეგ რეალობად იქცეოდა ევროკავშირის სახით და მისი სამშობლოც ამ საბჭოთა იმპერიალიზმის ყულფში თავგაყოფილი, ბოლოს საბჭოთა კავშირის „ძმური ოჯახიდან“ ამ ახალი კავშირისკენ დაიწყებდა სვლას...

კარგია რომ დღეს ევროპისკენ მივდივართ – ილიას იდეალიც ხომ ეს იყო მაშინ – მისი „საპოლოტიკო მიმოხილვის“ ყველა სტატია ევროპის ქება-დიდებაა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ეს მისი მარტივი, მაგრამ გენიოსური სიბრძნეც – „ჩვენს იქით ჩვენი ხსნა მხოლოდ ტკბილი სიზმარია“. ასეთია ისტორიის ულმობელი კანონი – შენ თავს შენვე უნდა მოუარო და ილიაც იმიტომ ჩასჩიჩინებდა „სხვის ხელისშემყურე ქართველებს“ – შენს ქვეყანას შენ თუ არ მოუვლი, სხვათა და სხვათა საპატრონო გახდება ისევ... ამერიკელებს აქვთ ერთი ჭკვიანური ანდაზა, რომელიც დაახლოებით ასე ჟღერს – აღმოსავლეთიც კარგია, დასავლეთიც, მაგრამ ჩემი სახლი ყველას ჯობია (Est or West, home is best). თუ მიბადეა, აქ მივბადოთ სხვას – ჩვენ რა სხვაზე ნაკლები „სახლი“ გვაქვს?!... დასავლეთსა და ევროკავშირზე თვალმიბჯენილებს, საკუთარი სახლი არ დაგვავიწყდეს...

ილიას ეპოქიდან საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ ეს საუკუნეც ისტორიისთვის არაფერია. ყოველშემთხვევაში „ჩვენი თავის ჩვენად ყუდნების“ და „წარხდენილი ქართველთა სახელისა და ქართული წეს-წყობის აღდგინების“ მისი დიდი ოცნება და იდეა დღესაც კვლავ ოცნებად და ცარიელ იდეად რჩება. დრო ჩვენთვის – ცალკეული ადამიანებისა და თაობებისთვის არის წამიერი (აკი თქვა რუსთაველმაც გენიოსურად – „წამია ესე სოფელი და წამწამისა მსწრობელი“), თორემ ერისა და კაცობრიობისთვის საუკუნეც და თუნდაც ათასი წელი მართლაც რომ „წელია ერთი“. ჰოდა, ჩვენც – XXI საუკუნის და მომდევნო საუკუნეების თაობებმა უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ჩვენი თუ არ იწყება და არ მთავრდება საქართველო და ჩვენ ჩვენი წვლილი შევიტანოთ იმაში, რაც ილიამ „აჩრდილით“ თქვა და იწინასწარმეტყველა: „და ახალს ნერგზედ ახლად შობილი, ესე ქვეყანა კვლავ აყვავდების“...

არ ვიცი როგორ მოეწონება მკითხველს, მაგრამ ვარჩიე ახლაც და „საუბრების“ შემდგომ ნაკვეთებშიც ჩავრთო რიგი პოეტური გააზრებანიც ჩემი პოეტური კრებულიდან – „ფიქრები ღმერთსა და ადამიანზე, დედამიწასა და საქართველოზე“. ვფიქრობ, ეს უფრო საინტერესო საკითხავს გახდის „საუბრების“ ამ და შემდგომ ნაკვეთებსაც. აკი, აინშტაინიც გვმოდღვრავს ამ მხრივ, – მეცნიერებაში ცოტა პოეზიაც თუ არაა, ის მეცნიერებაც არაა...

ამ გაგებით „წუთისოფელზე“ დიდი პოეტური სიტყვა, ფილოსოფიურად ღრმააზროვანი და ფიქრთაღმძრავი, ქართულ ენას და ქართველ კაცს არ შეუქმნია. აქ ილიას ერთი გააზრებაც მახსენდება ილიას მეტაფორული სიტყვები: „წუთისოფელს ოდნავ თვალი თუ მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადს“. ამაზე დიდი სიბრძნე იშვიათად თუ უთქვამს ქართველ კაცს:

„წუთისოფელი ასეა,
დღეს ღამე უთენებია,
რაც მტრობას დაუქცევია,
სიყვარულს უშენებია“.

ჰოდა, თუ გავიხსენებთ ამ ასი წლის წინ მომხდარ ამბავს, ვნახავთ – ბევრი მტრობა, შური და ღვარძლი გამოიარა ჩვენმა ხალხმა და ქვეყანამ, იმის იქითაც თუ გავიხედავთ, ამაზე უარესსაც ბევრს გავიხსენებთ და ვნახავთ. „ქართლის ცხოვრება“ – ეს უპირველესი ქართული წიგნი, „ძნელბედობათა“ უწყვეტი ჯაჭვია...

ახლა თუ ასი წლის შემდეგ შევეცდებით განვკვირვოთ და გავიაზროთ ჩვენი ქვეყანა და თუნდაც შემდგომი ასი წლის იქითაც, მაშინ გონებამ ალბათ, ესეც უნდა თქვას – ბოლოსდაბოლოს, რაც „ძნელბედობამ“ დააქცია და დაანგრია წინა საუკუნეებში ჩვენი ქვეყანა, ახლა სიყვარულმა უნდა აღაშენოს იგი ხელახლა...

ამ მხრივაც კვლავ მინდა გავიხსენო ილია და 1898 წლის მისი ერთი წერილი – „ასი წლის წინათ“, რომელიც ერეკლე II გარდაცვალების შემდეგ ქვეყნის მდგომარეობის ანალიზს ეხება, ისევე როგორც ერეკლე მეფის გასახსენებელი მეორე წერილიც „ივერიის“ 1898 წლის 12 იანვრის ნომერში („ასი წლისთავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან“), აქ იგი, როგორც თვითმხილველი ისე აღწერს ამ ასი წლის წინანდელ მოვლენებს. ეს სრულიად ბუნებრივია – ილიას მამა–პაპა, მისი უახლესი წინაპრები ხომ, ამ მოვლენების შუაგულში ტრიალებდნენ მაშინ და ილიაც, როგორც იტყვიან, პირველწყაროდან ფლობდა ყოველივე ამას – კრწანისის ბრძოლას, გადამწვარ თბილისს, გავერანებულ ქვეყანას, 1832 წლის „შეთქმულებს“, მაშინდელ მტერ–მოყვარეს სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან თუ ჩრდილოეთიდან...

ჩვენი თაობებიც ხომ, ასი წლის მოვლენებს მესამედასური ათეისტური საქართველოს უახლესი ისტორიიდან საბჭოურამდე და გასაბჭოების შემდეგაც პირველწყაროების დონეზე ვფლობთ მამა–პაპათგან. ალბათ, ასი წლის შემდეგ ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების შემდგომი თაობებიც ასევე გაიხსენებენ და შეგვაფასებენ ახალი საქართველოს კარიბჭესთან მდგარ ჩვენს თაობებს...

და ღმერთმა ნუ ქნას, რომ მათაც მოუწიოთ ჩვენი აუგად ხსენება, როგორც მესამედასელთა ძველი და ახალი თაობების – „მხედრიონელების“, მოქალაქეთა კავშირის თუ ფსევდო – ნაციონალების მიმართ დღეს ჩვენ ვაკეთებთ. უნდა გწამდეს კაცს, რომ ამ ასი წლის შემდეგ ეს ასე არ მოხდება, რამეთუ ალბათ, მაშინაც და კიდევ მრავალ შემდგომ ჟამს იჟღერებს „მრავალჟამიერთ“, ეს უკვდავი სიბრძნე – შეგონება:

„წუთისოფელი ასეა,
დღეს ღამე უთენებია,
რაც მტრობას დაუქცევია,
სიყვარულს უშენებია“.

„პირველ იყო სიტყვა...“

ადრეც ვთქვით ილიას აზროვნების ერთი მეტად მნიშვნელოვანი და არსებითი სტილი, წითელ ზოლად რომ გასდევს მთელ მის მემკვიდრეობას, მხატვრულსაც და პუბლიცისტურსაც: რა თემასა და პრობლემასაც არ უნდა შეხებოდა, იგი ყოველთვის წინა პლანზე სულიერ და ზნეობრივ ფაქტორებს აყენებდა ყველგან.

იდეოლოგიაც საერთოდ, და კერძოდ, ეროვნული იდეოლოგიაც სხვა არაფერია, თუ არა კაცის და კაცობრიობის სულიერი ცხოვრების ასახვა, მის განმსაზღვრელ როლზე ხაზგასმა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებაში. ვერ დაასახელებთ ვერცერთ ერსა და ქვეყანას ვერც ახლა და ვერც წარსულში, სადაც ამ პროცესს არ ჰქონდეს ადგილი; ასე იქნება მომავალ განვითარებაშიც – იდეისა და იდეოლოგიის გარეშე არცერთ ერს მომავალი არა აქვს.

ეროვნული იდეოლოგიის აუცილებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტიც ესაა და ამიტომაც მისი წინა პლანზე წამოყენება საჭირო და აუცილებელი გარდამავალი პერიოდის საქართველოში. პრობლემები, რომლებიც თავს დაგვატყდა ამ ოცი წლის მანძილზე, ყოველივე ამის უგულველყოფამ წარმოშვა. ეროვნული იდეოლოგიის ნაცვლად, ჩვენ უცხოეთიდან გადმოღებული იდეების რაღაც გაუგებარ ეკლექტიკას და „მოდელებს“ ვემოწმებთ მუდამ. ილიასეული „უცხო ბაძის მონობაც“ ამას ნიშნავს უპირველესად...

სიტყვას, იდეას, იდეოლოგიას ალტერნატივა არა აქვს. გადავხედოთ ისტორიას ძველსაც და ახალსაც – მილიონ მაგალითს ვნახავთ ამისას. ილიას „ცხოვრება და კანონი“ მთლიანად ამ ფენომენზეა აგებული. აქ მისი მიზანი პირველივე სტრიქონებშია გაცხადებული – აამოქმედოს ერში მიძინებული დიდი პოტენციური ენერგია კაპიტალიზმის გზაზე შემდგარი საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების სწორ გზა-კვალზე დასაყენებლად. ეს კი მხოლოდ სწორი და ეფექტური ეროვნული იდეოლოგიით და მასზე დაფუძნებული მწყობრი თეორიით არის შესაძლებელი.

1895 წელს თეოდორ ჰერცელმა ვენაში გამოსცა წიგნი მეტად ამბიციური სახელწოდებით – „ებრაული სახელმწიფო“. მან სათავე დაუდო იმ დიდ იდეას და მასზე დაფუძნებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას, რომელიც „სიონიზმის“

სახელით არის ცნობილი. 2000 წლის ლტოლვილობაში მყოფ ებრაელებში მან წარმოშვა რწმენა და მიზანი აღედგინა თავისი სახელმწიფოებრიობა.

ზუსტად იმავე ხანებში ილიამ დაამთავრა იმ თეორიის შექმნა, რომლის მთავარი იდეა და მიზანია **ქართული სახელმწიფოს** შექმნა. მაგრამ თუ ებრაელთა სულ რაღაც 2–3 თაობა დასჭირდა ჰერცელის, გირშის, ბენ-გურიონის და სიონიზმის სხვა ლიდერების იდეის პრაქტიკულ განხორციელებას, ილიას ამ იდეას ჯერ-ჯერობით განხორციელება არ უწერია. ბევრი ალბათ შემომედავება – დღეს რა, სახელმწიფო არ გვაქვს?!...

სამწუხაროდ, არა. სახელმწიფოს, როგორც ერის, საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის არსი ერის დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის, მისი ერთიანობისა და მთლიანობის უზრუნველყოფაა და ამ მხრივ თუ შევხედავთ ჩვენს ამ 20–წლიან ისტორიას, ვნახავთ, რომ ამ მიზნისაგან ჯერ კიდევ შორსა ვართ...

შეიძლება ბევრმა იფიქროს – საჭირო კი არის იდეოლოგიაზე და თეორიაზე ამდენი ლაპარაკი? ყოველდღიურობის პრაქტიკა თვითონ გვეტყვის რა და როგორ გავაკეთოთ ყველაფერი, ტყუილა რაზე ვიმტვრიოთ თავი?

ასეთ პოზიციას „ილიალოგთა კლუბი“ არაერთხელ შევხვედრივართ ამ ოცი წლის მანძილზე. იყო პერიოდი, განსაკუთრებით 90–იანი წლების დასაწყისში, როცა ლექსიკიდან თვით სიტყვა „იდეოლოგიის“ ამოღება და აკრძალვაც კი მოითხოვეს ერთ–ერთ „სამეცნიერო“ კონფერენციაზე! – რმისგან შეშინებული, დოს უბერავდამო, კომუნისტური ტოტალური იდეოლოგიისგან თავმოზრებულებში, ყოველგვარი თეორია და იდეოლოგია ალერგიას იწვევდა მაშინ და ეს ინერციით გარკვეულწილად დღესაც გრძელდება...

ისტორია კი გვეუბნება – ჯერ არცერთი ღირებული საქმე არ გაკეთებულა გარკვეული იდეოლოგიური წინამძღვრების გარეშე. „პირველ იყო სიტყვა“, ტყუილა არ არის ნათქვამი. ზოგჯერ გვავიწყდება, რომ ჩვენთვის ასე თავმოსაწონი „ოქროვანი ხანა“ რუის–ურბნისის კრების „მეგლისწერამ“ შეამზადა. იგი ჩვენთვის სწორედ ის „ეროვნული იდეოლოგია“ იყო, რომელზეც დავით აღმაშენებელმა, გიორგი ჭყონდიდელმა, არსენ იყალთოელმა, გიორგი ათონელმა... ქართული სახელმწიფო შექმნეს და „აღაშენეს“. ყველაფერს ამას ილია „სულის ღონეს“ უწოდებს...

ანდა ავიღოთ, დღევანდელი ამერიკის შეერთებული შტატები, რომლის, „უპირველეს და მსოფლიოს ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ“ ფორმირება ილიამ ჯერ კიდევ 1889 წელს იწინასწარმეტყველა („ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი“), როცა ამერიკა ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის ნანგრევებში იმყოფებოდა. ეს სახელმწიფო და თვითონ ამერიკელი ერიც განა ეროვნულ–სახელმწიფოებრივმა იდეოლოგიამ არ შექმნა, ჯერ XVI-XVII საუკუნეების „მამა–პილიგრიმების“ და მერე ჯეფერსონის, ფრანკლინის, პეინეს, ჯექსონის, ვაშინგტონის, ლინკოლნის ე.წ. „ამერიკულმა იდეოლოგიამ“?...

ისე, რომ თუ ქართულ სახელმწიფოს ვესწრაფვით, **„წარბდენილი ქართველთა სახელისა და ქართული წეს-წყობის“** აღდგენას, პირველ რიგში, ეროვნულ იდეოლოგიაზე უნდა ვიფიქროთ. **„ილიალოგთა კლუბის“** კრებულებში ამაზე არაერთხელ გავუსვით ხაზი. აქ კი შეჯამების სახით, გვინდა ერთიან კომპლექსში გადმოვცეთ ეროვნული იდეოლოგიის, ეროვნული ეკონომიკის და ეროვნული სახელმწიფოს ურთიერთგაპირობებულობა. დღევანდელმა ქართველობამ ჩვენი **„სულის ღონე“** მის განხორციელებაში უნდა ვპოვოთ, რამეთუ – **„ყველა დიდი გმირობა მარტო სულის ღონეა და მეტი არაფრის“** – სწორედ ეს **„სულის ღონე“** გვაკლია დღეს...

მკითხველი იფიქრებს – ამ ჩვენს გლობალიზმის ეპოქაში რაღა დროს ილია და **„სულის ღონეა“** მისი მემკვიდრეობა და **„საერთო ნიადაგის“** თეორიაა, ყველაფერი ხომ კონვეირული წესით იმტამპება გლობალურად იდეებიც და ათასნაირი მატერიალური სიკეთენიც. მაშინ რაღაზე ავიტკივოთ თავი რაღაც ამოჩემებული **„ეროვნული იდეოლოგიით“**?...

მაგრამ ბატონო გლობალისტებო, ნუ გავიწყდებათ, რომ გლობალიზმთან ერთად არსებობს ნაციონალიზმიც, კარგად გაგებული ნაციონალიზმი, რომელიც სწორედ ამ გლობალიზმის გამო და მის პარალელურად სულ უფრო შლის ფრთებს არათუ აქეთ, აზიისაკენ, არამედ თვით **„ბებერ ევროპაშიც“** კი. გლობალიზმმა თუ არ გაითვალისწინა ეს, ეს ე.წ. **„ახალი მსოფლიო წესრიგი“** მარცხისათვის არის განწირული და **„ახალ მსოფლიო ანარქიად“** გარდაისახება ბოლოს...

ჩემი თუ არ გჯერათ, აი, როგორ უყურებს ამას ჰენრი კისინჯერი – გლობალიზმისა და ახალი მსოფლიო წესრიგის ეს არქიტექტორი ვრცელი პოლიტოლოგიური გამოკვლევის **„დიპლომატიის“** დასკვნით თავში: გლობალიზმი სიკეთის ნაცვლად, სრულ ანარქიას, ზნეობრივ და სულიერ დეგრადაციას უქადის კაცობრიობას, თუ აქედანვე არ ვიფიქრეთ და არ ვიმოქმედეთ ამ ახალ სატკივარზე – ნაციონალიზმსა და მისგან შობილ ფუნდამენტალიზმსა და ტერორიზმზე...

კაცობრიობა კაცობრიობად, მაგრამ ჩვენ, ქართველობამ ჩვენ თვითონვე უნდა მივხედოთ ჩვენს სატკივარს. ჩვენს თვალწინ ჩვენი ყველა ეროვნული ღირებულება, ტრადიციები და ცხოვრების წესი, ზნეობა და მორალი კითხვის ქვეშ დგება. და ძალაუვნებურად მახსენდება ეს მამხილებელი სიტყვები ჩვენი პოეტისა – **„რის ქართველობა, რა ქართველობა, ვითომ რას გვავენებს უცხო ტომობა“**. ეს რუსული კოლონიური მართველობის გარიჟრაჟზე ითქვა და ამ 200 წლის მანძილზე ილიას **„ბედნიერი ერი“** ბოლოს **„საბჭოთა ხალხის – ახალი ისტორიული ერთობის“** რანგამდე აიყვანა. ახლა კი, საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ, დღის წესრიგში ევროკავშირი და ევროპული **„ლიბერალური ღირებულებანი“** დადგა...

რათ უნდა ლაპარაკი, ევროპულ ორიენტაციას, ევროკავშირს და ნატოს საქართველოს მომავალ განვითარებაში ალტერნატივა არა აქვს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ხელი აიღო შენს ეროვნულ მეობასა და თვითმყოფადობაზე.

გლობალიზმის ყოვლისმომცველ პროცესებშიც მხოლოდ ის ერი გადარჩება, ვინც მათ შეინარჩუნებს, თავის მაცოცხლებელ ეროვნულ ფესვებს. ჩვენისთანა პატარა ერი კი არა, რომლის გენოფონდი ჩვენს თვალწინ ხელში გვადნება, დიდი ერებიც კი თვალისჩინივით უფრთხილდებიან მას. გავიხსენოთ სულ ახლახან რა გრანდიოზული მანიფესტაცია გამართეს ფრანგებმა ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ, ანდა, პროტესტის ნიშნად თვითმკვლელობის აქტი პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში... სოდომის ცოდვა სულ უფრო საერთო – საკაცობრიო ცოდვა ხდება და ჩვენი ვალია არ შევწიროთ ქართველი ერის მომავალი მას. ამის ნიშნები კი სულ უფრო ნათლად იკვეთება ამ ბოლო ჟამს...

„აღლესა მახვილი მხილვისაი...“

ზნეობრივი და მორალური დეგრადაცია საქართველოს ისტორიას ადრეც ბევრი ახსოვს. აქ ლაშა-გიორგის და „რინდთა პარტიის“ გახსენებაც საკმარისია. სწორედ ამან დაღუპა ერთიანი და ძლიერი ქართული სახელმწიფო უფრო მეტად, ვიდრე მონღოლების შემოსევამ. პირუთვნელად წერს ამაზე გიორგი ბრწყინვალის ჟამთაღმწერელი. „ქართლის ცხოვრების“ სხვა ავტორებთანაც არაერთ მაგალითს ვხვდებით ამისას...

თევზი თავიდან ყარსო და ამდენ იმპერიებს გამოვლილი ჩვენს ელიტას მათთან შემგუებლობა, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „უცხო ბაძი და მაიმუნური წამბამველობა“ რაღაც თავისებურ თანდაყოლილ რეფლექსად ჩამოუყალიბდა. გიორგი ათონელი – მთაწმინდელი ჩვენამდე მოღწეული ცნობებით იყო პირველი ქართველი კაცი, რომელმაც ხმა აიმაღლა გიორგი II კარზე გამეფებული ამ მომაკვდინებელი სენის წინააღმდეგ. მაშინდელი ქართული არისტოკრატია ისე დაემონა ამ „უცხო ბაძს“, რომ მაშინდელი ბიზანტიური სენით დაავადებულმა მთლად დაივიწყა თუ „ვისი გორისაა“... უქნარობასა და პარაზიტობაში ჩაეფლო დიდ-პატარა, ერი და ბერი...

„აღლესა მახვილი მხილვისაი“ – წერს მემატთანე მასზე და ამ მხილებაში თვით მეფეც არ დაინდო. უთუოდ, ე.წ. „კარის გადატრიალებაც“ ამან განაპირობა, ისე როგორც დავით აღმაშენებლის შემდგომი რეფორმებიც. ნამდვილ ხოტბა-დიდებას ასხავს ივანე ჯავახიშვილი ყოველივე ამას: „ქართველი ერი მარად მაღლიერი უნდა იყოს გიორგი ათონელის... ის, რაც მან ათონის ივერთა მონასტერში განახორციელა, დავით აღმაშენებელმა მთელი ქვეყნის მასშტაბით განახორციელა შემდგომ“. ამან შექმნა სწორედ ის ჩვენი საამაყო „ოქროვანი ხანაც“...

ილია ჭავჭავაძე საქართველოს ახალი ისტორიის გიორგი ათონელია. მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია გიორგი ათონელის და მისი თანამოაზრეების 1104 წლის

საეკლესიო კრების „ძეგლისწერის“ გამეორებაა ახალ ისტორიულ პირობებში. ილიას „ბედნიერი ერიც“ ამ გიორგი ათონელის „მახვილი მხილებისაი“-ს თანამედროვე ვარიაცია...

ამიტომ ქართველი ერიც „მარად მადლიერი უნდა იყოს“ ილია მართალის ამ ისტორიული მისიისათვის. ჯერ კიდევ ჭაბუკობისას ჩაწვდა და გაითავისა ეს მისი „ყვარლის მთების“ ღვთით ჩაგონებული სიტყვებით. მართლაც რომ „ბუნებით იყო შეუღლებული“ მათთანაც, ალაზნთანაც და მთელ ქვეყანასთანაც. ამან ჩამაგონა ეს ჩემუელი პოეტური გააზრება:

დიდებული ხარ ალაზნის ველო
აფრენილი ხოხობივით პირმშვენიერო,
შენც ყვარლის მთებო –
ჩემო ღვთაებაც და სამლოცველოც...
აწ და მარადის მშვიდობით გველოთ
ალაზნის ველო
ყვარლის მთებო
მთლად საქართველოვ!

მაინც რა არის „საერთო ნიადაგის“ თეორია?

ეს თეორია, მისი სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპები სრულყოფილი პოლიტოლოგიური ანალიზისთვის ალბათ ტომებს მოითხოვენ, მაგრამ მოკლე კონსპექტური სახით გადმოცემა „საუბრების“ ამ შესავალ ნაკვეთში აუცილებლად მიგვაჩნია. შემდგომ ნაკვეთებშიც გაგრძელდება ეს კვლევა, რომელიც „ილიალოგთა კლუბმა“ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო. 2002 წელს სპეციალური კრებულის გამოცემა იმ იმედით, რომ ხელისუფლება დაინტერესდებოდა მისი შემდგომი პოლიტოლოგიურ კვლევით. მაშინ თითქოს მიესალმნენ ამას, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ...

შემდგომშიც არაერთხელ მივმართეთ ე.წ. „ნაციონალებს“, მაგრამ პარადოქსიც ისაა, რომ ხელისუფლებაში მოსულთ ამ ვაი-ნაციონალებს „ნაციონალიზმის ბურჯის“ ანი და ბანი არც გაეგებოდათ და არც სურვილი აღმოაჩნდათ მისი გაგებისა. ილია მათ ფასადად და შირმად სჭირდებოდათ მხოლოდ თავიანთი კარიერისტული მისწრაფებებისთვის. ებრაელებს აქვთ ერთი ჭკუისასწავლო წყევლა-შეგონება: არც შენ იცოდე და არც სხვისი გაიგონო და სწორედ ასე დაემართათ ამ ახალი მოდის „მესამედასელებს“...

„საერთო ნიადაგზე დგომა და ერთნეზობითა და თანადგომით ქვეყნის მართვა“, რომ კარგი და სანატრელია, ვინ არ იცის ეს. აკი, ჩვენმა ხალხმა შექმნა ეს სიბრძნე – „ძალა ერთობაშია“, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ეს სიტყვა და იდეა საქმედ იქცეს. ილიას ძალაც იმაშია, რომ მისი განხორციელების შესატყვისი პრინციპები და საშუალებანი მოგვცა. მაგრამ ისინი დღემდე უქმ და გამოუყენებელ განძად რჩება.

ილიას უყვარდა მირ-ძველი ქართული სიტყვების ეტიმოლოგიური ძიებანი. ამისთვის სპეციალურ უბის წიგნაკსაც კი ატარებდა. იქ ბევრი რამ დარჩა ჩვენთვის ჭკუისსასწავლებელი. აქ მინდა გავიხსენო სიტყვა „კაცი“. ეს მისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქართული სიტყვა იყო, ეროვნული იდენტობის რანგში აყვანილი. აქაც მინდა მკითხველს ერთი ლირიული გადახვევა შევთავაზო:

„კაცი კაცითა“ –
ეს სიბრძნეც ქართული,
დროებამ გაცვითა...
ვის უნდა ახლა,
ანდა,
ვის რაში სჭირდება
ეს წინაპართა
„კაცი კაცითა“...

მისთვის ყველა ადამიანი „კაცი“ არაა, ამიტომ დააწერა თავის ნოველას კითხვა – ძახილის ნიშნით – „კაცია-ადამიანი?!“. ამიტომ წერდა გულისტკივილით – ქართველების საქმე მაშინ წახდა, როცა სიტყვა – „კაცმა“ ზედსართავი სახელი – „კაცურის“ დამატებაც მოითხოვაო. მართლაცდა, „კაცს“ რაღა დამატება უნდა... ყველაფერს ამას კი იგი სულიერებას, „სულის ღონეს“ უკავშირებდა. კაციც მაშინ იწყებს გადაგვარებას, როცა ამ „სულის ღონეს“ ჰკარგავს...

„ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშია“

მაგრამ რა დიდი „სულის ღონეც“ არ გინდათ ჰქონდეს ცალკეულ კაცს, მათი საქმედ ქცევა საბოლოო ჯამში, მხოლოდ ხალხის მიზანმიმართულ ქმედებებზეა დამოკიდებული. ამიტომ დაგვიტოვა ანდერძად სათაურად აღებული ეს სიბრძნეც – „ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშია!“. მაგრამ მარტო ცარიელ და უმინაარსო ლოზუნგად არ მოგვცა ეს. მის გარდა, მან სტატიათა ციკლში – „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“, მისი განხორციელების გზა და საშუალებანიც მოგვცა საქართველოს ისტორიის ფილოსოფიით ძიებული: „კომლი“ და „ხოდაბუნი“ – ეს იყო ისტორიულად ხალხის თვითმოქმედებისა და თვითმართველობის ამოქმედებისა

და დამკვიდრების გზა საქართველოში. სასოფლო-სამეურნეო „ხოდაბუნი“ პირველად ხომ, დოკუმენტურად დავით აღმაშენებლის „ანდერშშია“ დაფიქსირებული, ხოლო ე.წ. „სრულფუდიანი კომლი“, ანუ, სისხლით მონათესავე ადამიანთა ერთობლიობა გაცილებით ადრეც. „კომლი“ და „ხოდაბუნი“ ფუტკრის სკასავით ერთიან ორგანიზმად კრავდა ქართულ სოფელს, ქართველ ერს და ქართულ სახელმწიფოს...

ამ ძველმა „კომლმა“ ილიამდე მოაღწია, მაგრამ კაპიტალიზმის ფულად-სასაქონლო წარმოების განვითარების კვალობაზე ნელ-ნელა დაიშალა ცალკეულ ოჯახებად. მაგრამ ესეცაა – ცხოვრების ქართული წესი ამ სისხლით ერთობას და მოკეთეობა – ნათესაობას ჭირსა თუ ლხინში დღესაც ერთგულობს ხალხი და ამდენად მისი თანამედროვე იურიდიული ფორმებით გამოყენება დიდ სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს. რაც შეეხება „ხოდაბუნურ“ სასოფლო-სამეურნეო კორპორაციებს, ებრაული „კიბუცების“ მსგავსად მათაც დიდი როლის შესრულება შეუძლიათ მომავალი ეროვნული ეკონომიკის ფორმირებაში.

აქაც, ისე როგორც სხვა შემთხვევებში, მთავარი ჩვენი პოლიტიკური ნება და სტრატეგიული ხედვაა. აქ მინდა კვლავ გავიხსენო ვარლამ ჩერქეზიშვილი და მისი „არასახელმწიფოებრივი სოციალიზმის“ იდეა, იდეა, რომელმაც თავის დროზე დიდი როლი ითამაშა სკანდინავიის ქვეყნების პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ე.წ. „შვედური სოციალიზმის“ სახით. ევროპელ მოღვაწეებთან ერთად XX საუკუნის დასაწყისში მან განავითარა „ანარქო-სინდიკალიზმის“ თეორია, რომლის არსი ცენტრალიზირებული სახელმწიფოდან დეცენტრალიზირებულ რეგიონალურ თვითმართველობაზე გადასვლაა. აქ იგი ბევრმხრივ ეხმიანება და ემთხვევა „საერთო ნიადაგის“ თეორიას და ამიტომ იყო, რომ ილია დიდ პატივს სცემდა ჩერქეზიშვილს, როგორც თანამოაზრეს.

1918 წელს საქართველოში დაბრუნებულმა ვარლამ ჩერქეზიშვილმა ხელი მოჰკიდა ადგილობრივი და რეგიონალური თვითმართველობის განხორციელებას კახეთში, კერძოდ კი, ივრისპირეთის დაუსახლებელ მიწებზე ხოდაბუნური სასოფლო-სამეურნეო „ახალი დასახლებების“ შექმნას. მაგრამ მენშევიკურმა მთავრობამ ყოველივე ამას სრული ობსტრუქცია გამოუცხადა. ოციოდე წლის წინ „ილიალოგთა კლუბმა“ სცადა ამ იდეის აღორძინება, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. არადა, ქართველობისგან დაცლილ ივრისპირეთს, სწორედ ასეთი კორპორაციები და „ახალი დასახლებანი“ ააღორძინებს. ამასთან, ეს ეროვნული ეკონომიკის ფორმირების გზა და საშუალებაა.

რა არის ეროვნული ეკონომიკა? იგი ეკონომიკურთან ერთად, მოცემული ერის ფსიქიკური ფენომენიცაა. ყველა ერს ისტორიულად მისი ფსიქიკური წყობის, ტრადიციების და ცხოვრების წესის თანაზიარი ეკონომიკა ჩამოუყალიბდა. ამ მხრივაც რომ დავაკვირდეთ ისტორიას, იაპონელებს თუ გერმანელებს, ფრანგებს თუ ჩინელებს ... ყველას ეკონომიკას ამ ფაქტორებმა თავისი სპეციფიკური დალი დაასვა. გამოკვეთილად მიუთითებს ამაზე ილია სტატიაში „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“.

ერის ინტელექტუალური ძალების ვალია ამ მხრივაც სწორი გზა-კვალი მისცენ ქვეყანას და მის მწარმოებელ ძალებს...

ქართველი ერი ჯუნგლის ტომი არაა, რომ მხოლოდ „უცხო ბაძით“ შექმნას თავისი აწმყო და მომავალი. ჩვენ ერს მდიდარი ისტორიული გამოცდილება აქვს და ამან თავისი ასახვა უნდა ჰპოვოს სამომავლო განვითარებაში. ჩვენი ვალია ახალი სული და ენერგია შთაგებოთ ამ ძველ მინავლებულ ისტორიას. პოემაში – „აჩრდილი“ ყოველივე ამას ილიამ დიდი პოეტური გააზრება მისცა, პოემაში, რომელიც „საერთო ნიადაგის“ თეორიის თავისებურ პოეტურ გადმოცემას წარმოადგენს. ამ მხრივ, ამ თეორიას მე თავისებურ „სულის შებერვად“ გავიაზრებ:

როგორც ნადვერდალს
უნდა ხოლმე სულის შებერვა,
ბუხარი რომ
კვლავ აგიზგიზდეს,
ზუსტად ასევე,
ნაცრადქცეულ
ჩვენს ქვეყანასაც
სულის შებერვა
კვლავ გაგვიცოცხლებს...

ამ „სულის შებერვას“ – ეროვნული იდეოლოგიის და ამ საფუძველზე ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის ფორმირებას, მხოლოდ საერთო ნიადაგზე დგომით და „ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენებით“ შევძლებთ. ამიტომ ვერ იტანდა ილია მესამედასელთა კლასობრივი დაპირისპირებისა და ბრძოლის თეორიას. „ასო-ასოდ დაჭრილი და განთვითოებული ქართველობა ქვეყანას სიკეთეს არაფერს მისცემს“.

ეს გზა საღვთო გზა არაა, იგი სატანას გზაა, „ერთნებობა – თანადგომის და საერთო ნიადაგზე დგომის“ ჩვენი ოქროვანი ხანის საქართველოსგან განდგომა და გადახვევაა. კაპიტალიზმი და ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარება განსაკუთრებით დიდ საფრთხეებს ქმნის ამ მიმართებით. ამიტომ გვაფრთხილებს ილიაც:

„ტყუილა ნურავის ჰგონია, ვითომც შესაძლებელი იყოს ცალკე კაცმა ჩვენში ცალკე ბინა შემოიღოს და იქ უზრუნველად და ბედნიერად იცხოვროს“. ეს მცდელობა მხოლოდ პიროვნული და ეროვნული ტრაგედიით დამთავრდება ბოლოს...

მაშ, რა არის ის მხსნელი იდეა და ამასთან, გზაც სოციალური და ეროვნული სიკეთისა და ბედნიერების მოსატანად? რამ უნდა შეკრას და შეაკავშიროს ერთ მძლავრ ძალად ხალხიც და ქვეყანაც? საიდან და როგორ უნდა დაიწყოს ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობისათვის მკვიდრი ფუნდამენტის ჩაყრა?

აქ „საერთო ნიადაგის“ თეორიის პასუხი ცალსახაა – ეს ადგილობრივი თვითმართველობის დამკვიდრებაა. იგი ამ თეორიის ერთ–ერთი ყველაზე არსებითი პრინციპია...

ადვილად გასაგები და დღეს ყველასათვის მისაღებია ილიას ეს თეზა – „ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშია“, მაგრამ ესეც ხომ საკითხავია: რით, როგორ და რანაირად შევძლოთ ამ იდეის ამოქმედება და საქმედ ქცევა?

„ცხოვრება და კანონი“ და საერთოდ, „საერთო ნიადაგის“ თეორია ამ სტრატეგიული ამოცანის განხორციელების ტაქტიკურ საშუალებებსაც გვაძლევს. „ივერიის“ სტატიათა ამ ციკლის მეხუთე წერილში ვკითხულობთ:

„ჩვენ წინა წერილში (იგულისხმება მეოთხე წერილი – ე.ბ.) ქება თვითმართველობისა ამით დავაბოლოოთ: „ამის შემდეგ რასაკვირველია, საბუთი აქვს ადამიანს იკითხოს, ... თუ თვითმართველობა ეგ არის, მაშ ყოველის მხრით რად ისმის სამდურავი სოფლის თვითმართველობაზედ? რატომ მაგ თვითმართველობამ არ ააყვავა სოფელი?“

აქ და შემდეგ წერილებშიც ილია აყენებს „ნამდვილი თვითმართველობის“ განხორციელების რიგ აუცილებელ წინაპირობებს. მივყვეთ მის აზრს:

1. სოფლად სახნავ–სათესი და სამოვარი მიწების სამართლიან განაწილებას, რითაც საქართველო ისტორიულად იმ სამაგალითო ქვეყანას წარმოადგენდა, რომლის პირობებშიც „თვით ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებითაც ჩვენში უმიწაწყლო გლეხს ვერასდროს ნახავდით“, ხოლო ჩვენმა ისტორიამ არ იცის ერთგვარი დანაშაული, რასაც „бродяжничество“ ჰქვია (აქ ილია რა თქმა უნდა, რუსეთს გულისხმობს).

2. რეალური თვითმართველობა მაშინ მიიღწევა, როცა ადგილობრივი ქონებისა და ფინანსების სრული განმკარგულებელი სოფლის თვითმართველობა იქნება. სასოფლო–სამეურნეო გადასახადებიც ადგილზე უნდა რჩებოდეს, ე.წ. „ტრანსფერების“ პოლიტიკა მხოლოდ ბიუროკრატias აწყობს და არა ხალხს. ცენტრალიზირებული მმართველობიდან სრულ დეცენტრალიზაციაზე გადასვლა – ასეთია სოფლის თვითმართველობისაკენ მიმავალი გზა.

3. „ყველა ადგილობრივნი საქმენი და საჭიროებანი ადგილზევე უნდა წყდებოდეს“. აქ ილია გულისხმობს ცხოვრების ნებისმიერ სფეროს – განათლებიდან და კულტურით დაწყებული და სამართალწარმოებით დამთავრებული. იგი მოითხოვს, რომ ყველა სოფელს „სანდო კაცად“ მიჩნეული თავისი მოსამართლე ჰყავდეს. აქაც და ბევრგან სხვაგან იგი „ჩვეულებითი სამართლის“ აღდგენისა და დამკვიდრების მომხრეა. „ეს სამართალი უფრო მისაღებია ხალხისთვის, იმიტომ, რომ იგი ხალხის მიერვე არის დადგენილი და დაკანონებული“. მეორენაირად მას ილია „ბუნებით სამართალს“ უწოდებს.

4. მაგრამ ილია რეალისტი პოლიტიკოსია და იცის რომ დღევანდელი სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის ცენტრალიზმიც აუცილებელია. მისი და ადგილობრივი თვითმმართველობის „ბედნიერი მორიგება“ აქაც მისთვის მთავარ მეთოდოლოგიას წარმოადგენს, ისევე როგორც „საერთო ნიადაგის“ თეორიის სხვა ნებისმიერი პრინციპის განხორციელება. დღეს ეს „ბედნიერი მორიგება“ რომ შესდგეს, აუცილებელია საბჭოური ცენტრალიზმით თავსმოხვეულის ნაცვლად, საქართველოს ძველი ტერიტორიალურ-ადმინისტრაციული დარეგირების აღდგენა. ეს ხომ ისტორიულ-ბუნებრივი პროცესით ჩამოყალიბდა საუკუნეთა მანძილზე. კერძოდ, ეს დარეგირება გულისხმობს თავისებურ „სამგანზომილებიან სივრცეს“ – სოფელი, თემი და მხარე.

5. ხელისუფლების გადანაწილებაც ისე უნდა მოხდეს მათ შორის, რომ შეიქმნას თავისებური ბალანსი და ჰარმონია ამ სამ-წევრიან ადმინისტრაციულ ერთეულთა თვითმმართველობებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. გარდა საგარეო პოლიტიკისა, საზღვრების უსაფრთხოებისა და ქვეყნის თავდაცვისა, საბაჟო-საგადასახადო და ფისკალური, ეკოლოგიური და ენერგეტიკული პოლიტიკისა, ყველა დანარჩენი საკითხი თვითმმართველობის ამ სამ-განზომილებიან სივრცეში უნდა წყდებოდეს. ასეთია ილიას ანდერძი ჩვენთვის.

6. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს და რაც მთავარია, უფრო ეფექტურს გახდის ქვეყნის მართვა-გამგეობის ხარჯებს, დღეს რომ ლამის ეროვნული შემოსავლების ნახევარი მიაქვს. ეკონომიკური განვითარებაც, სოციალური დაცვა, დეპოპულაციის და დეურბანიზაციის პროცესებიც გაცილებით ეფექტური და შედეგიანი გახდება ასეთი დეცენტრალიზაციის პირობებში.

7. თვითმმართველობაზე, განსაკუთრებით მის პირველ – სოფლის თვითმმართველობის დონეზე უნდა განხორციელდეს საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პროცესი – ძველი „ხოდაბუნური“ ტიპის სასოფლო-სამეურნეო კორპორაციების შექმნა. ასეთი კორპორაციების ერთიანი ეროვნული სისტემის ფორმირება ეროვნული ეკონომიკის ფორმირებისა და განვითარების ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ფაქტორად უნდა იქნას მიჩნეული. ესეც ილიას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზავნილია ჩვენთვის...

„მუდმივი სოციალური კონტრაქტი“ – ასე შეიძლება ეწოდოს „კომლისა“ და „ხოდაბუნების“ ინსტიტუტს ძველ საქართველოში. სწორედ ასეთი გააზრებით განიხილავს მათ ილია სტატიაში – „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“. იგივე იდეა არის გატარებული ივ. ჯავახიშვილის შრომაში – „საქართველოს ეკონომიური ისტორია“. დღეს, როცა ყველას გვიკვირს იაპონიის წამყვან კომპანიებში ამ „მუდმივი სოციალური კონტრაქტის“ დიდი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ჩვენი წინაპრებიც ჩასწვდნენ თავის დროზე ამ იდეის დიდ მატერიალურ ძალას...

ამიტომ მივეცით „საუბრების“ ამ ნაკვეთს ეს სიმბოლიკა: ეროვნული იდეოლოგია, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული სახელმწიფო: ეროვნული იდეოლოგია მომავალი ქართული სახელმწიფოს სულიერი და ზნეობრივი საფუძველია, ეროვნული ეკონომიკა კი, მისი ხორციელი და მატერიალური საფუძველი. ასეთია „საერთო ნიადაგის“ თეორიის არსი, ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის ილიასეული გააზრება და ასეთივე უნდა გახდეს იგი ჩვენთვის...

– ივიწყებ წარსულს, ჰკარგავ მომავალს, ბრძნული თქმაა და მესამედასელების, მათი მაშინდელი თუ დღევანდელი მემკვიდრეების უმთავრესი ცოდვაც ჩვენი უახლესი ისტორიის წინაშე ესაა. თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო, ასე დაემართათ მათ და ამის გათვალისწინება დღეს მაინც აუცილებელი გასათვალისწინებელია ჩვენგან. ამ თემამ ერთი პოეტური გააზრება ასაზრდოვა ჩემში, რომელსაც ამ რამოდენიმე წლის წინ დავით აღმაშენებლის ძეგლის გახსნამ მისცა საწყისი:

- დიდო მეფეო,
უძლეველო დავით!
საშველი რაკი
აღარსაით არის,
ღვთისგან რჩეულო
და კურთხეულო,
შენს იმედადღა ვართ:
- გარდაგვიხსენ მეფეო, გრაგნილი,
ხელთ რომ გიპყრია მანდ!
გარდაგვიხსენ გრაგნილი
შენს დაობლებულ ხალხს,
შენგან ნაშენი ქვეყანა
დღეს უდაბნოსა ჰგავს,
„ძლევაი“ მოგვმადლე ძლეულებს,
„ძლევაი საკვირველი“ კვლავ...
სიტყვა მოგვენატრა ნამდვილი,
სიტყვა კი არსაით ჩანს...
გარდაგვიხსენ მეფეო, გრაგნილი,
ხელთ რომ გიპყრია მანდ!

მემკვიდრეობითობის უნივერსალური კანონის ძალით, ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის ფორმირების, ის ყველა ცდა ჩვენი ძველი ეროვნული მემკვიდრეობის გათავისებისა და გათვალისწინება—გათანამედროვეობის გარეშე, მარცხისათვის არის განწირული. „საერთო ნიადაგის“ თეორია კი ამ მემკვიდრეობის კონცენტრირებული ასახვა და გამოხატულებაა XIX–XX საუკუნეების ქართულ საზოგადოებრივ–პოლიტიკურ აზროვნებაში.

„შრომისა ახსნა ეგ არის ტვირთი...“

ნებისმიერ ერს, მის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ პროგრესს ორი დიდი ძალა ასაზრდოებს – ინტელექტუალური და მწარმოებელი. პირველის უმთავრესი მოვალეობაა სწორი მიმართულება მისცეს ქვეყანას, მისი მიწა-წყლისა და მწარმოებელი ძალების პოტენციური ენერგიის ამოქმედებას. გლობალიზმის პირობებშიც მხოლოდ იმ ერს და ქვეყანას ექნება მომავალი, რომელიც შესძლებს ამ გზით თავისი ეროვნული მეობისა და თვითმყოფადობის გადარჩენას და შემდგომ განვითარებას. **„სხვისი ზამით და თუთიყუშური გადმოძახილით“** ამ მიზანს ვერასოდეს მივაღწევთ და ბოლოს **„სხვათა და სხვათა ხელისშემყურენი გავხდებით“**. ეს იყო მესამედასელებთან ილიას დაპირისპირების მთავარი თემა მაშინ...

თავის მხრივ, მესამედასელების კრიტიკა ილიას მიმართ აგებული იყო მის მიერ **„მშრომელი ხალხის ინტერესების ღალატზე“** და ამას ამბობენ კაცზე, რომელმაც **„შრომის ახსნა“** საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების უმთავრეს ამოცანად გამოაცხადა. **„პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის“** იდეოლოგიების ეს ბრალდება კიდევ ერთხელ ამტკიცებს თუ რა ტრაგიზმით შეიძლება დამთავრდეს ნებისმიერი პოლიტიკური და სოციალური დემაგოგია, რისი მოწმენი არაერთხელ გავხდით ჩვენც ამ ბოლო წლების მანძილზე...

„კაკო ყაჩაღი“, „კაცია-ადამიანი?“, „მესმის მესმის“, „აჩრდილი“, მისი მთელი პუბლიცისტიკური მემკვიდრეობა არის საქართველოში სოციალურად სამართლიანობის დამკვიდრების მთელი პროგრამა, პროგრამა, რომელიც შემდგომში **„საერთო ნიადაგის“** თეორიაში აისახა. ეს ეხება როგორც პუბლიცისტურ-პოლემიკურ მემკვიდრეობას, ისე ლიტერატურულსაც, ამ უკანასკნელის ყველაზე კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს **„აჩრდილი“** და ჩვენი პარადოქსი და უთავბოლოობაც ისაა, რომ სწორედ იგი ამოვიღეთ საშუალო სკოლების პროგრამიდან?!...

„აჩრდილი“ თითქოს სპეციალურად დაწერა იმის საჩვენებლად და დასამტკიცებლად, რომ მისთვის ეროვნული და სოციალური ერთმანეთისგან განუყოფელი რეალობებია. ამ მხრივ, მინდა მოვიყვანო ორი მაგალითი:

**„და მომევლინა მე კაცი დიდი,
მყინვარზედ მდგომი მოხუცებული,
ვითა ქვეყანა, ის იყო მშვიდი,
უძრავი, უხმო, დაფიქრებული...
... მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა!
მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული...
შენ შვილთა სისხლით გული სრულად გარდამებანა“**

ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული...
მეცა ვტანჯულვარ, ჰეი ბედკრულო, შენი ტანჯვითა...
მეც წარტყვევნილვარ წარსულ დღეთა შენთა ნატვრითა...
და ძესა შენსა დღეს არცკი სწამს შენი აღდგენა...
და დაუგდიხარ, ვით ტაძარი გაუქმებული...”

და სულ უფრო და უფრო ძლიერდება ემოციები მყინვარზე მდგომი აჩრდილის და ამ ემოციებთან ერთად, იმის ნატვრა და ვედრება, რომ „მტვრად არ იქცეს წარსულის დიდებულება“:

„წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა,
მამულისათვის თავის დადება!
... მაგრამ ქართველნო, სად არის გმირი,
რომელსაც ვეძებ, რომლისთვის ვტირი?
იგი აღარ გყავთ... მის მოედანი
ჯაგით ავსილა, ვერანად ქმნილა,
გმირის დამბადი დიდი საგანი
თქვენში სპობილა და წარწყმედილა,
გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას,
დაგინგრევიათ დიდი მამული,
რალა დაჰბადებს თქვენში დიდ გრძნობას?....

ეს პოემის პირველი ათი თავი, სადაც „აჩრდილი“ საქართველოს და ქართველი ერის აწმყოზე მოსთქვამს, ხოლო შემდეგი თავები ეს „ტყვედპყრობილი შრომის სუფევის“ ნამდვილი ჰიმნია:

„შრომისა ახსნა – ეგ არის ტვირთი,
ძლევამოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.
ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი,
განახლებისა გრიგალის ქროლვას,
ველარ განუძლებს ქვეყნის მმარცველი,
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას,
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აყვავდების!“

და ამ სტრიქონების დამწერს მახარაძე – რამიშვილების მსგავსი ვაი-რევოლუციონერები და „მშრომელთა იდეოლოგები“ სწორედ ამ მშრომელთა სახელით და „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ დროშით ტყვიას ახლიან გულში.

მესამედასელთა სოციალურმა დემაგოგიამ კვალიც კი აღარ დატოვა მისი „საერთო ნიადაგის“ თეორიიდან და ამიტომაც რომ ილია პოემის ბოლოს ამ კოსმოპოლიტ – ინტერნაციონალისტთაგან ასე მოძულეებულ და უარყოფილ ღვთისა და ღვთისმშობლის ძალას მიმართავს:

„დედაო ღვთისაგ! ეს ქვეყანა შენი ხვედრია,
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულ ხალხსა!
საღვთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა...
მოჰმადლე ქართველს ქართლის ნდომა და სიყვარული,
და აღადგინე მშვენიერი ესე მამული!
ჰოი, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,
რათა წარღვნისა მოლოდინი წარჰხოცო ხალხსა!“

ამ პოემაში და ყველგან სხვაგან, სადაც ილიას კალამი ერთდროულად ამ ორ დიდ თემას – ეროვნულ თავისუფლებას და სოციალურ სამართლიანობას შეხება, ყოველთვის ერთ მთლიანობაში განიხილავს მათ. მისთვის ცხადია:

ქართველი კაცისთვის და საქართველოსთვის არ არსებობს ეროვნული თავისუფლება სოციალური სამართლიანობის გარეშე და პირიქით – არ არსებობს სოციალური სამართლიანობა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გარეშე. ასე შემოვიდა იგი ქართულ ცხოვრებაში ჭაბუკობიდან – „აჩრდილის“ პირველი ვარიანტი ხომ 1859 წელს არის დაწერილი...

ყველაფერი ეს დაკავშირებულია „საერთო ნიადაგის“ ტრიადასთან – სამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტასთან. ამ ურთიერთდამოკიდებულ ტრიადაზე ჩვენ „საუბრების“ შემდეგ ნაკვეთებში უფრო ვრცლად ვილაპარაკებთ: ეროვნული იდეოლოგია, ეროვნული ეკონომიკა და ეროვნული სახელმწიფო. მხოლოდ მათზე იქნება დამოკიდებული რამდენად შევძლებთ მკვიდრი ბაზა შევუქმნათ ქვეყანას სტაბილური საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ეროვნული და სოციალური ყოველივე ამის უმთავრესი შემადგენელი კომპონენტებია. ამიტომ აქცევდა მათ განსაკუთრებულ ყურადღებას ილია – საქართველოს თანამდევი უკვდავი სული.

„ქართველების საქმე მაშინ წავა კარგად...“

კაპიტალიზმის განვითარებამ მსოფლიოშიც და საქართველოშიც ილია დაარწმუნა: „ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნაღარა, არც რბევა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არ სწერია, თუ თვითონ ადამიანმა გესლი უღმობელი სიხარბისა შიგ არ ჩააწვეთა, ბუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა...

ეს ომი შრომისა და ვითარცა შრომა, – პატიოსანია, ნამუსიანია, და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე. ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო, – იტყოდა გლეხკაცი თავისებური ზედგამოჭრით, თუ სიმართლეს ათქმევინებთ...” („რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“).

ამიტომ ჩასჩინებდა მაშინდელ ქართველობას ხსნისა და გადარჩენისთვის ამ ახალი ეპოქის შესატყვისი „ციხე–სიმაგრე აეგოთ, ხერხი და ფარ–ხმალი ეხმარათ“, მაგრამ ისე როგორც მისი სხვა ბრძნული რჩევა, ესეც რჩებოდა „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“. ამიტომაც წერდა ამ გულსაკლავ სიტყვებს – „უფულო ერი ფულიანთა საძოვარია, მათი საცხოვრისია“. ამიტომ ურიგებდა გულუხვად ბანკის შეღავათიან და გრძელვადიან აგრარულ სესხებს ყველას, ვისაც ამ ახალ ომში ჩაბმა და გამარჯვება სურდა...

„ტყე, მინდორი, მთა–ბარი, მიწა–წყალი, ჰავა–ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება, ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულთა–თქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე, დღეს მძლეუთა–მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმადლარ სურვილისამებრ“.

სოფელი რა არის და ერთი კაციო, და ილიაც ეძებდა მთელ საქართველოში, მის მთასა თუ ბარში იმ „ერთ კაცს“, რომელიც მის იდეებს და მიზნებს საქმედ აქცევდა. ბევრიც იპოვა ასეთი ამერ–იმერით. ბევრი წარმატებული ხოდაბუნური სასოფლო–სამეურნეო კორპორაციაც შექმნა, მაგალითად მაჩხანის, დიმიტრი მაჩხანელის თავკაცობით. დღეს, როცა ბევრი ლაპარაკია ქართული სოფლის აღორძინება–განვითარებაზე, ახალი ხელისუფლების ახალ აგრარულ პოლიტიკაზე, ალბათ ღირს დღესაც ასეთი პიროვნებების მოძიება და ხელშეწყობა ამ სოფელ–ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამის საილუსტრაციოდ ჩვენ ხსენებულ გამოცემაში ნიმუშად მოვიყვანთ ილიას ხელმოწერით გამოშვებულ ბანკის წლიური 5–პროცენტის საკრედიტო ბარათს, რითაც იგი ხელს უწყობდა ამ „ხოდაბუნური ამხანაგობების“ დაფუძნებას კაპიტალიზმის გზაზე შემდგარ საქართველოში...

„ქართველების საქმე მაშინ წავა კარგად, როცა საქმით ფულის კეთებას ისწავლიან.“ – წერდა იგი და ყველას ჩააგონებდა, ვინც კი, ბანკის კრედიტით თავისი მამულის მოვლა–პატრონობის ახალ სამეურნეო პრინციპებზე განვითარებას დაისახავდა მიზნად, „ფულს გაფრთხილებოდნენ ყაირათიანად“. ეპოქა ეპოქას მისდევს, თაობა – თაობას, ყველაფერი მართლაც რომ ელვისებური სისწრაფით იცვლება ირგვლივ, მაგრამ ამასთან, უცვლელი რჩება ის ფსიქიკური და სოციალურ–ეკონომიკური პრინციპები, რომლებზეც დაფუძნებულია ერისა და ქვეყნის ცხოვრება. ალბათ, ამაზეც ითქმის, – ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია და ჩვენი ვალია ეს „კარგად

დავიწყებული“ გამოვაცოცხლოთ ჩვენი ეპოქის შესატყვისი ფორმებით. ძველი ქართული „კომლი“ და „ხოდაბუნები“ ამის ერთ-ერთი მაგალითია...

„ილიალოგთა კლუბი“ ამაზე იყო კონცენტრირებული დღიდან მისი დაფუძნებისა. მახსოვს გაცხარებული დისკუსიები, ოპონენტების ათასგვარი არგუმენტები – რაღა დროს ილია და მისი „საერთო ნიადაგის“ პრინციპებია, მილიონი ახალი იდეები და თეორიებია დღეს მსოფლიოში, კერპთაყვანისმცემლებად ხართ გადაქცეულნიო... ესეც მინდა მკითხველს ერთი ძველი პოეტური გააზრებით გავუზიარო, მაშინ „ილიალოგთა კლუბის“ წევრებს რომ მივმართე ასე ვთქვათ, დასამშვიდებლად და გასამხნეებლად:

მოდით ძმებო, გავიხსენოთ,
– ჩვენ ხომ სტუდენტობიდან
ერთად მოვდივართ...
ზოგი გამოგვეცალა ხელიდან,
ზოგნი კი, ღვთის მადლით,
კვლავ ერთად მოვდივართ...
ზოგს მოვწონვართ,
ზოგსაც არ მოვწონვართ,
თვალში არ მოვდივართ,
მაგრამ გულს არ ვიტეხთ, –
ჩვენ მაინც მოვდივართ...

– „ოქროვანი ხანა? გიჟი ხომ არ ხარ?!“...

ამ თემაზე მახსენდება ერთი კურიოზი, 90–იანი წლებისთვის დამახასიათებელი: სამოქალაქო ომისა და „მხედრიონელების“ ბატონობის იმ გიჟურ წლებში რატომღაც გადაწყვიტეთ ჩაგვეტარებინა კონფერენცია თემაზე – „ოქროვანი ხანიდან ოქროვან ხანამდე“. დაგვესივნენ და რა დაგვესივნენ – რა დროს ილია და „საერთო ნიადაგის“ თეორიაა, ვერ ხედავთ ქვეყანა შიმშილში და სისხლში იხრჩობა, გიჟები ხომ არ ხართ, გაიხედ–გამოიხედეთ, გავნახევრდით მიწიან – ხალხიანად... ერთი სიტყვით, კუდამოდულები გამოვედით დარბაზიდან, თვით ყოველთვის შემართული და საბრძოლოდ განწყობილი ლევან სანიკიძეც კი, სრულ მელანქოლიაში ჩავარდა. ერთმანეთს კი ვამხნევებდით – ჩვენი დროც მოვაო, მაგრამ მაინც, პესიმიზმმა და იმედგაცრუებამ მოგვიცვა ყველა. ცხელ გულზე მაშინ გაჩნდა ჩემს პოეტურ რვეულში ეს ჩანაწერიც:

სხვას რაღას ვერჩი,
როცა მე თვითონ, –

ეგრეთწოდებულ
„პირველ ილიალოგს“
(რატომღაც ასე მომნათლა
ლევან სანიკიძემ),
არ მტოვებს ეჭვი:
მართლაცდა, რას აიკვიატე
ილიაზე ამდენი ფიქრი,
ამდენი განსჯა,
ბრმა ხომ არა ხარ,
ამ ახალ დრო–ჟამს
რალა დროს ილიაა,
„ჩავლილი მატარებელია“
აბა, რა არის,
მატარებელიც კი აღარ უნდა
დღევანდელ კაცსა...

ასე თუ აიჩემე,
შენ იქნებ ახლა
ათონელიც მომინდომო,
ჭყონდიდელი და აღმაშენებელიც,
და იქნებ,
„ერთნებაობითა და თანადგომით“
ქვეყნის მართვაც?!...
სულ ხომ არ გარეკე, –
იქნებ მომინდომო
ის ძველი დიდებული
„ოქროვანი ხანაც“??...
– რატომაც არა!
– რატომაც არა!!!
იქუხებს ხოლმე მთელ სხეულში
პროტესტის განცდა...

„საერთო ნიადაგის“ თეორიის პრინციპთა განხორციელება რომ ძნელზე ძნელი საქმეა, ეს თვითონ ილიამაც შესანიშნავად იცოდა. მაშინდელ მესამედასურ საქართველოში ყოველივე ამას ხომ თავის თვალთ ხედავდა. ამჯერად მართალია ნოე ჟორდანიას, როცა წერს („ჩემი წარსული“) თავისებური სიამაყით და თავმოწონებით, ამასთან, ილიასადმი სიძულვილით თუ არა, ნიშნისმოგებით მაინც – ქართველმა ხალხმა ილიას „საერთო ნიადაგს“ ზურგი აქცია და სოციალ–დემოკრატიის ჩვენი ინტერნაციონალური დროშის ქვეშ დადგა. რას ვიზამთ, მართლაც ასეა – ილიას

„ბედნიერმა ერმა“ მაშინ ეს „ბედნიერი“ არჩევანი გააკეთა: „მესამე დასს“ ანაცვალა პირველი და მეორე დასიც...

მაშ ასე, ილიას და მისი „პირველი დასის“ ნაციონალიზმს ინტერნაციონალ-კოსმოპოლიტიზმმა აშკარად გადასძალა. ბარათაშვილის – „რის ქართველობა, რა ქართველობა“, ორიოდ თაობაში კიდევ უფრო გამძაფრდა. „ილიალოგთა კლუბსაც“ ხშირად ჰქონდა ამ თემაზე მძაფრი დისკუსიები „გლობალისტებთან“. ესეც შევეცადე პოეზიაში ამესახა:

ხშირად ამასაც გვეუბნებიან:
რის ეროვნება, რა ეროვნება,
მამა-პაპათა მემკვიდრეობა...
გლობალიზმმა ეს ყველაფერი
უსარგებლო ნაგვად აქცია...
რა უნდა ვთქვათ,
რა გვაქვს სათქმელი?
მხოლოდ ის, რაც
ილიამ უთხრა „მესამე დასს“:
თქვენ გინდათ ყველა,
ერიან – ბერიანად
„უცხო ზამის“ მონებად
ვიქცეთ სულ ერთიანად...

მაშინდელი გლობალისტები იმითაც იყვნენ დღევანდელზე კიდევ უფრო საშიშნი, რომ მათთვის პროგრესის გზა ევროპის ნაცვლად, კვლავ რუსეთზე გადიოდა. ჟორდანიას ძლივს დაარწმუნეს რსდმპ-სთან განშორებისა და გაყრის აუცილებლობაში სხვა მენშევიკმა ლიდერებმა: I მსოფლიო ომში რუსეთი მარცხდება, მისი არმიები უკვე გადიან ანატოლიიდან და კავკასიიდან, დამოუკიდებლობა თუ არ გამოვაცხადეთ, თურქეთის ჯარები შეავსებენ ვაკუუმს, არწმუნებდნენ ამ „ქართველ მარქსს“...

მაგრამ დამოუკიდებლობის გამოცხადება ჯერ კიდევ არ ნიშნავს დამოუკიდებლობას – „ჩვენი თავის ჩვენად ყუდნებას“. ამას კი „მესამე დასი“ კი არა, ილიას სიბრძნე უნდოდა მაშინ. ილია კი „ნაფოტივით“ მოისროლა ამ დასმაც და ქართველმა ხალხმაც...

სწორედ ამან განაპირობა, რომ სიცოცხლის ბოლო წლები სრულ მელანქოლიაში გაატარა. აღარაფერი აინტერესებდა ამქვეყნად. არტურ ლაისტი, ილიას უახლესი მეგობარი და გულისმესაიდუმლე, წიწამურამდე ორი კვირა რომ გაატარა სტუმრად მასთან, იხსენებს – საათობით იჯდა აივანზე და უსიტყვოდ გაჰყურებდა არაგვის ხეობას... მისი ბოლო სიტყვა, რაც ჩემს მეხსიერებაში დარჩა, ეს იყო სიტყვა – „უმაღურობა“...

და აი, ივანე ჯავახიშვილიც 1938 წლის მონოგრაფიაში – „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, ილიას უარყოფას და უგულველყოფას „დიდ უსამართლობას და უმადურობას“ უწოდებს... მაგრამ ეს „უმადურობა“ არ შეიძლება მუდმივად გაგრძელდეს. ეს ჯერ კიდევ იაკობ გოგებაშვილმა იწინასწარმეტყველეს, როცა თქვა – იქნებ მსოფლიოს არცერთ ერს არ დასჭირდეს სამომავლოდ თავისი გენიოსი წინაპარი ისე, როგორც ილია ჭავჭავაძე ქართველ ერს...

აკი, თვითონაც ასე ანუგეშებდა და აიმედებდა თავის „კარგ ქვეყანას“:

„ჩემო კარგო ქვეყანა,
რაზედ მოგიწყენია,
აწმყო თუ არა გწყალობს,
მომავალი შენია!“

მაგრამ საბჭოთა კავშირიდან ევროკავშირისკენ მიმავალ ქვეყანას ეს „მომავალი“ თავისით და ისე ადვილად არ მოუვა, როგორც ბევრს გვგონია, რამეთუ დღესაც, ხვალაც და ზეგაც – „ჩვენს იქით ჩვენი ხსნა მხოლოდ ტკბილი სიზმარია“. ახალი საქართველო და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობა მხოლოდ ჩვენს ეროვნულ მემკვიდრეობაზე აშენდება მკვიდრად. ამიტომ თხოულობდა პრინციპულად კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფოს დაფუძნებას მომავალ საქართველოში...

დიახ, „ჩვენი თავის ჩვენად ყუდნება“ ამდენი „ძნელბედობების“ შემდეგ ძალზე ძნელი საქმეა. აქ არავინ წაგვაშეულებს ხელს. პირიქით, ყველა ეცდება თავისთვის „გვიყუდნოს“, როგორც ილია იტყოდა, „თავის თარგზედ აგვჭრას“. მხოლოდ ჩვენ და ჩვენმა ისტორიამ უნდა შევძლოთ ეს. საქართველოც მაშინ გახდება „კარგი ქვეყანა“...

დიახ, აქედანვე უნდა გავითვალისწინოთ და გავითავისოთ: სვლა ევროკავშირისაკენ არ იქნება მარტო სიკეთისა და ბედნიერების მომტანი. ევროპას და ევროპელებს ბევრი პრობლემები აქვთ, ეს მათაც არაერთხელ უთქვამთ ადრეც და ახლაც. აქ უპრიანია, თუნდაც ჩერჩილი გავიხსენოთ – დემოკრატიას რა ვუთხარი, მაგრამ ჯერ–ჯერობით უკეთესი რომ არაფერია?!... ბევრი ზნეობრივი პათოლოგიებიც სტანჯავთ ევროპასაც და ამერიკასაც დღეს, ძალიან, ძალიან დაშორდნენ ღმერთსაც და ზნეობასაც, სოდომის სენმა და ცოდვამ მოიცვა ერთიანად ადამის ძენი...

სწორედ აქ გვჭირდება „საერთო ნიადაგის“ თეორია და მისი ზნეობრივი პრინციპები, ილია მართალის მართალი სიტყვა და მართალი საქმე...

იოსებ სტალინი და ვარლამ ჩერქეზიშვილი: პოლემიკა დღესაც გრძელდება

რედაქტორისაგან

ბატონი ელბერდი გვანებივრებს ხოლმე თემის ორიგინალური გააზრებით და ახლაც, ვარლამ ჩერქეზიშვილის საიუბილეოდ შერჩეული სტალინის ნაშრომის მისეული პოლიტოლოგიური ანალიზი, ამის კიდევ ერთი მაგალითია. უახლოეს ხანს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართება ეს საიუბილეო კონფერენცია და ეჭვი არაა, რომ მსმენელიც და წინამდებარე ბროშურის მკითხველიც უფრო ახლოს გაიცნობს ამ ჩვენი დიდი წინაპრის მემკვიდრეობას. მის, ისე როგორც მთელი ჩვენი ეროვნული მემკვიდრეობის გაცნობას და გამოყენებას კი, არსებითი მნიშვნელობა აქვს ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში.

აქ მე პირველ რიგში, მხედველობაში მაქვს „საერთო ნიადაგის“ თეორია. ილია ჭავჭავაძესთან და ვარლამ ჩერქეზიშვილთან ერთად ამ თეორიის სრულყოფა – განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანეს არჩილ ჯორჯაძემ, ნიკო ნიკოლაძემ, გრიგოლ რობაქიძემ, ივანე ჯავახიშვილმა, მიხაკო წერეთელმა და ფაქტიურად ეროვნულ პოზიციებზე მდგომმა XIX-XX საუკუნეების ყველა ჩვენმა დიდმა ერისკაცმა. ვფიქრობ, რომ დღეს ყოველივე ამის შესწავლას და სათანადო ანალიზს შემეცნებითთან ერთად, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. ვინც ყურადღებით გადაიკითხავს ამ ბროშურას, ის აუცილებლად დამეთანხმება.

პროფესორი

ვაჟა თვალავაძე

წ ი ნ ა თ ქ მ ა

1652 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ რაც მოსკოვში გაჩნდა პირველი ქართული კოლონია (მომავალში „მაღაია გრუზინსკაია“ – „ბალშაია გრუზინსკაია“), ქართველებმა აქტიური როლის თამაში დაიწყეს რუსეთის ისტორიაში. ეგვიპტიდან და ახლო აღმოსავლეთიდან ქართველმა „მამლუქებმა“ ამიერიდან სამხრეთიდან ჩრდილოეთში ამოყვეს თავი. ასობით და ათასობით ქართველი დაფუძნდა და დაფესვიანდა ჯერ მოსკოვში და მერე პეტრე დიდის მიერ აგებულ ახალ დედაქალაქში.

სტალინი და ჩერქეზიშვილიც ასეთი „მამლუქები“ იყვნენ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პირველი ეგვიპტელი „მახმუდივით“ ბოლოს იმპერიის მბრძანებელი გახდა, მას შეწირა ღვთისგან მოცემული რაც გააჩნდა, მეორემ კი, ამ იმპერიიდან ორგზის გაქცევით უშველა თავს, მაგრამ პირველისაგან განსხვავებით, თავისი ნიჭი და უნარი კაცობრიობისა და თავისი სამშობლოს უკეთეს მომავალს მოახმარა...

როგორც ითქვა, ეს ყველაფერი იწყება საქართველოს ისტორიის ყველაზე ავბედითი XVII საუკუნიდან, როცა მის დასაწყისშივე შაჰ-აბასის სამგზისმა გენოციდურმა ლაშქრობამ ქართლ-კახეთი ფაქტიურად გააუკაცრიელა. ამ ეპოქის ყველაზე

ტრაგიკული პიროვნება და რუსეთში პირველი ქართველი მამლუქიკ ერეკლე I იყო, იგივე „ნიკოლოზ დავიდოვიჩი“ (მოსკოვში) და „ნაზარალი ხანი“ (თეირანში). დიახ, სამ-სახელიანი და სამ-სახოვანი კაცი, რომელმაც სამივე სამეფო კარი მოიარა, მაგრამ ფეხი ვერსად ვერ მოიკიდა მყარად და სიცოცხლეს ტრაგიკულად დაამთავრა სტამბულში, – „მეორე რომის“ იმპერიის ყოფილ დედაქალაქში...

ღირს ორიოდ სიტყვით შევჩერდეთ ამ ტრაგიკულ პიროვნებაზე. იგი სიმბოლურად ასახავს „ძნელბედობის“ მთელ ჩვენს ტრაგიზმს:

ეს კახელი ბაგრატიონი (ესეც „ოქროვანი ხანის“ ერთიანი საქართველოს ტრაგიზმია – ერთი სამეფო დინასტიის სამად გახლეჩა), თავისებური სიმბოლიკაა უკანასკნელ საუკუნეებში სამ იმპერიას შორის მომწყვდეული საქართველოს ახალი, უახლესი და თანამედროვე ისტორიისა. იმპერიების მეტი რა ახსოვს ჩვენს ისტორიას – 9 იმპერია მაინც გამოვიცვალეთ ამ 3000 წლის მანძილზე, მაგრამ ეს ბოლო (ღმერთმა ქნას ბოლო და უკანასკნელი), „მესამე რომის იმპერია“ მისი ორთავიანი არწივით და „ერთმორწმუნეობით“ რაღაც განუმეორებელი აღმოჩნდა ყველა, მათ შორის, თვით „პირველ“ და „მეორე რომის იმპერიებს“ შორისაც კი. იგი საქართველოს მომავალ ისტორიაში ალბათ, ისეთი პარადოქსული გააზრებით დარჩება სამხრეთის მაჰმადიანურ იმპერიებთან შედარებით, „უმცირესი ბოროტების“ ფორმულით რომ მონათლა თავის დროზე სტალინმა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის გასამართლებლად...

ერეკლე I მაჰმადიანურ სამხრეთსა და ქრისტიანულ რუსეთს შორის ამ ორ ბოროტებათა ორომტრიალში აღმოჩნდა ბავშვობიდანვე: პაპამისმა, მეფე – პოეტმა თეიმურაზ I სპარსეთის შაჰის ჯიბრზე მეუღლესთან ერთად და კახელების დიდი ამალით მოსკოვს გააგზავნა აღსაზრდელად. ბებიისგან განებივრებული ერეკლე თევდორე მიხეილის-ძის კარზე ყველაზე საყვარელ უფლისწულად იზრდებოდა და როცა ბავშვობიდან ჭაბუკობის ასაკს მიაღწია, რუს ასულთათვის, როგორც ახლა იტყვიან, „სექს-ჩემპიონი“ გახდა. ეს კი მოგეხსენებათ, რუსეთში ბევრ რამეს ნიშნავს, პირად ცხოვრებაში და პოლიტიკაშიც რომ აისახება ხშირად. არსებობს მიხრწნილი თევდორე მიხეილის-ძის ახალგაზრდა ცოლის ნატალია ნარიშკინას წერილები, სადაც იგი თავის სექსუალურ პარტნიორს აღმერთებს და მეცხრე ცაზე აჰყავს.

მეცხრე ცისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მათი სიყვარულის ნაყოფმა რუსეთი რომ ბალტიის ზღვიდან წყნარ ოკეანემდე ევრაზიის სუპერ-სახელმწიფოდ აქცია, ეს უცილობელი ფაქტია. ნატალიას და ერეკლეს „შავტუხა პეტრუმკა“ ალბათ, სტალინის შემდეგ რუსეთის ყველაზე დიდი რეფორმატორი გახდა. მართალია მან ჩერჩილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „კავის რუსეთი ატომურ რუსეთად“ ვერ აქცია სტალინის მსგავსად, მაგრამ მაშინდელი ეპოქის შესატყვისად, მანაც რუსეთის იმპერია მსოფლიო პოლიტიკის წამყვან მოთამაშედ გადააქცია. მას შემდეგ მოდის ასეთ მოთამაშედ რუსეთი დღემდე...

მაგრამ ესეც სათქმელია: რაც არ უნდა ძლიერი ყოფილიყო რუსეთის იმპერია ამ 300 წლის მანძილზე (2021 წელს უსრულდება მას ეს „მრგვალი თარიღი“, თუ იქამდე საღ-საღამათად დარჩა), სამხედრო – პოლიტიკური თვალსაზრისით, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარებით იგი საშუალო დონეს არასოდეს ასცილებია მიუხედავად უაღრესად მდიდარი ბუნებრივი რესურსებისა. დღესაც საფრთხოვლად გადაქცეული სტალინის ატომური რუსეთი, შიშის ზარს რომ სცემს თავის ყოველ მეზობელს დასავლეთით, სამხრეთით, თუ აღმოსავლეთით, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით ლუქსემბურგსაც კი ვერ გაუტოლდება...

რაშია საქმე? რატომ ხდება ასე? რით ავსხნათ, რომ ამ 300 წლის მანძილზე რუსეთმა ვერა და ვერ შესძლო დღემდე პეტრე დიდის მიერ „ევროპაში გაჭრილი ფანჯარა“ ისე გაეფართოებინა, ევროპის სრულყოფილი წევრი რომ გამხდარიყო?

ამ კითხვებზე პასუხი ჯერ კიდევ მარკიზ დე კიუსტინმა სცადა 1837 წელს პარიზში გამოცემულ ცნობილ პამფლეტში – „ნიკოლოზ პირველის დროინდელი რუსეთი“. აქ მან ყველაფერი რუსულ კლიმატს და რუსულ – მონღოლურ ნაჯვარ გენებსა და ფსიქიკას დააბრალა... შემდეგაც იყო არაერთი ცდა ამ „რუსულ პარადოქსზე“ სხვადასხვა პასუხებისა. თუ თვითრეკლამაში არ ჩამეთვლება, მეც ჩემებურად ვცადე პასუხი გამეცა მასზე 1977 წელს დისიდენტური წესით გამოცემულ პოლიტოლოგიურ ნარკვევში – „იოსებ სტალინი და რუსეთის იმპერიის ისტორიული ბედი“.

წინამდებარე ნარკვევიც ამ 35 წლის წინანდელი თვითგამოცემის თავისებური გაგრძელებაა, მითუმეტეს, რომ მისი მეორე გამოცემა ვეღარ მოხერხდა დღემდე. ამის სტიმული მომცა ვარლამ ჩერქეზიშვილისა და იოსებ სტალინის 1906 წელს დაწყებულმა დისკუსიამ თემაზე – „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“, დისკუსიამ, რომელიც გაგრძელდა ვარლამ ჩერქეზიშვილის გარდაცვალების (1925 წ.) შემდეგაც 1951 წელს სტალინის გარდაცვალებამდე ორიოდე წლით ადრე მისი წიგნის ხელახალი გამოცემით და ფაქტიურად იგი დღესაც გრძელდება. ისე, რომ რაღაცნაირი ისტორიული ბედისწერით ეს ზუსტად 105 წლის წინ დაწყებული დისკუსია საუკუნეზე მეტია გრძელდება და როგორც ჩანს ალბათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდება, სანამ მსოფლიოს ეს უკანასკნელი იმპერიაც ძველების მსგავსად ისტორიას არ ჩაბარდება...

რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა ვარლამ ჩერქეზიშვილი და მისი დაბადებიდან 165 წლისთავზე კარგი იქნება ჩვენმა საზოგადოებამ ამ კუთხითაც გაიცნოს ეს ჩვენგან დავიწყებული დიდი ერისკაცი. ეს მითუმეტეს, რომ ქართული სახელმწიფოს მშენებლობის დღევანდელ გარდამავალ პერიოდში ბევრი რამ მისი პოლიტიკური

მემკვიდრეობიდან აუცილებლად გასათვალისწინებელია. განსაკუთრებით ეს სოციალ-ფედერალიზმს ეხება.

ამ მხრივ ბევრი მისი იდეა, განსაკუთრებით „ანარქო-სინდიკალიზმის“ თეორიიდან, თვით ევროპულ ქვეყნებსა და ისრაელში განხორციელდა და ჩვენი ვალაია უფრო ახლოს გავიცნოთ ევროპაში გადახვეწილი, მაგრამ ამასთან, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული კაცი. ბრძნული თქმაა – უკანა კაცი წინა კაცის ხიდია და ვფიქრობ, ეს უფრო ჩვენ გვჭირდება დღეს, ვიდრე მას, რამეთუ ილიასი არ იყოს, „ერი თავისი დიდი შვილებით სულდგმულობს და ხმნევდება“. თვითონ ილია ჭავჭავაძეც ხომ, დიდი პატივისმცემელი იყო მისი, ორივემ ერთად რომ ააჟღერეს „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე...

XIX-XX საუკუნეების ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში ვარლამ ჩერქეზიშვილს სრულიად განსხვავებული და ამასთან, განსაკუთრებული ადგილი უკავია. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ილიას შემდეგ ასეთი ღრმა მოაზროვნე მოღვაწე საქართველოს არ ჰყოლია. მან თავისებურად შეაერთა და შეაკავშირა ერთმანეთთან ევროპული და ქართული კულტურა, მეცნიერება და იდეოლოგია. ასობით მისი წერილები და სტატიები სამივე მთავარ ევროპულ ენაზე დასტურია ამისა. დღესაც არ კარგავს აქტუალობას მისი იდეა საქართველოში „ხოდაბუნური“ სამეურნეო კორპორაციების ერთიანი ეროვნული სისტემის შექმნის შესახებ. იგი შვეიცარიის მსგავსი კავკასიის კონფედერაციის („კავკასიის შეერთებული შტატების“) დიდი იდეის მქადაგებელია, იდეისა, რომელიც დღეს სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს რუსეთის კოლონიური უღლის ქვეშ მგმინავ კავკასიის ხალხებში, „ერთიანი კავკასია“ მისი იდეალია...

ყველაფერი ეს და ბევრი რამ სხვაც ვარლამ ჩერქეზიშვილის მემკვიდრეობიდან, ჩვენგან შესწავლას, სათანადო ანალიზს და გათავისება-გათანამედროვეობას ელის. ვფიქრობ, ამ ნიშნით და ამ გააზრებით უნდა ჩატარდეს მისი საიუბილეო დღეები და სამეცნიერო კონფერენცია. აკი, რუსთაველმა ბრძანა ეს ძველი, მაგრამ მარადი სიბრძნე – „არ დავიწყება მოყვრისა, აროდეს მოგვცემს ზიანსა“...

ღრმად ვარ დარწმუნებული: ის, რაც ვარლამ ჩერქეზიშვილმა ჩვენს თაობებს დაგვიტოვა, ჩვენს ქვეყანას მისი „ახალი ოქროვანი ხანისკენ“ წაიყვანს. ჩვენი არ იწყება და არ მთავრდება საქართველო და ქართველი ერი – თაობა თაობას მისდევს და ამ ახალი საუკუნის და ახალი ათასწლეულის თაობათა ვალაია სიტყვიდან საქმედ აქციოს ეს „ახალი ოქროვანი ხანის“ მისეული იდეალი...

ანარქიზმი თუ ბოლშევიზმი?

ვარლამ ჩერქეზიშვილთან და სხვა ქართველ ანარქისტებთან სტალინის მიერ არჩეული მაშინდელი სადისკუსიო თემა – „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“, დღევანდელი გადასახედიდან ვარჩიე სხვანაირი ალტერნატივით გამომეხატა – „ანარქიზმი თუ ბოლშევიზმი?“. ვფიქრობ, ეს უკეთ ასახავს პრობლემის არსს როგორც მაშინდელი, ისე დღევანდელი ვითარების თვალსაზრისით: ჯერ ერთი, სტალინის მიერ შერჩეული კითხვის ნიშნიანი სათაური არასწორია იმ უბრალო მოტივით და არგუმენტით, რომ არც მაშინ და არც დღეს ანარქისტების სოციალისტობა კითხვის ქვეშ არავის დაუყენებია, თვითონ სტალინიც სხვადასხვა ადგილას არაერთხელ უსვავს ხაზს ამას, თვით 1951 წელს ცალკე წიგნად გამოცემულ წინასიტყვაობაშიც კი. ისე, რომ ანარქიზმის და ანარქისტების სოციალისტური თეორიის გარეშე დაყენება და განხილვა ისტორიის დამახინჯებაა.

მეორე და რაც მთავარია ისტორიისთვისაც და ჩვენი დღევანდულობისთვისაც: მაშინ დაპირისპირება და დისკუსიაც სტალინსა და ჩერქეზიშვილს შორის წარიმართა იმ კუთხით და მიმართებით, თუ ვინ უნდა ყოფილიყვნენ პირველები რუსეთში დაწყებულ რევოლუციაში – ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70–80–იან წლებიდან მომდინარე რუსული ანარქიზმის საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი მიმდინარეობა, თუ სულ ახლახანს წარმოშობილი რსდმპ ბოლშევიკური ფრთა. აი, ის ისტორიული და იდეოლოგიური ფონი, რომელზეც წარიმართა ეს ისტორიული დისკუსია ორ ქართველ რევოლუციონერ – სოციალისტს შორის...

ჯერ კიდევ ძველ ბერძნებს მიაჩნდათ, რომ ყველაფერს და ყოველივეს სამყაროში „იდეები განაგებენ“ და ჭეშმარიტად რომ ამ იდეურმა დაპირისპირებამ რუსულ მარქსიზმსა და რუსულ – ევროპულ ანარქიზმს შორის ბევრმხრივ განსაზღვრა XX საუკუნის არა მარტო რუსეთის, არამედ მსოფლიო ისტორიაც. დღევანდელი გლობალიზმისა და ნაციონალიზმის მსგავსად, მაშინაც ამ ორი იდეის გარშემო დაირაზმა – დაჯარდა – დაიარაღდა მთელი მოაზროვნე საზოგადოება. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ მაშინ ანარქიზმი თავისი წონით და პოპულარობით ბოლშევიზმს თუ არ აღემატებოდა, არაფრით ჩამოუვარდებოდა...

ბევრს ჩვენთან ანარქიზმი რაღაც არასერიოზულ მოვლენად მიაჩნია, ლამის გიჟობად და ანაქრონიზმად. ესეც ძველი ბოლშევიკური აგიტაციის რეციდივია. არადა, კაცმა რომ თქვას, ნებისმიერ სოციალისტურ თეორიაზე ადრე ევროპაში სწორედ ანარქიზმის იდეები გაჩნდა. მათი საერთო არსი და აზრი ორი სიტყვით ითქმის – „სახელმწიფოს კვდომა“: სახელმწიფო, როგორც ძალადობის ინსტრუმენტი და ორგანიზაცია, ყოველთვის იწვევდა გარკვეულ პროტესტს, მაგრამ XVIII საუკუნის

ფრანგულმა აბსოლუტიზმმა, ბურბონების თავაშეებულობამ და განუკითხაობამ, ისე როგორც შემდგომში ნაპოლეონის დიქტატორულმა რეჟიმმა ამ მხრივ ნამდვილი იდეური რევოლუცია მოახდინა ადამიანთა თავებში. სახელმწიფოსადმი ალერგია საყოველთაო სენად იქცა მთელ საფრანგეთში. ამიტომაც, რომ ანარქიზმის ყველაზე ძლიერი ტალღა ჯერ საფრანგეთში აგორდა და მერე კი რუსეთსა (აქაც არანაკლები მიზეზი ჰქონდათ სძულდებოდათ სახელმწიფო, როგორც პიროვნების მტერი) და მთელ ევროპას მოედო. სახელმწიფოს, როგორც „**ბოროტების სათავის**“ ანარქისტულ იდეაზე ამოიზარდა ფრანგული – და შემდეგ კი, ევროპული სოციალიზმის სხვადასხვა თეორიებიც, მათ შორის მარქსიზმიც და მისი მთავარი საპროგრამო დოკუმენტი – „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“.

ვარლამ ჩერქეზიშვილი იყო ის პიროვნება, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა აჩვენა მარქსიზმის ეს პლაგიატური ბუნება 1905 წელს პარიზში გამოცემულ წიგნში – „მარქსიზმის დოქტრინები“. ვ.ჩერქეზიშვილის ეს ნაშრომი იმდენად პოპულარული გახდა, რომ გარდა ევროპული ენებისა, ითარგმნა რუსულად (რუსეთში მას მაშინაც და დღესაც იცნობენ „**ჩერკეზოვის**“ სახელით), ჩინურად, იაპონურად... საჭირო იყო მარქსიზმის ავტორიტეტის დაცვა. ეს არცთუ იოლი საქმე აღმოჩნდა: ჩერქეზიშვილი ხომ დოკუმენტურად ამტკიცებდა ყოველივე ამას, განსაკუთრებით მარქსის და ენგელსის „**კომუნისტური პარტიის მანიფესტის**“ ოთხივე თავის სრულ იდენტურობას ფრანგი ანარქისტისა და სოციალისტის ვიქტორ კონსიდერანის „**დემოკრატიულ მანიფესტთან**“ იმ ერთადერთი განსხვავებით, რომ ტერმინი „**დემოკრატიული**“ მათ შეცვალეს „კომუნისტურით“.

ევროპელი მარქსისტების შემდეგ საქმეში ჩაერთვნენ რუსი მარქსისტებიც და რაკი აღმოჩნდა, რომ „ჩერკეზოვი“ ეროვნებით ქართველი იყო, მისი „განეიტრალება“ ისევ ქართველს დააკისრეს: ასე გაჩნდა სტალინის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ფუნდამენტალური ნაშრომი – „**ანარქიზმი თუ სოციალიზმი?**“

სტალინის პოლემიკა ჩერქეზიშვილთან და აგრეთვე, მის სხვა ქართველ თანამოაზრეებთან, მომავალ ქართველ სოციალ-ფედერალისტებთან, თითქმის მთელი წელი გრძელდებოდა გაზეთების – „**ნობათისა**“ და „**ბრძოლის**“ ფურცლებზე.

1907 წლის გაზაფხულზე დაბეჭდილ სტალინის ბოლო სტატიას მინაწერი აქვს – „**გაგრძელება იქნება**“. მაგრამ სწორედ 1907 წელი აღმოჩნდა სტალინისთვის ყველაზე ტრაგიკული წელი. შეიძლება ამანაც ითამაშა როლი „**დილას**“ ავტორის პოეტური ბუნებიდან დიქტატორად ჩამოყალიბებაში:

მისი პირველი დიდი სიყვარული და პირველი მეუღლე ტრაგიკულად გარდაიცვალა, ხოლო მათი პირმშოც არ დაანებეს „**ბუნტარ**“ სიძეს ცოლის მშობლებმა, არც ერთმანეთისგან ფაქტიურად გაყრილ მძახლებს ენდვნენ (ლოთობას და ბოჰემურ ცხოვრებას გადაყოლილი ბესოც სწორედ იმ წელს გარდაიცვალა), და პატარა იაკობი (მომავალი გერმანელთა ტყვე საბჭოთა ოფიცერი), მშობლიურ რაჭაში წაიყვანეს

გასაზრდელად. ოჯახური ტრადიციისგან გაბოროტებული სტალინი მთელი არსებით გადაეშვა მაშინდელ რევოლუციურ ქართველებში და იმავე წლის შემოდგომაზე ბაქოში დააპატიმრეს კიდეც. ეს ყველაფერი სტალინის პოლიტიკური ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი მომენტია, რომელიც კვლევის ცალკე დიდი თემაა, მეცნიერული და ობიექტური კვლევის და არა სპეკულაციის, როგორც ახლა ხდება...

ასე დარჩა ეს წერილები და მათთან ერთად ჩერქეზიშივითან დაწყებული პოლემიკა დაუმთავრებელი, მაგრამ როგორც ზევითაც ითქვა, ისტორიამ ისე ინება, რომ ეს პოლემიკა ჩერქეზიშივილისა და სტალინის გარდაცვალების შემდეგაც გაგრძელდა. ესეც ალბათ სათქმელია, რომ 1907 წელს შეწყვეტილი ეს საგაზეთო წერილები სტალინის მიერ ქართულ ენაზე შესრულებული უკანასკნელი სტატიებია. ამ მხრივაც არის ეს პოლემიკა საინტერესო ჩვენთვის. მათში კარგად ჩანს სტალინის აზროვნების ლოგიკური ძალა, ობიექტურობა, პოლიტიკური რეალიზმი და პოლიტიკური ფილოსოფიაც, როგორც მომავალი საბჭოთა იმპერიის იდეოლოგიისა და საჭეთმპყრობლისა. ეს მისი ამ 100 გვერდიანი ნაშრომის დასაწყისიდანვე ჩანს. იგი წერს:

„ჩვენ არ ვეკუთვნით იმ პირებს, რომლებიც სიტყვა „ანარქიზმის“ ხსენებაზე ცხვირს მაღლა იწევენ და ხელისჩაქნევით ჩაილაპარაკებენ – ნეტავი თქვენ რომ მოგცლიათ, ლაპარაკიც არ ღირსო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი „იაფფასიანი კრიტიკა“ არც საკადრისია და არც სასარგებლო“. (ი. სტალინი, თხზ. ტ. I, თბილისი, 1947. გვ. 277).

ამ „იაფფასიან კრიტიკაში“ ვის გულისხმობს სტალინი, სრულიად გასაგებია – „კვალი“ და მისი დაჯგუფება ნოე ჟორდანიას მეთაურობით ჩერქეზიშივილს არასოდეს სერიოზულ მოღვაწედ და მოაზროვნედ არ განიხილავდა. ის კი არა, 1918 წელს საქართველოში დაბრუნებული ცხოვრებისეული გამოცდილებით დაბრძენებული ჩერქეზიშივილი სახელმწიფო მშენებლობას არ გააკარეს და ისღა დარჩენოდა მოხუც კაცს იარაღი აეღო ხელში და ბოლშევიკებს კრწანისთან ახლა ბრძოლის ველზე შერკინებოდა, მერე კი დამარცხებული და ყველასაგან მიტოვებული კვლავ ევროპისთვის შეეფარებია თავი. მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა თბილისზეც „ააფრიალეს“ თავიანთი წითელი დროშა, ჩერქეზიშივილი 4 წლის შემდეგ ლონდონში გარდაიცვალა და რუსეთის ბოლშევიკურ მოდერნიზაციაში ჩაფლულ სტალინსაც აღარ გახსენებია იგი, მანამ, სანამ ჩერქეზიშივილის იდეები კვლავ აქტუალური არ გახდა...

სტალინის წერილები იყო არა მარტო საქართველოში, არამედ საერთოდაც პირველი სერიოზული ანალიზი ანარქიზმის პოლიტიკური ფილოსოფიისა. მართალია ნეგატიურ ჭრილში, მაგრამ სტალინი ჩასწვდა ანარქიზმის იდეურ ფესვებს, მის სადღეისო და სამომავლო მიზნებსა და ამოცანებს. ისიც უნდა გავითავისოთ, თუ რა ისტორიულ პირობებში ცხოვრობდა საქართველო და მსოფლიო 1906 წელს, რა იყო მაშინდელი ეპოქის ძირითადი მახასიათებლები. **„ჯერ დროების ქერქში უნდა ჩაჯვდეთ და მერე განვიკითხოთ დროების შვილნიც“** – წერდა ილია, რომელიც მესამედასელებს სტალინი – ჩერქეზიშივილის დისკუსიამდე ჯერ კიდევ არ მოეკლათ და რომელიც წიწამურამდე

და წიწამურის შემდეგაც დღემდე რჩება **„ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების სწორუპოვარი ბელადი“** (ივანე ჯავახიშვილი – **„ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“**).

შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ 100 წლის წინანდელი საქართველო დროების იგივე ტკივილებს განიცდიდა, როგორც დღეს: იაპონიასთან განცდილი სამარცხვინო მარცხისა და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის შედეგად რუსეთის იმპერიაში დაშლა-დაცემის აშკარა ნიშნები გამოიკვეთა. იგი მისი პირველი რევოლუციის საერთო-პოლიტიკური კრიზისის ფაზაში შევიდა. ჩვენი ერის ინტელექტუალური ძალების წინაშე დიდი არჩევანი დადგა – ყველასათვის აშკარა იყო, რომ იმპერიას სახე უნდა ეცვალა, მაგრამ როგორ, რა ფორმით და შინაარსით? აქ სწორი პასუხების მოძიებას და შესაბამისი ტაქტიკის დასახვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის.

ილიას მიაჩნდა, რომ უკვე დაწყებული რეაქციის პირობებში იმპერიასთან პირდაპირი დაპირისპირება და ბრძოლა სიკეთეს არაფერს მოუტანდა ქვეყანას. ეს კარგად აჩვენა XIX საუკუნის I ნახევრის განუწყვეტელმა აჯანყებებმა და სისხლისღვრებმა – რუსეთთან ჯიქური ბრძოლა და **„ჰკა მაგას“** პოლიტიკა თვითონ იმპერიის წისქვილზე ასხავდა და ასხავს წყალს, ამიტომ აირჩია ეროვნული ბრძოლის სრულიად ახალი ტაქტიკა ილიამაც იმავე საუკუნის II ნახევარში...

ადრინდელ თუ ახლანდელ „მნელბედობებში“ სწორედ ასეთმა უშედეგო და უთანასწორო ბრძოლებმა **„მოღალა ქართველი ერი“**. მის მწარმოებელ ძალებს **„მშვიდობა და შესვენება უნდათ მოღონიერებისთვის“**. ეს კი მათ ერის ინტელექტუალურმა ძალებმა უნდა მისცენ სწორი პოლიტიკური ტაქტიკის შემუშავებით. სხვა უკეთესი მისია ერის წინაშე მათ არ გააჩნიათ...

ილია უპირველეს ყოვლისა, რეალისტი პოლიტიკოსია და კარგად იცის, რომ მიუხედავად მარცხისა და კრიზისისა, იმპერია კოლონიებს ასე ადვილად არ შეეღწევა. მონღოლებისგან ნაზიარები სივრცეთმპყრობელობის რუსული ფსიქიკა ძნელად თუ შეეგუება უკვე მიტაცებული და ათვისებულ-დამორჩილებულ ქვეყნების თავის ნებით უკან დაბრუნებას. ამიტომ უწოდა პუტინმა საბჭოთა კავშირის დაშლას **„XX საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა“**. რუსეთი ინგლისი როდია, რომ ჯენტლმენურად ჩამოურიგოს თავისუფლება დაპყრობილ ქვეყნებს და ხალხებს. ეს კარგად უნდა გვესმოდეს დღევანდელ თაობებსაც.

ილიას ბრძნული რჩევა რუსეთთან ფრთხილი და მოქნილი პოლიტიკის განხორციელებისა, ჩვენთვის ჭკუისსასწავლებელი უნდა გახდეს დღესაც და უახლოესი თუ შორეული ისტორიული მომავლისთვისაც. სხვანაირად მასთან მუდმივი დაპირისპირებისა და დამახულობის პირობებში მოგვიწევს ცხოვრება. ეს კი, სიკეთეს არ მოუტანს ჩვენს ხალხს და ქვეყანას...

ზემოდმოხსენიებულ დისიდენტურ ნაშრომში ჩვენ ყველაფერ ამას „**აქტიური ლოდინის ტაქტიკას**“ ვუწოდებთ. იმპერიები იმისთვის წარმოიშობიან, რომ ისინი უნდა ბოლოს დაინგრნენ. ასეთია ყველა იმპერიის ისტორიული ბედი. ხომ ფაქტია – მსოფლიო იმპერიებს შორის „**რეკორდსმენი**“ რომის ათასწლოვანი იმპერია ბოლოს მაინც დაინგრა და მის ნანგრევებში ბევრმა ხალხმა დაასრულა თავისი არსებობა. „**მკვდარი**“ ერებისა და ენების უმეტესობა ამ პროცესმა წარმოშვა... რუსეთის იმპერიაც აუცილებლად დაინგრევა. ვარლამ ჩერქეზიშვილმაც ხომ, ჭაბუკობიდანვე ამ რწმენით და ამ იმედით დაიწყო რუსეთის იმპერიული სახელმწიფოს წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა. უბრალოდ ეს პროცესი ბოლშევიკურმა ტოტალიზმმა შეაფერხა და გადაავადა.

„**აქტიური ლოდინის ტაქტიკის**“ არსიც იმაშია, რომ მოთმინებით უნდა ველოდოთ იმპერიის ნგრევის ისტორიული პროცესის დამთავრებას მასთან ყოველგვარი აშკარა დაპირისპირებისა და მითუმეტეს, ომის გარეშე. რუსეთთან ომი რომ კარგი იყოს, მას ჩინეთს ვერავინ დაასწრებდა. ის მშვიდობიანად აკეთებს თავის საქმეს – ეკონომიკურად ითვისებს რუსეთის მთელ შორეულ აღმოსავლეთს...

1906 წელი და მისი შემდგომი 10 – 15 წელი I მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის ჩათვლით, შეიძლება რუსეთის იმპერიის მოდერნიზაციის პერიოდად ჩაითვალოს. ის, რაც სტოლიპინმა დაიწყო, არასაკმარისი აღმოჩნდა. ამასთან, I მსოფლიო ომში განცდილმა მარცხმა, რუსეთი, ავსტრია – უნგრეთის იმპერიის მსგავსად, დაშლის პირას მიიყვანა. მან პოზიციები დაკარგა ყველგან და ჭადრაკის ენაზე რომ ვთქვათ, გარდუვალი შამათის წინაშე აღმოჩნდა. თუ 1914–15 წლებში მისი არმიები ანატოლიასა და ლამის სპარსეთის ყურამდე გავიდნენ (სწორედ რუსეთის ამ ანატოლიურ კომპანიას შეეწირნენ მის მიერ წაქეზებული სომხები), ომის ბოლოს იგი იძულებული გახდა ბალკანეთიდან და კავკასიიდანაც კი, გაეყვანა თავისი ყველა სამხედრო შენაერთები...

მხოლოდ სასწაული თუ გადაარჩენდა იმპერიას და ეს სასწაულიც მოხდა ბოლშევიკების სამხედრო გადატრიალების სახით. და სწორედ აქ მოხდა იდეურთან ერთად, სტალინისა და ჩერქეზიშვილის პოლიტიკური დაპირისპირებაც: ძლიერი სახელმწიფო და არა სუსტი, ფედერალურ „**სინდიკატებად**“ დაქუცმაცებული სახელმწიფო გახდა ის ძალა და მთავარი იარაღი, რომლითაც ბოლშევიზმმა შესძლო იმპერიის დროებითი ხსნა და გადარჩენა. მაშინ ჩერქეზიშვილი და მისი თანამოაზრეები დამარცხდნენ, მაგრამ რამოდენიმე ათეულ წელში მაშინდელი გამარჯვებული ბოლოს დამარცხებული გახდა იდეურადაც და პოლიტიკურადაც, ხოლო დამარცხებული პირიქით – გამარჯვებული. ეს უკვე II მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა, ბოლშევიზმის ისტორიის სანაგვეზე გადაგდება...

მაინც, რა იყო ბოლშევიზმის მარცხის მთავარი მიზეზი? ნათქვამია – რამაც მოგვლა, იმანვე დაგარჩინოსო და პირუკუც – რამაც დაგარჩინა, იმანვე მოგვლასო: უკიდურესმა ცენტრალიზმმა, რაზეც აგებული იყო ბოლშევიკური იმპერიის სახელმწიფო სტრუქტურები კამჩატკიდან ბალტიის ზღვამდე და ჩრდილოეთ პოლუსიდან

კავკასიამდე, იხსნა რუსეთის იმპერია ნგრევისაგან, მაგრამ მისი შემომქმედის გარდაცვალების (თუ მოკვლის), შემდეგ, ტოტალური სახელმწიფოს ეს ფუნდამენტი ნელ–ნელა მოირღვა და მოიშალა. ეს აქეთ, როგორც უყვარდათ სულკურთხეულ ბოლშევიზმის მამებს, „**მსოფლიოს ერთ მეექვსედზე აშენებულ სოციალისტურ სახელმწიფოში**“. მაგრამ იქით რა ხდებოდა დანარჩენ ხუთ მეექვსედზე?

სწორედ რომ პირიქით, ვიდრე იმ „ერთ მეექვსედზე“ ცხოვრება ერთი კაცის ნებითა და ჭკუა – გონებით იმართებოდა, იქ კაპიტალიზმი თუ სოციალიზმი (შვედური, ნორვეგიული, ფინური, ისრაელის და სხვა მრავალი მოდელებით) **ბუნებრივ–ისტორიული პროცესით ვითარდებოდა**, ხოლო სახელმწიფო –ცენტრალიზმიდან დეცენტრალიზმისაკენ, ანუ, რეგიონალური და სასოფლო – სათემო თვითმართველობისკენ. დიახ, ბუნებრივ– ისტორიულ განვითარებას არსად და არაფერში ალტერნატივა არა აქვს იმიტომ, რომ „**ბუნება მბრძანებელია**“, ხოლო ისტორია ეს სხვა არაფერია, თუ არა ღვთის ნების გამოვლენა. მთავარია, რომ „გვესმას მშობლისა“ – რაც შეიძლება ღრმად ჩავწვდეთ ერთსაც და მეორესაც.

ამიტომაც სტალინი–ჩერქეზიშვილის პოლემიკიდან ესეც ერთი დიდი ჭკუის სასწავლებელი მაგალითია ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის მიმდინარე გარდამავალ პერიოდში: ჩვენ ვერასოდეს შევქმნით სტაბილურ და მუდმივად განვითარებად ქართულ სახელმწიფოს, თუ მის მშენებლობას ბუნებრივ– ისტორიული განვითარების ნაცვლად, ცალკეულ პიროვნებათა ნება–სურვილით წარვმართავთ როგორც გნებავთ კეთილი სურვილები არ უნდა ამოდრავებდეთ მათ. სოციალიზმიც მხოლოდ ამ ბუნებრივ–ისტორიულმა პროცესმა შეიძლება შვას. ქართული სახელმწიფოს მშენებლობის ეს ბუნებრივ–ისტორიული პროცესი X-XI საუკუნეებში დაიწყო, ისე როგორც „**ნაადრევი ქართული რენესანსი**“, მაგრამ სამწუხაროდ ორივე მალევე შეწყდა. „**ძნელბედობის**“ მთავარი შინაგანი მიზეზიც სწორედ ეს გახდა და არა მონღოლთა შემოსევები. ამოცანაც ის არის აღდგენილი იქნას ბუნებრივ–ისტორიული განვითარების ეს პროცესი ეპოქის შესატყვისი ფორმებით.

ილია და მისი „**საერთო ნიადაგის**“ თეორიაა იმ მოჯადოებული წრიდან გამოსასვლელად, რომელშიც ეს 20 წელია ვტრიალებთ. ეს თეორია, მისი ორ ათეულზე მეტი სამართლებრივი, ზნეობრივი, პოლიტიკური და სოციალურ–ეკონომიკური პრინციპები, ილიამ და მისმა თანამოაზრეებმა, მათ შორის ვარლამ ჩერქეზიშვილმა შექმნეს და მომავალ თაობებს გადმოგვცეს... მისი ერთ–ერთი მთავარი ზოგად–სოციოლოგიური პრინციპი სწორედ ქვეყნის ბუნებრივ–ისტორიული განვითარების კალაპოტში დაბრუნებაა.

„ცხოვრება თვითრჯულია – იგი არ გამოიჭრება კაცისაგან მოგონილს რიკ–რიკაზედ“, წერდა ილია 1861 წელს „საქართველოს მოამბის“ პირველსავე

სარედაქციო წერილში. სიმბოლურია, რომ სწორედ მაშინ ხდებოდა „კაცისაგან მოგონილს რიკ-რიკაზედ“ საკაცობრიო განვითარების პროექტირება, ათასნაირი „ინტერნაციონალების“ შექმნა ევროპაში და მერე მთელ მსოფლიოშიც. რუსეთი რა რუსეთია, რომ „თავის თარგზე არ აჭრას“ ყველაფერი, რაც ევროპაში ითქმება და იქმნება და რუსულად გადაკეთებულ–გადმოკეთებული მარქსიზმით ბოლშევიკებმა ისტორიაში არნახული „ბოროტების იმპერია“ შექმნეს, დღეს რომ ასე მისტირის ბევრი ჩვენშიც და რუსეთშიც...

ესეც რუსული სინამდვილის პარადოქსია: რუსული მარქსიზმის ყველაზე ნორმალური მიმდინარეობა პლექანოვი და მისი დაჯგუფება, ე.წ. „მენშევიკები“ იყვნენ. ისინი რუსეთის განვითარების დასავლური მოდელის მომხრენი იყვნენ. საერთოდ, თუ თვალს გადავავლებთ რუსეთის მთელ საზოგადოებრივ–პოლიტიკურ აზროვნებას და მოძრაობას პეტრე პირველიდან დღემდე, აქ მუდამ ორ ძირითად მიმართულებას ვნახავთ – „ზაპადნიკებს“ და „სლავოფილებს“. მენშევიკები „ზაპადნიკები“ იყვნენ, ბოლშევიკები „სლავოფილები“ და დღესაც სლავთმოყვარეობა და რუსული „განსაკუთრებულობა“, სიძულვილი ყოველგვარი დასავლურისადმი და „ინოზემცებისადმი“ კვებავს რუსული საზოგადოების უმრავლესობას, მაშინ როცა წესით და რიგით უმრავლესობა რუსული პოლიტიკური ელიტისა, იმპერიის დასაწყისში პეტრე I მიერ დაწყებული ევროპული რეფორმების გამგრძელებელნი და გამტარებელნი უნდა იყვნენ. დიახ; სადაც ლოგიკა და სამართალია, „მენშევიკები“ უნდა „ბოლშევიკები“ ყოფილიყვნენ და არა მარცხისთვის განწირული უმცირესობა. მაგრამ რუსეთში ხომ ყველაფერი უკუღმა ხდება. ამიტომ ითქვა ყველა ეპოქის რუსეთისათვის ეს ფრაზაც: **ის, რაც ბედნიერებაა სხვაგან, უბედურებაა რუსეთში და პირიქით, ის, რაც ბედნიერებაა აქ, უბედურებაა სხვაგან!** – დღესაც სლავოფილობა, მათ შორის ე.წ. „ლიბერალური სლავოფილობა“, დომინირებს რუსულ პოლიტიკაში, შური და სიძულვილი ევროპისადმი...

მაგრამ თავი გავანებოთ ლოგიკასაც და „მენშე“ – „ბოლშეს“ ალეგორიასაც, თუ კიდევ სხვა უამრავ რუსულ პარადოქსებს – ეს გაორებული ფსიქიკა და ხასიათი ხომ, რუსულ–მონღოლური ნაჯვარია, ისე როგორც მონღოლური სივრცეთმპყრობელობის პათოლოგია, ჩინეთის დიდი კედლებიდან ევროპის ცენტრამდე რომ მიიყვანა ეს „ალაჩუხებზე“ შემომჯდარი მომთაბარე ხალხი... ბისმარკისა არ იყოს, ამ ფსიქიკას და „რუსულ ხასიათს“, მათ თავსა და ბოლოს ვერავინ გაუგებს და ჯობია ჩვენს საფიქრალს და სატკივარს მივხედოთ.

ადრეც ვთქვით, ეპოქა, რომლის დროსაც პოლემიკა სტალინსა და ჩერქეზიშვილს შორის დაიწყო, ზუსტი ასლივით ჰგავს დღევანდელს: ზოგადი გააზრებით მაშინ ჩვენთანაც ორი ძირითადი საზოგადოებრივ–პოლიტიკური მიმართულება უპირისპირდებოდა ერთმანეთს იმისდამიხედვით თუ პრიორიტეტს რომელ მიზანსა და ამოცანას ანიჭებდნენ – ეროვნულს თუ სოციალურს. კოლონიურ ქვეყანაში ერმა,

რომელსაც თავისი ისტორია და ღირსება ჯერ კიდევ ახსოვს და შერჩენია, არ შეიძლება რამოდენიმე თაობის მანძილზე ყველაფერ ამაზე ხელი აიღოს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამის რეციდივები ახალ საუკუნეებსაც რომ თავი ვანებოთ, ჩვენს ძველ ისტორიაშიც ბევრს ვნახავთ. გაბერძნების, გაარაბების, გასპარსელების, გათათრების თუ გარუსების სინდრომი ყოველთვის მუშაობდა ქრისტიანობამდელ მნელბედობამდეც და ქრისტიანობის შემდეგაც მთელი ამ 800 – წლიანი „მნელბედობის“ მანძილზე დღემდე. დღეს იგი „გამერიკელების“ სინდრომით შეიცვალა, მაგრამ ყველა მათი არსი ერთია – **„რის ქართველობა, რა ქართველობა, ვითომ რას გვავენებს უცხოთ მონობა“.**

200 წელია რაც ეს სიტყვები ითქვა, მაგრამ დღესაც ბევრის თავში იგივე „პრაგმატისტული“ აზრი ტრიალებს. ხალხში რომ გავიდეთ, განსაკუთრებით ქართულ სოფლებში (თუ დაგვრჩა კიდევ სადმე!), ალბათ, 10-დან 9 კაცი გეტყვით – რას გიშავებდათ და რას გერჩოდათ ეს რუსეთი, ვყოფილიყავით მასთან – ბედნიერად და უზრუნველად ვცხოვრობდით... ამ ჭკუაზე იდგა XIX საუკუნის I ნახევრის განუწყვეტელი და უშედეგო აჯანყებებისაგან გასავათებული ერი. მაშინდელი თაობებისთვის რომ გეკითხათ, რას ისურვებდი და რას ინატრებდიო, ალბათ ერთხმად მოგაძახებდნენ – მშვიდობას და მოსვენებასო. ერი, მისი როგორც ინტელექტუალური, ისე მწარმოებელი ძალებიც შეუბრუნებლად დაადგა გარუსების გზას...

„ბედნიერი ერის“ მსუსხავი სტრიქონები იყო საჭირო რომ ეს პროცესი რამენაირად შენელებულიყო. ილია და „პირველი დასი“ გახდნენ ამის წინააღმდეგ და ბარიერი. **„თუ ერს ერობა კიდევ სურს და სიკვდილისთვის არ გადაუდგია თავი, თავის ძველ ფესვებს უნდა დაუბრუნდეს და გამოაცოცხლოს“** – წერდა ილია. ამიტომ ჩაება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მესამედასელ მარქსისტებთან – **„უცხო ბაძის მონებთან“**, რომელთაც ამ ფესვებისა არც არაფერი გაეგებოდათ და არც არაფერი სწამდათ. ჩვენს უძველეს და უმდიდრეს ისტორიაში, „გარდა გამობისა და უარყოფისა“, სხვას ვერაფერს ხედავდნენ. ასეთი ისტორიული ნიჰილიზმით კვებავდნენ ხალხსაც. აკი, წერს სიამაყით ნოე ჟორდანი, თავისებური ნიშნისმოგებით ილიას მისამართით – „ხალხმა ილიას საერთო ნიადაგი უარყო და სოციალ-დემოკრატიის ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ დადგა“.

ერთი სიტყვით, ასი წლის წინათ და ასი წლის შემდეგაც ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება ორად არის გახლეჩილი. ძველი ჟორდანიასეული „სოციალ-დემოკრატიული ინტერნაციონალიზმი“ დღეს გლობალიზმით შეიცვალა. დღესაც ეროვნული ფესვებისა და ისტორიული მემკვიდრეობისაკენ მიბრუნება და მისი სახელმწიფო მშენებლობის ორიენტირად დასახვა არავის სურს, ის იდეალი, რომელიც ილიამ მხატვრულად გამოსახა პოემაში – „მეფე დიმიტრი თავდადებული“:

„რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ,

რაც ვართ, ის ნულარ ვიქნებით.
ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთ მაინც,
გზად და ხიდად გავედებით!“

დავითისა და თამარის „ოქროვანი ხანიდან“ ახალი საქართველოს ახალი ოქროვანი ხანისკენ – ასეთი იყო და ასეთად რჩება ილიას, როგორც „საერთო ნიადაგის“ თეორიის ფუძემდებლის და „ჩვენი დიდი ეროვნული იდეოლოგიის“ (ვაჟა ფშაველა) პოლიტიკური სტრატეგია ამ ახალ საუკუნესა და ახალ ათასწლეულში. ამ სტრატეგიის გარშემო გაერთიანდნენ ეროვნულ პოზიციებზე მდგომი ქართველი მოღვაწენი, მათ შორის ვარლამ ჩერქეზიშვილი და მისი ინიციატივით შექმნილი სოციალ-ფედერალისტთა პარტია, რომელიც სტალინის კრიტიკის მთავარი ობიექტია. მას შემდეგ ანარქიზმი და ფედერალიზმი განუყოფელი ცნებები გახდა...

ანარქია წესრიგის დედაა, ანუ, ფედერალიზმის ფილოსოფია.

მოარული ფრაზაა – „ანარქია ბუნების დედაა“ – მთელი ეს ჩვენი უკიდვანო სამყარო, მათ შორის მზის სისტემა ამ თეზისს ემყარება და ემორჩილება. მე ამ ფრაზას ცოტა სხვანაირად ვიტყვი – „ანარქია წესრიგის დედაა“. ამ წესრიგს იგი თავისი ერთ-ერთი მთავარი პრინციპით ფედერალიზმით, ანუ ფართო და შეუზღუდავი რეგიონალური და სათემო – სასოფლო თვითმართელობით ქმნის. ჩვენი ქვეყნის, მისი სახელმწიფოებრივი მშენებლობის პარადოქსი და თუ გნებავთ, პათოლოგიზმიც ის არის, რომ ყველაზე ბევრი მოწინააღმდეგე სწორედ ამ პრინციპს ჰყავს...

პათოლოგიზმი რაღაც ეროვნულ უბედურებად დაჰყვა ჩვენს ისტორიას. ბევრ მხრივ მტერი ამითაც სარგებლობდა ჩვენს დასამცრობად და დასამონებლად. მთელი XIII-XXI საუკუნე სავსეა ამის მაგალითებით. ლაშა გიორგის პათოლოგიზმმა დალუპა საქართველო უპირველესად. პირუთვნელად წერს ამაზე დღეს ჩვენგან მიტოვებულ – მივიწყებული „ქართლის ცხოვრება“, კერძოდ კი, გიორგი ბრწყინვალის ჟამთაღმწერელი.

XVII საუკუნე ყველაზე გამორჩეული საუკუნეა ამ მხრივაც. ქვეყანა ისე „მოიხრდა“, რომ ბარში ძე-ხორციელი აღარ იძიებოდა. ვერც გიორგი სააკაძის გმირობამ და თავგანწირვამ უშველა საქმეს. ქართველობა გათათრებას ისევ ჩვენმა დალოცვილმა კავკასიის მთებმა გადაარჩინა (დღეს ისიც ჩვენგან მიტოვებულ-მივიწყებული) კავკასია, „დედამიწის შუბლი“ ბერძნული მითოლოგიით, ჩვენი მართლაც რომ დიდი იმედი და ისტორიული პანაცეა ... მთელი კახეთი მაშინ მთა-თუშეთში გაიხიზნა შაჰ-აბასისგან თავ-გადასარჩენად. როგორც ჩანს, სტალინის წინაპრებიც მაშინ გაიხიზნენ მარილისში ქიზიყის სოფელ ჯუგაანიდან. ყოველ შემთხვევაში, ასე ვარაუდობს ივ. ჯავახიშვილი, როცა სტალინის გვარის და მისი წინაპრების გენიალოგიას იკვლევდა...

ღვთის მადლით, უკვე მომდევნო საუკუნემ იმედის სხივი შემოიტანა ქვეყანაში. სოლომონ დოდაშვილი – ქართული განმანათლებლობისა და ახალი ქართული აზროვნების ეს ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი, XVIII საუკუნეს **„ერეკლე II აღდგინების ეპოქას“** უწოდებს. ეს ახალი ქართული აზროვნება თავის დიდ ისტორიულ მისიად ისახავს საქართველოს გამოყვანას ხანგრძლივი იზოლაციიდან და საერთო – საკაცობრიო კულტურასთან ორგანულ გამთლიანებას, რათა **„ევროპამან ჰცნას ივერია წერილთა სარწმუნოთა“**; მართალია რუსეთმა თავისი ვერაგული პოლიტიკით ქვეყნის ეს წინსვლა-განვითარება კოლონიურ კალაპოტში მოაქცია, მაგრამ „წერილნი სარწმუნონი“ მაინც თავის გზას იკვალავდნენ. **„განეხსნა გზა და ეშვათ ივერელთ სასოება, რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება“** და ახალი ქართული აზრიც ორგანულად შეერწყა ევროპულს. „ძველ სამყაროს“ მალე **„ახალი სამყაროც“** მიემატა და აშშ ფორმირებამ ახალი დიდი ბიძგი მისცა მსოფლიო განვითარებას. საქართველოც ამ ფერხულში ჩაება. XIX საუკუნე ამ მხრივ ყველაზე ნაყოფიერი გამოდგა. დაიწყო ახალი საქართველოს პოლიტიკური იდეალების ძიება. პირველად ილიამ შეასხა ხოტბა ამერიკას, რომელსაც მსოფლიო ლიდერობა უწინასწარმეტყველა. ეს ამერიკა კი, ფედერალიზმმა და ფედერალისტებმა შექმნეს...

ესეც თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცხოვრების პარადოქსია, რომ დღეს ამ 100 წლის წინ შექმნილი ყველა პარტიის აღორძინება მოხდა, გარდა ფედერალისტების. არადა, სწორედ ამ პარტიის პროგრამისა და პოლიტიკური იდეების გათავისება – გათანამედროვეობა სჭირდება გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოებრივ მშენებლობას. ამერიკული ფედერალიზმის და ამასთან, ორ საუკუნოვანი აშშ კონსტიტუციის მამებმა – ფრანკლინმა, ჯეფერსონმა, ადამსმა და სხვებმა, ნათლად აჩვენეს, რომ სტაბილური და მუდმივადგანვითარებადი სახელმწიფო ორგანიზმი არ შეიქმნება ფედერალიზმისა და ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის გარეშე. ამიტომ უჭერდა მხარს ილიაც ახალი საქართველოს და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის ამ ერთ-ერთ ყველაზე დიდ საპროგრამო მოთხოვნას.

სამწუხაროდ, ძალიან ცოტა რამ ვიცით ვარლამ ჩერქეზიშვილისა და ილიას ურთიერთობაზე. ესეც ჩვენი ვალია, რომ მონოგრაფიულად იქნას გამოკვლეული ეს. ისინი რომ იდეურად თანხვედრ პოზიციებზე იდგნენ, ეს უეჭველია. ამის დასტურია

თუნდაც ის, რომ „ივერიის“ ფურცლები მუდამ ღია იყო ჩერქეზიშვილისთვის, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთიდან გაქცეული დევნისა და ძეგნის რეჟიმში ცხოვრობდა ევროპაში. ამიტომ „ვაზიანელის“, „მანაველის“ და „ლონდონელის“ ფსევდონიმებით ქვეყნდებოდა მისი წერილები. არის მასალები, რომ საქართველოში არალეგალურად ჩამოსულ ჩერქეზიშვილს პირადი შეხვედრებიც ჰქონდა ილიასთან და ცხადია, ამ შეხვედრების უმთავრესი თემა საქართველოს მომავალი იყო.

ჩერქეზიშვილის ფედერალიზმის იდეა ეს ფაქტიურად იდენტური იყო ილიას „ავტონომიის“ იდეასთან, ოღონდ ნამდვილი ფედერალიზმი და ნამდვილი ავტონომია და არა მოჩვენებითი, როგორც ეს საბჭოთა კავშირში იყო, ანდა, ახლანდელ რუსეთის ფედერაციაშია. როგორც ჩანს და მაშინდელი ისტორიული ფაქტებიც ამას ადასტურებენ, ილიას მიაჩნდა და ჩერქეზიშვილიც ამაში დაიყოლია, რომ რუსეთის კლანჭებიდან ერთბაშად გამოხსნა შეუძლებელია და ამიტომ შინაგანი ავტონომიის მოპოვება, როგორც სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი პოლიტიკური სტრატეგიისთვის შუალედური საფეხური და გზა, შექმნილ ისტორიულ პირობებში ყველაზე მისაღები ტაქტიკაა. ეს იყო მეტად გონივრული, პრაგმატისტული და ბრძნული პოზიცია 1905–1907 წლების საქართველოსთვის. ამასთან ილიას რუსეთის კონსტიტუციურ მონარქიად მოდერნიზების იმედიც ჰქონდა. ამიტომ უჭერდა მხარს რუსეთის მაშინდელ „დუმაში“ კადეტთა პარტიას. რუსეთის იმპერიის ინგლისის მსგავს პოლიტიკურ წყობაზე გადასვლა დააჩქარებდა საქართველოს ავტონომიის მოპოვებას და პერსპექტივაში მისი სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პროცესსაც ახლო მომავალში...

მაგრამ მალე იმპერია ისეთმა ანარქიამ მოიცვა, რომელსაც სხვანაირი „წესრიგი“ თუ გადაარჩენდა, ვიდრე ეს ცივილიზირებული კონსტიტუციური მონარქიაა. კრომველის ეპოქა და მისი დიქტატურა ინგლისში მოგონილი იყო რუსეთის მაშინდელ ანარქიასთან, რომელსაც კიდევ უფრო დიდი სიმძაფრე I მსოფლიო ომმა მისცა. ჩვენს მიერ სათაურად გამოტანილი ფრაზის – „ანარქია წესრიგის დედა“, არსი და მისი დედაზრიც ისაა, რომ ანარქია თვითონ წარმოშობს წესრიგის მოთხოვნილებას და მის წინაპირობებსაც; როგორც ასტროფიზიკოსები გვიმტკიცებენ ე.წ. „დიდი აფეთქების“ თეორიით, სამყაროც სწორედ ასეთი აფეთქებით გამოწვეული ანარქიით იშვა დღევანდელი მოწესრიგებული ფორმით. საზოგადოება კი, ყოველთვის იმეორებს ბუნების მოვლენებს სხვადასხვა დოზით და სხვადასხვა ფორმით...

ერთი სიტყვით, რუსეთის მეორე რევოლუციის წინ ისეთი ანარქია გამეფდა, რომ ნათელი გახდა – რაღაც წესრიგი უნდა დამყარებულიყო აუცილებლად. ადრეც ითქვა, რომ ბოლშევიკებმა შესანიშნავად ისარგებლეს ამით და ოქტომბრის გადატრიალებით ისეთი წესრიგი დაამყარეს, ნაპოლეონსაც შემურდებოდა... მაგრამ არანაკლები, მეტი თუ არა, ანარქია მოიტანა II მსოფლიო ომმა. მილიონიანი რუსეთის არმიები ძველი მონღოლებივით კალიასავით მოედვნენ მთელ ევროპას, მაგრამ მონღოლებისაგან განსხვავებით ბოლშევიკებმა დაპყრობილ ტერიტორიაზე „ოქროს ურდო“ კი არ შექმნეს,

არამედ „მსოფლიო სოციალისტური სისტემა“. რას ვიზამთ, ყველა ეპოქა თავის შესატყვის იდეებს და სახელდებებს თხოულობს...

მაგრამ ყველაფერმა ამან ახალი „უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა“ მოიტანა, რომელსაც ასე დასტირის პუტინი დღეს. საბჭოთა კავშირის დაშლამ ახალი ანარქიული ვითარება წარმოშვა მთელ პოსტკომუნისტურ სივრცეში და კვლავ გაჩნდა წესრიგის მოთხოვნილება. ბუნებისა და საზოგადოების საერთო კანონია – ვაკუუმი უნდა შეივსოს და ანარქიით მოცულ ევრაზიის ამ უზარმაზარ სივრცეზე, რომელსაც ადრე „მსოფლიო სოციალისტური სისტემა“ ერქვა, დღეს წესრიგის ახალი მოთხოვნილება გაჩნდა. ამ „ახალ წესრიგს“ დღეს ყველა სხვადასხვანაირად უყურებს და ქმნის, გააჩნია ვის როგორ აწყობს, რა მოკლევადიან თუ გრძელვადიან მიზნებს ისახავს...

ეს „ყველა“ იქით იყოს, როგორც იტყვიან, ყველამ თავისი მკვდარი იტიროს და ჩვენც ალბათ მოვალენი ვართ ამ პოსტკომუნისტური ანარქიიდან ჩვენი საკუთარი „წესრიგი“ შევქმნათ. სახელმწიფო უპირველეს ყოვლისა წესრიგია (პირველი სახელმწიფოები ამ 5000 წლის წინ ხომ, პირველყოფილ ადამიანთა ანარქიულმა ყოფამ წარმოშვა), და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაც რაღაც წესსა და წესრიგს უნდა დაემორჩილოს. სხვანაირად ამ 20–წლიან ანარქიულ ყოფას თავს ვერ დავადწევთ...

ესეც ფაქტია – ყველაფერ ამაზე მარტო ჩვენ არ გვიფიქრია და გვიწერია: მას შემდეგ, რაც ჩვენმა ქვეყანამ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაკარგა ამ 200 წლის წინ, მის აღდგენაზე ასეულობით და ათასეულობით ქართველს უფიქრია... მაგრამ ფიქრიცაა და ფიქრიც: ანარქიიდან წესრიგი რომ შექმნა დიდი ფიქრია საჭირო, სწორ იდეებსა და თეორიაზე გათვლილი, აწმყოც უნდა იცოდეს კარგად, წარსულიც და მომავლის სწორი ჭკრეტაც უნდა შეგეძლოს.

საბედნიეროდ, ჩვენ ერს ასეთი დიდი ფიქრის და დიდი სიტყვის მატარებელი კაცნი არასოდეს მოკლებია. 7 – 8 თაობა მაინც, გამოიცვალა მან ამ 200 წლის მანძილზე და მათ ვერ ჩამოთვლის კაცი რამდენია. მაგრამ მათგან გამორჩეული ერისკაცი ბევრი არაა, ხოლო უპირველესი მათში ილიაა, „საერთო ნიადაგის“ თეორიის შემომქმედი დიდი ერისკაცი, ერისკაცი რომელიც მის სიცოცხლეშივე უარყვავით და დავივიწყეთ თითქმის ყველამ...

მხოლოდ ფედერალისტებმა და ეროვნულ–დემოკრატებმა არ დაივიწყეს ილია და მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია, მაგრამ ესეც პარადოქსია – 1918 – 20 წლების ყველა არჩევნებში რომ იტყვიან, ჩაფლავდნენ. ამიტომ მართალს ამბობს ჟორდანია, როცა წერს, – ქართველი ხალხი სოციალ–დემოკრატიის დროშის ქვეშ დადგაო... როგორც ჩანს, ამდენი „ძნელბედობების“ შემდეგ ჩვენ ყველამ დავკარგეთ ეროვნული სახელმწიფოებრიობის შეგრძნება. ალბათ, კიდევ დრო და რამდენიმე თაობაა საჭირო, რომ „ოქროვანი ხანის“ ქართული სახელმწიფოს იმპულსები კვლავ დავიბრუნოთ, ხალხმა კვლავ იგრძნოს თავისი ქვეყნის ბატონ–პატრონად თავი. სოციალ–

ფედერალიზმი აქეთკენ გადადგმული ერთ-ერთი ნაბიჯია, მისი აღდგენა და გათავისება—გათანამედროვეობა კი, ჩვენი ვალია...

პოლემიკა სტალინსა და ჩვენს ძველ ფედერალისტებს შორის ასეთ გააზრებას და საგულისხმო ქვეტექსტებს ძალიან ბევრს შეიცავს. ისინი იმდენ დაფარულ პოლიტიკურ სვლებს და წიაღსვლებს ატარებენ, რომ მათზე ღირს ცალკე შეჩერება. პოლიტიკა ჭადრაკს ჰგავს და აქაც იგებს მხოლოდ ის, ვინც პარტნიორზე უფრო შორს და სწორად თვლის... მაგრამ იყო კი სტალინი გულწრფელი ან 1906–1907 წლებში, ანდა, მის შემდგომ პოლიტიკურ სვლებში?...

ვინც სტალინს, მის პიროვნულ ბუნებას და ხასიათს იცნობდა, ბევრი ჩვენთანაც და რუსეთშიც გამოთქვამს სამართლიან ეჭვს მის გულწრფელობაში. კისინჯერი მაგალითად, მას ისეთ აზარტულ პოლიტიკურ მოთამაშედ თვლის, რუზველტზე და ჩერჩილზე მაღლა მდგომ ისეთ „რიილ–პოლიტიკოსად“, რომელსაც საკუთარი მიზნებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, ერთნაირად შეუძლია დაარწმუნოს ჰიტლერიც და „ევროპის მშვიდობის მაძიებელი ჩემბერლენიც“... მან II მსოფლიო ომის წინ შექმნა ისეთი „სტალინური ბაზარი“ (უკეთეს ტერმინს ვერ მოძებნის კაცი!), სადაც ყველაფერს თვითონვე აფასებდა, აწესებდა და ასაღებდა! ჩვენ აქ კისინჯერის დამატებით დავასახელებდით კიდევ ერთ მაგალითს მისი უფრო ადრეული პოლიტიკური კარიერიდან, როცა მან ტროცკის ისეთი „ბაზარი“ მოუწყო, რომლის თავსა და ბოლოს თვითონ ტროცკიც კი ვერ ჩაწვდა და ამიტომაც საბოლოოდ ისიც ამ მაშინდელ „სტალინურ ბაზარს“ გადაჰყვა. გულწრფელად აღიარებს უკვე ემიგრაციაში მყოფი „მსოფლიო რევოლუციის ბელადობის“ კიდევ ერთი ბოლშევიკი – მაძიებელი ამას.

მოგწონს, არ მოგწონს, ფაქტს საით წაუხვალთ: სტალინი, რაც კი იგი პროფესიონალი პოლიტიკოსი და პარტიული ფუნქციონერი გახდა, ყველა პოლიტიკური ბრძოლიდან გამარჯვებული გამოდიოდა. ეს იმიტომ, რომ ყველა პოლიტიკურ სვლას პარტნიორზე უკეთ თვლიდა და ამიტომაც წასაგებ პოზიციაში არასოდეს ხვდებოდა. თავის „საჭადრაკო დაფასაც“ – რუსეთს, რუს ხალხს და რუსულ ხასიათს ეს „ნაცმენი კაცო“ თვით რუსულ პოლიტიკურ ელიტაზე უკეთ ფლობდა. მარტო იმ ფაქტის აღნიშვნა რად ღირს, რომ პოლიტბიუროს ებრაული დაჯგუფება, რომელიც 1917 წლის ოქტომბრამდე და ოქტომბრის შემდეგაც ყოველთვის დომინირებულ როლს თამაშობდა, ყველა გადამწყვეტ შერკინებაში ბეჭებზე დასცა თავისი განთქმული „გორული სარმით“. ამ შემთხვევაშიც მან ეფექტურად ითამაშა თავისი „დიდი რუსი ხალხის“ ანტისემიტურ გრძნობებზე...

მას გარდა ფანტასტიკური მეხსიერებისა, მომენტის არაჩვეულებრივი შეგრძნებაც ჰქონდა გადამწყვეტი დარტყმის მისაყენებლად. ეს „გორული სარმა“ მან თავის ბავშვობის მეგობარ პეტრე კაპანაძესთან 1941 წლის შემოდგომაზე შეხვედრისას გაიხსენა, როდესაც ამ უკანასკნელმა შემფოთება გამოთქვა ჰიტლერის მოსკოვთან

მიახლოების გამო. სტალინს იუმორი არ აკლდა და ამ შემთხვევაშიც იუმორით უპასუხია – მოიცა პეტკა, ხომ გახსოვს ჩემი გორული სარმა, ახლოს რომ მივუშვებდი ხოლმე გათამამებულ მეტოქეს და მერე მაგ სარმით ბეჭებზე დავცემდი... მაგ შენ ჰიტლერსაც იგივეს დავმართავ.

იუმორი იუმორად, მაგრამ ამ „გორული სარმის“ მეთოდით ჰიტლერამდე და ჰიტლერის შემდეგაც ბეჭებზე ბევრი დასცა. (ესეც „სტალინური ბაზრის“ ელემენტად მოჩანს. ჯილასი, III კომუნისტური ინტერნაციონალის ერთ-ერთი ლიდერი იხსენებს – ჰიპნოზით მიიზიდავდა და მონუსხავდა კაცს და მერე თუ რაიმე არ მოეწონებოდა მისგან, ისეთ კვანტს გამოსდებდა, ვეღარასოდეს წელში ვეღარ გაიმართებოდა. ზნეობრიობის თვალსაზრისით ეს, რა თქმა უნდა, კაი კაცობაში არ ჩაეთვლება მას, არც კოლეგებისა და პარტნიორებისადმი გულწრფელ დამოკიდებულებაში, მაგრამ ესეც ხომ სათქმელია – გულწრფელობა და ზნეობა ცოტა შორს დგანან ერთმანეთისაგან, მითუმეტეს რუსულ გარემოსა და რუსულ პოლიტიკაში მაშინაც და დღესაც ...

მაგრამ ჩვენს შემთხვევაში გულწრფელი იყო სტალინი ჩერქეზიშვილთან პოლემიკაში თუ არა? აქაც მას რაიმე ფარული ჩანაფიქრი და მიზანი ხომ არ ამოდრავებდა? მხოლოდ მისთვის გათვლილი საჭადრაკო სვლები ხომ არ ჰქონდა ჩაფიქრებული რევოლუციისგან ამ არეულ-დარეულ რუსეთის იმპერიის მაშინდელ საჭადრაკო დაფაზე?...

ანარქისტები და ბოლშევიკები – მოკავშირენი თუ მტრები?

თუ ყურადღებით გავაანალიზებთ სტალინის ამ ორგზის გამოცემულ ნაშრომს (თუ რატომ დასჭირდა მას მისი მეორე გამოცემა 1951 წელს, მასზე ცალკე შევჩერდებით), იქ პოლიტიკური თამაშის ბევრ ელემენტს შევხვდებით. ეს ბუნებრივიცაა თუ გავითვალისწინებთ იმ პარტიულ ინტრიგებს, რომელიც თან ახლავს ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის საქმიანობას, მითუმეტეს ბოლშევიკების მსგავს ტოტალისტურ და მკაცრად ცენტრალიზირებულს; სტალინი ჯერ საქართველოსა და კავკასიის, შემდეგ კი, მთელი იმპერიის მასშტაბით ამ ინტრიგების შუაგულში აღმოჩნდა. მან თანდათანობით შექმნა თავისი „გუნდი“, რომლითაც იგი აძლიერებდა თავის გავლენას კავკასიაშიც და მის ფარგლებს გარეთაც. ამასწინათ ქიზიყში, სოფელ ბოდბისხევის იროდიონ ევდოშვილის სახლ-მუზეუმში მივაკვლიე სტალინის ერთ წერილს, რომელიც ადასტურებს თუ როგორი აგენტურული ქსელი ჰქონდა გაბმული ამ პერიოდში.

წერილის ისტორია მოკლედ ასეთია: იროდიონ ევდოშვილის მეუღლისა და მისი დების ჩანაწერებით ირკვევა, რომ სტალინი, რომელიც ხშირი სტუმარი იყო მათი ოჯახის როგორც თბილისში, ისე სოფელში, იროდიონ ევდოშვილთან ხშირად თათბირობდა კახეთში თავიანთი ხალხის შეიარაღების აუცილებლობაზე დაწყებული

რევოლუციის პირობებში. ამ მიზნით ერთ-ერთი ყველაზე კონსპირაციული გზა რუსეთის ძველი მტრის ირანის რკინიგზა, კერძოდ კი, სასაზღვრო სადგური ჯულფა იყო. ბოლშევიკების სამხარეო კომიტეტმა სპეციალური ჯგუფი შექმნა ჯულფაში და ირანის აზერბაიჯანში იქიდან იარაღის შემოსატანად. იროდიონი სტალინის ახლო მეგობარი და უაღრესად საიმედო კაცი იყო, ამასთან, სტალინთან ერთად გადასახლებული და მისი ყველაზე დიდი მესაიდუმლე, ხოლო იროდიონის სოფლის სახლიც და ე.წ. „კალო-საბძელიც“ იდეალური ადგილი კონსპირაციისა და იარაღის შესანახად. ამ გზით შექმნეს ორივემ თავისებური „ქიზიყელთა გვარდია“. მოვიყვანთ სტალინის ამ წერილის ფოტოასლს:

17/12. ზეიქო! ამ პასუხი შეგნა
სიქი 13.12.1929. რადოვ ჯეს აქელ. ამ
აქლი, რად ჯესიქი ამ ჯეს და ჯესიქი,
რადიქი ქეს და აქესიქი. სიქი აქესიქი,
რად ბესიქი აქესიქი აქესიქი და ჯესიქი
აქესიქი აქესიქი და ჯესიქი. ^{შესიქი} ^{ქესიქი}
ქესიქი აქესიქი - ჯესიქი აქესიქი და სიქი
ქესიქი.

ქესიქი.

ქესიქი აქესიქი

ამ მოკლე და ლაკონური ტექსტიდან აშკარად ჩანს სტალინის პარტიული მუშაობის კონსპირაციული სტილი. ვერც გაამტყუნებთ „კეკეს სოსოს“ – მას ხომ, ბავშვობის ასაკიდანვე მძიმე ოჯახური ცხოვრებით უპირობო რეფლექსად დაჰყვა ეს... რევოლუციის დროს კი, კონსპირაციის გარეშე მაშინვე ხელისუფლების ლუკმა ხდები – ვისაც მძიმე ბავშვობა ჰქონდა, ის ბოლოს რაღაც სფეროში გენიოსი ხდება, ამბობს ჰემინგუეი და მართლაც, მძიმე ბავშვობამ სტალინს დიდი სამსახური გაუწია რთული სამხედრო – პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტაში.

ყველაფერი ეს მიუთითებს იმაზე, რომ ბოლშევიკებიც ანარქისტული მეთოდებით მუშაობდნენ სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, გერმანიის სპეცსამსახურების მიერ დაფინანსებული 1917 წლის ოქტომბრის სამხედრო გადატრიალება ამის კლასიკური ნიმუშია. აქაც დიდი როლი მის კავკასიურ დაჯგუფებას ჰქონდა. ისე, რომ ანარქისტების თავდასხმებმა რუსეთის იმპერატორებსა და იმპერიის სხვა უმაღლეს პირებზე თავიანთ გაგრძელება ბოლშევიკებში ჰპოვა. ამიტომ ადანაშაულებდა პლენხანოვი ლენინს „ანარქისტულ გადახრებში“. ფაქტიურად ეს „გადახრები“ ყველა ბოლშევიკს ჰქონდა, მათ შორის სტალინსაც, მის „კაი მეგობარს“ და ყველა „ჩვენებურს“... ისიც ფაქტია, რომ პიროვნულად ბოლშევიკებს ანარქისტებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ და კოლექტივიზაციამდე თანამშრომლობდნენ კიდევ მათთან. ცნობილია მრავალი ფაქტი, როცა კრაპოტკინის რეკომენდაციით ლენინმა არაერთი ანარქისტი დანიშნა საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე.

ისე, რომ ტაქტიკური თვალსაზრისით ბოლშევიკებს და ანარქისტებს ბევრი საერთო ჰქონდათ არსებული ხელისუფლებისა და გაბატონებული კლასებისა და მმართველი ფენების წინააღმდეგ ბრძოლაში. რუსულ ფოლკლორში ცნობილია მრავალი ანარქისტული „ჩასტუშკები“ ამის საილუსტრაციოდ. მაგრამ ეს რაც შეეხება სამოქალაქო ომს და ბოლშევიკური მართველობის პირველ წლებს, როცა ნაკლებად იყო გამოკვეთილი პოლიტიკური სტრატეგიის ძირითადი მიმართულებანი და სახელმწიფო მართველობის უკიდურესი ცენტრალიზმი.

ამასთან, თანდათანობით აშკარა გახდა ბოლშევიზმის ანტიევროპული პოლიტიკაც და ამ საფუძველზე ომში დამარცხებულ გერმანიასთან მოკავშირეობა, სადაც რევანშიზმი და ნაციზმი უკვე 20-იან წლებში მჭიდროდ გადაენასკვა ერთმანეთს. „ერთა ლიგა“ და ევროპის გაერთიანება, ამ საფუძველზე კი, ევროპის კონფედერაციული

მოწყობა სულ უფრო უტოპიურ სახეს იღებდა და ამ ნიადაგზე ბოლშევიზმი და რუსულ-ევროპული ანარქიზმი სულ უფრო და უფრო ერთმანეთისადმი მტრული ძალა ხდებოდა. ამიტომ მთავარი განსხვავება და დაპირისპირება ბოლშევიკებსა და ანარქისტებს შორის მაინც იდეური და სტრატეგიული ხასიათისაა. ეს განაკუთრებით ანარქო-სინდიკალიზმის მიმდინარეობას ეხება.

აი, სწორედ აქ არ იყო გულწრფელი სტალინი ჩერქეზიშვილთან პოლემიკაში. სტალინი ხვდებოდა, რომ ისტორიული სიმართლე ამ უკანასკნელის მხარეზე იყო და ეს ნათლად იკითხება სტრიქონებს შორის, განსაკუთრებით სტალინის ისეთ არგუმენტებში, რომლებიც ცალკეული პიროვნებებისა თუ სოციალური ჯგუფების ცნობიერების ფორმირებას ეხებიან. აქ სტალინი იმდენ სუსტ სვლებს აკეთებს, იმდენჯერ იჭრება, დამწყებ პოლიტიკოსსაც რომ არ ეკადრება. გვხვდება თავისებური „თვითმხილების“ ფაქტებიც. ეს განსაკუთრებით სტალინის „მეჩემეს“ და მისი „კლასობრივი ფსიქოლოგიის“ მაგალითს ეხება, რომელსაც იგი სხვადასხვა ადგილას რამოდენიმეჯერ იმეორებს, რაც მისი სტილისთვის და აზროვნების წესისთვის მეტად უჩვეულოა. ეს მისი ოჯახური ტრადიციის თავისებური გამოძახილია და ამასთან, პირველი „სტალინური ბაზარი“ რსდმპ ფარგლებში.

„მეჩემის“ ეს გართულება ბავშვობიდან იწყება. ჩექმა სტალინის სუსტი წერტილი იყო მაშინაც და მერეც. ჩვენ ხომ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ და „კეკეს სოსოს“ მამამისის ხელობის წყალობით და მისივე შეფასებით საკმაოდ კარგი მეჩემის პერსპექტივები ჰქონდა. მის შეკერილ ჩექმებს კლიენტები მაღალ შეფასებას აძლევდნენ მუდამ. ცოლ-ქმარს შორის სულ იმაზე იყო დავა, მღვდელი უნდა გამოსულიყო შვილი, თუ „მეჩემეთა უსტაბაში“, როგორც ეს ბესოს მიაჩნდა და სწამდა. სოსომ კი, არც აცია, არც აცხელა და მალე „ბოლშევიკთა უსტაბაში“ გახდა. თქვენ წარმოიდგინეთ, პარტიულ ელიტაში მისი ასეთი სოციალური წარმოშობაც კარგ სამსახურს უწევდა და ჩექმა შემდეგშიც „სტალინური ბაზრის“ შემადგენელ ნაწილად იქცა. როგორც დაცვის წევრები იხსენებენ, თვით სიკვდილამდე ეს ნახევარი მსოფლიოს ბრძანებელი კაცი დაკერებული „პადმოტკიანი“ ჩექმებით დადიოდა. სტალინი ხომ მუდამ პურიტანულ ცხოვრებას ეწეოდა და უპატრონოდ დარჩენილ დედამისსაც 20 – 25 მანეთს თუ უგზავნიდა, ისიც არაპერიოდულად და თავისებური მოზოდიშებით – „მაპატიე მცირესათვის, მეტი არა მაქვს“-ო. ესეც ხომ ფაქტია – ისე გარდაიცვალა, შვილებს და შვილიშვილებს ბინაც კი არ დაუტოვა და ეს მაშინ, როცა ბოლშევიკთა პარტია და საბჭოთა სახელმწიფო სისტემაც უკვე მის დროსვე ნელ-ნელა კორუფციის ჭაობში იძირებოდა.

ეს მისეული „სახელმწიფო სოციალიზმის“ ობიექტური შედეგი გახდა, ჩერქეზიშვილის „არასახელმწიფოებრივი სოციალიზმისა“ კი, შვეციის, ან, ისრაელის მსგავსი სამართლიანი და სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ფორმირება. აი, 1906 წელს დაწყებული დისკუსიის ლოგიკური შედეგი. ამიტომ ჩერქეზიშვილთან პოლემიკაში მთავარი „სტალინური ბაზარიც“ 1946 წელს შედგა. აქ ალბათ, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ გერმანიასთან ომის ყოფილი მოკავშირეები ამ დროს უკვე მოსისხლე

მტრებად იქცნენ და იდეოლოგიური ბრძოლაც ახალი სიმწვავით გაჩაღდა დაპირისპირებული იდეები კვლავ გამოჩნდნენ ასპარეზზე...

და კიდევ ერთი შტრიხი ომისშემდგომ გამართული მორიგი „სტალინური ბაზრისა“: II მსოფლიო ომმა ყველაფერთან ერთად ძირეულად შეცვალა ადამიანთა ფსიქიკაც. 1945 წლის 6 და 9 აგვისტო შემობრუნების პუნქტი გახდა ამ მხრივ. სტალინის მადა რომ შეემცირებინათ, ხიროსიმა და ნაგასაკა გაწირეს ამერიკელებმა... ცხადი გახდა, რომ კაცობრიობამ ამიერიდან თვითმკვლელობის ისეთი იარაღი შექმნა, რომელიც სინამდვილისა და პოლიტიკის სრულიად ახლებურ აღქმასა და გააზრებას მოითხოვდა და მოითხოვს დღესაც. მსოფლიოს ეს ახალი ვითარება ყველაზე კარგად ბერტრან რასელმა გამოხატა – **„თუ ჩვენ არ შეგვიძლია ერთად ცხოვრება, მაშინ ჩვენ მოგველის ერთად სიკვდილი!“**... თვითმენახვის ინსტიქტმა და ატომური ომის შიშმა მოიცვა ირგვლივ ყველა და ყველაფერი.

ამ ახალ ვითარებასაც თავის სასარგებლოდ იყენებს „კეკეს სოსო“ – ომების წყარო იმპერიალიზმია (ოღონდ არ დაუზუსტებია რომელის – ბოლშევიკური და რუსულ–საბჭოურის ხომ არა?!), ეს წყარო უნდა მოისპოს უპირველესად... **„თუ ხალხები თავის ხელში აიღებენ მშვიდობის საქმეს, კაცობრიობაც გადარჩება!“** – აი, მაშინდელი „სტალინური ბაზრის“ მთავარი სტრატეგია და ავალა. „გდრ“ შექმნა, **„ვარშავის პაქტი“** და **„მსოფლიო სოციალისტური სისტემა“** ამ სტრატეგიის ტაქტიკური სვლებია მსოფლიო კომუნისტური იმპერიის შექმნის გზაზე. ერთი ეგაა, აღარ დასცალდა ამ უკანასკნელი „სტალინური ბაზრის“ დამთავრება...

**„პაწია თემთა სოციალიზმი“, ანუ,
[ბოლშევიზმის იდეოლოგიური
და პოლიტიკური კრაზი...]**

ამ ფონზე და ამ ახალი სტალინური სტრატეგიის განსახორციელებლად, სხვა ტაქტიკურ სვლებთან ერთად, აუცილებელი იყო სოციალიზმის თეორიის იდეოლოგიური საფუძვლების გამაგრება და განმტკიცება: ბოლშევიზმის ძველ თუ ახალ მტრებსაც ხომ, არ სძინავთ – ისინიც ასე უბრძოლველად არ აპირებენ დანებებას და თვითონ ამ თეორიითვე შეუტყეს ბოლშევიზმის უკანასკნელ მოჰიკანებს...

ამ მხრივ ავიღოთ თუნდაც ინტერნეტგამოცემა – **„ანარქისტული შავი ჯვარი“** (მასალები „ვიკიპედიიდან“ – თავისუფალი ენციკლოპედია: zu.wikipedia.ozg.wiki). ვინც დაინტერესდება აქ განთავსებული სხვადასხვა ხასიათის მასალებით, ნახავს, რომ მოყოლებული 1906 წლიდან, საიდანაც იწყება „ანარქისტული წითელი ჯვრის“ (ასე ერქვა მაშინ ამ საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციას) ისტორია, რაც

სიმბოლურად ემთხვევა სტალინი – ჩერქეზიშვილის დისკუსიას, ანარქიზმის თეორია და პრაქტიკა მჭიდროდ გადაენასკვა პიროვნების თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების დაცვისათვის ბრძოლას. ეს გამოცემა ამ ბრძოლის გარკვეულ პერიოდიზაციასაც ახდენს. პირველ პერიოდად განხილულია 1906–1917 წლები, სადაც ამ მოძრაობის ლიდერთაგან გამოყოფილია „ჩერკეზოვი“, როგორც ანარქისტთა „ლონდონის ცენტრის“ თავკაცი.

ანარქისტული მოძრაობის ქსელი კიდევ უფრო გაფართოვდა ფაშისტური და ბოლშევიკური ტოტალიზმის პირობებში და მათ არაერთი ადამიანი გადაარჩინეს კამჩატკის „გულაგებიდან“ მოყოლებული ევროპაში ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკებით დამთავრებული. როგორც წესი, თავდახსნილი „სინდისის პატიმრები“ გადაჰყავდათ ამერიკაში, სადაც ანარქისტებმა, განსაკუთრებით კი, ებრაელმა ანარქისტებმა, ანარქისტთა ახალი ცენტრები შექმნეს ამერიკის თითქმის ყველა მსხვილ ქალაქში. დღესაც ანარქისტთა ეს ცენტრები ევროპასა თუ ამერიკაში დიდ როლს ასრულებენ დიქტატორული რეჟიმებისაგან დევნილთა დაცვასა და რეპატრიაციაში...

თვითონ სტალინიც ძალაუფლებურად ხაზს უსვავს ანარქისტული მოძრაობის ასეთ ჰუმანისტურ მისიას. აკრიტიკებს რა ვარლამ ჩერქეზიშვილის ანტიმარქსისტულ გამონათქვამებს (განსაკუთრებით არ მოსწონს მარქსიზმის ჩერქეზიშვილისეული დეფინიცია – **„მარქსიზმი კუჭის ფილოსოფიაა!“**), იგი იქვე გადმოსცემს ანარქისტებისა და მარქსისტების განსხვავებისა და დაპირისპირების ერთ-ერთ მთავარ იდეურ საწყისს: **„ანარქისტებს წინა პლანზე გამოყვანილი ჰყავთ პიროვნება და მისი უფლებები, ჩვენ კი მასა“**. აქედან გამომდინარე სტალინი ასკვნის, რომ **„მასას უნდა დაემორჩილოს ყველა და ყველაფერი“** („ანარქიზმი თუ სოციალიზმი“, თბ. 1951, გვ. 67–68, 71–73). მაგრამ აქ სტალინს „ავიწყდება“ ერთი და ამასთან, ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი საკითხი, მისი ანალიზი და მასზე პასუხი – თუ თავის მხრივ, ვის უნდა დაემორჩილოს ეს „მასა“?... მან არა, მაგრამ ამ კითხვას პასუხი ისტორიამ გასცა, 1917 წლის და მთელი შემდგომი წლების მართველობის ბოლშევიკურმა რეჟიმმა, მილიონიანი „მასები“ რომ შეიწირა, სადაც კი ფეხი მოიკიდა ბერლინიდან ფხენიანამდე...

სწორედ ამის დანახვა არ უნდოდათ არც მაშინ, როცა ბოლშევიკები სოციალიზმის თავის ექსპერიმენტებს ახვედნენ თავს ამ თავის საყვარელ „მასას“, არც სტალინის შემდეგ მის მემკვიდრეებს და არც ახლა, როცა რუსეთს და მის „მასას“ სლავოფილთა ახალი თაობები დაეუფლნენ...

სტალინის გარდაცვალების შემდეგ ე.წ. „სტალინის პიროვნების კულტის“ კრიტიკისას, ყველაფრის გადაფასება და უარყოფა მოხდა, გარდა იმისა, რაც მართლაც გადასაფასებელი და უარსაყოფია სტალინისა და ბოლშევიზმის მთელ ისტორიაში: სოციალიზმის ისეთი საფრთხოვლას შექმნა, რომლის გამოც ყველგან, მათ შორის

რუსეთის სატელიტ ქვეყნებში II მსოფლიო ომის შემდეგ სოციალიზმი ალერგიად იქცა. ამიტომ იყო სტალინის შემდეგ ამდენი გამოსვლები და აჯანყებები აღმოსავლეთ ევროპაში, რომლებმაც დააჩქარეს ბოლშევიკური იმპერიის იდეოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, მისი სრული საერთაშორისო იზოლაცია და საბოლოოდ საბჭოთა კავშირის დაშლა...

დასანგრევი უნდა დაინგას, მაგრამ მის ნანგრევებში არ უნდა დასამარდეს ის, რაც ჯანსაღი და მომავლისთვის გამოსადეგია, ამ შემთხვევაში სოციალიზმის იდეა და თეორია. თომას მორიდან და სენ-სიმონიდან მოყოლებული, მან საუკუნეები გამოიარა და რომ არა ბოლშევიკური რუსეთის მართლაც რომ „საფრთხოვლელა სოციალიზმი“, იგი უეჭველად უფრო მეტ სარგებელს მისცემდა ადამიანებს. თუმცა ევროპაში ადრეც და ახლაც ეს თეორია ამ ფუნქციას მეტ-ნაკლები წარმატებით დღესაც ასრულებს. ამაში ჩვენი დიდი თანამემამულის წვლილი უთუოდ დიდი არის...

რაც შეეხება სტალინს, მიუხედავად II მსოფლიო ომში მოპოვებული მართლაც რომ დიდი გამარჯვებისა, ბოლშევიკთა ეს „უსტაბაში“ სიცოცხლის ბოლოს აშკარა იდეოლოგიურ კრიზისში ჩავარდა, რომლის არსზე და შედეგებზე ზევითაც ითქვა. რაც შეეხება გარდაცვალების შემდეგ ე.წ. „პიროვნების კულტის“ კრიტიკას, მას ან უზომოდ აქებენ და ადიდებენ, ანდა, ასევე უზომოდ ამაგებენ და აგინებენ. იწერება და იბეჭდება ათასნაირი სისულელეები რუსეთშიც და დანარჩენ მსოფლიოშიც მასზე, მის ბავშვობასა და ოჯახურ გარემოზე, „ახალგაზრდა სტალინზე“, მითები მის ეთნიკურ წარმომავლობაზე – ოსურზე, (თურმე „ჯუღაევი“ იყო) სომხურზე (აი, არგუმენტიც: მეჩვეძმე ბესო სომეხი რომ არ ყოფილიყო, ადელხანოვი თავის ფაბრიკაში არ მიიღებდა!!!), თვით პოლონურზეც (თურმე პარჟევალსკის პოლკი იყო იმ დროს დისლოცირებული გორში!!!)... ადრეც ვთქვით, ყველამ თავის მკვდარს უნდა მიხედოს, და ამ შემთხვევაშიც ჩვენი ვალაა აქ, საქართველოში დაიწეროს მისი ობიექტური პოლიტიკური ბიოგრაფია. ეს მითუმეტეს, რომ აქ მასზე ზღვა მასალაა დაგროვილი საარქივო – დოკუმენტურიც და მემუარულიც. თუნდაც ჩერქეზიშვილთან 1906 წელს დაწყებული დისკუსია მეტყველებს ამაზე, ჩვენზე უკეთ ვინ გაანალიზებს მას...

მთავარი, რაშიც სტალინი ჩერქეზიშვილის კრიტიკაში მაშინაც და მერეც ყველაზე მეტად მოიკოჭლებს და არადამაჯერებელია, ეს სოციალიზმის თეორიის ანალიზი და შეფასებაა. თითქოს სტალინი აქ უნდა ყოფილიყო ყველაზე ძლიერი და შეუვალი, მაგრამ სწორედ რომ პირიქით ხდება – სოციალიზმის ეს ერთ-ერთი დიდი თეორეტიკოსი და მომავალში კი, მისი ყველაზე დიდი პრაქტიკოსიც, სწორედ აქ, რომ იტყვიან, თავის მოედანზე აგებს თამაშს.

რატომ? როგორ მოხდა, რომ იქ, სადაც სტალინი მართლაც ფოლადისებურად მტკიცე და შეუვალია, იქ ამჟღავნებს ყველაზე დიდ სისუსტეს?

საქმის არსი მეთოდოლოგიაშია, ანუ, იმაში, თუ რა კუთხით და მიმართებით მიუდგება კაცი XIX-XX საუკუნეების ამ ყველაზე პოპულარულ თეორიას: სტალინს, ისე

როგორც რსდმპ ორივე ფრთას – მენშევიკურსაც და ბოლშევიკურსაც, სოციალიზმის თეორია სჭირდებოდათ როგორც პოლიტიკური საშუალება ხალხის ფართო სოციალურ ფენებზე გავლენისთვის და ამ გზით ხელისუფლების მოსაპოვებლად. კაციც და ხალხიც კი, მუდამ იმედით ცხოვრობს და სოციალიზმის იდეა, მითუმეტეს კი, შემდეგში ბოლშევიკების მიერ ანონსირებული „განვითარებული სოციალიზმისა“ და „კომუნიზმის ნათელი მომავალისა“, ანდამატივით იზიდავდა მათ თავიანთი „მამა–მარჩენალისკენ“...

ჩერქეზიშვილისთვის კი სოციალიზმი, ისე როგორც სახელმწიფოც, თვითმიზანი კი არაა, არამედ საშუალებაა თავისი მთავარი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე – **თავისუფალ პიროვნებათა თავისუფალი საზოგადოების შექმნა**. ამიტომ ჩერქეზიშვილისთვის მიუღებელია ბოლშევიკების მიწის ნაციონალიზაცია, ანუ, განსახელმწიფოებრიობა. მისი ლოზუნგია – მიწის სოციალიზაცია და სასოფლო–სათემო საკუთრებაში გადასვლა. პირველი არის გზა და საშუალება სახელმწიფო ცენტრალიზაციისა და სახელმწიფო მონოპოლიისაკენ, ანუ, სახელმწიფო სოციალიზმისაკენ, მეორე კი – სახელმწიფოს დეცენტრალიზაციისა და ხალხის თვითმართველობისაკენ, ანუ, „**არასახელმწიფოებრივი სოციალიზმისაკენ**“.

სტალინი ირონიით წერს, რომ ანარქისტებმა ჩერქეზიშვილის სახით „საკუთარი მარქსი გამოიგონეს ნამდვილი მარქსის საპირწონედო“, ხოლო „ჩერქეზიშვილის სოციალიზმი“ თავისებური კნინობითი სახელით მონათლა – „**პაწია თემთა სოციალიზმი**“ (ტ. I, თბ. 1947, გვ. 279). არადა, სწორედ ამ ჩერქეზიშვილისეულმა „პაწია თემთა სოციალიზმმა“, ანუ, უფრო რესპექტაბელური ტერმინი რომ ვიხმაროთ, „არასახელმწიფოებრივმა სოციალიზმმა“ გაცილებით უფრო მეტად გაამართლა ვიდრე „ნამდვილი მარქსის სოციალიზმმა“, მითუმეტეს კი, ბოლშევიკების მიერ გაუკუღმართებულმა რუსულმა სახელმწიფო სოციალიზმმა ტრადიციულ რუსულ შოვინიზმზე ნაჯვარმა, იმ შოვინიზმზე, რომლისაც თვით სტალინსაც კი ეშინოდა და რომელმაც არ აპატიო მას მისი არარუსული წარმოშობა მისი გარდაცვალების შემდეგ...

ეს ცნება – შეფასება ჩერქეზიშვილის სოციალური მსოფლმხედველობისა – „პაწია თემთა სოციალიზმი“, ყველაზე ოპტიმალური და ნიშანდობლივი მიგნებაა სტალინის მთელ ამ 100 გვერდიან კრიტიკაში. უკეთესად ვერ განსაზღვრავ ჩერქეზიშვილის სოციალურ ფილოსოფიას, რომელიც ბოლშევიზმის სრულ ანტიპოდს წარმოადგენდა მაშინ და შემდეგშიც, სანამ ბოლშევიზმი თქვენს ჭირს წაიღებდა...

მსოფლიო განვითარება კი თავისი გზით მიდის. რუსთაველისა არ იყოს, „**ვაჰ, სოფელო რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა**“, ის არავის არაფერს გვეკითხება და გვემორჩილება. ერთი ეგაა მოვალეობა კაცისაც და კაცობრიობისაც, რომ რამენაირად, თუნდაც მიახლოებით ჩასწვდეს „სოფლის ზნეს“. ეს მას საშუალებას მისცემს მეტ–ნაკლები სიზუსტით განსაზღვროს მომავლის ბედი და პერიპეტიები. ეს

ადვილი საქმე რომ არაა, იქიდანაც ჩანს რომ კაცობრიობის ისტორიაში დაფიქსირებული ჩვენთვის ცნობილი თითქმის ყველა წინასწარმეტყველება ბოლოს მოვლენათა მსვლელობამ უტოპიად და ცარიელ ოცნებად აქცია. გენიოსი თუ ჩაწვდება მოვლენათა შემდგომ განვითარებას, ისიც მის მთავარ მიმართულებას. შემომქმედი საუკუნეში ერთ-ორ კაცს თუ მოუვლენს ხალხს და ქვეყანას ამისთანას... ვარლამ ჩერქეზიშვილი ერთ-ერთი მათგანია: შეიძლება ბევრს, განსაკუთრებით იმათ, ვინც ჩერქეზიშვილის მემკვიდრეობას კარგად არ იცნობს, ეს შეფასება გადაჭარბებულად ეჩვენოს, მაგრამ სწორედ მან შესძლო თუნდაც ზოგად ხაზებში გამოეცნო ევროპისა და მასთან ერთად მსოფლიო განვითარების მომავალი. აქ მისი სტალინთან, ისე როგორც სოციალიზმის სხვა ნებისმიერ იდეოლოგიასთან შედარებაც არ შეიძლება...

რატომ გაახსენდა სტალინს ჩერქეზიშვილი ომისშემდგომ წლებში?...

რა მოხდება თუნდაც 2-3 თაობის შემდეგ საით და როგორ წავა მსოფლიო განვითარება, ეს ზუსტად და შეუცდომლად ერთმა იმან თუ იცის, „რომელმაც შექმნა სამყარო...“, მაგრამ იმის ნიშნები აშკარად ჩანს, რომ იმას, რასაც აკრიტიკებს და უარყოფს სტალინი ჩერქეზიშვილის პოლიტიკურ მსოფლმხედველობაში, მოვლენათა მსვლელობამ სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც გაამართლა. ეს განსაკუთრებით ევროპას ეხება, რომელიც მაშინაც და დღესაც ტონის მიმცემია მსოფლიო განვითარებაში: ვარლამ ჩერქეზიშვილის და ანარქო-სინდიკალიზმის სახელმწიფოს დეცენტრალიზაციის და მმართველობის რეგიონალიზმის განხორციელება აქ უკვე სახეზე გვაქვს და რაც დრო გავა, ეს პროცესი გაგრძელდება და განვითარდება აქაც და დანარჩენ მსოფლიოშიც. ერთიანი და უსაზღვრეო მსოფლიო კონფედერაციის იდეაც სულ უფრო რეალურ სახეს იღებს, ისე როგორც მსოფლიოს ერთიანი დემოკრატიული სივრცე...

ეხლა შევხედოთ რა „დემოკრატიული სივრცე“ რა „სოციალიზმი“ შექმნა თავის ირგვლივ ბოლშევიკურმა ტოტალიზმმა.

ამ მხრივაც საინტერესოა ვნახოთ, თუ როგორ განახორციელეს სოციალიზმის, მერე კი „განვითარებული სოციალიზმის“ („კომუნიზმის გამოცხადებამდე“ მათ ისტორიამ აღარ აცალათ), იდეალები ჯერ სტალინმა და მერე მისმა მემკვიდრე „კატის კნუტებმა“, როგორც თვითონ უწოდებდა თავის მემკვიდრეებს – ხრუშჩოვს, ბრეჟნევს, სუსლოვს და კამპანიას. აქ საგულისხმო ის არის, რომ ომის დამთავრებიდან სულ რამოდენიმე ათეული წლის შემდეგ ისტორიამ კიდევ ერთი საგულისხმო პარადოქსი გვაჩუქა: ომში დამარცხებულნი „ღერძის სახელმწიფოები“ – გერმანია, იტალია და იაპონია ომში გამარჯვებულ საბჭოთა კავშირს წინ უსწრებდნენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა პარამეტრებით, მის მოკავშირეებზე – აშშ, ინგლისსა და საფრანგეთზე ხომ აღარაა ლაპარაკი. სრულიად აშკარა გახდა, რომ სოციალიზმმა სლავურ-ბოლშევიკური სახით არ გაამართლა, მისმა მიმზიდველობამაც შინ და გარეთ ყველგან ძალა დაკარგა მოსახლეობის ყველა ფენაში და საანიგდოტო მასალა გახდა,

ამიტომ წერდა წინასწარმეტყველურად ჩერქეზიშვილი ბოლშევიკებზე – „თქვენ არა ხართ სოციალისტები. თქვენ სოციალიზმის მტრები ხართ!“

სხვათა შორის, გარდაცვალებამდე ორიოდე წლით ადრე თვითონ სტალინიც ხვდებოდა თავისი პირმშოს რეფორმირების აუცილებლობას. ზუსტად იმ დროს, როცა მან 1951 წელს ხელმეორედ გამოსცა თავისი თითქმის ნახევარი საუკუნის წინ დაწერილი „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“, იმავედროულად გამოსცა თავისი ბოლო თეორიული ნაშრომიც – „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები საბჭოთა კავშირში“. შემთხვევით მოხდა ეს თუ არა? მე ვფიქრობ, რომ ეს შემთხვევით არ მომხდარა. უკვე სიბერეში შესული სტალინი მიხვდა, რომ მის შემდეგ მის ყველა ნაბიჯს, მთელ მის სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას და იდეოლოგიას სრული კრაზი ელოდა, თუ ვერ შესძლებდა სოციალისტური თეორიისა და პრაქტიკის მოდერნიზებას.

ეს პრაქტიკა კი, მარტო რუსეთში არ დაგროვდა. სოციალიზმის, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, სოციალური სახელმწიფოს სხვადასხვა მოდელები ევროპის არაერთ ქვეყანაში ხორციელდებოდა და ხორციელდება დღესაც. ეს პირველ რიგში სკანდინავიის ქვეყნებია, სადაც სოციალიზმის პრინციპების რეალიზება თავიდანვე ჩვენს მიერ ადრე აღნიშნული საზოგადოების ბუნებრივ-ისტორიული განვითარების გზით წარიმართა და დიდი ეფექტითაც. სოციალიზმის თავის „სახეს“ ეძებდნენ ინგლისშიც, საფრანგეთშიც, იტალიაშიც. ახლადდაფუძნებულმა ისრაელმა „კიბუცური სოციალიზმის“ შენება დაიწყო, იმ იდეების რეალიზება, რომელთა სათავეებთან ბენ-გურიონთან და ჰერცელთან ერთად, ვარლამ ჩერქეზიშვილიც დგას, (ისე, რომ ბედის ირონიით ამ ორმა ქართველმა მამლუქმა ძალაუნებურად თავისი როლი ითამაშეს ებრაული სახელმწიფოს ფორმირებაში – პირველმა „ანარქო-სინდიკალიზმის თავისი იდეებით, მეორემ – ისრაელის დაფუძნების აქტზე ხელისმოწერით).

ერთი სიტყვით, სტალინი მიხვდა, რომ ომის შემდგომი მსოფლიო სულ სხვა გახდა და მარტო ძველი ბოლშევიკური სატყუარა ლოზუნგებით შორს ვეღარ წავიდოდა. ამავე პერიოდში გაჩნდა კორვენგენციის თეორიაც – კაპიტალიზმის და სოციალიზმის ერთმანეთთან შეჯერება – შეჯვარება – დიფუზირების იდეებიც. მაძიებელი გონება მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე თავიანთ ქვეყნებში დაგროვილ პრობლემათა გადაწყვეტის რაციონალურ გზას ეძიებდა. ყველაზე მეტს, რა თქმა უნდა, ევროპა აქტიურობდა და ანარქო-სინდიკალიზმის თეორიამაც ხელახლა წამოყო თავი. ძველი „წითელი ჯვრის“ ნაცვლად, რომლის სიმბოლიკაც ბოლშევიკებმა 20-იან წლებში წაართვეს არაქისტებს, ომისშემდგომ მსოფლიოში წარმოიშვა „შავი ანარქისტული ჯვარი“, რომელიც საბჭოთა და სხვა დიქტატორული რეჟიმებისაგან დევნილ ათასობით ადამიანს ეხმარებოდა, რამაც დისიდენტურ მოძრაობაში დიდი როლი ითამაშა...

ყველაფერი ეს აიძულებდა საბჭოთა რეჟიმს სერიოზულად ეფიქრა ქვეყნის მოდერნიზებაზე. „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემებიც“ აქედან გაჩნდა. დრო არ ჩერდება და ყოველი მომდევნო ისტორიული ეპოქა თავისას თხოულობს, ჩვენ ხომ,

ყველანი დროების შვილნი ვართ. მოდერნიზება და რეფორმირება განსაკუთრებით იმ რეჟიმებს სჭირდება, რომლებიც აშკარა სტაგნაციას განიცდიან. აკი ამბობდა კიდეც – მე ვიცი რაც უნდა გავაკეთო, მაგრამ ასაკი არ მომცემს საშუალებას ბოლომდე მივიყვანო საქმე.

მაგრამ მაინც დაიწყო, დაიწყო თავისებურად, ძველებური „სტალინური ბაზრის“ მოწყობით. დაიწყო პირველ რიგში, იმით, რომ პოლიტიბიუროს „გაახალგაზრდავება“ გადაწყვიტა. ეს, რა თქმა უნდა, გულზე მოხვდათ ბოლშევიკთა ძველ გვარდიას და „დაეხმარნენ“ მას ნაადრევად დაეტოვებინა ეს წუთისოფელი, თვითონ კი, აქ დარჩენილებს, რუსეთის მოდერნიზებისა და რეფორმირების რა ნიჭიც ჰქონდათ 60 – 80-იანმა წლებმა აჩვენა გორბაჩოვის „პერესტროიკის“ ჩათვლით. ვისაც ჰქონდა ამის ნიჭი და სურვილიც – ლავრენტი ბერია, XX საუკუნის კიდეც ერთი ქართველი მამლუქი იმპერიის კარზე, ის სტალინთან ერთად მალევე მოიშორეს თავიდან. ქართველოფობობის ეპოქაც სწორედ მას შემდეგ დადგა კრემლში, ქართველოფობობა, რომელიც დღემდე გრძელდება და რომლის დევიზი სუსლოვმა ფიგურულად ასე გამოხატა – "что "Кацо" не было больше здесь".

მთავარი იდეა, რაც სტალინმა ომისშემდგომ ვარლამ ჩერქეზიშვილის „ანარქო-სინდიკალიზმის“ კრიტიკისას მოიფიქრა თავისი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემებით“, ეს არის სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაზე სრულ და განუყოფელ კონტროლზე ხელის აღება და ერთდროულად, ფულად-სასაქონლო პრინციპის დანერგვა ძველ საბჭოთა ეკონომიკურ სისტემაში; ფიგურულად რომ ვთქვათ, კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ერთმანეთზე დამცნობა და დაახლოება – გაპარტნიორობა – დაქორწინება. ეს იდეა სხვათა შორის, რუსეთში არა, მაგრამ ჩინეთში ამ ბოლო წლებში იქაურმა კომუნისტებმა წარმატებით განახორციელეს და ახორციელებენ დღესაც.

მაგრამ სახელმწიფო? რა მოსდის მას? როგორ იცვლება მისი როლი და ფუნქციები? – აი, რა „გამორჩა“ მაშინ სტალინს და დღეს ჩინელ კომუნისტებს და რა არ რჩებოდა მხედველობიდან არასოდეს ვარლამ ჩერქეზიშვილს. ეს იმიტომ, რომ მისთვის სოციალიზმის თეორია პრაქტიკაში ნიშნავდა სახელმწიფოს როლისა და ფუნქციების თანდათანობით „კვდომას“ და საზოგადოების სინდიკატურ, ანუ, ფედერალურ (რეგიონალურ) და ადგილობრივ თვითმართველობაზე გადასვლას. მისთვის სახელმწიფოც და ხელისუფლებაც თვითმიზანი კი არაა, არამედ საშუალებაა ამ პროცესის განსახორციელებლად, რითაც იგი (სახელმწიფო) საბოლოოდ ამოწურავს ათასწლეულების თავის ძველ ისტორიულ ფუნქციას...

ამასთან, ეკონომიკის თვალსაზრისით უნდა განხორციელდეს „კაპიტალის სოციალიზაციის, ანუ განსაზოგადოების“ პროცესიც, რაც ასევე ამ „სინდიკატების“ საშუალებით შეიძლება წარიმართოს. „სინდიკატი“ ევროპული, საერთაშორისო ტერმინია და საქართველოდან მოწყვეტილ ჩერქეზიშვილს როგორც ჩანს, დაავიწყდა

რომ არსებობს მისი შესატყვისი ქართული ტერმინიც – „ხოდაბუნი“, ისე როგორც ებრაულიც – „კიბუცი“. ისტორიულად „ხოდაბუნი“, როგორც სასოფლო-სამეურნეო კორპორაციის ერთეული, „ქართლის ცხოვრებით“ დაფიქსირებულია ჯერ კიდევ X-XI საუკუნეებში, კერძოდ კი, ცნობილ დოკუმენტში – **„დავით აღმაშენებლის ანდერძი შიო მღვიმის მონასტრისადმი“**. დავითს ერთ-ერთი ნადირობის დროს „ფათერაკი“ მოსვლია, მისი ცხენი ხეს შეჯახებია და კლინიკურ სიკვდილში მყოფი „სამი დღისა მკვდარი“ მეფე შიო მღვიმის მონასტრის ბერებს უნახავთ, უმკურნალაიან და გადაურჩენიათ. მაღლიერმა დავითმა მათ **„მუხრანისა ხოდაბუნი განუწესა სარჩოდ და სამკვიდროდ“**.

ამიტომ შექმნა დავითმა დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, „დიდი საშუალო კლასი“ და ამიტომ იყო მაშინდელი საქართველოც და ქართული სახელმწიფოც ძლიერი სამხედრო-პოლიტიკურადაც და სოციალურ-ეკონომიკურადაც. ვინ დაიჯერებს დღეს ამას – მაშინდელი საქართველოს ეროვნული შემოსავალი ორჯერ აღემატებოდა საფრანგეთისას! მიწის სამართლიანი განაწილება, სახელმწიფოს სწორი და სამართლიანი სოციალური პოლიტიკა აკეთებდა ამას. აკი, რუსთაველმაც ასახა ეს თავის „ვეფხისტყაოსანში“: – **„ყოვლთა სწორად წყალობასა, ვითა თოვლსა მოათოვდეს, ობოლ-ქვრივნი დაადმდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდნენ, ... შიგან მათთა საბრძანისთა, თხა და მგელი ერთად სძოვდეს“**. აი, თუ გნებავთ „ქართული სოციალიზმის“ პირველი მხატვრულ-დოკუმენტური გადმოცემა „ნაადრევი ქართული რენესანსის ხანაში“ (ეს ტერმინიც სხვათა შორის, „სოციალ-ფედერალისტმა“ შალვა ნუცუბიძემ დაამკვიდრა).

ისე, რომ რაც გვინდა დაფუძახოთ – სახელს რა ჭკუა აქვს, „სინდიკატები“, „ხოდაბუნი“, თუ „კიბუცი“, მათი არსი ერთია – თვითმართველობაზე დაფუძნებული ეს სამეურნეო კორპორაციები ეროვნული ეკონომიკის და ერთდროულად, ეროვნული სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველია ისტორიულად. ვარლამ ჩერქეზიშვილი ღრმად ჩასწვდა მათ ამ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ არსს და მასზე დააფუძნა თავისი სოციალისტური თეორია. ფაქტიურად ეს იდეა თანხვედრი იყო „ივერიის“ სარედაქციო წერილების ილიასეულ ანალიზთან. ეს კვლევის ცალკე დიდი თემაა, აქ კი მოკლედ შეიძლება ასე ითქვას:

ძველ ქართულ „სრულფუძიან კომლზე“ იყო დაფუძნებული ხოდაბუნური სამეურნეო კორპორაციის მთელი ჩვენი ეროვნული სისტემა. იგი ფუტკრის სკასავით ერთიან ორგანიზმად კრავდა ერსა და ბერს, მთასა და ბარს, ხალხსა და ქვეყანას. ჩვენი ეროვნული ეკონომიკაც მასზე იყო აგებული და აშენებული. ამიტომ **„უძღვებოდა ქვეყანა ამდენ ომიანობას და ვაი-ვაგლახს“** – ასეთ შეფასებას აძლევს ყოველივე ამას ილია სტატიამი – „ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ“, აგრეთვე, სტატიათა ციკლში – **„კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“**: სოციალურ-

ეკონომიკურ საკითხებში. ილია ევროპული სოციალ–დემოკრატიის პოზიციებზე იდგა და მიაჩნდა, რომ ეროვნული პრობლემების გადაჭრა ორგანულად უნდა დაუკავშირდეს სოციალური პრობლემების გადაჭრას. მისი პოემა „აჩრდილი“ ამ პოზიციის ნათელი დადასტურებაა. მაგრამ „ახალს ნერგზედ ახლად შობილი“ მისი ქვეყანა ჯერ კოლონიური უღლისაგან უნდა განთავისუფლდეს, რადგან **„თავისუფლება არის კაცთა ყველაზე დიდი ნავსაყუდარი“** და ერთდროულად, **„ჩაგრულის, წამებულის წმინდა საყდარი“**. აქ ილიას და ჩერქეზიშვილის პოზიციები აბსოლუტურად ეთანხმებოდა ერთმანეთს...

მაგრამ ბევრი ჩვენგანისაგან განსხვავებით, ილია არ იყო ყოველივე ევროპულის ბრმა მიმბაძველი და მეხოტბე. ეს პირველ რიგში აგრარულ სფეროს ეხება, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის საოცრად მოქნილ ეროვნულ სისტემას. სწორედ ამ სისტემით იყო გაპირობებული, რომ ... **„რუსეთისა და თვით ევროპისაგან განსხვავებითაც კი, საქართველოს ისტორიამ უმიწაწყლო ქართველი გლეხი არ იცის... ხოლო სულ უცხო და უცნობია ერთგვარი დანაშაული, რომელსაც „нродяжничество“ ჰქვია. კომლს ჩვენთან სულ მცირე 20 დღიური მიწა მაინც ჰქონდა“...** მაგრამ ილიას დროს სისხლის ნათესაობაზე დაფუძნებული ძველი საგვარეულო კომლი იშლებოდა ცალკეულ ოჯახებად, თუმცა ილიას მიაჩნდა, რომ მათი გამოყენება მაინც შეიძლება ინდუსტრიული განვითარების პირობებშიც. ამიტომ ემხრობოდა იგი „კაპიტალის სოციალიზაციის“ ევროპულ იდეებს, კერძოდ კი, ამ „პაწია თემთა სოციალიზმის“ ჩერქეზიშვილის იდეას, რომლის განხორციელებაც ჩერქეზიშვილმა საქარველოშიც სცადა....

ილიას და ჩერქეზიშვილს ადრეც ითქვა; პიროვნულადაც დიდი ურთიერთსიმპატიები ჰქონდათ. ესეც კვლევის ცალკე თემაა, მაგრამ აქ გვინდა ავღნიშნოთ ერთი ნაკლებად ცნობილი ფაქტი: როდესაც 1918 წელს ჩერქეზიშვილი საქართველოში დაბრუნდა, პირველი, რაც მან გააკეთა, ამ „პაწია თემთა სოციალიზმის“ იდეის რეალიზაციას შეუდგა საგარეჯოს ივრისპირეთში. ეს იყო ილიას საქმის გაგრძელება, რამდენადაც სწორედ ილიას ინიციატივით და დიდი მხარდაჭერით დაფუძნდა პირველი ხოდაბუნური სასოფლო–სათემო კორპორაციები საგარეჯოში და აგრეთვე ქიზიყის სოფელ მაჩხაანში. დიმიტრი მაჩხანელს ილიამ არაერთი გრძელვადიანი და შეღავათიანი სესხი გამოუყო ბანკიდან ამ „ხოდაბუნური“ კორპორაციისთვის, ისე, რომ იდეურთან ერთად, პრაქტიკულ სფეროშიც ილია და ჩერქეზიშვილი ერთად იღვწოდნენ...

ესეც ისტორიის კიდევ ერთი პარადოქსია: 1918 – 20 წლებში აქ, პატარა საქართველოში ჩერქეზიშვილი „პაწია თემთა სოციალიზმს“ აშენებდა, იქ კი, დიდ რუსეთში სტალინი „დედამიწის ერთ მეექვსედზე“ ბოლშევიკურ სოციალიზმს. დიახ,

ისტორიასაც უყვარს იუმორი და სტალინი და ჩერქეზიშვილი პიროვნულად ალბათ, წამიერადაც არასოდეს შეხვედრიან ერთმანეთს, მაგრამ ისტორიის ყოველ გზაჯვარედინზე განუყრელი მეგობრებივით ერთმანეთს ხვდებიან. და აი, დღესაც ისტორიის გზაჯვარედინზე დგას მსოფლიო და საქართველოც, დღესაც გზის არჩევანის დილემის წინაშე ვდგავართ ქართველობა – საით წავიდეთ, რა გზას დავადგეთ, რომ ბოლოსდაბოლოს სასრული მივცეთ ასე უსაშველოდ გაწელილ „მნელბედობას“ ამ საუკუნეში თუ არა, ამ ახალ ათასწლეულში მაინც...

ვარლამ ჩერქეზიშვილი და საქართველოს მომავალი

მაშ, ასე – 1906 წელს დაწყებულ იდეურ ბრძოლაში სტალინი დამარცხდა. მას არც ომში გამარჯვებამ უშველა, არც ომის შემდეგ გამართულმა ახალმა დიდმა „სტალინურმა ბაზარმა“... ჩერქეზიშვილის „ანარქო-სინდიკალიზმის“ იდეებმა გაიმარჯვა. ისტორიული სიმართლე მის მხარეზე აღმოჩნდა და როგორც იტყვიან, სამართალმა პური ჭამა...

მაგრამ ჩვენ რა?... ქართველთა დღევანდელ და ხვალინდელ თაობებს რა სარგებელი უნდა გვქონდეს ყოველივე ამისგან?... რა ხეირი და სიკეთე შეიძლება მოგვცეს საუკუნეზე მეტ ხანს გაჭიმულმა სტალინი-ჩერქეზიშვილის იდეურმა დაპირისპირებამ და ბრძოლამ?...

ადრეც ვთქვით – ვარლამ ჩერქეზიშვილის მემკვიდრეობა მომავლის იდეოლოგიაა. მისი ანარქო-სინდიკალიზმის და სოციალ-ფედერალიზმის იდეებმა ახალი სიცოცხლე ნახეს ომისშემდგომ ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოშიც. ის, რომ ღრმა და შორსმჭვრეტელი მოაზროვნე კაცი იყო, ეს ფაქტიც ღაღადებს და ბევრი სხვაც, თუნდაც ის, რომ ჩინელებმა 900-იანი წლების დასაწყისშივე თარგმნეს იგი...

ანარქისტები საერთოდ, კოსმოპოლიტები არიან, მაგრამ ქართველი ანარქისტები, განსაკუთრებით კი, ჩერქეზიშვილი გამონაკლისია: საქართველოზე უზუმიოდ შეყვარებული კაცი ცხადია, მის მომავალზეც ფიქრობდა, წინასწარ ჭვრეტდა მის

მომავალ ბედს, საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს. ყველაფერი ეს აისახა „საერთო ნიადაგის“ თეორიაში, რომელიც წარმოადგენს მთელი XIX-XX საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარების ლოგიკურ შედეგს. მაგრამ მისი მთავარი შემომქმედი მაინც, ილია ჭავჭავაძეა. მან და მისმა თანამოაზრეებმა – სოლომონ დოდაშვილმა, დიმიტრი ყიფიანმა, არჩილ ჯორჯაძემ, ნიკო ნიკოლაძემ, ვარლამ ჩერქეზიშვილმა, გრიგოლ რობაქიძემ, გიორგი დეკანოზიშვილმა, მიხაკო წერეთელმა, ივანე ჯავახიშვილმა და ათეულობით სხვა ქართველმა მოაზროვნეებმა და მოღვაწეებმა მას სამოქმედო პროგრამის სახე მისცეს. ამიტომ უწოდებდა არჩილ ჯორჯაძე მას მეორენაირად „საერთო მოქმედების ნიადაგის“ თეორიას. მისი გნოსეოლოგიური და ეროვნული ფესვები „ოქროვანი ხანის“ საქართველოდან მოდის, გიორგი ათონელის „ერთნებაობითა და თანადგომითა“ ქვეყნის მართვის პრინციპიდან, რომელიც იდეიდან რეალობად აქცია დავით აღმაშენებელმა ამ ათასი წლის წინ...

ეს პრინციპი ახლაც ჰაერივით გვჭირდება დღევანდელ თაობებს. ამ მხრივ და ამ გააზრებით ვარლამ ჩერქეზიშვილის „ანარქო-სინდიკალიზმის“ თეორია „საერთო ნიადაგის“ თეორიის გაგრძელებაა, მისი თავისებური საერთაშორისო ვარიანტია...

სტატიაში – „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“, ილია სიტყვა „კაცის“ ერთ მეტად საინტერესო დეფინიციას იძლევა, რომლითაც იგი განასხვავებს ხუთი ტიპის კაცს საასპარეზო მასშტაბებისა და მნიშვნელობის მიხედვით: **„ზოგად-კაცი“**, ანუ, საკაცობრიო მასშტაბებით მოქმედი კაცი, **„ერისკაცი“**, **„თემის-კაცი“**, **„გვარის-კაცი“** და **„ოჯახის-კაცი“**... ვარლამ ჩერქეზიშვილი იყო ის ზოგად-კაცი, რომელმაც ჩვენ ერს და ქვეყანას, მის კულტურას და საზოგადოებრივ აზროვნებას საერთაშორისო წონა და სახელი შესძინა. მაგრამ ამასთან, იგი დიდი ერისკაციც იყო, რამეთუ გარდა იმისა, რომ ერის სახელი გაიტანა გარეთ, ისეთი მემკვიდრეობა დატოვა, რომელიც ახალ დიდ სტიმულს მისცემს ქვეყნის სამომავლო განვითარებას. მთავარია, რომ ეს მემკვიდრეობა არ დარჩეს უქმ და გამოუყენებელ განძად...

როცა ილია და ვარლამ ჩერქეზიშვილი საქართველოში მარქსიზმის გაბატონებას ებრძოდნენ და მომავალი ქართული სახელმწიფოსთვის იდეურ საფუძვლებს ქმნიდნენ, ზუსტად იმ დროს ვენაში გამოიცა თეოდორ ჰერცლის წიგნი – „ებრაული სახელმწიფო“. მას მოჰყვა საერთო – ებრაული სიონისტური მოძრაობა პალესტინაში 2000 წლის წინ რომის იმპერიის მიერ განადგურებული ებრაული სახელმწიფოს და მასთან ერთად მკვდარი ებრაული ენის აღსადგენად. სულ რაღაც 2 – 3 თაობა დასჭირდა, რომ მკვდრის გაცოცხლების ეს სასწაული მომხდარიყო. ჰერცელს მხარში ამოუდგნენ მსხვილი ებრაელი ბანკირები გირმის მეთაურობით და უკვე მაშინ, XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე გაჩნდა პირველი კიბუცური სამეურნეო კორპორაციები, რომელთა დეტალური გეგმა-მონახაზი თეოდორ ჰერცლიმ აღნიშნულ წიგნში მოგვცა და რომელთა განვითარებისთვის მთელი მსოფლიოს ებრაელობამ არც სულიერი და არც

მატერიალური ძალ-ღონე არ დაიშურა. ასე შეისხა ხორცი ჰერცლის, გირშის, ბენ-გურიონის ებრაული სახელმწიფოს აღდგენის იდეამ...

იქნებ დადგა დრო ჩვენც ვიფიქროთ და რაც მთავარია, ვიმოქმედოთ, როგორც ილიას ლელთ ღუნია ამბობს, **„წარხდენილი ქართველთა სახელის და ქართული წეს-წყობის“** აღსადგენად? თუ რით უნდა დავიწყოთ ეს პროცესი, ზემოდმოყვანილი მაგალითი გვასწავლის – ეროვნული ეკონომიკის შექმნით: როდესაც ანტიჰიტლერული კოალიციის გამარჯვებულ სახელმწიფოთა მეთაურებმა ისრაელის სახელმწიფო აღიარეს, აქ უკვე მკვიდრი ეკონომიკური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არსებობდა სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის. ისე, რომ არ არსებობს ეროვნული სახელმწიფო ეროვნული ეკონომიკის გარეშე. ეროვნული იდეოლოგია – ეროვნული ეკონომიკა – ეროვნული სახელმწიფო, აი ის ტრიადა, რომელიც ჩვენგან გადაწყვეტას ელის...

„საერთო ნიადაგის“ თეორია, როგორც ეროვნული იდეოლოგია, სხვა მნიშვნელოვან სამართლებრივ, პოლიტიკურ, თუ ზნეობრივ პრინციპებთან ერთად, გვაძლევს ეროვნული ეკონომიკის ფორმირების ზოგად პრინციპებს, მათი განხორციელების თავისებურ გეგმა-მონახაზს. ეს ყველაფერი მათ მთლიანობაში ცალკე კვლევის საგანია. თვითეთუ ამ პრინციპთაგანი, რომელთა რაოდენობა ორ ათეულს აჭარბებს, მონოგრაფიულ გამოკვლევას თხოულობს, რამდენადაც ისინი საბოლოო ჯამში როგორც ილიას უყვარდა თქმა, **„საქართველოს ისტორიის მთელი ფილოსოფიაა“**, მაგრამ ის, რაც ეროვნულ ეკონომიკას ეხება, მოკლედ შევჩერდებით მათზე. ვფიქრობთ, რომ მათი გათვალისწინება წაადგება მოდერნიზაციის გზაზე მდგარ პოსტკომუნისტურ საქართველოს:

1. ეროვნული ეკონომიკა და მისი შესატყვისი ეკონომიკური პოლიტიკა უპირველეს ყოვლისა ქვეყნის, მისი მთისა და ბარის ბუნებრივ-ისტორიული განვითარების ზოგად კანონებს უნდა დაექვემდებაროს, შენს ეროვნულ ტრადიციებს და ერის ფსიქო-გენეტიკურ ფესვებს. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ შევქმნათ ძლიერი და სტაბილური ეროვნული ეკონომიკა დღევანდელი კოლონიური ეკონომიკის ნაცვლად... ამასაც გულისხმობდა ილია როდესაც წერდა ჩვენს მიერ ადრეც აღნიშნულ სიტყვებს: „ცხოვრება (მათ შორის, ეკონომიკური ცხოვრება – ე.ბ.), თვითრჯულია – იგი არ გამოიჭრება კაცისაგან მოგონილს რიკ-რიკაზედ“. ასეთი „რიკ-რიკით“ ჩვენ მხოლოდ მახინჯ ეკონომიკას, მახინჯ ეკონომიკურ სტრუქტურებს და ურთიერთობებს შევქმნით...

2. **„მიწისა და გუთნის საქართველო“** და ილიას ამ მხატვრულ მეტაფორაზე დაფუძნებული საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების აგრარულ-ინდუსტრიული სტრატეგია. ეს მაშინ მესამედასელებმა ილიას – **„დამყაყებული ქართული ნაციონალიზმის ბურჯს, ანტიმარქსისტულ და ანტიინდუსტრიულ პოზიციად“** ჩაუთვალეს. მაგრამ მათგან განსხვავებით, ილიას,

ვარლამ ჩერქეზიშვილს და მათ თანამოაზრეებს კარგად ესმოდათ, რომ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური და გეოგრაფიული გარემო-პირობები, ხალხის ხასიათი და ტრადიციები, ცხოვრების ეროვნული წესი ასეთ სტრატეგიას თხოულობენ. მას არც მაშინ და არც დღეს ალტერნატივა არა აქვს. პრაქტიკაში იგი ნიშნავს აგრარული წარმოების და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის უპირატეს განვითარებას.

3. ამ ეკონომიკური სტრატეგიიდან და ერისა და ქვეყნის ობიექტური ისტორიული პირობებიდან გამომდინარე, **ქართული სოფელი და ქართველი გლეხი უნდა გახდნენ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა და ბიუჯეტის მუდმივი პრიორიტეტი**. ილია თავისი პიროვნული ხასიათით და ცხოვრების წესით მუდამ სოფელთან იყო დაკავშირებული, ერთი სული ჰქონდა როდის წავიდოდა თბილისიდან საგურამოში (აკი, სწორედ ამით ისარგებლეს წიწამურთან ჩასაფრებულმა მისმა მკვლელებმა), და მიაჩნდა, რომ მიგრაციული პროცესები მთისა და ბარის ქართული სოფლებიდან ერსა და ქვეყანას დაღუპავს. ეს რომ არ მოხდეს, ამისათვის არის საჭირო და აუცილებელი ზემოდმოხსენიებული ეკონომიკური სტრატეგია.

4. ძველ ქართულ „კომლსა“ და „ხოდაბუნებზე“ დაფუძნებული სამეურნეო-კორპორაციათა ერთიანი ეროვნული სისტემის შექმნა და სახელმწიფოს მხრიდან მათთვის უპირატესი განვითარების რეჟიმის შექმნა მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური დახმარების სახით. ამასთან, როგორც ამას ვარლამ ჩერქეზიშვილი მოითხოვდა, ეს სისტემა მთლიანად და განუყოფლად რეგიონალური და ადგილობრივი თვითმართველობის საფუძველთა-საფუძველი უნდა გახდეს, რაც აამაღლებს ხალხის ძალას და ენერგიას. **„ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშია!“**, ასე ლაკონურად გამოხატავდა თავის მხრივ, ილია ამ დიდმნიშვნელოვან როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ პრინციპს.

5. ბუნებრივ-ისტორიული განვითარებით საქართველოში წარმოიშვა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის მეტად თავისებური ეროვნული სისტემა. ეს სისტემა მოიცავდა ხუთ ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებულ ფორმას: **კერძო საკუთრებას, სასოფლო-სათემო, საეკლესიო-სამონასტრო და სახელმწიფო-სახაზინო მფლობელობას** და მიწის ხიზნურ (დროებით) სარგებლობას. მათგან ილია უპირატესობას მიწის სასოფლო-სათემო მფლობელობას ანიჭებდა, რამეთუ იგი ერთიან ორგანიზმად კრავდა და ადუღაბებდა ერსა და ბერს... ამ სამეურნეო ტრადიციასაც გათვალისწინება სჭირდება სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში. მაგალითად, ტყე, სამოვარი, წყალი, საირიგაციო ნაგებობანი, შირაქის მსგავსი სახნავ-სათესი და სამარცვლე დანიშნულების მიწის დიდი მასივები კერძო საკუთრებაში არასოდეს ყოფილა ძველ საქართველოში. ისინი სასოფლო-სათემო მფლობელობაში იყვნენ და ხოდაბუნური სამეურნეო კორპორაციის გზით გამოიყენებოდა. სწორედ ამან გახადა

შირაქი „საქართველოს პურის ბელად“, დღეს რომ დაკარგული აქვს ქვეყნისთვის ეს დიდმნიშვნელოვანი სტრატეგიული ფუნქცია მას. სწორედ ამის აღდგენას ისახავდა მიზნად საქართველოში დაბრუნებული ჩერქეზიშვილი 1918–20 წლებში...

6. **ეს ყველაფერი უკავშირდება ქვეყნის ტერიტორიალურ-ადმინისტრაციული მოწყობის პრობლემის გადაჭრას.** საბჭოთა წყობილებიდან მემკვიდრეობით გადმოცემული დარეგიონება მიუღებელია საქართველოს ისტორიისა და ტრადიციებისთვის. 70-მდე რაიონი საქართველოს არა სჭირდება. სიტყვა „რაიონიც“ კი არ არის ქართული. ქართულია **სოფელი – თემი – მხარე**. ქვეყნის ასეთი დარეგიონება ფარნავაზს, ან, სხვა რომელიმე მეფეს კი არ მოუვიდა პიროვნულად თავში, არამედ იგივე ბუნებრივ-ისტორიული პროცესით ჩამოყალიბდა. ბოლშევიკური მართველობის ეს ანომალიაც აუცილებლად მოსაშორებელია თავიდან.

7. **დარეგიონების ამ ეროვნული ტრადიციის აღორძინება თავის მხრივ, დაკავშირებულია ისეთ დიდმნიშვნელოვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემასთან, როგორიც უნიტარიზმი და ფედერალიზმი, ანუ, როგორც ხშირად ხმარობენ დღეს, რეგიონალიზმია.** ამ მხრივ თუ განვსაზღვრავთ ეროვნულ ეკონომიკას, იგი რეგიონალურ ეკონომიკათა თავისებური არითმეტიკული ჯამია. ისტორიულადაც იგი (ეროვნული ეკონომიკა) ქვეყნის ცალკეული რეგიონების ურთიერთდამაკავშირებელი და ურთიერთგაპირობებული ჰორიზონტალური ეკონომიკური კავშირებით წარმოიშობა და ვითარდება. დღეს კი ჩვენი ეკონომიკური განვითარება, ისე როგორც სახელმწიფო მართვის სისტემა, მკვეთრად ცენტრალიზირებული ვერტიკალია, რაც ძირშივე კლავს სოფლის, თემის, თუ მხარის თვითმართველობას. ილიას, ჩერქეზიშვილის და შემდგომში დაარსებული „**საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის**“ პროგრამული მოთხოვნა ის იყო, რომ საქართველოში სტაბილური და მუდმივადგანვითარებადი ეროვნული ეკონომიკის ფორმირებისთვის აუცილებელია მისი მთისა და ბარის ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციის შემუშავება თავ-თავიანთი მხარისთვის ისტორიულად დამახასიათებელი სამეურნეო პრიორიტეტების საფუძველზე. ამ პროცესში საჭიროა მოსახლეობის აქტიური ჩართვა, რაც ხელს შეუწყობს ხალხის თვითმოქმედებისა და თვითმართველობის განვითარებასაც. ესეც ყურადსაღებია იდეაა დღეს ჩვენთვის...

ეს და „საერთო ნიადაგის“ თეორიის სხვა პრინციპები განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ამის პოლიტიკური ნება იქნება. ეს ნება დამოკიდებულია მხოლოდ ჩვენზე და სხვა არავისზე. ვერანაირი დახმარება გარედან, რჩევა-დარიგებანი თუ მთელი საპროგრამო-სამოქმედო პაკეტი ამ მხრივ ვერაფერს გვიშველიან. **„ჩვენს იქით ჩვენი ხსნა მხოლოდ ტკბილი სიზმარია“** – წერდა ილია და იქითგენ მოგვიწოდებდა და გვაფრთხილებდა, რომ სხვანაირად ჩვენს ქვეყანას, „... ვითარცა

უპატრონო ეკლესიას, სხვანი დაეპატრონებიან“, რამეთუ – „უფულო ერი ფულიანთა სამოვარია, მათი საცხოვრისია“. დროა ახლა მაინც, დავუჯეროთ ქართული აზრის და ქართული საქმის ამ ამოუწურავ სიბრძნის წყაროს.

ესეც სათქმელია – ილიაც და ჩერქეზიშვილიც მარტო სიტყვის კაცნი არ იყვნენ. მათ კარგად ესმოდათ, რომ ცარიელი სიტყვა და იდეა, თეორია და მეცნიერება **„უქმის ჭკვის უქმი ვარჯიშია, თუ მათ საქმეც არ მოჰყვება თან“**. ორივეს პრინციპი საქმით მეტყველი სიტყვაა და ამ მხრივ აქ გვინდა კვლავ შევჩერდეთ ხოდაბუნური სასოფლო–სამეურნეო კორპორაციის იდეაზე. „შეერთებული შრომა“ ორივეს იდეალი იყო და არაერთი მაგალითია, როცა ილიას უშუალო ინიციატივით და მონაწილეობით შეიქმნა ასეთი კორპორაციები. მას შემდეგ, რაც 1918 წელს ჩერქეზიშვილი საქართველოში დაბრუნდა, მთელი თავისი დრო და ენერგია ამ საქმის გაგრძელებას შეაღია ქართველობისგან დაცარიელებულ ივრისპირეთში. აქ მას სურდა თავისი „პაწია თემთა სოციალიზმის“ იდეა განეხორციელებინა.

რუკას თუ დავხედავთ, კახეთი ფაქტიურად, იორსა და ალაზანს შორის მდებარე „მეორე შუამდინარეთია“. მას არანაკლები ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია, ვიდრე ახლო აღმოსავლეთის ტიგრისა და ევფრატის შუამდინარეთს, ხოლო მიწის ნაყოფიერებით აღემატება კიდეც მას. შირაქის ეკონომიკური მაჩვენებლები ნათლად მეტყველებენ ამას. აი, სწორედ აქ გადაწყვიტა ჩერქეზიშვილმა „სინდიკატების“, იგივე, „ხოდაბუნების“ თავისი იდეის რეალიზაცია. მაშინაც და დღესაც დავით გარეჯიდან დაწყებული შირაქის ჩათვლით, სადაც იორი და ალაზანი ერთმანეთს უერთდება, მთელი ივრისპირეთის ასეულ ათასობით ჰექტარი მიწის მასივები დაუსახლებელი და აუთვისებელია. ჩერქეზიშვილი ყოველნაირად ცდილობდა დაერწმუნებინა ხელისუფლება მის დემოგრაფიულ და სამეურნეო ათვისებაში, მაგრამ ამისთვის მაშინ ვერავინ მოიცალა და იდეაც იდეად დარჩა...

ამ ოცი წლის წინ ეს იდეა კვლავ გაცოცხლდა: ილია ჭავჭავაძის წმინდანად შთარცხვასთან დაკავშირებით და პატრიარქის ლოცვა–კურთხევით საფუძველი ჩაეყარა დიდ სასოფლო–სადაბო მშენებლობას – **„ილიაწმინდა“**. აშენდა ხიდი იორზე, რამოდენიმე სამეურნეო და საცხოვრებელი შენობა–ნაგებობა, ჩასახლებული იქნა ეკო–მიგრანტთა რამოდენიმე ოჯახიც აჭარიდან, მაგრამ 90–იანი წლების ცნობილი მოვლენების შემდეგ „ილიაწმინდას“ მშენებლობა შეწყდა.

„ილიაწმინდას“ მშენებლობის განახლებას ვფიქრობ, ორმაგი დატვირთვა ექნება დღეს: იგი ერთი მხრივ, გააცოცხლებს და საქმედ აქცევს ამ ძველ იდეას და მეორე მხრივ, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს არა მარტო რეგიონალური ეკონომიკის, არამედ მთლიანად ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში. ამ მიზნით შემუშავებული გვაქვს კახეთის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების შესაბამისი კონცეფცია.

ამ კონცეფციის ფარგლებში რამოდენიმე პრობლემა გვინდა დავაყენოთ: კავკასიის მთებსა და გომბორის ქედს შორის ჩრდილო–დასავლეთიდან სამხრეთ–

აღმოსავლეთისკენ 300 კილომეტრზე გადაჭიმული კახეთის ეს „შუამდინარეთი“ თავისი უნიკალური ფლორითა და ფაუნით მართლაც რომ ბუნების მშვენიერებაა: ალაზნის ველის ტყე-მინდვრები და ივრისპირეთის ჭალები ამ ჩვენს ტურიზმის ეპოქაში ეკოტურიზმისა და სამონადირეო ტურიზმის უდიდეს პერსპექტივებს შეიცავენ. ეს სიღნაღს, რომელიც კავკასიის თავისებური „გეოგრაფიული ცენტრია“, შავ და კასპიის ზღვებს შორის ჩვენი რეგიონის ტურიზმის ცენტრად გადააქცევს. ეს სიღნაღის, ქიზიყის და კახეთის განვითარების საერთო პრობლემაა...

ალაზნის ველს და ივრისპირეთს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვა დიდი პერსპექტივებიც ბევრი აქვს: თავის დროზე, როცა ბაქო-თბილისის რკინიგზა გაჰყავდათ, ილიამ, ჩერქეზიშვილმა და სხვა ჩვენმა მაშინდელმა მოღვაწეებმა მისი პროექტირებისას დააყენეს მისი კახეთზე გაყვანის საკითხი. „ივერიაში“ იბეჭდებოდა წერილები ამის მოთხოვნით და შესაბამისი დასაბუთებით. **„ამ მდიდარ და ლამაზ მხარეს რკინიგზას ნუ ააცილებთ“** წერდა ილია, მაგრამ სომხურმა ბურჟუაზიამ ბაქო-თბილისის რკინიგზის მშენებლობის ე.წ. „სამხრეთის მიმართულებას“ გაუწია ლობირება და რუსეთის მთავრობამაც შავი და კასპიის ზღვების შემაერთებელი ტრანსკავკასიური რკინიგზის ეს მონაკვეთი სამხრეთით, სომხეთის საზღვრებისკენ გაიყვანა...

„კახეთს რკინიგზა ააცილეს“ და ილიაც რა ილია იყო, რომ საპასუხოდ რამე არ ელონა: განაწყენებულმა, მაშინვე შექმნა **„კახეთის რკინიგზის ამხანაგობა“**, ბანკიდან გამოყო მილიონამდე საკრედიტო თანხა და ასე ძალი-ძალობით იქნა გაყვანილი კახეთის რკინიგზა, რომელიც დღეს ფაქტიურად ჩიხია და უფუნქციოდაა დარჩენილი. მაგრამ დღევანდელ პირობებშიც შესაძლებელია ილიას ამ ძველი იდეის რეალიზება და კახეთის რკინიგზის გამოცოცხლება, მისი შეერთება ბაქო-თბილისის და ტრანსკავკასიურ რკინიგზასთან: დღეს ბაქოდან დასავლეთით რკინიგზის ხაზი მოსულია ალაზნის მარცხენა სანაპირომდე რამოდენიმე ადგილას და დიდ ფინანსურ ხარჯებს არ მოითხოვს მათთან კახეთის რკინიგზის შეერთება **წნორი – ზაქათალა–ბელექანის, ანდა, დედოფლისწყარო–მინგეჩაურის ხაზის მშენებლობით**. ექვი არაა, რომ ეს იდეა დააინტერესებს აზერბაიჯანის ხელისუფლებასაც, რამდენადაც გაჩნდება ალტერნატიული ხაზი თბილისი-ყარსი-ბათუმის მიმართულებით სომხეთის საზღვრებიდან მოშორებით, რაც სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებით მისთვის მეტად მნიშვნელოვანია დღეს...

ამასთან, ასევე დიდ ფინანსურ ხარჯებს არ უნდა მოითხოვდეს თელავი-ყვარელი-ლაგოდეხის რკინიგზის გაყვანაც, რაც ალაზნის ველს და ივრისპირეთს ერთიან სარკინიგზო რკალად შეკრავდა. ეს სოციალურ-ეკონომიკურთან ერთად, ტურიზმის განვითარებასაც წაადგება, თუკი

კახეთის რკინიგზა ტრანსკავკასიურ რკინიგზას და მისი მეშვეობით კი, „ევრაზიის სარკინიგზო მაგისტრალს“ შეუერთდება. ყველაფერი ეს კახეთს სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებას დიდ ბიძგს მისცემს, რაც ჩადებულია „კახეთის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების კონცეფციაში“, რომელიც ჩვენს მიერ დაფუძნებული „ალაზნის ველის და ივრისპირეთის ფერმერთა კავშირის“ ეგიდით შევიმუშავეთ.

ეს კონცეფცია თავისებური გაგრძელება და გათანამედროვეობაა ილიას და ვარლამ ჩერქეზიშვილის იდეებისა. მათ შემდეგ ამ რეგიონში მისი განვითარების სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებიც გაჩნდა: გარდა კახეთის ტრადიციული სამეურნეო დარგებისა, ივრისპირეთში უკანასკნელ ხანს აღმოჩნდა მაღალხარისხიანი კარბიტის მდიდარი საბადოები, რომელთა შესატყვისი ტექნოლოგიური დამუშავება კარბიტის წარმოების დიდ პერსპექტივებს ქმნის. მაღალხარისხიან კარბიტზე მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილება კი, წლიდან წლამდე იზრდება. ასევე დიდ პერსპექტივას შეიცავს საამშენებლო ინდუსტრიის განვითარება, რის სანედლეულო ბაზა კავკასიის და გომბორის ათასობით ხეობებში ასევე, უაღრესად მდიდარი და ამოუწურავია. არის ნავთობის მოპოვების პერსპექტივებიც ივრისპირეთში. „ილიაწმინდას“ მშენებლობის განახლება სწორედ რეგიონის ამ პოტენციურ შესაძლებლობათა რეალიზაციას ისახავს მიზნად...

„მაშ, რაისთვისღა ცოცხალ ვართ?!“...

ეს ლოზუნგი და კითხვა–მახილიანი მოწოდება 1832 წელს ითქვა და დაიწერა. მადლობა უნდა უთხრათ იმპერატორის კანცელარიის „III განყოფილებას“ (მაშინდელ „კაგებეს“, თუ „ფეესბეს“), რომ შეთქმულთა საგამოძიებო მასალების პეტერბურგის არქივში ეს ქართულ ენაზე დაწერილი სოლომონ დოდაშვილის „სიტყვა–მოწოდება“ შემოგვინახა ქართველთა შემდგომ თაობებს. მე მას „ქართველთა მანიფესტი“ ვუწოდებ თავის დროზე და დღესაც მიმაჩნია, რომ იგი ჩვენი პროგრამა და გზამკვლევაა ახალი ქართული სახელმწიფოებრიობისკენ მიმავალ გზაზე. გაგახსენებთ მის სრულ ტექსტს:

„ქვეყნის დაარსებიდან მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისნი სჯულნი, თვისი ენა და თვისი ჩვეულება, ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისი ხელმწიფე...“

ხოლო აწ ჰხედავთა დამხოზასა და არარაობასა მამულისა ჩვენისა?!. ჰგრძნობთ შეიწროებასა ყოველისა კაცისას?!...

რაისტვის არს ესე ესრეთ?

ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენისა?

ნუ უკვე ჩვენ არღა ძალგვიძს შენახვა საკუთარი მამულისა ჩვენისა?

ნუ უკვე ჩვენ არღარა გვაქვს სიმხნე და ძალი ესეოდენი, რაოდენიც ჩვენს მამა-პაპათა?

მაშ, რაისტვისლა ცოცხალ ვართ?!“

ეს დოდაშვილის სტილში დაწერილი ემოციებით აღსავსე და პატრიოტული სულისკვეთებით უაღრესად დამუხტული ეს „სიტყვა-მოწოდება“ ერთნაირად ეხება ყველა თაობას. ილია და ვარლამ ჩერქეზიშვილი კი უშუალოდ მათი და მათი შემდგომი თაობაა. მრავალრიცხოვან შეთქმულთაგან ზოგიერთნი – ალექსანდრე ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, მალხაზ ანდრონიკაშვილი და სხვები, მათი ახლობლები და მეგობრები იყვნენ. XIX საუკუნის 30–50–იან წლებს ილია „რეაქციის შავბნელ ხანას“ უწოდებდა და მიაჩნდა, რომ შეთქმულები იყვნენ ეროვნული მოძრაობის „პირველი მედროშენი და ევროპეიზმის ფუძემდებლები საქართველოში“.

ერთი სიტყვით, ეპოქა, რომელშიც მოუწიათ ცხოვრება და მოღვაწეობა ორივეს (მათ შორის ასაკობრივი სხვაობა ხომ, სულ 9 წელი იყო), კოლონიური პერიოდის ერთ-ერთი ურთულესი პერიოდია. ერი ნელ-ნელა ეგუებოდა თავის ახალ ხვედრს ამდენი აჯანყებებისა და სისხლისღვრების შემდეგ. მარტო უბრალო ჩამოთვლა რამდენს გვეუბნება ამ მხრივ: 1802–04 და 1807–08 წლების მთიულეთისა და ფშავ-ხევსურეთის, 1810 წლის იმერეთის, 1812–13 და 1819–20 წლების კახეთისა და კვლავ იმერეთის, შემდეგ შეთქმულების წლები და 20–30–იანი წლების განუწყვეტელი რეპრესიები, 1840–41 და 1856–57 წლების გურიისა და სამეგრელოს აჯანყებები, მათ დამატებული რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის ომები, რომლებიც ლამის შეუსვენებლივ გრძელდებოდა 1804 წლიდან დაწყებული 1877–78 წლების რუსეთ-თურქეთის ბოლო ომით დამთავრებული საქართველოსა და კავკასიაში გაბატონებისთვის. ბევრს გვავიწყდება, რომ ამ მართლაც რომ „გიჟური წლებისა და შავბნელი რეაქციის“ ყველაზე დიდი მსხვერპლი ქართველობაზე მოდის. პირველი „მუხაჯირებიც“ ჩერქეზები და ჩეჩნები კი არა, ოთხი ძირძველი ქართული არისტოკრატიული გვარი იყო – ბაგრატიონები, ერისთავები, ორბელიანები და ანდრონიკაშვილები, ნიკოლოზ I ბრძანებით რომ გაასახლეს რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში. მარტო კახეთის 1812 წლის აჯანყების მონაწილე 3000 კაცი იქნა „გაციმბირებული“...

ამასთან დაკავშირებით ალბათ ღირს იმის გახსენება – დაფიქსირებაც, რომ მომავალი 2012 წელი რაღაცნაირი ქრონოლოგიური თანდამთხვევით 3 დიდ, ასე ვთქვათ, „მრგვალ თარიღს“ უკავშირდება: **კახეთის აჯანყების 200 წლისთავი, 1832 წლის შეთქმულების 180 წლისთავი და ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 175 წლისთავი.** XIX საუკუნის I ნახევრის სამ დიდ თარიღს, რომლებიც ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდმნიშვნელოვანი საეტაპო მოვლენებია საქართველოსა და მასთან ერთად, მთელი კავკასიის ისტორიაში, შეიძლება ერთი დიდი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიემდენას შემდეგი პირობითი სახელწოდებით – **„საქართველო და კავკასია ევრაზიურ ინტეგრაციულ პროცესებში და რუსეთის კავკასიური პოლიტიკა: წარსული, აწმყო, მომავალი“.**

ვფიქრობთ, რომ ეს ლოგიკური გაგრძელება იქნება იმ თემისა, რომელსაც ეს ჩვენი ამჟამინდელი სამეცნიერო კონფერენცია ეძღვნება: ვარლამ ჩერქეზიშვილი ილიასთან ერთად იმ დიდი იდეის მატარებელია, რომელსაც კავკასიის ხალხთა ერთობა და სოლიდარობა ჰქვია. „საერთო ნიადაგის“ თეორიის ერთ–ერთი პოლიტიკური პრინციპი ესეცაა და მას აუცილებლად სჭირდება პოპულარიზაცია კავკასიელ ხალხებში და ამასთან, საერთაშორისო მხარდაჭერაც.

2012 წელი „ილიას წელია“ და ეს დიდი საიუბილეო წელი უნდა გახდეს მისი და მისი თანამოაზრეების იდეათა განხორციელების საწყისი და საეტაპო წელი. მთავარია, რომ ჩვენმა თაობებმა ახლა მაინც, ირწმუნონ ამ იდეათა დიდი გარდამქმნელი ძალა და „ერთნებაობითა და თანადგომით“ დაიწყონ მათი სიტყვიდან საქმედ გადაქცევა.

მხოლოდ ამ გზით დავაღწევთ თავს „ძნელბედობას“ და ერთდროულად, საფუძველს ჩავუყრით საქართველოს ახალ „ოქროვან ხანას“...

ჩვენ გვესმის, რომ ეს ურთულესი და უძნელესი ამოცანაა – „ძველი საქართველოდან ახალი საქართველოს აღმოშობა“, მაგრამ ისევ ილია რომ მოვიხმოთ – „მით უფრო სასახელო, საამაყო და თავგამოსაჩენი იქნება იგი ქართველობისთვის“.

ეს ამოცანა განსაკუთრებით დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს დღევანდელ თაობებს, როცა მადლობა ღმერთს, „ჩვენი თავის ჩვენად ყუდნება“ რეალურ სახეს იღებს. და თუ ვერ შევძელით ეს, ჩვენს ქვეყანას და ჩვენს მიწა–წყალს თუ ვერ ვუპატრონეთ, მაშინ მართლაც, რომ –

„მაშ, რაისთვისღა ცოცხალ ვართ!“...

„ქართული ჯიში“,

ანუ,

„დიდბუნებოვანი კაცი“

საიდან მოვდივართ?... საით მივდივართ?... ამას შემოქმედის გარდა ვინ იტყვის ზუსტად, მაგრამ რაკი მანვე აზროვნებით დაგვაჯილდოვა, ჩვენც უნდა გავისარჯოთ ამ მხრივაც... და ვირჯებით კიდევ, ვისაც როგორ შეგვიძლია პასუხს ვაძლევთ ორივე ამ კითხვას – ქართული ჯიშის გენეტიკისა და ფუტუროლოგიის ამ თავსატეხებს...

გენეტიკაც და ფუტუროლოგიაც „ანტიმეცნიერებად“ და სალანძღავ სიტყვებად ითვლებოდნენ ამ ცოტა ხნის წინ. ინერციით დღესაც ბევრს მიაჩნია ასე. მაგრამ სწორედ რომ მათი საშუალებით უნდა შევძლოთ ჩვენი იდენტობის შენარჩუნება გლობალიზმის ეპოქის ქართველებმა. ვარლამ ჩერქეზიშვილის ანდერძია ესეც. ხაზგასმით წერს ამაზე გრიგოლ რობაქიძე. მანაც ხომ, თავისებური ჰიმნი უძღვნა „ქართულ ჯიშს“, როცა 1962 წელს ჟენევაში სუბიშვილების ქართული ცეკვები ნახა. ემოციებით დამუხტულმა ნამდვილი შედეგრი მიუძღვნა ყოველივე ამას – „როკვით განფენილი ქართული გენი“. მისი შემოქმედების მთავარი ძარღვიც სწორედ „ქართული გენის და ქართული ჯიშის“ ფსიქო-გენეტიკური ფესვების მიება-გათავისებაა. იგივე შეიძლება ითქვას ჩერქეზიშვილის მეორე დიდ მოსწავლესა და სოციალ-ფედერალისტზე – მიხაკო წერეთელზე, მის ფუნდამენტურ ნაშრომზე – „ერი და კაცობრიობა“ ...

ჩვენს ეროვნულ ხასიათზე ბევრი აქვს ნაფიქრი ილიასაც: „ჩვენი მიწა–წყალივით იგი ათასნაირი გვირისტით“ არის იგი ნაქარგი, ხან „აბოზოქრებული ზღვა“, ხან კი, „ხავსმოკიდებული უძრავი ჭაობი“ და სხვა მსგავსი უკიდურესობებანი... ისე, რომ კაცი ვერ გაარკვევს თუ სად იწყება და სად მთავრდება ეს ილიასეული „ათასნაირი გვირისტი“...

ქართული ჯიშის ეს „გვირისტი“ თავის მხრივ, მცენარეთა ასეთივე უცნაურ ფესვთა სისტემას გვაგონებს. ამ გააზრებით ყველაზე უპრიანია კლანჭასთან შედარება: გამოცდილმა გლეხკაცმა იცის – მიწის პირზე ამოსული ყველა ბალახი და ყველა მცენარე შეიძლება მოსპო და ამოძირკვო, კლანჭას გარდა. მას ისეთი ფესვთა სისტემა აქვს, არავის მოასპობინებს თავს... ქართული ჯიშის ამოძირკვაც ვინ არ სცადა, მაგრამ ამაოდ... ამ ფესვებს უნდა გაფრთხილება ახლაც და მომავალშიც...

ქართული ჯიშის ეს ფუტუროლოგიური გააზრება საუკუნეთა სიღრმეებიდან მოდის – იერუსალიმის, სინას მთისა და ათონის მონასტრიდან. გიორგი ათონელმა დაგვიტოვა ეს ფილოსოფიური ტრაქტატებით, ხოლო რუსთაველმა თავისი პოეტური გენიით. ქართული სახელმწიფოს მისეული იდეალი „არაბეთის“ თუ „ინდოეთის“, „ხატაეთის“ თუ „გულანშაროს“ სახით გამოხატული, ქართული ფუტუროლოგიის და პოლიტიკური აზროვნების ნიმუშებად უნდა ჩაითვალოს...

ამიტომ უყვარდა ილიას რუსთაველის სხვადასხვა აფორიზმების ეპიგრაფად წამძღვარება. აქ მახსენდება „ქვათა ღაღადის“ ეპიგრაფი:

„ეგრე მტრისა არ მეშინის,
რადგან ცხადად მაწყინარობს,
მოყვარესა – მტერსა ვუფრობი,
მემოყვრება, მაციანარობს“.

რატომღაც ბევრს ჩვენთანაც და სხვაგანაც „ქვათა ღაღადი“ – ქართული პუბლიცისტიკის ეს შედეგური, ანტისომხურ ნაწარმოებად მიაჩნიათ. მაგრამ ვინც ყურადღებით წაიკითხავს მას, განსაკუთრებით მის შესავალს და დასკვნას, ნახავს: იგი ქართველთა და სომეხთა ერთობისა და კეთილმეზობლობისკენ მოწოდებაა. ეს აშკარად ჩანს ილიას პოლემიკიდან გიორგი თუმანოვთანაც. ეს უკანასკნელი ილიას ვითომცდა „ამხელდა“ – შენ იმიტომ წერ სომეხებზე ასე თამამად, რომ ნახევრად სომეხი ხარ დედის მხრიდანო. ყველა სომეხისა და ქართველისთვის სანიმუშო უნდა იყოს ილიას პასუხი: მე შენ სომეხობას კი არ გიწუნებ, არამედ ეზოვის, სენკოვსკის, გოლმსტრემის, ემინის, პატკანოვის მსგავსი „რუს ცრუ–მეცნიერთა და სომეხთა ერთგვარი გუნდის“ ლაქიაობისა და მხარდაჭერისთვის გაკრიტიკებო, ამით ძირს უთხრი კავკასიელ ხალხთა ინტერესებს და ერთობას – „ჩვენთან კაკანებ, კვერცხს კი სხვაგან დებ“ („გიორგი თუმანოვი და მისი ამქარის აზრები“).

ამ პოლემიკასაც რომ თავი ვანებოთ, ილიას კაცთმოყვარული დამოკიდებულება კარგად გამოჩნდა სომეხების პირველი გენოციდის დროს დაწერილ საპროტესტო წერილში – „ოსმალთა სომეხთა გაწირვა“. დღესაც აქტუალურია მისი ილიასეული დასკვნა: დიდი სახელმწიფოები, პირველ რიგში კი რუსეთი, ირანი და თურქეთი „სომხურ კარტს“ იყენებენ თავიანთი იმპერიალისტური მიზნებისთვის: აქეთ – იქით გაფანტული სომეხები „ბრმა იარაღია მათ ხელში, მათი ბედი კი „ყველას ჩირადაც არ უღირს“...

სწორედ „ქვათა ღაღადში“ გვამღევს ილია ცნება „ერის“ ყველაზე მარტივ და ლაკონურ, მაგრამ გენიოსურ განსაზღვრებას: „ერი... ეს არის ისტორიით შედუღებული ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა კრებული“: ნათქვამია, – შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, და არ შეეცდები თუ ვიტყვი, რომ ასეთ მოკლე და ღრმააზროვან დეფინიციას მსოფლიო სოციოლოგიურ ლიტერატურაში ვერსად ნახავთ. მთელი მონოგრაფია შეიძლება დაიწეროს „ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა“ ამ „ისტორიით შედუღებაზე“...

ქართული ტოლერანტული სულის დამსახურებაც სწორედ ის არის, რომ საუკუნეთა და ათასწლეულთა მანძილზე მან ერთმანეთთან „შეადულა ერთსულ და ერთხორც კრებულად“ ნოესა და თარგამოსის ყველა შთამომავალნი ქართლოსითა და ჰაოსით დაწყებული, ლეკოსითა და კავკასოთი დამთავრებული. ასე შეიქმნა კავკასიელი ხალხებისა და მათი ენების ის თვითმყოფადი ჯგუფიც, რომელსაც დღეს ლინგვისტიკაში „კავკასიურ–იბერიული“ ჰქვია. ქრისტიანობა ამ მხრივ ყველაზე კარგად

მოერგო ჩვენს ეროვნულ ხასიათს და ტოლერანტულ სულს. თბილისიც ამიტომ გახდა ოდიტგანვე კავკასიის ცენტრი და კავკასიელ ხალხთა საიმედო თავშესაფარი, 1832 წლის შეთქმულების და საერთოდ, XIX-XX საუკუნეების მთელი განმათავისუფლებელი მოძრაობის უმთავრესი ორგანიზატორი და ლიდერი. ამ ფუნქციის შესრულება მას მომავალშიც მოუწევს. ჩვენზეა დამოკიდებული რამდენად სწრაფად და ეფექტურად შევძლებთ ამას...

ილია ჭავჭავაძე და ვარლამ ჩერქეზიშვილი ამ ისტორიულ-ლინგვისტურ პრობლემებს დასტრიალებდნენ დღენიდაც. ილია სპეციალურ უბის წიგნაკსაც ატარებდა თან, სადაც ძირძველი ქართული და კავკასიური სიტყვების ეტიმოლოგიურ ნიმუშებს იწერდა და იკვლევდა. არაერთი წერილი მიუძღვნა ამას, მთელ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში განთქმულ ამ ქართულ ტოლერანტულ სულს. მას იგი „დიდბუნებოვან კაცობას“ უწოდებს. ამიტომ წერს დავით აღმაშენებელზე ასეთი აღფრთოვანებით და კანონიერი სიამაყით:

„დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდბუნებოვან კაცობითაც. იგი, თავდადებული მოყვარე თავისი ეროვნებისა და სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა... ამისთანა შემწყნარებელი, კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნებისა და სარწმუნოებისა იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არ ჰზოგავდა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან!“. მართლაც რომ საკვირველი და საოცარი მაგალითია...

ვარლამ ჩერქეზიშვილიც ის „დიდბუნებოვანი კაცი“ იყო, რომელსაც თავისი „სინდიკატები“ ისე ჰქონდა ჩაფიქრებული, რომ საქართველოსა და კავკასიაში თავისებური სანიმუშო „ტოლერანტული დასახლებანი“ შეექმნა. რაკი საქართველო და კავკასია „ევრაზიის ხიდია“, იგი თავის ფრანგ მეუღლესთან – ფრიდასთან ერთად ფიქრობდა აქ მოეზიდა სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხი ევროპიდანაც და აზიიდანაც. „ილიაწმინდაც“ ამ გააზრებით არის ჩაფიქრებული. იგი მას მომავალში ივრისპირეთის ახალი ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრადაც მოიაზრებდა...

კაცმა რომ თქვას, საქართველო და ქართველი ერი ხმალსა და თოფზე მეტად სწორედ რომ ამ ტოლერანტულმა სულმა და ზნე-ხასიათმა გადაარჩინა, ცხოვრების ქართულმა წესმა: მტრის ჟინი და აგრესიაც კი დაივანებდა, როცა ყოველივე ამას გაიცნობდა და გაითავისებდა. ასე გაჩნდნენ აბო თბილელეები და მხარგრძელები, ანდრონიკაშვილები და მოსულიშვილები ... გავიხსენოთ რა დღე აყენა ილიამ ბანკის კრებაზე, მაშინდელ „ქართულ პარლამენტზე“ გამოსვლისას „მოსულ კაცზე“ ერთ-ერთი ბრიყვის განცხადებას – ეგ მოსულია ჩვენთან და აქ არაფერი ესაქმებაო. პროტესტის გრძნობით დამუხტული 1895 წლის 20 მაისის ილიას ეს სიტყვა დღესაც არ კარგავს თავის დიდ ემოციურ და ამასთან, პოლიტიკურ მნიშვნელობასა და ძალას. იგი

უცილობლად ქართული ორატორული ხელოვნების მიუღწეველ სიმაღლედ და ნიმუშად უნდა ჩაითვალოს...

ილიას არაერთი უცხოელი მეგობარი და გულისმესაიდუმლე ჰყავდა კავკასიაში, რუსეთსა და ევროპაშიც. მათგან გამორჩეული მაინც არტურ ლაისტია, რომელსაც სიმბოლურად „ჩვენი აბო“ შეარქვა. ეს გერმანელი „ჩვენი აბო“ ის კაცია, რომელმაც 1907 წლის 30 აგვისტო დიდ „ეროვნულ ტრაგედიად“ გამოაცხადა და ტრადიციად დანერგა ყოველი წლის 30 აგვისტოს მონაწილეთა ნიშნად ფეხით მისულიყვნენ თბილისიდან წიწამურამდე. სანამ ფიზიკურად შეეძლო, იგი ამას ერთგულად ასრულებდა კიდევ...

მთავარი მაინც მომავალია და ფუტუროლოგია – „მომავლის მეცნიერება“ იმიტომ ვახსენეთ, რომ რაც შეიძლება ბევრმა უნდა ვიფიქროთ მასზე. ფიქრის გარდა, არ უნდა დაგვეზაროს მისთვის ღვაწლიც. ილიასეული „დიდბუნებოვანი კაცი“ და დღევანდელი საქართველოს ყველაზე დიდი პატრიოტიც სწორედ ის არის, ვინც ამას შესძლებს...

ილია და ჩერქეზიშვილი ამის მაგალითს გვაძლევენ. მიუხედავად იდეოლოგიური და პიროვნული ხასიათების სხვადასხვაობისა, ქვეყნის ინტერესებისთვის მათ ეს ყველაფერი ერთმანეთში „ბედნიერად მთავრდება“. ილია ჭავჭავაძის მთელი მსოფლმხედველობაც „ბედნიერი მორიგების“ ამ მრწამსზეა აგებული. ამიტომ ითქვა გაბრიელ ეპისკოპოსის ხსოვნისადმი სიტყვაში ყველა ეპოქის ქართველობისთვის (და არა მარტო ქართველობისთვის) ეს დიდი სიბრძნე – „დაპირისპირებულ ძალთა ბედნიერი მორიგება ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“. სწორედ ეს სიბრძნე და შეგონება გახდა „საერთო ნიადაგის“ თეორიის ერთ-ერთი ძირითადი სამოქმედო პრინციპი და ერთდროულად, მისი უნივერსალური მეთოდიც. მასზეა დაფუძნებული ამ თეორიის სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპები. ყველაფერს ამას გათავისება და გათანამედროვეობა სჭირდება. ამას თხოულობს გლობალიზმის ეპოქის გამოწვევები...

ჩვენ ყველა ვალდებული ვართ დღესაც და უახლოეს თუ შორეულ მომავალშიც ილიას ამ სიბრძნეს და შეგონებას მივყვეთ სიტყვითაც და საქმითაც...

„ქართლის ცხოვრებამ“ ამ მხრივ ერთი საოცარი ფორმულა შემოგვინახა – „ახლად შენება საქართველოს“. დღესაც ქართველებს დაგვიდგა ჟამი „ახლად შენების“ და ვინძლო, ამ 800-წლიანი „ძნელბედობის“ შემდეგ, შევძლოთ „ჩვენი თავის ჩვენად ყუდნება“ ამჯერად მაინც.

ქარიზმა და პოლიტიკური რომანტიზმი ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში

ილიასაც და ჩერქეზიშვილსაც კარგად ესმოდათ, რომ „ცხოვრება თვითრჯულია, იგი განუწყვეტელს დუდილშია“ და ამიტომ ყველა ეპოქას „თავისი სატკივარი აქვს“. მეცნიერების, ერის ინტელექტუალური ძალების ვალიც ისაა, რომ ყველაფერს ამას თავისი „გზა და კვალი მისცენ“. ამ ისტორიულ მისიაზე ილიამ „საქართველოს მოამბის“ პირველსავე სარედაქციო წერილში გაუსვა ხაზი...

მაგრამ ამასთან, კაცისა თუ კაცობრიობის ცხოვრებაში არის გარკვეული „მუდმივი ღირებულებანიც“. მათ ვერცერთი ეპოქა ვერ აუვლის გვერდს. ეს ეხება ინტელექტუალური ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებასაც. იდეური დაპირისპირება და ბრძოლაც ჩვეულებრივ გრძელდება დღესაც, ისე როგორც ამ 100 წლის წინ დას-დასად დაყოფილ საქართველოში.

თანამედროვე პოლიტიკურ თეორიებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პოპულიზმი. იგი „ათენური დემოკრატიიდან“ და რომის იმპერიიდან მოყოლებული, კაცობრიობის პოლიტიკური განვითარების მუდმივი თანამგზავრია თავისი უცვლელი ფორმებით – ქარიზმითა და პოლიტიკური რომანტიზმით. როგორც წესი, პოლიტიკოსთა უმრავლესობა ამით იწყებენ ხოლმე ასპარეზზე გამოსვლას.

რასაკვირველია, არც საქართველოა გამონაკლისი: თაობა-თაობას მისდევს და ვერ ნახავთ საქართველოს ისტორიის ვერცერთ ეპოქას ამის გარეშე. „ქართლის ცხოვრება“ უამრავ მაგალითს გვაძლევს ამისას:

იოანე მარუშიძე და ბაგრატ III, გიორგი ათონელი და დავით აღმაშენებელი, შალვა ახალციხელი და ლაშა-გიორგი, ალექსანდრე დიდი და გიორგი ბრწყინვალე, სულხან-საბა და ვახტანგ VI, „პატარა კახი“, ალექსანდრე, თამარ, ოქროპირ, ბაგრატ ბატონიშვილები და სოლომონ დოდაშვილი, მათთან ერთად „შეთქმულთა“ მთელი თაობები, საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის იდეები სწორედ მათგან იწყება...

შემდეგ კი, XIX-XX საუკუნეების მათი პოლიტიკური მემკვიდრენი – ილია ჭავჭავაძე, არჩილ ჯორჯაძე, ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი, გრიგოლ რობაქიძე... უფრო აქეთ კი, – ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და მთელი ჩვენი დისიდენტური მოძრაობა ამ პოლიტიკური რომანტიზმის ანარეკლია... და აი, ახლაც ბოლო მაგალითები ამისა – „ქართული ოცნება“ და „ლაზიკა“ ...

მკითხველი შეიძლება შემოგვედავოს – დავით აღმაშენებელი, ანდა, ილია ჭავჭავაძე, – რა „პოლიტიკურ რომანტიზმზე“ შეიძლება აქ ლაპარაკი?! ... ჩვენ იქით შევატრიალებთ კითხვას – დავით აღმაშენებელი და „გალობანი სინანულისანი“?!, ანდა, ვინმემ შეიძლება წარმოიდგინოს მტირალი და თვალცრემლიანი ილია?! ... არტურ ლაისტის დამოწმებით კი, სწორედ ასეთი „მტირალა ილია“ ნახეს, როცა გერმანიიდან სამშობლოში დაბრუნებულს დარიალის ხეობაში დახვდნენ. არცკი ცდილობდა ცრემლების დამალვასო – წერს ლაისტი. ასეთია იმ დიდი ეროვნული სენისა და

ფენომენის ძალა, რასაც ნოსტალგია და სამშობლოს სიყვარული ჰქვია. მეტ-ნაკლებად ეს ყველა ქართველს განუცდია, რომელსაც ნებით თუ უნებურად სამშობლოს გარეთ ცხოვრება მოუწია...

ჩერქეზიშვილის „არასახელმწიფოებრივი სოციალიზმის“ იდეები სწორედ უცხოეთში, ევროპაში იშვა და აქ ჰპოვეს მათ სამოქმედო ასპარეზიც. სოციალისტების გამარჯვება საფრანგეთის ამასწინანდელ საპრეზიდენტო არჩევნებში ამ ძველი იდეის ახალი გამოვლენაა. ჩერქეზიშვილის კვალი აქაც აშკარად ჩანს. – იგი ხომ, თავის მეუღლესთან ერთად საფრანგეთის სოციალისტური პარტიის სათავეებთან დგას... რუსთაველის გენიალურ პოლიტიკურ ფორმულასაც – „ყოვლთა სწორად წყალობასა, ვითა თოვლსა მოათოვდნენ“, აქ მისცა მან გარკვეული პრაქტიკული მოქმედების პროგრამული სახე...

სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი სოციალიზმის იდეები და პოლიტიკური პროგრამები „შვედურ-ნორვეგიული“ თუ „კიბუცურ-სინდიკატური სოციალიზმის“ (ჩვენებურად კი – „ხოდაბუნური სოციალიზმის“), სახით დღესაც აქტუალურია, ისე როგორც ილიას, ჩერქეზიშვილისა და სტალინის ეპოქაში. ჩვენს თვალწინ სოციალისტების თეორია მეორე სიცოცხლეს განიცდის, მაგრამ არა ბოლშევიზმით გაუკუღმართებული, არამედ „ადამიანური სახით“, როგორც ილია წერდა, – „ევროპიულს და ზოგადკაცობრიულს ღირებულებებზე აღმოშობილი“. ამიტომ იყო, რომ იგი განსხვავებით რუსულ-ქართული „ესდეკესაგან“, ევროპული სოციალ-დემოკრატიის დიდი პატივისმცემელი იყო და საქართველოს მომავალს ამ მხრივაც, მასთან მიმართებაში განიხილავდა...

უცხოეთში გადახვეწილი ჩერქეზიშვილიც იქიდან ცდილობდა სწორი გზა-კვალი მიეცა საქართველოს მომავალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი განვითარებისთვის... ის და ილია „ქართული სოციალიზმის“ და „ქართული წეს-წყობის“ ძიებაში იყვნენ მუდამ. ეს ძიება დღესაც გაგრძელებას თხოულობს ჩვენგან...

ამიტომაც ვწერთ და ვამბობთ: 1906 წელს, დაწყებული იდეური დაპირისპირება და ბრძოლა სტალინსა და ჩერქეზიშვილს შორის დღესაც გრძელდება. ალტერნატივა – სახელმწიფოებრივი თუ არასახელმწიფოებრივი სოციალიზმი, ისევ დღის წესრიგში დგას კვლავინდებურად...

პოლიტიკური რომანტიზმი ბევრწილად აქედანაც იღებს თავის მასაზრდოებელ ფესვებს – სამშობლოდან მოწყვეტილ ქართველს უფრო მეტად ეძალევა ფიქრი მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. ისევ ილია რომ გავიხსენოთ, სწორედ უცხოეთში ყოფნისას განსაზღვრა მან თავისი „საერთო ნიადაგის“ თეორიის ძირითადი პრინციპები – კოლონიურ უღელში მყოფი საქართველოს „ახალი ოქროვანი ხანის“ პოლიტიკური პროგრამა. თუ არა პოლიტიკური რომანტიზმი, ვის მოუვა თავში თავისი „კარგი ქვეყნისთვის“ ახალი „ოქროვანი ხანა“ და მისი ახალი დედაქალაქის მშენებლობის იდეა

ძველი საქართველოს გეოგრაფიულ ცენტრში!?... მეტი პოლიტიკური რომანტიზმი რაღა გინდათ...

ბევრი იფიქრებს და იკითხავს კიდეც: რა სიგიჟეა, რა დროს რომანტიზმი, იდეები და თეორიებია, ხალხს შიმშილით კუჭი უხმება და ნაგავში იქექება ... შეიძლება მართლებიც არიან, მაგრამ ესეც ხომ სათქმელია: ადრეც ითქვა და კვლავ ვიტყვით – მადლობა ღმერთს, ჩვენი არ იწყება და არ მთავრდება საქართველო. ასე რომ ეფიქრათ და ეცხოვრათ ჩვენს წინაპრებს, ჩვენ დღეს ქართულად არ უნდა ვწერდეთ, ვკითხულობდეთ და ვლაპარაკობდეთ... ეს ყველაფერი ჩვენზე მეტად ჩვენს მომავალ თაობებს დასჭირდებათ...

მაგრამ ესეცაა – პოლიტიკურ რომანტიზმს თუ პოლიტიკური რეალიზმის ელემენტებიც არ ახლავს თან, იგი ცარიელ ოცნებად შემორჩება ისტორიას. პოლიტიკა შესაძლებელის მიღწევის ხელოვნებაა და ყველა ეპოქას ამ შესაძლებელის თავისი ზღვარი და განზომილება აქვს. პოლიტიკური რომანტიზმი უფრო მომავლის ხედვაა და წარმატებაც მაშინ მოდის ხოლმე, როცა იგი ამ „შესაძლებელის“ გათვალისწინებით მოქმედებს გარკვეული ისტორიული ეტაპების გავლით. როცა 16 წლის დავით აღმაშენებელი სამეფო ტახტზე ავიდა, მან და მისმა თანამოაზრეებმა უპირველეს ყოვლისა, გიორგი ათონელის „ერთნებაობითა და თანადგომით“ ქვეყნის მართვის იდეოლოგია და პრაქტიკა დაამკვიდრეს, შემდეგ ქვეყნის უსაფრთხოებას მიხედეს – აღკვეთეს მომთაბარე ტომების მძარცველური თავდასხმები, მთაში გახიზნული ხალხიც მობრუნდა ბარში, ერის მწარმოებელმა ძალებმა სული მოითქვეს. მერე „კანონი გააკანონეს“ რუის-ურბნისის 1103 წლის კრების „ძეგლისდებით“, „ურჩებს და ორგულებს ორკაპი ამოსდეს“...

ივანე ჯავახიშვილი როცა იკვლევდა ჩვენი ისტორიის მაშინდელ „ოქროვან ხანას“, სიამაყით წერს – საქართველო მარტო სამხედრო-პოლიტიკურად კი არა, სოციალურ-ეკონომიურადაც მაშინდელი მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფო იყო. დღეს ვინ დაიჯერებს იმ სასწაულს, რომ ეროვნული შემოსავლით ჩვენი ქვეყანა უსწრებდა საფრანგეთს?... ამაზე ღალატებენ არა მარტო ქართული, არამედ უცხოური წყაროებიც. აი, რას წერს ივანე ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიის“ II ტომში (გვ. 392) ამ „სასწაულის“ შესახებ:

„საქართველო თავისი ინტენსიური მეურნეობისა და ფართო აღებ-მიცემობის წყალობით ფინანსიურად მდიდარი ქვეყანა იყო. სპარსელი გეოგრაფის ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობით საკუთრივ საქართველოს (უყმადნაფიცო ქვეყნების გარეშე), სახელმწიფო საღაროს ყოველწლიური ფულადი შემოსავალი 3 მილიონ 750 000 ოქროს მანეთს უდრიდა. იმავე ხანებში – კი მცირე აზიის შემოსავალი 2 მილიონ 475 000, არაბეთის ერაცის 2 მილიონ 250 000 და ფარსის – 2 მილიონ 153 460 ოქროს მანეთს შეადგენდა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ზომბარტის ცნობით ინგლისის შემოსავალი 4 მილიონ ოქროს ფრანკს, ხოლო საფრანგეთისა 3 მილიონ ფრანკს არ

აღმატებოდა“. აი, ნიშანდობლივი მაგალითი იმისა, რომ ქვეყნის სიძლიერე უპირველეს ყოვლისა, მისი ეკონომიკიდან იწყება.

სწორედ აქ აისახება ის პროცესი, რასაც პოლიტიკური რომანტიზმიდან პოლიტიკურ რეალიზმში გადასვლა ჰქვია:

ყველაფერი ეს შემდგომ ათწლეულებში სამხედრო – თავდაცვითი, სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური რეფორმებით განამტკიცეს, რამაც ბოლოს 1121 წლის დიდგორის „ძლევადი საკვირველი“ მოიტანა. ორი-სამი თაობის მანძილზე წარმოებულმა ასეთმა თანმიმდევრულმა პოლიტიკამ სრულიად ახალი ქვეყანა და საერთო-კავკასიური მასშტაბის ახალი სახელმწიფო შექმნა ახალი პოლიტიკური ცენტრით და პოლიტიკური სტრუქტურებით. აი, „ქართული სახელმწიფო“ და თუ გნებავთ, ქართული ოცნებაც ეს უნდა იყოს...

ქართული სახელმწიფოებრიობა ჩვენს ეროვნულ მემკვიდრეობას უნდა დაეფუძნოს. ამ მემკვიდრეობის კონცენტრირებულ გამოხატულებას კი „საერთო ნიადაგის“ თეორია წარმოადგენს, მისი ორ ათეულზე მეტი პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპები. ყველა მათგანი ჩვენს სამოქმედო პროგრამად და პოლიტიკურ სტრატეგიად უნდა ვაქციოთ. აი, თანამედროვე ქართული პოლიტიკური რომანტიზმისა და ერთდროულად, პოლიტიკური რეალიზმის „სასინჯი ქვა“, ჩვენი და ჩვენი შემდგომი თაობების ყველაზე დიდი ნატვრა და ოცნება... დისკუსია ამ თეორიის არსისა და დანიშნულების შესახებ ჰაერივით აუცილებელია ჩვენთვის. თავის დროზე ეს საქმე დაიწყეს „საქართველოს სოციალ-ფედერალისტური პარტიის“ ლიდერებმა (ვარლამ ჩერქეზიშვილმა, არჩილ ჯორჯაძემ, მიხაკო წერეთელმა, გიორგი გოგელიამ, გრიგოლ რობაქიძემ...), მაგრამ იგი ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი...

ადრეც ითქვა, რომ ამ თეორიას თავისი ევროპული ვარიაციაც აქვს „ანარქო-სინდიკალიზმის“ თეორიის სახით. ამ ორ თეორიას ბევრი საერთო იდეა და პრინციპი აერთიანებთ. წარსულის ინერციით ანარქიზმს ჩვენთან დღესაც მეტად ალმაცერად უყურებენ. არადა, იგი მომავლის პოლიტიკური ფილოსოფია და პოლიტიკური რომანტიზმის კლასიკური ნიმუშიცაა.

ამიტომ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ – ანარქიზმი, კერძოდ კი, ვარლამ ჩერქეზიშვილის „ანარქო-სინდიკალიზმი“ ცარიელი რომანტიკა და მითუმეტეს კი, „სიგიჟე“ არაა. ისე კი, სიგიჟესა და გენიოსობას შორისაც ხომ, ნახევარი ნაბიჯია და მსოფლიო ისტორიაც არაერთ მაგალითს გვაძლევს ამისას. ეჭვი არაა, რაც უფრო წინ წავა საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარება და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მით უფრო ნათლად გამოჩნდება ამ ჩერქეზიშვილის „სიგიჟეთა“ სიმართლე...

რას დასდევთ, თავი გაანებეთ, ვერ ხედავთ, გიჟია?!...

ამ სიტყვებით მიმართა არჩილ ჯორჯაძემ ერთ თავის ნაცნობ მაღალჩინოსანს და თავისი თანამოაზრე და თანაპარტიელი ამ გზით გადაარჩინა ახალ დაპატიმრება – გაციმბირებას, როცა იგი 1905 წლის რევოლუციის დროს ინკოგნიტოდ საქართველოში ჩამოვიდა. ასეა ყველა დროსა და ეპოქაში – ლოგიკური აზროვნებისგან განსხვავებით ალოგიკური აზროვნება, სხვებისთვის გაუგებარი ყველა დიდი იდეა ადამიანთა აბსოლუტურ უმრავლესობას სიგიჟე ჰგონია. ასე გაიგეს და სიგიჟედ აღიქვეს ალექსანდრე მაკედონელის იდეები ანტიკურ, ანდა, კოპერნიკისა – რენესანსის ეპოქაში...

„სახელმწიფოს მოსპობა“ – სიგიჟეა აბა, რა არის?! მაშინ კი არა, ახლაც ბევრს ჰგონია ასე... როდესაც ჩერქეზიშვილზე მასალებს ვაგროვებდი, მანავსა და თოხლიაურში, ბევრმა იქაურმა გულუბრყვილოდ წამოიძახა – **„რომელი ჩერქეზიშვილი, გიჟი რომ იყო, ისაა“?!...**

მიყრუებულ სოფლებში კი არა, გლობალიზმის ეპოქის **„მეგაპოლისებშიც“** კი, რომლებშიც დღეს **„დაიკავე უოლ სტრიტის“** მსგავსი ლოზუნგებით თანამედროვე ანარქისტები ბიუროკრატიულ სახელმწიფო – ფინანსურ სტრუქტურებს უტევენ, მაინცდამაინც სრული და ნათელი წარმოდგენა არა აქვთ პასუხი გასცენ კითხვას – კი ბატონო, სახელმწიფო არა, მაგრამ მაშ, სხვა რა? სახელმწიფოს გარეშე ხომ, მართლაც სრული ანარქია და განუკითხაობა დამკვიდრდება ყველგან...

ჩერქეზიშვილმა კი, ამ კითხვას ისეთი პასუხი გასცა, რომელსაც დღეს გააზრება – გათავისება – გათვალისწინება სჭირდება. ეს ჩვენ უცილობელ ჭეშმარიტებამდე მიგვიყვანს. ნებისმიერი ჭეშმარიტება ხომ, დროჟამთა მდინარებაში ადამიანის თავში სამ სტადიას გადის: 1. ეს სიგიჟე და სისულელეა! 2. ამაში მგონი რაღაც სიმართლე უნდა იყოს, და ბოლოს – 3. ვინ არ იცის ეს! როცა პირველად დედამიწაზე თქვეს – მრგვალია და მზის გარშემო ბრუნავსო, ის კაცი კოცონზე დაწვეს, მერე და მერე სიმართლემ ადამიანთა თავებში თავისი გზა–კვალი ნახა და დღეს ხომ, დიდიან–პატარიანად ყველამ ვიცით ეს. ეჭვი არაა, ჩერქეზიშვილის იდეაც იგივე გზას გაივლის ახლო თუ შორეულ მომავალში...

„ანარქო–სინდიკალიზმის სახელმწიფოს კვდომის“ თეორიაც სიგიჟე და ერთი–ორი კაცის აკვიატება არაა. ადრეც ვთქვით, იგი ამ და მომავალი საუკუნეების იდეა და თეორიაა. **„სახელმწიფოს კვდომა“** პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. ჩერქეზიშვილის გააზრებით იგი ხანგრძლივი ისტორიული პროცესია, რომლის არსი ცენტრალიზირებული სახელმწიფო მართვა–გამგეობის ადამიანთა თვითმართველურ ასოციაციებად (სინდიკატებად) გარდაქმნაა. საზოგადოებას ყოველთვის დასჭირდება მართველობა, მაგრამ არა ისეთი, როგორიც დღესაა პოლიტიკურად და სოციალურად მეტად რთული და წინააღმდეგობრივი სტრუქტურებით, პოლიტიკურ და სოციალურ კატაკლიზმებს რომ განაპირობებენ პერიოდულად. მომავალი ეპოქები ასეთი **„სინდიკატური“** თვითმართველური ასოციაციებით იქნება მოფენილი **„უსაზღვრეო**

მსოფლიოში“. დემოკრატია, სოციალურ სამართლიანობასა და ინტეგრაციასთან ერთად ამ პროცესის მთავარი მამოძრავებელი ძალაა... ყველაზე ნათლად დღევანდელი ევროპა გვიჩვენებს ამას. ამიტომ იბრძოდა საქართველოს ევროპასთან გამთლიანებისთვის ჩერქეზიშვილიც...

მაგრამ მივუბრუნდეთ არჩილ ჯორჯაძის ამ სიტყვებს – „**რას დასდევთ, თავი გაანებეთ, ვერ ხედავთ, გიჟია**“?! საინტერესოა „**რაზე გათვალა**“ მან, როცა მაშინდელ „კაგებეს“ აგენტებს იგი ამ სიტყვებს ეუბნებოდა: ადამიანის თავში რა ხდება, ვინ რას გაიგებს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ არა მარტო მათ პოლიტიკურ ფილოსოფიის სილატაკეზე, არამედ უბრალოდ, მათ კარიერისტულ შიშსა და რისკზეც – კაგებეს ხალხიც ხომ ადამიანები არიან: „**ემანდ, რაიმე შარსა და ხათაბალას არ გადავეყაროთ – თუ დაიჭერთ და კვლავ ციმბირში უკრავთ თავს, ეს „ინგლისელი დემოკრატები“ ქვეყანას შეყრიან – არიქა, უსამართლოდ დაიჭირეს და გააციმბირეს ეს ჩვენი მოქალაქეო. აუტკივარი თავი რაზე უნდა აიტკივოთ – მაგისტანა გიჟებით სავსეა ევროპა – რას დასდევთ, მაგათ გამოლევთ**“...

და თქვენ წარმოიდგინეთ, არჩილ ჯორჯაძის ამ ფსიქოლოგიურმა გათვლამ გაამართლა. ვარლამ ჩერქეზიშვილი მთელი ორი წელი თავისუფლად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში, მაშინ, როცა მასთან პოლემიკაში შესული სტალინი „**გაციმბირებას**“ ვერ გადაურჩა. სტალინი–ჩერქეზიშვილის პოლემიკაც ხომ, მაშინ სწორედ ამიტომაც ვეღარ გაგრძელდა...

დიახ, მაშინდელ რუსეთში (და ალბათ, ახლანდელშიც) „**ანარქო-სინდიკალიზმის**“ პოლიტიკური ფილოსოფია ნამდვილად „**სიგიჟე**“ იყო. ამიტომაც უწოდა მას სტალინმა კნინობითი სახელი – „**პაწია თემთა სოციალიზმი**“. რუკაზე დათვის ტყავივით გადაჭიმულ რუსეთს როგორ ეკადრება „**პაწია**“. აქ ხომ ყველაფერი დიდი და გრანდიოზული მასშტაბების სწამთ და დღენიადაგ მისკენ ესწრაფვიან. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გადაყლაპვის სურვილიც ამ „**დერჟავული**“ ფენომენიდან მოდის. ამიტომ წამოიძახა გოცებით დატყვევებულმა შამილმაც, კარეტიტ რომ მიჰყავდათ პეტერბურგს მთელი თვე – ამ მიწების პატრონი ჩემს ხევეს და აულებს მედავება კიდევ?!...

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ბალტიისპირელების გარდა, ყველა დანარჩენი „**საბჭოთა ხალხი**“ რაღაც გზააბნეული ცხვრის ფარასავით იწყებს თავ-თავისი „**იალალებისკენ სვლას**“. გამოცდილმა მწყემსმა იცის – ვაცის გარეშე ეს სვლა უმეტესწილად სავალალოდ მთავრდება. როგორც იტყვიან – ან მგელი შეგჭამს, ან მგლის შვილი... ჩვენს შემთხვევაში ეს „**ვაცი**“ ეროვნული იდეოლოგია და მასზე დაფუძნებული სახელმწიფოებრივი მშენებლობის პოლიტიკური სტრატეგიაა. სხვანაირად ვილაცის, ან, რაღაცის ლუკმა გავხდებით, როგორც ეს დაგვემართა ჯერ კიდევ 1921 წელს, შემდეგ 1991 წელს და სულ ახლახანს, 2008 წელს. ისიც არავინ იცის, იმპერიის ახალ „**სტალინობაზე**“ მეოცნებე პუტინი „**ევრაზიის კავშირის**“ ახალ იმპერიულ გეგმებს რომ სახავს, რა ახალ სიურპრიზებს შემოგვთავაზებს ხვალ და ზეგ. ამიტომაც გვჭირდება ქართველებს

განსაკუთრებული სიფრთხილე. არ არის გამორიცხული „თავგადაპარსულ ნაციონალისტთა“ თარეში დღევანდელ რუსეთში ხვალ ფაშისტურ იდეოლოგიად და პრაქტიკად გარდაიქმნეს XX საუკუნის 20–30–იანი წლების გერმანიის მსგავსად. ატომური რუსეთის ასეთი შესაძლო მეტამორფოზა კიდევ უფრო დიდ ტრაგედიებს გვიმზადებს. ამის მიყურისძირება და დავიწყება არ შეიძლება – „ბოროტების იმპერია“ ხომ, ჯერ–ჯერობით კვლავ ბოროტების იმპერიად რჩება...

1906 წელს დაწყებული იდეოლოგიური ბრძოლაც ახალი ფორმებით და ახალი მოქმედი პირებით დღესაც ისევ გრძელდება. ჩვენი თაობების ვალია ეს ბრძოლა მივიყვანოთ იმ ლოგიკურ დასასრულამდე, რაც მაშინ ჩაიფიქრეს ილიამ, ვარლამ ჩერქეზიშვილმა, მიხაკო წერეთელმა, არჩილ ჯორჯაძემ და მათმა მიმდევრებმა. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ აღვადგინოთ „წარხდენილი ქართველთა სახელი და ქართული წეს–წყობა“...

„ძალდი მიაკვდა სულში“...

ხალხი ბრძენია და სიმართლევც მასში ადრე თუ გვიან იმარჯვებს, თუნდაც რომ საუკუნეები გავიდეს. ფოლკლორში აისახება ხოლმე შემდეგში ეს, ერის კოლექტიურ გონსა და მეხსიერებაში. „ხალხურს“ ვეძახით ჩვენ ყოველივე ამას, მაგრამ ეს „ხალხურიც“ სხვა არაფერია, თუ არა ერთი ბრძენკაცის გონების ნაყოფი, თაობიდან თაობაში რომ გადადის მერე „ხალხურის“ სახელით... შორეულ ათასწლეულებს რომ თავი გავანებოთ, აგერ ახლახანს მიხა ხელაშვილის „ბინდისფერია სოფელი“ ფოლკლორის შედევრად დარჩებოდა ჩვენს ისტორიაში, მისი ჩანაწერი რომ არ აღმოჩენილიყო შემთხვევით...

–სოფელი რა არის და ერთი კაციო, უთუოდ ამაზეც ითქმის. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ქართულ სოფელში ასეთი ბრძენკაცი გამოილიოს. ამიტომ უწოდებდა ილია „გონებაგახსნილ ქართველ გლეხს ბუნებით ფილოსოფოსს“, ხოლო ქართველ გლეხს და ქართულ სოფელს „ჩვენი ეროვნული იმედების სულსა და გულს“.

ზევითაც ვთქვი – ჩერქეზიშვილის კვალის ძიებაში ხშირად მიხდებოდა განავსა და თოხლიურში ჩემი მასპინძლების თუ რესპოდენტების იმაში დარწმუნება, რომ 10 წლის ასაკიდან რუსეთში გადახვეწილი მათი თანასოფლელი „გიჟი“ კი არ იყო, არამედ ევროპაში სახელგანთქმული პიროვნება, შორსმჭვრეტელი გენიოსი მოაზროვნე და პოლიტიკური მოღვაწე და რაც მთავარია ჩვენთვის სასახელო დიდი ერისკაცი... უამრავი არგუმენტი მომყავდა საამისოდ, ბევრიც დავაჯერე კიდევ ამაში, მაგრამ ვატყობდი, რომ მათზე ყველაზე მეტად ჭრიდა იმის თქმა, რომ მან თვით სტალინთან პოლემიკაში გაიმარჯვა...

აი, აქ წავიდოდა ხოლმე საინტერესო დისკუსია და ჩემი ქადაგებაც ფრთებს შლიდა მაშინ: როგორ ერთნაირად – მეკითხებოდნენ გაკვირვებით – სტალინი დაამარცხა?! ერთ კაცს სახლში სტალინის თხზულებათა I ტომი აღმოაჩნდა და როცა თავიანთი თვალით ნახეს ეს ყველაფერი შევატყვე, რომ ესამოვნათ...

ახლა სტალინზე და რუსეთზე რომ მომიწევდა ლაპარაკი, აი, მაშინ კი გიყვარდეთ – ისე აქტიურად ამყვებოდნენ, ვარლამ ჩერქეზიშვილი ვიღას ახსოვდა... კოლექტიური მეხსიერებით ხალხს კარგად ახსოვს რუსების კი არა, მანამდელი დამპყრობლების ბოროტება და სისასტიკე. აკი, მონღოლთა მიერ თოთო ბავშვების „კალოს ლეწვა“ თვით ტოპონომიკაშიც აისახა სოფლის სახელწოდებით – „არ-ხილოს-კალო“. ასეთი ტოპონიმები კი ბევრია კახეთში. საკმარისია სულ მცირედი შეხსენება წარსულის უკვე ნაცნობი ფაქტებისა, რომ მათთვის ყველაფერი ნათელი გახდეს. ეს ხომ კახეთის ის რეგიონია, საიდანაც ამ 400 წლის წინ შაჰ-აბასმა ათასობით კომლი გაასახლა.

სწორედ იმ ხანებში ჩამოვიდნენ ფერეიდანელი ქართველები და უნდა გენახათ, რა დღეში ვიყავით სტუმრებიც და მასპინძლებიც. მსგავსი სიცილიან-ტირილიანი შეხვედრა სიცოცხლეში არ მახსოვს: საოცარ ტრადიციას მოგვიყვანენ, ფერეიდანელთა პირველივე თაობებმა რომ ჩაუყარეს საფუძველი იქ – ყველა ვალდებულია თავისი პაპის და მამის სახელ-გვარი და გასახლების ადგილი ჩაიწეროს და გადასცენ ყოველ შემდგომ თაობას. ამ გზით ბევრმა ჩვენგანმა მათში თავისი „თანასოფელი“ და გვარეული – კომლის წევრიც კი ნახა შიდა, თუ გარე-კახეთიდან...

ეს 400 წლის წინ და აგერ, 200 წლის წინ რა ამბავი დაატეხეს ახალმა „ერთმორწმუნე“ დამპყრობლებმა „პატარა კახის“ სამშობლო-მხარეს, ეს ხომ ყველამ ვიცით. ამ მხრივაც ტოპონიმები არ აკლია კახეთს „ნარუსალი“ „სისხლის ხევი“, „რუსის ორმო“, „ნახიშტარი“, „რუსის გორა“, „წითელ-წყარო“ და ა.შ. ღვთისადმი ეს ღალადი – „ღმერთო, გვიხსენ რუსისაგან!“, კახეთის აჯანყებისას ითქვა ზუსტად 200 წელი გავიდა კახეთის აჯანყებიდან, მანამდეც და მერეც ფერეიდანელებზე არანაკლები გაასახლეს ამჯერად ციმბირსა და შუა აზიაში. სულ ახლახანს – 1924 წლის აჯანყებისას, გაუგონარი სისასტიკით ხოცავდნენ „ხალხის მტრებს“, ხრუმჩოვის დროს კი, მთლად გასახლებას გვიპირებდნენ მთელ ერს. „ქართველოფობიის“ სხვა არაერთი ფაქტი ვნახეთ ამ ბოლო ათწლეულებშიც დღემდე...

სტალინისა და ჩერქეზიშვილის იდეური ბრძოლა აქაც გრძელდება და სწორედ აქ გვჭირდება დღევანდელ ქართველებს მეტი სიფრთხილე ამ „დაჭრილ დათვთან“ ურთიერთობისას. ამ შემთხვევაშიც ბევრ ჭკუისსასწავლებელს ვნახავთ ილიასთან. „საერთო ნიადაგის“ თეორიის ერთ-ერთი პრინციპი ამ სფეროსაც ეხება, პრინციპი, რომელსაც შეიძლება „აქტიური ლოდინის ტაქტიკა“ ეწოდოს.

მხოლოდ ასეთი მოქნილი ტაქტიკით შეიძლება ყოფილ იმპერიასთან პოლიტიკის აგება და ამ პრობლემის გრძელვადიანი გადაწყვეტა. თავის დროზე ასეთი მოქნილი

პოლიტიკით გადაადგო გიორგი ბრწყინვალემ მონღოლთა უღელი ხმლის მოუქნევლად. რუსეთთან ასეთი პოლიტიკის მაგალითს იაპონელები და ჩინელები გვაძლევენ დღეს. სწორედ რუსეთს უომრად უნდა მოვუგოთ ომი – ასეთია ილიას ანდერძი...

ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია, – ისე არაფერს უხდება ეს როგორც რუსეთს, მის იმპერიულ სულს და ისტორიას: „ოქროს ურდოს ბასკაკებიდან“ და ივანე მრისხანეს „ოპრიჩნიკებიდან“ მოყოლებული პუტინის რუსეთამდე, ამ უზარმაზარ ტრამალებში, ყველაფერი ისევ ისე მდორედ და ერთფეროვნად მიმდინარეობს, როგორც „მატუშკა ვოლგა“ და „მმინარე სიბირი“.

არაფერი იცვლება „ოქროს ურდოს“ მემკვიდრეთა პოლიტიკურ ფილოსოფიაში, გარდა ერთისა – ამ პოლიტიკის განხორციელების საშუალებებისა: სხვა იყო ეს „ყირიმის ომის“, თუ I და II მსოფლიო ომის დროს და სრულიად სხვა გახდა ამ ომის შემდეგ...

და სტალინის ერთ–ერთი უპატიებელი ცოდვაც ის არის ჩვენი და დანარჩენი მსოფლიოს წინაშე, რომ მან „კავის რუსეთი ატომურ რუსეთად აქცია“. ატომთან ერთად, გაეროში მისეული „ვეტოს“ უფლებაც შანტაჟის იარაღად დაუტოვა რუსეთის დღევანდელ მესვეურებს. მათ ხომ დღეს მონღოლებზე უფრო სასტიკი მუქარა შემოგვითვალეს – საქართველოს დაუმიზნებენ სტალინის დანატოვარ ამ ატომურ – რაკეტულ ქობინებს.

პუტინმა – ქართველობის ამ ყველაზე დიდმა მოძულემ დღეს, ეს გაუგონარი ბარბაროსული და ვერაგული მუქარა სულ ახლახანს გააჟღერა და სწორედ ამ ფონზე წარმოთქვა ერთმა მანაველმა გლეხკაცმა სტალინის მისამართით ეს წყევლა–კრულვიანი სიტყვები – **ძალდი მიაკვდა სულში...**

მაგრამ ესეცაა – პოლიტიკა, განსაკუთრებით რუსული პოლიტიკა, ისეთი რამაა, რომელსაც ზნეობასთან და ჰუმანიზმთან საქმე არა აქვს. ჯერ კიდევ ეკატერინე II კარზე ერეკლე II წინააღმდეგ ჩართულ – ჩათრეული ალექსანდრე ამილახვარი წერდა ამას – რუსეთში, იმპერატორიდან დაწყებული უბრალო მუჟიკამდე უკლებლივ ყველა ამ დიდი იმპერიული პოლიტიკის მსახური და მონაა...

სტალინიც რა გამონაკლისი იყო და მანაც ამ პოლიტიკის სამსახურში დალია სული. – ძალდი მიაკვდა სულში, ვერც იმ მანაველის საწყევარ სიტყვებს დავდებთ წუნს – ჯერხნობით სწორედ სტალინის მემკვიდრეობით უდგას სული მსოფლიოს ამ უკანასკნელ იმპერიას. ატომი და „ვეტო“ სახელმწიფოებრივად ორგანიზებული ტერორიზმის სახით მოგვევლინა დღეს და ეს თავისებურად ეხმიანება ჯერ კიდევ 1906 წელს დაწყებულ დისკუსიას სახელმწიფო და არასახელმწიფოებრივი სოციალიზმის შესახებ.

სწორედ სახელმწიფოს გაფეტიშებამ, მისმა გაბატონებამ ადამიანსა და საზოგადოებაზე მიიყვანა საქმე ამ სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ

ტერორიზმამდე. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ამან ბოლშევიზმი ფაშიზმით შეცვალოს მალე. პუტინს სწორედ აქეთკენ მიჰყავს საქმე. ესეც უდევს ქვეტექსტად იმ სიტყვებს ჩერქეზიშვილის სამშობლო სოფელში რომ ითქვა სტალინზე – „მაღლი მიაკვდა სულში“...

დრონი მეფობენ და სტალინის დანატოვარი ეს ორი კოზირიც – „ვეტო“ და ატომი, შემოადნებათ ხელში, მაგრამ ესეცაა – მანამდე ჩვენი არ უნდა დაგვემართოს. ეს რომ არ მოხდეს, ამიტომ გვჭირდება ზევით არაერთგზის მოხსენიებული „საერთო ნიადაგის“ თეორია – ილია მართალის მართალი სიტყვა და მართალი საქმე. აქ რუსეთთან მომავალ ურთიერთობაში იგი ისეთ ბრძნულ რჩევას გვაძლევს, რომელიც მარად უნდა გვახსოვდეს: რაც არ უნდა მოხდეს, რუსეთთან დაპირისპირება და ომი დამღუპველია ჩვენთვის. იცოდა ვისთან და რასთან ჰქონდა საქმე...

ამასთან „საერთო ნიადაგის“ თეორიის სხვა პრინციპების მსგავსად, თეორიიდან პრაქტიკაში რეალიზაცია სჭირდება ჩვენგან...

ილია მართალი –საქართველოს მომავლის გზის გამკვალავი

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება და მასთან ერთად, ჩვენი ეროვნული ცხოვრება თავისებური დილემის წინაშე დადგა: რა უნდა გახდეს ქვეყნის განვითარების პრიორიტეტი – ეროვნული თუ სოციალური. იდეოლოგიური თვალსაზრისით ეს დილემა ორ დაპირისპირებულ იდეოლოგიაში აისახა – ეროვნულსა და სოციალ-დემოკრატიულში.

პარადოქსი ისაა, რომ კოლონიურ ქვეყანაში ამ უკანასკნელმა დომინანტური ადგილი დაიკავა და ფაქტიურად იმპერიული პოლიტიკის დანამატად იქცა, თავისებურ „მეხუთე კოლონად“. აკი, წერს ნოე ჟორდანია თავისებური სიამაყით – „ქართველმა ხალხმა უარყო ილია ჭავჭავაძის „საერთო ნიადაგი“ და მარქსიზმის ინტერნაციონალური დროშის ქვეშ დადგა“. ილიას ყოველი ცდა რამენაირად გააერთიანებინა სოციალური და ეროვნული, გაემთლიანებინა „ძნელბედობით ჩატეხილი ხიდი“, ამაო გამოდგა: „მესამე დასმა“ საქართველო სხვა გზით წაიყვანა...

დღესაც ჩვენს საზოგადოებაში ინტერნაციონალურ-კოსმოპოლიტიკურის იდეოლოგია ინარჩუნებს თავის დომინანტურ როლს. დღეს ამას სხვა სახელი – „გლობალიზმი“ ჰქვია, მაგრამ არსი ერთია. ჩვენისთანა პატარა ერისთვის ამ გზით წასვლა დამღუპველია, რაც დღემდე შემოგვრჩა – „ენა, მამული, სარწმუნოება – ეს სამი

სამეზასავით საფიცარი განძი ფეხქვეშეთიდან გამოგვეცლება“. გამოსავალი და „ხსნის გზა“ ისევ ილიასთანაა საძიებელი, მის „საერთო ნიადაგის“ თეორიაში...

გამეორება ცოდნის დედაა და გვინდა კიდევ ერთხელ გავიმეოროთ ზევით არაერთგზის ნათქვამი: თუ ჩვენ მართლაც ვესწრაფვით ძლიერი და მუდმივად განვითარებადი ქართული სახელმწიფოებრიობის შექმნას, იგი „ძველი საქართველოს ეროვნული ფესვებიდან უნდა აღმოვშობოთ“. მემკვიდრეობითობა უნივერსალური კანონია და მისი დავიწყება და არ გათვალისწინება დიდ ეროვნულ ტრაგედიამდე მიგვიყვანს...

ამაზე ჯერ კიდევ 1907 წელს გაუსვა ხაზი ვაჟა ფშაველამ, ხოლო იაკობ გოგებაშვილმა წიწამურის ტრაგედიის შემდეგ წინასწარმეტყველური სიტყვები წარმოთქვა – იქნებ მომავალში არცერთ ერს არ დასჭირდეს თავისი დიდი გენიოსი ისე, როგორც ილია ჭავჭავაძე ქართველ ერს...

ეს „მომავალი“ კი უკვე დადგა XXI საუკუნის გლობალიზმის სახით. გონების თვალთ ილიამ ეს ეპოქაც წინასწარ განჭვრიტა, მისი საბედისწერო როლით ქართველობისთვის 1897 წლის 31 დეკემბერს საახალწლოდ დაწერილ „ივერიის“ სარედაქციო წერილში – „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“:

„ხმლიანს მტერს გავუძელით, გადავრჩით, ქვეყანა და სახელი შევინახეთ... შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეულნი კი თან გაგვიტანს, სახელს გაგვიქრობს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება... დრო–ჟამი ამას გვიქადის... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?...

არ ვიცით – რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ – რანი ვართ, ვერ გამოგვისახია – რანი ვიქნებით!... უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების წინ, საკმაოა ხელი გვკრან და შიგ გადავიჩეხებით დედა–ბუდიანად... ვხედავთ კი ყოველივე ამას?... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“

გლობალიზმი ამ „თხრილს“ კიდევ უფრო საშიშს ხდის, იგი „შავი ნისლით“ არის დაფარული და „აინუნშიაც არ მოგვდის“, რომ სულ უფრო ვუახლოვდებით ამ „უძირო და ყოვლისმშთანთქავ თხრილს, სადაც ჩვენს ძვლებსაც კი ვედარავინ იპოვის. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“...

„საქართველოს თანამდევნი უკვდავი სულის“ ეს გაფრთხილება მარად უნდა გვახსოვდეს, თუ არ გვინდა, რომ „ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონონ“... და ვგონებ რომ უკვე მივედით აქამდე...

ივანე ჯავახიშვილი ნაშრომში – „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, წერს მეტად სიმბოლურ სიტყვებს: – „კარგ მთქმელს, კარგი გამგონე უნდა და ილია ჭავჭავაძეს ეს კარგი გამგონე დღემდე არ გამოსჩენია...“. იგი ყოველივე ამას „დიდ უსამართლობას და უმადურობას“ უწოდებს...

იქნებ დადგა დრო, რომ ამ უსამართლობა – უმადურობას სასრული მივცეთ და „საქართველოს თანამდევნი უკვდავი სული“ საქართველოს დაუბრუნდეს. ქართველი ერის ბუნება, მისი ცხოვრების წესი „საერთო ნიადაგის“ თეორიაც ამ უძველეს ფსიქო-გენეტიკურ ფესვებზეა ამოზრდილი...

დასკვნის მაგიერ

ბავშვობიდან მახსოვს ეს:

ალაზნის ველზე ვენახებს შორის ტოტებგაშლილ ვეებერთელა მუხის ხეს მეხი დაეცა და ნაცარტუტად აქცია. მთელი სოფელი გლოვობდა დამაშვრალთა ამ ერთგულ საჩრდილობელ-თავშესაფარს...

მაგრამ მარტო გლოვა რა ბედენაა – საქმე ფესვების წვდომა-გათავისება, გადარჩენა-გამოცოცხლებაა და გამოჩნდა ერთი გონიერი კაცი: ნამუხარს შემოუბარა – შემოღობა – დააწყლულა, ფესვთაგან ამონაყარი დაიცვა საქონლისა და ბრიყვთაგან, ყლორტთაგან ყველაზე თამამი ზეცისკენ გაუშვა და დღეს კვლავ ამაყად დგას ეს მეხდაცემული მუხის ხე ალაზნის ველზე, ასე გადარჩა ღვთისა და კვდომას მუხის ფესვები...

საქართველოც დღეს ამ მეხდაცემულ მუხას ჰგავს...

მოვლა-პატრონობას გვთხოვს მისი ფესვების ღვთისა და კვდომისაგან გადასარჩენად...

ჩვენს გარდა ამას სხვა არავინ გააკეთებს...

P.S სრულდება 75 წელი ივანე ჯავახიშვილის შრომიდან - "ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია". ამით სათავე დაედო "ილიალოგიას", როგორც მეცნიერებას. დღეს მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში.

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა თანამშრომლობისთვის იწვევს ყველას, ვისაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს ილიას მემკვიდრეობის კვლევასა და პოპულარიზაციაში.

